საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

სარეის ქაქაჯაძე

თბილისი
„მეცნიერება"
1991

63.3(2Г)
ბ 171

წიგნის ავტორი საქართველოს ისტორიის ცნობილი მკვლევარია. ნაშრომი მიძღვნილია საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი საკითხის — კრწანისის ომისადმი, რომლის შედეგებმაც საბედისწერო როლი შეასრულა ქართული სახელმწიფოებრიობის ცხოვრებაში — მისი რუსეთის იმპერიაში შესვლა დააჩქარა.

წიგნი დაწერილია მდიდარი ფაქტიური მასალის საფუძველზე, რამაც ავტორს საშუალება მისცა, ახლებურად გაეაზრებინა კრწანისის ომსა და მაშინდელ პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებული ფაქტები. ნაშრომი გამოსაცემად მოამზადეს ავტორისეული „შავი“ საარქივო ცალის საფუძველზე შოთა ბადრიძემ და ლია კაკაბაძემ, მათვე შეარჩიეს ფოტომასალა. წიგნს ერთვის სარგის კაკაბაძის ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებული ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

რედაქტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
შ. ბ ა დ რ ი ძ ე

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები
გ. ა ლ ა ს ა ნ ი ა, დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე

0503020906
М 607 (06)—91 152—91

ISBN 5—520—00375—9

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1991

ღვაწლმოსილი მეცნიერი

1916 წელს გაზეთი „სახალხო ფურცელი“ თავის ერთ-ერთ ნომერში მკითხველებს მოუთხრობდა თანამედროვე ქართველ ისტორიკოსთა და მხატვართა საქმიანობაზე. ამ მოღვაწეთა შორის მოხსენიებული იყო სრულიად ახალგაზრდა ისტორიკოსი და ფილოლოგი სარგის კაკაბაძე, რომლის პირველმა მეცნიერულმა პუბლიკაციებმა და გამოკვლევებმა იმთავითვე დაიმსახურეს საერთო ყურადღება. ახალგაზრდა მეცნიერი, რომელმაც განათლება ვენისა და პეტერბურგის უნივერსიტეტებში ალფ. დოფშის, ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილისა და სხვა გამოჩენილი მეცნიერების ხელმძღვანელობით მიიღო, 1911 წელს სამშობლოში დაბრუნდა და გატაცებით დაიწყო საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხების კვლევა.

ოციანი წლებისთვის ს. კაკაბაძე უკვე მრავალი მეცნიერული ნაშრომის ავტორი იყო. მისი ძველი და აგრეთვე ახალი საუკუნეების (მაშინდელი გაგებით, XV—XX სს.) „საქართველოს ისტორიები“ იმ დროისათვის საუკეთესო სახელმძღვანელოებად იყო მიჩნეული ჩვენს სასწავლებლებში.

ამ პერიოდში ს. კაკაბაძის ხელმძღვანელობით შეიქმნა საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, რომელსაც თავადვე განაგებდა 1921—1926 წლებში.

ახალგაზრდა მეცნიერმა დიდი ენერგია მოახმარა საქართველოს ისტორიული სიძველეების გადარჩენას. მან ძალზე ბევრი გააკეთა 1915 წელს პირველი მსოფლიო ომის დროს თბილისიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გატანილი საარქივო მასალების მოსაძიებლად და დასაბრუნებლად, რის შედეგადაც მრავალი ძვირფასი საისტორიო წყარო სამუდამო დაღუპვას გადაურჩა. 1923—1934 წწ. სარგის კაკაბაძე, როგორც რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სიძველეთა, ხელოვნების და ბუნების ძეგლთა დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი, დიდ შუშაობას ეწეოდა საქართველოს საისტორიო ძეგლების დაცვისათვის. [illegible] საარქივო მასალა მოგვითხრობს იმ

ძნელსა და არც თუ უხიფათო საქმიანობაზე, რომელსაც მეცნიერი ეწეოდა ანტირელიგიური კამპანიის დროს. ამასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი სწერდა ს. კაკაბაძეს: „ძალიან სასიამოვნოა, რომ სიძველეთა დაცვის შესახებ ჯგუშიასთან (სახალხო კომისარიატის რწმუნებული აკადემიური საქმეთათვის. — შ. ბ.) მოგილაპარაკნიათ, რადგან საქმე საშურია, შველა კი არსაითგანა ჩანს. რაჭიდან ჩამოსულმა ერთმა რუსმა მიამბო, რომ იქ ანადგურებენ უძვირფასეს ხატებს და საეკლესიო ძეგლებს. ამას ადგილობრივი კომისრები ხედავენ და არავითარ ყურადღებას არ აქცევენ“.

20-იანი წლების ბოლოდან ს. კაკაბაძე უმთავრესად პედაგოგიურ საქმეშაოზეა. ლექციებს კითხულობს თბილისის უნივერსიტეტში, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. 1945—1961 წწ. იგი კვლავ საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში, ძველი აქტების განყოფილების გამგედ და მეცნიერ თანამშრომლად მუშაობს. 1937 წ. განათლების სახალხო კომისარიატმა პროფესორის წოდება მიანიჭა.

სარგის კაკაბაძე გარდაიცვალა 1967 წლის 2 აპრილს. იგი თავისი ძმის, დიდი ქართველი მხატვრის, დავით კაკაბაძის გვერდით დაკრძალეს დიდუბის პანთეონში.

ს. კაკაბაძემ მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა დატოვა. მარტო მისი გამოქვეყნებული ნაშრომები, მათ შორის წიგნები, სამასს აღემატება.

ჩვენი საუკუნის დამდეგს, როდესაც ს. კაკაბაძე სამეცნიერო სარბიელზე გამოვიდა, უახლესი ქართული ისტორიოგრაფია ის იყო ფეხს იდგამდა. ეს პროცესიც, ცხადია, ძიებების, მძაფრი შემოქმედებითი დისკუსიების ატმოსფეროში მიმდინარეობდა. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის გააზრებაში უთანხმოება თავს იჩენდა ქართული ისტორიოგრაფიის მაშინდელ თავკაცებს ივ. ჯავახიშვილისა და ს. კაკაბაძის შორისაც, მაგრამ ეს იყო არსებითად პრინციპული უთანხმოება ცალკეულ საკითხებზე, თორემ მათ შესანიშნავად ჰქონდათ წარმოდგენილი ერთმანეთის დამსახურება და ავტორიტეტი.

თავისი მოღვაწეობის დასაწყისიდანვე ს. კაკაბაძე უმთავრესად გატაცებული იყო საქართველოს ისტორიის წყაროების გამოვლენითა და გამოცემით. მან გამოაქვეყნა უამრავი პირველხარისხოვანი საისტორიო მასალა, მათ შორის „საისტორიო საბუთები“ (5 ტომად, 1913 წ.) „დასავლეთ საქართველოს საისტორიო საბუთები“ (ორ ტომად, 1920 წ.) და სხვა.

ს. კაკაბაძის მუშაობას ქართული დოკუმენტური ძეგლების მოძიება-პუბლიკაციის საქმეში ის დიდი მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ შემდეგში ბევრი მის მიერ წარსულში გადაწერილი და გამოცემული საბუთის დედანი სამუდამოდ დაიკარგა (უმთავრესად 1915 წ. ევაკუაციის დროს). ამგვარ ძეგლებს მიეკუთვნება, მაგალითად, ნიკორწმინდის ცნობილი საბუთი, დავით აღმაშენებლის შიომღვიმისათვის ბოძებული სიგელი და სხვა, რომელთა წყაროთმცოდნეობითი და კულტურულ-ისტორიული ღირებულება განუზომლად დიდია.

ს. კაკაბაძემ რუსულ ენაზე თარგმნა და გამოსცა ქართული კლასიკური ხანის საბუთები, საგანგებოდ იკვლევდა ქართული დიპლომატიკის თეორიულ პრობლემებს. აღსანიშნავია, მაგალითად, ს. კაკაბაძის მიერ ე. წ. სასისხლო საბუთების ინტერპრეტაცია, რომელსაც ისტორიკოსები ამჟამად არსებითად იზიარებენ. მანვე გამოაქვეყნა ათეულობით მასალა საქართველოს სხვადასხვა მხარის სოციალურ-ეკონომიკური, საზოგადოებრივი და დემოგრაფიული ვითარების შესახებ; საერო და სასულიერო სენიორიების საქონებელთა დავთრები და აღწერილობები, რასაც დიდი ღირებულება აქვს საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა ისტორიის შესასწავლად. ამ პუბლიკაციათა შორის, თავისი მოცულობითა და მნიშვნელობით, განსაკუთრებული ადგილი უკავია შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოს მასალებს.

ს. კაკაბაძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საკანონმდებლო ძეგლების პუბლიკაციას. მას ეკუთვნის ისეთი უმნიშვნელოვანესი ძეგლების პირველი გამოცემები, როგორიცაა: მეფის კურთხევის წესი, გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადება, კათალიკოსის სამართალი...

ნაყოფიერად იკვლევდა ს. კაკაბაძე საქართველოს ისტორიის წყაროებს, კერძოდ, „ქართლის ცხოვრების“ ისტორიკოსებს. თავდაპირველად იგი ამ ძეგლის არქაულ ნაწილს XI ს. შედგენილად თვლიდა, მოგვიანებით კი უფრო ადრეული საუკუნეების ქმნილებად მიიჩნევდა. ეს თვალსაზრისი, რომელიც თავდაპირველად ისტორიკოსთა ერთი ჯგუფის მკაცრ კრიტიკას იწვევდა, რაც დრო გადის, უფრო მეტ მომხრეს იძენს. იგივე ითქმის ს. კაკაბაძის კიდევ ერთ თვალსაზრისზე, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ არქაული ნაწილის ინფორმაციის სამეცნიერო ღირებულების საკითხს ეხება. მაშინაც კი, როცა სხვანი ძველ მატიანეთა ინფორმაციას არ ენდობოდნენ და ფარნავაზსაც კი ზღაპრულ პიროვნებად თვლიდნენ, ს. კაკაბაძე დაჟინებით ცდილობდა ამ ცნობებში ჭეშმარიტების ამოცნობას. ამჟამად ეს შეხედულება ახალი, უმეტესწილად არქეოლოგიური მასალების ფონზე, საყოველთაოდაა აღიარე-

ბული. ს. კაკაბაძეს ორიგინალური დაკვირვებები ჰქონდა დავით აღმაშენებლის და თამარის ისტორიკოსების ვინაობაზე, შეისწავლა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, არსენი საფარელის და ბასილი ზარზმელის თხზულებათა დათარიღებისა და სტრუქტურის საკითხები.

ს. კაკაბაძემვე გამოსცა შუა საუკუნეების ძეგლები: „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“, „ასურელ მამათა ცხოვრების არქეტიპები“ და სხვა. 1925 წ. მის მიერ გამოცემული XVII ს. ცნობილი ავტორის ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია დღემდე ამ ძეგლის ყველაზე ვრცელ პუბლიკაციად რჩება.

მეცნიერმა ნაშრომების მთელი სერია უძღვნა საქართველოს ისტორიის სპეციალურ საისტორიო დისციპლინებსაც. მისი გამოკვლევები პალეოგრაფიაში, ნუმიზმატიკაში, ქრონოლოგიაში, გენეალოგიასა და მეტროლოგიაში სხვათა შრომებთან ერთად ქმნიან ზემოხსენებულ დარგთა ისტორიოგრაფიულ ბაზას.

ს. კაკაბაძე 20-იანი წლებიდანვე ცდილობდა ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის სქემის მოხაზვას. მის იმდროინდელ შრომებში კარგად აისახა მაშინდელი მსოფლიო და განსაკუთრებით საბჭოთა ისტორიოგრაფიის თეორიული შეხედულებები. ს. კაკაბაძის ნაშრომებში იმთავითვე თავს იჩენდა სურვილი, ახალ მეთოდოლოგიურ მიჯნებზე გაეყვანა ქართველი მედიევისტიკა...

მან ვრცლად შეისწავლა საქართველოში სახელმწიფოებრიობის გენეზისი და სახელმწიფოებრივი ფორმების წარმოშობა გვაროვნული წყობილების რღვევის პროცესს დაუკავშირა.

ს. კაკაბაძემ ჯერ კიდევ 1912 წ. სცადა გაერკვია სათავადოების აღმოცენების დროისა და სათავადოს არსის საკითხი. ავტორმა სათავადოები მაშინდელი საზოგადოებრივი ურთიერთობების, ფეოდალიზაციის პროდუქტად მიიჩნია. აღნიშნული დებულება აშკარა სიახლე იყო.

მეტად ფართო იყო მეცნიერის ინტერესები გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაში. ამ მხრივ მისი დამსახურება სრულიად განსაკუთრებულია. 20-იანი წლების დამდეგს ს. კაკაბაძე ცდილობდა გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიული განვითარების სურათი მსოფლიო ისტორიული პროცესების ფონზე გაეაზრებინა, რამაც იმ ხანებისათვის მრავალი პოზიტიური დაკვირვება შეაპირობა. ამ თემას ეხებოდა ს. კაკაბაძის ნაშრომთა ციკლი, კერძოდ, საქართველოს ახალი საუკუნეების „ისტორიები“, მონოგრაფია ერეკლე მეორე-

ზე, ვრცელი ნარკვევი საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალის აქტიურობაზე ჩვენში და სხვა. ამ მხრივ უმდიდრეს ფაქტიურ მასალას შეიცავს მისი ნაშრომი „საქართველოს ეკონომიკური ვითარების შესახებ მე-18 საუკუნეში", სადაც პირველად იქნა ასე მასშტაბურად ნაჩვენები ეკონომიკური რეგრესის სურათი შუა საუკუნეთა ბოლო ეტაპის საქართველოში.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მეცნიერი დიდი ენთუზიაზმით შეუდგა მრავალტომიანი „საქართველოს ისტორიის" შექმნა-დასრულებას, რომლის ხელნაწერებიც, სხვა მრავალ ნაშრომთან ერთად, კარგა ხანია განსვენებული მეცნიერის სამუშაო მაგიდასა და თაროებზე აწყვია. სარგის და დავით კაკაბაძეების ქუჩაზე მდებარე სახლში, სადაც სახელოვანი ძმები ცხოვრობდნენ, დაცულია უმდიდრესი სამეცნიერო არქივი...

ჩვენი მეცნიერები და გამომცემლები რაც შეიძლება მალე უნდა დაინტერესდნენ ამ ძვირფასი მასალით და დღის სინათლეზე გამოიტანონ იგი.

შოთა ბადრიძე

შესავალი

უმთავრესი წყაროები კრწანისის ომის შესახებ

1795 წ. თბილისის კატასტროფამ ასახვა პოვა ქართულ, სომხურ, რუსულ, სპარსულ და თურქულენოვან წყაროებში.

ამათგან ორი წყარო მოდის უშუალოდ ყარყუთა-კრწანისის ბრძოლის მონაწილეებისაგან. ესენი არიან დავით ბატონიშვილი (1767—1819) და იაკუბ-ბეგ ბებუთაშვილი.

დავით ბატონიშვილი ყარყუთა-კრწანისის ომის შესახებ ცნობებს გვაწვდის მის მიერ რუსულად დაწერილ და 1805 წ. პეტერბურგში გამოცემულ წიგნში „История Грузии" (მეორე გამოცემა, თბ., 1899). დავით ბატონიშვილი წერს: „სპარსეთში გაძლიერდა აღა-მაჰმად-ხანი, ძე ზემოხსენებული მაჰმად-ასან-ხანისა და შვილიშვილი ფათალი-ხანისა, რომელთა სახლსაც მუდამ მოუთმენლად სურდა, რომ მისგან აერჩიათ შაჰები, რამეთუ იგი თავისი მრავალრიცხოვნებით ყველა სახლს აღემატებოდა. აღა-მაჰმად-ხანი ალი-მურთაზ-ხანის სიკვდილის შემდეგ ძთელ სპარსეთს დაეუფლა და შუშის დასამორჩილებლად მოვიდა მხედრობით. ამ ადგილას მცხოვრები მაჰმადიანები, რომლებიც ადრე საქართველოდან გაიქცნენ (1785 წ. შფოთის დროს საქართველოში მცხოვრები ყველა თათარი და ყაზახის მკვიდრნი შუშაში, შამშადილელები კი განჯაში, გადასახლდნენ), აღა-მაჰმად-ხანით დაშინებულები უკან, საქართველოშივე, დაბრუნდნენ. ერეკლე მეფეს შუშაში მყოფმა აღა-მაჰმად-ხანმა მის მფარველობაში ყოფნა შესთავაზა. მეფე ერეკლემ, რომელიც რუსეთის მფარველობაში იყო, ეს წინადადება უყურადღებოდ დატოვა. ამით განაწყენებულმა აღა-მაჰმად-ხანმა თბილისისაკენ გაილაშქრა და ამ ქალაქს განადგურებით დაემუქრა. პირველ ბრძოლაში მისი ლშქარი დიდი ზარალით იქნა გაძევებული ქართველების მიერ. მომდევნო დღეს მეფე ერეკლე თვითონ გამოვიდა აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ და თავისი ჯარი ხელსაყრელ და დაცულ ადგილებში განალაგა".

განაგრძობს რა ქართველთა დაბნეულობის შესახებ, დავით ბატონიშვილი შენიშნავს, რომ „სპარსელები თბილისს მიადგნენ და აიღეს ქალაქი, რაც მოხდა 1796 წელს. ქალაქის დიდი ნაწილის დანგრევისას ტყვედ იქნა წაყვანილი 3 ათასი ადამიანი, რომლებმაც ასეთ მცირე დროში მთებში გადამალვა ვერ შესძლეს. მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო დიდი ზიანი მიაყენეს განჯელებმა და ერევნელებმა. ისინი მუდამ გაბოროტებული იყვნენ ქართველებზე ადრე მათ მიმართ მიყენებული წყენის გამო და გაიხსენეს რა ქართველების მიერ მათი ქალაქების აღებისას იქაური სახლების გადაწვა, თვითონაც დაწვეს თბილისის მრავალი ნაგებობა. პირადად აღა-მაჰმად-ხანმა კი მრავალ ტყვეთაგანს სახლში დაბრუნების ნება მისცა, ვინაიდან მან საკუთარი ქედმაღლობით ქართველები თავის ქვეშევრდომებად ჩათვალა“.

აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შესასწავლად, როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სპარსელთა ლაშქრობის მონაწილის, შაჰის ერთ-ერთი ცხენოსანი რაზმის უფროსის იაკობ (იაკუბ-ბეგ) ბებუთაშვილის ნაამბობი, რომელიც 1842 წ. გალუსტ შერმაზანიანს ჩაუწერია. ბებუთაშვილის ეს ნაამბობი დაიბეჭდა სომხურ ჟურნალში „კრუნკ ჰაიასტან“ (1853 წ. № 21), მისი ქართული თარგმანი კი ჟურნალ „ივერიაში“ (1885 წ. № 2).

ქართულ ისტორიოგრაფიაში იაკუბ-ბეგ ბებუთაშვილის ნაამბობი, ქართული თარგმანის მიხედვით, პირველად გამოყენებული იქნა ჩემს მიერ კრწანისის ომის 145-ე და 150-ე წლისთავზე გამოქვეყნებულ მოკლე წერილებში (გაზ. „კომუნისტი“. 1940, 21. IX, 1946, 22. IX). შემდეგში ამავე წყაროთი ი. ცინცაძემაც ისარგებლა (იხ. „აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე 1795 წელს“. თბ., 1963).

იაკუბ-ბეგ ბებუთაშვილის ნაამბობის ქართული თარგმანის შესახებ უნდა ითქვას, რომ მისი ბეჭდვისას ერთ ადგილას ხელნაწერის გვერდი აურევიათ, ამიტომ მასში წინაუკმოდ მოთხრობილია ჯერ ერეკლეს ჯარის ბრძოლებზე მესამე სანგართან, შემდეგ კი ამავე სანგარზე შეტევის დაწყება.

ბებუთაშვილის ნაამბობი კრწანისის ომიდან თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ იქნა ჩაწერილი, ამიტომ მას მოთხრობილი აქვს არა ყველაფერი, არამედ უმთავრესად ის, რისი მონაწილეც თვითონ იყო. ამის გამო მას არაფერი აქვს ნათქვამი 10 სექტემბრის შუადღის ბრძოლებზე. ეს ხარვეზი უნდა აიხსნას თვით დაბეჭდილი სომხური ტექსტის ნაკლოვანებითაც. სახელდობრ, იქ 839-ე გვერდზე მეორე სტრიქონში აზრი წყდება და იკითხება: უკან გამოსვლისას სპარსელებმა

მტკვარი ისე გადალახეს, რომ „არც ერთი კაცი არ დაღუპულა, სანამ ჯარების თავ-ნაწილს მიაღწევდნენ, სადაც იმყოფებოდნენ ცხენოსანი რაზმები, ხოლო ფეხოსნები კი წინ იყვნენ. ჩვენს წინ ვხედავდით ორ სანგარს, ბევრად უფრო ძლიერს და მაგარს, ვიდრე ჩვენ მიერ ჩამოტოვებული და ნახული იყო. მესამე სანგარზე აქ თვით ერეკლე იდგა განმკარგულებლად და ჩვენგან ახლო იმყოფებოდა". ცხადია, რომ აქ თხრობა პირდაპირ ეხება სექტემბრის უკანასკნელ დიდ შეტევას კრწანისის ველზე. ქართველების მესამე და მეოთხე სანგრების წინააღმდეგ. ტექსტში გამოტოვებულია აღწერა, რომელზეც სერობი მოგვითხრობს. არაფერია ნათქვამი 11 სექტემბრის ბრძოლებზე და არც ამავე დროის უკანასკნელ დიდ იერიშზე, რომელიც სპარსელებმა სეიდაბადის ბაღებისაკენ ქართველების ორ სანგარზე მიიტანეს. ამის მაგიერ თხრობა პირდაპირ იმით იწყება, რომ ეს მესამე და მეოთხე სანგარი (მესამეში თვით ერეკლე იმყოფებოდა) პირველ და მეორე სანგარზე მაგარი იყო. რასაკვირველია, ასეთი ხარვეზი ტექსტში აიხსნება მისი დეფექტიანობით, რასაც ხშირად არევ-დარევა შეაქვს ხოლმე კრწანისის ტრაგიკული ეპოპეის გაგებაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ყარყუთა-კრწანისის ბრძოლები მიმდინარეობდა სპარსელთა რთული მანევრირების პირობებში, ბრძოლებში მრავალრიცხოვანი მასები მონაწილეობდა, ამიტომაც, ვისაც მათი დეტალური აღწერა სურდა, არ ეყოფოდა ამ ამბების თანამედროვეობა და თვითმხილველობაც კი. ის, ამასთანავე, უნდა ყოფილიყო სარქარდობაში[1] (ეხლანდელი გამოთქმით — შტაბში), ან მას ხელთ უნდა ჰქონოდა ამ უწყებიდან მომდინარე ცნობები.

იაკუბ-ბეგ ბებუთაშვილი სპარსელების სარქარდობაში არ ყოფილა ამიტომაც მას საბრძოლო ოპერაციების სრული თანმიმდევრობაც არ ეცოდინებოდა, რის გამოც იგი მხოლოდ იმ ეპიზოდებს მოგვითხრობს, რაშიც პირადად მონაწილეობდა და რაც, ცხადია, თვითონვე ახსოვდა. აღნიშნულის გამო იგი კარგად გადმოგვცემს ყარყუთის პოზიციებზე ბრძოლის ამბებს და მტკვარზე გაცურვით ქართველების წინააღმდეგ უკანმოვლითი ოპერაციების ჩატარებას, მაგრამ თუ 10 სექტემბრის ამბების აღწერაში მისი თხრობის დეფექტურობა ტექსტის ნაკლულევანობით აიხსნება, იგივე შეუძლებელია ითქვას 11 სექტემ-

---

1 სარქარდობა სპარსულიდან ქართულში შემოსული ტერმინია. ჩვენში იხმარებოდა ერეკლე II-ის დროს.

ბრის ველის ოპერაციების შესახებ. ალბათ, იაკუბ-ბეგი ამ დროს თავისი რაზმით რეზერვში იდგა და უშუალოდ არ მონაწილეობდა ბრძოლებში, დღის მეორე ნახევრის გასულს კი იგი უკვე თავისი რაზმითურთ კრწანისის ველიდან ქართველების მესამე სანგრის საიერიშოდ გააგზავნეს და ამ დროიდან იაკუბი სპარსელების ავანგარდულ ხაზზე იყო. ამიტომაც იაკუბ-ბეგს ეს ამბები კარგად ახსოვს.

კრწანისის ომის ისტორიის ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა სერობის მოთხრობა. კრწანისის ომის ეს, დავით ბატონიშვილივით, ადრეული მოწმე სასულიერო პირი ყოფილა. თავისი თხრობა თბილისის აღებისა და აოხრების შესახებ მას დაუწერია სანაინის მონასტერში 1796 წ. იანვარში, ე. ი. სპარსელთა მიერ თბილისის აღებიდან სულ რაღაც ოთხი თვის შემდეგ. სერობის თხრობა დაწერილია მხატვრული პროზით, ბოლოში მას ლექსად დართული აქვს გოდება თბილისის განადგურების შესახებ. სერობის თხზულება გამოქვეყნებულია სომეხ ისტორიკოსთა დივანში (ტ. X).

სერობი თვითონვე შესწრებია კრწანისის ომს და თვალყურიც უდევნებია ბრძოლებისათვის, მაგრამ ის, რასაკვირველია, ვერ ერკვეოდა ომის ყველა დეტალში, ამიტომაც კრწანისის ბრძოლების წარმოდგენა მარტოოდენ სერობის ცნობების მიხედვით შეუძლებელია, თუმცა კრწანისის ომის შესასწავლად ისინი უნდა პირველხარისხოვან წყაროდ ჩაითვალოს.

არსებობს, აგრეთვე, 1796 წ. ივნისს კონსტანტინოპოლში უცნობი პირის მიერ დაწერილი მოკლე თხრობაც აღა-მაჰმად-ხანის თბილისზე თავდასხმის შესახებ. ამ თხრობას საფუძვლად უდევს სერობის ტექსტი, ამიტომაც შეიძლება ვარაუდი, რომ ზემოხსენებული მოკლე თხრობაც სერობსავე ეკუთვნის.

ერთ-ერთი საინტერესო წყარო აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის და, საერთოდ, 1795—1797 წწ. საქართველოსა და ამიერკავკასიის ისტორიისათვის, ესაა თავგადასავალი არტემ არარატელისა, რომლის პიროვნებისა და საქმიანობის შესახებაც სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია დავა მიმდინარეობს.

ჯერ კიდევ 1895 წ. ალ. ორბელიანმა თავის ნაშრომში აღნიშნა, ვითომც არტემ არარატელი იყო თბილისში სპარსელების მიერ შემოგზავნილი ჯაშუში. ეს აზრი შემდეგში სხვა ავტორებმაც გაიმეორეს, კერძოდ, ი. ცინცაძემაც — კრწანისის ომისადმი მიძღვნილ თავის წიგნში.

არტემ არარატელი 1795 წ. 15 ივლისს ვაღარშაპატიდან გამოჰყვა

თავრიზიდან რუსეთისაკენ მიმავალ ერთ თბილისელ სომეხ ვაჭარს. არტემი მაშინ 21 წლისა იყო, კარგად იცოდა ძველი სომხური და წირვა-ლოცვა. აგვისტო არტემ არარატელმა თავის აღასთან ერთად დაჰყო თბილისში, სადაც მან იმერლების ჯარის შემოსვლაც ნახა. იმავე თვის ბოლოს არტ. არარატელი და მისი აღა სიღნაღისაკენ გაემართნენ, შემდეგ კი, როცა კრწანისის ომი გათავდა და სპარსულებმა თბილისი მიატოვეს, არტემი სიღნაღიდან დედაქალაქს წამოვიდა. აქ ის ულუკმაპუროდ მოჰყვა ლილოში, აქედან ავლაბარსა და მცხეთაში, შემდეგ კი თბილისში, რომელიც სპარსელებს თითქმის მთლიანად გადაეწვათ. ასევე გადამწვარი იყო ლილო და ავლაბარიც. ყველგან ეყარა სპარსელთა მიერ დახოცილთა გვამები. არტემი რომ თბილისში იმყოფებოდა, ამ დროს შაჰი თავისი ჯარითურთ უკვე გზად მიდიოდა განჯის მიმართულებით, თბილისიდან სამი დღის სავალზე. დაახლოებით 24—25 სექტემბერს, არტემ არარატელი, მთლად მშიერი, გაემგზავრა მცხეთისაკენ, ჩავიდა დუშეთში, შემდეგ ანანურში, სადაც იგი, ხანგრძლივად ნაშიმშილები, ძლივს მოარჩინეს. ამ დროს შაჰი თავისი ჯარით უკვე განჯასაც გასცილებოდა. ერეკლე II ანანურს იმყოფებოდა. სტეფანწმინდიდან და მთიულეთიდან ანანურზე გავლით დიდძალი ხალხი უკან ბრუნდებოდა.

არტემ არარატელმა ანანურში 8 დღე დაჰყო. აქედან მისმა აღამ, ეს უკანსკნელიც ანანურშივე აღმოჩნდა, არტემი გააგზავნა თბილისში, სადაც მან სამი დღის განმავლობაში ძლივს ჩააღწია. რადგანაც ცუდი ცხენი ჰყავდა. კრწანისში არტემი შეხვდა ოჯახებიანად ულკან დაბრუნებულ ყაზახ-ბორჩალოელებს.

შემდეგ აოხრებულ-გადამწვარი თბილისიდან არტემ არარატელი მცხეთის გავლით ისევ ავიდა ანანურს, სადაც ამ დროს გაიარა კახეთისაკენ მიმავალმა დარეჯან დედოფალმა. ანანურიდან არტემი მივიდა ჩოხში, სადაც შეჩერდა, აქედან სტეფანწმინდაში, შემდეგ კავკავსი და ბოლოს 12 დეკემბერს დიდი წვალებით მოზდოკს მიაღწია.

ფაქტიური მასალისათვის თვალის მიდევნება ცხადყოფს, რომ არტემ არარატელის ჯაშუშად თუ ჯაშუშების დამხმარედ ყოფნის შესახებ ცნობა მოგონილია. ცხადია, აღა-მაჰმად-ხანს თბილისში უნდა ჰყოლოდა და ეყოლებოდა კიდევაც თავისი ჯაშუშები და ინფორმატორებიც. ამათ შორის იყო ვინმე არუთინ არარტელი, რომელიც ალ. ორბელიანმა შეცდომით, არტემ არარატელთან გააიგივა.

კრწანისის ომზე მეტად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის თეიმურაზ ბატონიშვილიც (1782—1846). მართალია, იგი ამ ომში პირადად

არ მონაწილეობდა, მაგრამ მას ამდროინდელ ამბებზე ვრცელი ინფორმაცია უნდა ჰქონოდა ძმების — დავით და იოანე ბატონიშვილებისაგან, რომლებიც მამის — ერეკლე II-ის დავალებით აქტიურად საქმიანობდნენ ქვეყნის თავდაცვისათვის. თეიმურაზს, ეტყობა, ამ ომის ამბები შეუსწავლია 1803—1811 წლებშიაც, როცა იგი სპარსეთში იყო და არტილერიას მეთაურობდა. ბატონიშვილს აქ საშუალება ექნებოდა შეეკრიბა ცნობები კრწანისის ომის მონაწილე სპარსელ მეთაურთაგანაც. ამიტომაც თეიმურაზ ბატონიშვილის თხზულებას კრწანისის ომზე გარკვეულწილად წყაროს მნიშვნელობაც აქვს.

აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შესახებ საგულისხმო მასალებს შეიცავს, აგრეთვე, ალ. ორბელიანის თხრობა (ჟურნ. „მოამბე", 1895 წ. № 8), რომელიც ზეპირგადმოცემებს ეფუძნება. ეს უკანასკნელი მას შეკრებილი ჰქონდა თვით აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის მნახველ მონაწილეთაგან. მიუხედავად ამისა, ალ. ორბელიანი შესაფერისად ვერ გაერკვა ამ დროის ამბებში. მაგალითად, მან არტემ არარატელი, შეცდომით, სპარსელების ჯაშუშად მიიჩნია. ალ. ორბელიანმა ზუსტად ისიც კი არ იცის, თუ სად მოხდა ბრძოლა. მისი სიტყვებით. „ომი სწორეთ იქ ყოფილა სოღანლუღის თავში, ვიწრო გზის შესავლის ველზე", რაც აშკარად არ შეესაბამება სიმართლეს. მთავარი და გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა კრწანისის ველზე.

აღა-მაჰმად-ხანის თბილისზე თავდასხმის შესახებ საყურადღებო წყაროს წარმოადგენს გენერალ სტ. ქიშმიშაშვილის (ქიშმიშევის) მიერ შედგენილი თხრობა, რომელიც ჩართულია მას წიგნში „Походы Надир-Шаха в Герат, Кандагар, Индию и события в Персии после его смерти" (Тифлис. 1889, გვ. 256—287).

გენ. ქიშმიშევი (1833—1897) თბილისელი სომეხი, პირველი ხარისხის მოქალაქეთაგან იყო. მას დამთავრებული ჰქონდა გენერალური შტაბის აკადემია პეტერბურგში. ყმაწვილობიდანვე აინტერესებდა თბილისის 1795 წ. ტრაგედია, რის შესახებაც იმთავითვე კრებდა ამბებს, რაც მას უხვად შეეძლო მოესმინა ბებუთაშვილების, ყორღანაშვილებისა თუ კრწანისის ამბების სხვა მომსწრეებისაგან. ამიტომაცაა, რომ თუმცა ქიშმიშევის მოთხრობაში ზოგჯერ შეცდომებიცაა, მაგრამ ამასთანავე მოიპოვება ისეთი ცნობები, რომლებიც სხვა ავტორებთან არაა შემონახული. მაგალითად, იგი გადმოგვცემს შინაარსს, როგორც ეტყობა, 8 სექტემბერს გამართული თათბირისა, რომელზედაც გადაწყდა, რომ აღა-მაჰმად-ხანისათვის ბრძოლა თბილისის ციხის გარეთ

გაემართათ. ამ თათბირზე დარეჯან დედოფალს ანტირუსული განწყობილება გამოუმჟღავნებია და 1783 წ. რუსეთთან დადებული მფარველობითი ტრაქტატიც დაუგმია. ჩანს, ამ დროისათვის დარეჯანსა და მის შვილებს შორის უკვე ფეხს იკიდებდა ანტირუსული და, შესაბამისად, პროირანული ორიენტაცია. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ როცა თბილისიდან წასვლისას სპარსელებმა გადაწვეს და დაანგრიეს მეფისა და წარჩინებულთა სასახლე-საცხოვრებლები და ავლაბარიც გადაბუგეს, დარეჯან დედოფლის აშენებულ სასახლეს და მის ეკლესიას ხელი არ ახლეს. აღა-მაჰმად-ხანის მიერ ეს იყო, ალბათ, ერთგვარი ლояალობის გამოხატულება დარეჯანის მიმართ ამ უკანასკნელის პოლიტიკური განწყობილების ჯილდოდ. სპარსელებმა ხელუხლებლად დატოვეს, აგრეთვე, მეფის სასახლე თავისი ეკლესიით. ალბათ, ეს სასახლე დარეჯანის ერთ-ერთ შვილს თავის საცხოვრებლად ჰქონდა.

ამ ამბების შესახებ სტ. ქიშმიშევი იოლად შეიტყობდა. სხვადასხვა პირების, მაგალითად, მირზა იბრაიმ ენიკოლოფაშვილისაგან, რომელიც თბილისში დარჩა და აღა-მაჰმად-ხანთანაც გამოცხადდა.

სტ. ქიშმიშევის თხრობა ზოგ სხვა საინტერესო ცნობასაც შეიცავს.

კრწანისის ომის შესახებ საყურადღებო ცნობებს იძლევა ბერძენი მემადნე ათანასი თედორეს ძეც, რომელიც მაშინ ოჯახიანად თბილისში შემოხიზნულა. ათანასის ცნობები გადმოგვცემენ აღა-მაჰმად-ხანის თბილისში შემოსვლას, მისი ჯარების განლაგებას, მათ წინააღმდეგ ერეკლე II-ის ბრძოლას, იმერთა ლაშქრის გაქცევას და სხვ. ათანასი თედორეს ძის ცნობები გამოქვეყნებულია. ასეთია უმთავრესი წყაროები უშუალოდ კრწანისის ომის შესახებ. კრწანისის ომს, მის ცალკეულ ეპიზოდებს თუ მთლიანად, არაერთხელ შეხებიან ისტორიოგრაფიაში (ნ. ბერძენიშვილი, ი. ცინცაძე, ი. შაიშმელაშვილი და სხვ.). ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ივ. შაიშმელაშვილისა და ი. ცინცაძის ნაშრომები, რომლებშიც ვრცლად გადმოცემასთან ერთად, ჩემი აზრით, მოიპოვება სადავო დებულებებიც, რის შესახებაც, შეძლებისდაგვარად, ნაწილობრივ ადრეც აღმინიშნავს.

I. ქართლ-კახეთის სამეფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება XVIII ს. 70—90-იანი წწ. დამდეგს

1. საქართველო ყუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ

1768—1774 წლებში რუსეთ-ოსმალეთს შორის წარმოებდა ომი, რომლის ასპარეზიც იყო შავი ზღვის ჩრდილო სანაპირო მხარეები. რუსეთი ცდილობდა, ამ ომში ჩაება ქართული სახელმწიფოები — უპირველეს ყოვლისა იმერეთი, გურია-ოდიშით და ამასთანავე ქართლ-კახეთი, რისთვისაც რუსეთმა იმერეთში გაგზავნა 3,5 ათასიანი ჯარი. ამ საექსპედიციო კორპუსის დახმარებით მოხერხდა ოსმალთა მცირერიცხოვანი გარნიზონების განდევნა ბაღდადის, შორაპნის, ცუცხვათის და, რაც მთავარია, ქუთაისის ციხეებიდან. ფოთის ციხე ვერ აიღეს. არ მოხერხდა, აგრეთვე, სხვა თვალსაჩინო სამხედრო ოპერაციების ჩატარება, თუ არ ჩავთვლით ასპინძის ბრძოლას, სადაც ერეკლე II-მ თავისი საკუთარი ძალებით გაანადგურა სამი ათასი კაცისაგან შემდგარი ოსმალ-ლეკ-მესხთა ჯარი. არ გამართლდა რუსეთის მთავრობის იმედი, რომ ოსმალების წინააღმდეგ ამიერკავკასიაში ქართველების ჩაბმით მოწყობილიყო რაიმე თვალსაჩინო დივერსია, საამისოდ ქართველებს ძალა არ ჰყოფნიდათ. ამ საექსპედიციო კორპუსში ჰყოფილ ფრანგი ოფიცერი დე-გრელი გადმოგვცემს, რომ რუსეთს საქართველოში ჯარის გაგზავნა დაუჯდა სამი ათასი კაცი, რომელნიც დაიღუპნენ უმეტესად სხვადასხვა ავადმყოფობისაგან, უმთავრესად ციებ-ცხელებით (ფოთის არეში) და ნახევარი მილიონი მანეთი. ერეკლეც ატყობინებდა რუსეთის მთავრობას, რომ მას რუსეთის ჯარის საქართველოში ყოფნის დროს ომის საქმეებზე დაეხარჯა 430 ათ. მანეთი. ყველაფერი ეს აღმოჩნდა უშედეგო გარდა იმისა, რომ იმერეთის ოთხი ციხიდან ოსმალნი გაძევებულნი აღმოჩნდნენ (ესენი, განსაკუთრებით ქუთაისისა და შორაპნის ციხეები, იმერეთის მეფემ სოლომონ I-მა განგებ დაანგრევინა, რათა მომავალში ოსმალებს მათში ისევ არ მოეკიდებინათ ფეხი).

რუსეთის საექსპედიციო კორპუსი, როგორც მას ეძახდნენ, ვაწ-

ბეულ იქნა უკან საქართველოში 1771 წელს, რითაც ქართველთა თავ-კაცები ძლიერ შეწუხებულნი იყვნენ. ერეკლე II-მ პეტერბურგში გააგზავნა სპეციალური საელჩო. მის სათავეში იყო ლევან ბატონიშვილი, ერეკლეს შვილი, რომელიც ჭკუით და სხვა თვისებებით ყველა თავის ძმას სჯობდა; აგრეთვე, ანტონ კათალიკოსი, დიდი მწიგნობარი, საერთოდ განათლებული კაცი, წინათ რუსეთში ნამყოფი და რუსულს ფლობდნენ. ერეკლე თხოულობდა, რომ რუსეთს მიეღო ქართლ-კახეთის სამეფო თავის მუდმივ ვასალობაში, რისთვისაც ამ უკანსკნელის მკვიდრნი, ისე როგორც ეს სპარსეთის ბატონობის დროს იყო, რუსეთისათვის გადაიხდიდნენ კომლზე 3,5 აბაზს. რუსეთს კი ქართლ-კახეთისათვის ჯარი უნდა დაეყენებინა საკუთარ ხარჯზე და საერთოდაც ქვეყანა მუდმივი თავდასხმებისაგან დაეცვა.

რუსეთის მთავრობამ ერეკლეს ელჩები ცივად მიიღო. დიდხანს მათ ასტრახანიდან არც უშვებდნენ პეტერბურგისკენ და როდესაც ელჩები იქ მაინც ჩავიდნენ, რუსეთის მთავრობამ უარი განაცხადა წარდგენილი პირობების მიღებაზე. ჯერ ერთი, რუსეთი უკმაყოფილო იყო რუსთა საექსპედიციო ჯარის საქართველოდან უნაყოფოდ დაბრუნებით და თანაც ამ დროს რუსეთს არ ჰქონდა ამიერკავკასიაში ფეხის მოკიდების რაიმე განზრახვა. ერეკლე II-ის ელჩები უშედეგოდ დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში.

10 ივლისს 1774 წ. ქუჩუკ-კაინარჯიში დადებული ზავით დამთავრდა რუსეთ-ოსმალეთის ომი. ამ ხელშეკრულებაში შეტანილი იყო ცალკე მუხლი, რომელიც ეხებოდა საქართველოს. ოსმალეთი ვალდებული იყო ამნისტია გაეკეთებინა განვლილ ომში ოსმალეთის წინააღმდეგ მოქმედი ქართველების მიმართ. ოსმალეთი ვალდებული ხდებოდა, არ მოეთხოვა იმერლებისა და ოდიშელთაგან ხარკი გოგო-ბ-ქების სახით და საერთოდ უარი ეთქვა მათგან ყოველგვარი გადასახადის (ხარკის) მიღებაზე. არავითარ შემთხვევაში არ შეეეიწროებინა მათი (ქრისტიანული) სარწმუნოება. რუსეთს უნდა გაეყვანა თავისი ჯარი ქართველთა მიწებიდან (ფაქტიურად ისინი უკვე დიდი ხანია გაყვანილი იყვნენ), ე. ი. კისრულობდა ვალდებულებას თავისი ჯარი აღარ გაეგზავნა ამ მხარეში. ოსმალეთს არავითარი პრეტენზია არ უნდა ჰქონდა საქართველოს (ქართლ-კახეთის) მიმართ. ეს გამოდიოდა ხელშეკრულების იმ მუხლიდან, რომლითაც ოსმალეთს შეეძლო თავის ქვეშევრდომებად ეცნო მხოლოდ ისინი, ვინც ასეთები ძველიდანვე იყვნენ. მაგრამ ამავე მუხლით არსებითად რუსეთი ცნობდა ოსმალეთის უფლებას დასავლეთ საქართველოზე. ცალკე კიდევ აღნიშნული

იყო, რომ ოსმალეთს შეუძლია დაიკავოს ქუთაისის, ბაღდადისა და შორაპნის ციხეებიო, მაგრამ ამათგან ქუთაისის და შორაპნის ციხეები უკვე დანგრეული იყო. არსებითად, ქუჩუკ-კაინარჯის ზავმა ქართველებს ახალი არაფერი მოუტანა იმის გარდა, რომ ოსმალეთს არ შეეძლო დასავლეთ საქართველოდან ხარკი მოეთხოვა.

ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ საქართლო (ქართლ-კახეთი) დარჩა თავისი საკუთარი ძალების ამარა. რუსეთს ის ძალაუნებურად ჩამოშორებული იყო, ოსმალეთს მასთან საქმე არ უნდა ჰქონოდა, სპარსეთს კიდევ განაგებდა ვექილის (ე. ი. მმართველის) ტიტულით ქერიმ-ხანი, რომელიც შაჰის ტიტულის მიღებას თავისთვის ნაადრევად თვლიდა და საქართლოს მიმართ გარკვეულ ტაქტიკას ადგა. მისი ადმინისტრაცია ერეკლეს თეორიულად თვლიდა ვალიდ, ე. ი. სპარსეთის ხელქვეით მმართველად, მაგრამ მისგან არც ხარკს თხოულობდა და არც რაიმე სხვა ვალდებულებას. თითქოს ქართლ-კახეთი იდგა დამოუკიდებლობის განმტკიცების გზაზე, მაგრამ საქმე არია ქართველმავე ბატონიშვილმა ალექსანდრე ბაქარის ძემ, რომელიც ქართლის მეფობაზე პრეტენზიას აცხადებდა.

2. ალექსანდრე ბაქარის ძე

1750 წ. მოსკოვში გარდაიცვალა ვახტანგ VI-ის შვილი ბაქარი, რომელიც ერთ დროს (ორ წელს) ქართლის მეფედ ითვლებოდა. ბაქარს დარჩა შვილები, რომელთაგანაც, უფროსი, ალექსანდრე. შემდეგში, თეიმურაზ II რომ გარდაიცვალა, პრეტენზიას აცხადებდა ქართლის სამეფოზე. ალექსანდრე ბატონიშვილი იყო საიმპერატორო გვარდიის ერთ-ერთი პოლკის კაპიტანი. მას ცოლად ჰყავდა ერთი რუსის თავადის ქალი და კარგადაც იყო მიღებული საიმპერატორო კარზე. შემდეგში ალექსანდრე ბატონიშვილს ოჯახი დაერღვა და კარზედაც მდგომარეობა გაუფუჭდა. მაშინ მან გადაწყვიტა სპარსეთში გაპარულიყო (1765 წ.).

მოსკოვის, ყაზანის და ასტრახანის გავლით ალექსანდრე ბატონიშვილი გილანში ჩავიდა, სადაც, ეტყობა, სწრაფად შეისწავლა სპარსული ენა, რის შემდეგაც ჩავიდა შირაზში. იქ მისი ყოფნა (ალბათ იქაური ქართველების დახმარებით) ცნობილი გახდა სპარსეთის მაშინდელი მბრძანებლის ქერიმ-ხანის კარზე. სპარსეთის მთავრობას ალექსანდრესნაირი პიროვნება ძალზე ესაჭიროებოდა ერეკლე II-ის ასალაგმავად, ამიტომ იგი აღიარეს ქართლის მეფობის პრეტენდენ-

ტად. ალექსანდრე დააბინავეს ცალკე სასახლეში, საპატიო რაზმი მიუჩინეს და ყოველგვარი დახმარება აღუთქვეს. ინგლისელი ტუკის გადმოცემით, ალექსანდრესათვის გამოსატანებლად სპარსეთში უკვე ჯარსაც კი აგროვებდნენ, მაგრამ ამ დროს სპარსეთს ჩავიდა ერეკლე მეფის ელჩი დიდი ამალით და ძვირფასი საჩუქრებით. ერეკლე თანხმდებოდა სპარსეთთან დამოკიდებულებაზე, ოღონდაც ამ უკანასკნელისაგან მოითხოვდა ხელი აეღო ალექსანდრეზე, თანაც მისი შენახვის ხარჯებსაც თვითონვე კისრულობდა. სპარსეთის მთავრობამ ამჯობინა უკვე სახელმოხვეჭილი ერეკლეს პირობების მიღება, ალექსანდრეს მიხთვის მიჩენილ სახლში ყარაულები დაუყენა და ფაქტიურად იგი ნაჩქარად პატიმრად აქცია.

ერთხანს ერეკლე პირობისამებრ იხდიდა ალექსანდრესა და მისი მსახურების შენახვის ხარჯს, მაგრამ შემდეგ ესეც შეწყვიტა. ტუკის სიტყვით, გრაფმა იეკმა 1772 წელს სპარსეთში ყოფნისას ალექსანდრე შინაურ პატიმრობაში და დიდი გაჭირვებაში მყოფი ნახა.

ტუკის ცნობიდანვე ირკვევა, რომ რუსეთთან ქუჩუკ-კაინარჯის ზავის დადების შემდეგ ოსმალეთი ცდილობდა ქართლ-კახეთზე შური ეძია, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ასპინძის ომის გამო მაინც. ამ მიზნით სტამბოლიდან ქერიმ-ხანთან საიდუმლოდ გაგზავნეს ელჩი თხოვნით — ალექსანდრე ოსმალეთში გაეშვათ. „პორტამ, — წერს ტუკი, — იცოდა ქერიმ-ხანის სიხარბე და ამიტომ მიმართა იმავე საშუალებას, რასაც თავის დროზე (ალექსანდრეს საკითხში) ერეკლემ მიმართა. ამიტომ სპარსეთში გაგზავნილ ელჩს თან მიჰქონდა ისეთი საჩუქრები, რომელთა ღირსებამაც სპარსეთის მთავრობა პორტას თხოვნის სრულ სამართლიანობაში დაარწმუნა“.

ალექსანდრეს ბედმა გაუღიმა. ის „ბეჯითად“ წავიდა სტამბოლში, სადაც მიიღო სათანადო ინსტრუქციები, რის შემდეგაც გამოგზართა ყარსისაკენ, სადაც მას უცდიდა ხუთი ფაშა ჯარით საქართველოზე სალაშქროდ. ტუკს არ აქვს ამ ამბების შესახებ მთლად ზუსტი ინფორმაცია, რადგანაც ის ხუთი ფაშის ჯარის შეკრების შემდეგ გადმოგვცემს, რომ ალექსანდრემ სალაშქროდ გამზადებული ჯარი ვანის არეში ნახაო. უფრო სწორი იქნება ფიქრი, რომ ოსმალების მიერ ვანის მხარეში შეგროვილი ჯარი ყარსის მიდამოებში გადალაგდა, საიდანაც სხვა ჯარებთან ერთად, ცხადია, უნდა დაწყებულიყო შეტევა საქართველოზე. მაგრამ მოხდა უცნაური რამ, ვანიდან ჯარის გამოსვლის მეექვსე დღეს ალექსანდრე ბატონიშვილი გაუჩინარდა და ლაშქრობაც ჩაიშალა. ამით კი ჩაიშალა ქართლ-კახეთში ერეკლეს მაგივრად ალექსანდრე

ბაქარის ძის გამეფების ოსმალური გეგმა. ტუკი ალექსანდრეს გაპარვას გამოვლილ უბედურებაში მისი ხასიათის დაჩაკრულობითა და უნებისყოფობით ხსნის. მან არც ის იცის, თუ რა ბედი ეწია შემდეგში ალექსანდრეს. ჩანს, ალექსანდრე გაიპარა სპარსელების ჩაგონებით, როდესაც სპარსეთში შეიტყეს ოსმალეთის მზადების შესახებ ალექსანდრეს ტახტზე ასაყვანად, სპარსელებმა კვლავ გადაწყვიტეს მისი გამოყენება თავისი ინტერესებისათვის. ალექსანდრემაც სპარსეთის წინადადებანი, როგორც ეტყობა, თავისთვის უფრო სასარგებლოდ მიიჩნია და კვლავ ქერიმ-ხანის მხარეზე გადავიდა. რასაკვირველია, სპარსეთში მას ამჯერად უკვე კარგად მიიღებდნენ.

ყველაფერმა ამან ქართლ-კახეთის საგარეო პოლიტიკის მიმართულებაზე გავლენა იქონია.

პრეტენდენტი ალექსანდრე ბატონიშვილი ახლა ისევ სპარსეთის ხელშია. საქართველოს უმეტესი ნაწილი (სამხრეთი და ჭანეთი), უშუალოდ ოსმალეთის მმართველობაში, ანდა მისი გავლენის სფეროშია (დას. საქართველო). საჭირო იყო ამ გარემოებისათვის ანგარიშის გაწევა და სპარსეთზე უარის თქმით ოსმალეთთან საერთო ენის გამონახვა და მისი მფარველობის მოპოვება.

ამ მიზნით ერეკლემ მოლაპარაკება დაიწყო ოსმალეთის მთავრობასთან. 1777 და 1779 წლებში სტამბოლს გაგზავნილ იქნა მირზაგურგენ ენიკოლოფაშვილი, წარმოშობით ყარაბაღელი სომეხი, მან კარგად იცოდა სპარსულ-თურქულ-არაბული ენები და ამასთანავე დიპლომატიური ნიჭიც ჰქონდა. გურგენს მიეცა ვეზირის, ე. ი. გარეშე საქმეთა წამყვანის წოდებაც. მოლაპარაკება სტამბოლში იმ მიმართულებით მიმდინარეობდა, რომ ერეკლე შევიდოდა ოსმალეთის პროტექტორატში აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ხანებზე უპირატესი მდგომარეობის შენარჩუნებით.

3. ქართლ-კახეთის სამეფოს შესვლა ოსმალეთის მფარველობაში

ამ დროის ამბების შესახებ, ოსმალურ საარქივო წყაროებზე დაყრდნობით, საკმაოდ ვრცლად გადმოგვცემს ჯევდეთი. მისი სიტყვით, ჰიჯრის 1190 წელს (1776 წ. 21 თებერვ. — 1777 წ. 8 თებერვ.) ოსმალეთის მთავრობამ გადაწყვიტა, ჯარები დაეგროვოს ყარსის არეში და აზერბაიჯანის მიმართულებით სპარსეთის საწინააღმდეგოდ. ასეთი გადაწყვეტილება, როგორც ჩანს, მიღებული იქნა 1777 წლის დამლევს (იხ. ამის შესახებ ზემოთ). მაგრამ წინასწარ პორტამ სპეციალური წე-

რილებით მიმართა აზერბაიჯანის ხანებს იმის გამოსარკვევად, თუ ისინი რა პოზიციას დაიკავებენ ქერიმ-ხანის წინააღმდეგ ოსმალეთის ლაშქრობის დაწყებისას. წერილები სათანადო საჩუქრებით გაეგზავნათ ერევნის ჰუსეინ-ხანს, ხოის ახმედ-ხანს და სხვებს; წერილები მათ გაეგზავნათ ყარსის და ახალციხის მმართველთა მეშვეობით.

ხანებმა პასუხი გასცეს იმავე ყარსის სერასკირს ვეზირ ალი-ფაშას და ჩილდირის (ახალციხის) ვალის ვეზირ სულეიმან-ფაშას და ითხოვეს, რომ მათთვის ოსმალეთს მფარველობა გაეწია. ამრიგად, გამოირკვა, რომ ამიერკავკასიის და ხოის ხანები მხარს არ უჭერდნენ ქერიმ-ხანს და ოსმალეთის მფარველობას ამჯობინებდნენ. ტფილისის ხანი ერეკლეც, ყველაზე უფრო ცნობილი მათ შორის, — წერს ჯევდეთი, — წერილობით ურთიერთობაში იყო (იგულისხმება იმავე საკითხზე) ჩილდირის ვალისთან, ერევნის ჰუსეინ-ალი ხანთან, ხოის ახმედ-ხანთან და სერასკირ ალი ფაშასთან და აგრეთვე აცხადებდა თავის ერთგულებას ოსმალეთის სახელმწიფოსადმი. ამიტომ მან (ერეკლემ) გააგზავნა თავისი მდივანი მირზა-გურგინი სტამბოლში ჩილდირის ვალის მორდალთან ერთად (ახალციხის ფაშა, მაშასადამე, ხელს უწყობდა ამ მისიას) სპარსულად შედგენილი წერილით, სადაც ერეკლე ოსმალეთისადმი თავის ერთგულებას აცხადებდა. ჯევდეთის გადმოცემით, ეს წერილი მოკლედ ასეთი შინაარსისა იყო: „მისი (ერეკლეს) მიმართვა სპარსეთის ხელმწიფისადმი გამოწვეული იყო მოვლენათა ზოგიერთი თავისებურებით, დროის გარემოებით და ვითარებით. ღმერთმა აშოროს მას, რომ ის, ერეკლე, გადახრილიყო ირანის მხარეზე და მასთან დაკავშირებულიყო ოსმალეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ. ახლაც ისე, როგორც წინათ, ის მთელი თავისი ძალღონით ცდილობს გამოიჩინოს თავისი ერთგულება და სამსახურის წადილი უმაღლესი სულთნის მიმართ. ის იმავე დროს ყოველნაირად ცდილობს, პატივით მოეპყრას მისი მეზობელი ოსმალეთის სახელმწიფოს უფლებებს, აქამდის ის არ ყოფილა კავშირში, ან ერთობაში ოსმალეთის სახელმწიფოს მტრებთან და არც მომავალში ჩაიდენს ამას, თუმცა ეს გარემოება სავსებით ცხადი იყო, მაგრამ რუსეთისა და ოსმალეთის სახელმწიფოებს შორის ომის დროს მის [ერეკლეს] და ჩილდირის ვალის შორის დაუშვებელი ურთიერთობის მიზეზს წარმოადგენდა ჩილდირის მაშინდელი ვალი სეიდ-ნამან-ფაშა. ახლა კი ჩემსა და ჩილდირის ახლანდელი ვალის სულეიმან-ფაშას შორის, რომელიც აფასებს და ადასტურებს ჩემს ერთგულებას სულთანისადმი, შეიქმნა საჭირო მეგო-

ბრული დამოკიდებულება და გულწრფელობა. თუ მისი დიდებულება ფადი-შაჰისაგან მას (ერეკლეს) მიეცემა ერთგვარი შესაძლებლობა თავისი ძალის და ძლიერების უზრუნველსაყოფად, მაშინ ის (ერეკლე) ეცდება ხელი შეუშალოს აზერბაიჯანის ხანების კავშირს და გაერთიანებას ქერიმ-ხანთან".

ზოგიერთი თხოვნა და შუამდგომლობა ერეკლემ თავის ელჩს დაავალა სიტყვიერადაც გადაეცა. ამ მოხსენებიდან ჩანს, რომ „ირანის ვექილმა ქერიმ-ხანმა, არაწარჩინებული წარმოშობის და გვარის პირმა, ვერაგობით და მოხერხებით მოიპოვა-ირანის ქვეყნები: ფარსი, ერაყი და აჯემი. მის (ქერიმ-ხანის) წერილობითი მიმართვებისადმი არც თვითონ ერეკლე ხანი და არც აზერბეიჯანის, შირვანის და ხორასნის ხანები სრულიად არ იჩენდნენ რაიმე კეთილგანწყობილებას. ამჟამად არც ერთი ირანელი ხანი არ ფიქრობს ოსმალთა ქვეყანაზე თავდასხმას და ამიტომაც არც ერთმა მათგანმა არ მისცა დადებითი პასუხი გილახიდან (ქერიმ-ხანისაგან) მოსულ მომართვაზე დახმარების შესახებ. უკეთუ მისი (ერეკლეს) მორჩილი სამსახური მიღებული იქნება ფადი-შაჰის მიერ, ის ხაზინის (ე. ი. ხარჯებს) შესახებ შეთანხმების შემდეგ ყარსის სერასკირის დაუხმარებლად ღებულობს ვალდებულებას აზერბეიჯანის ხანების საკითხის გადაწყვეტის თაობაზე. თავისი ერთგული კავშირის დასამტკიცებლად. ის, თუ ეს საჭირო იქნება, მძევლებად გამოგზავნის თავის ზოგიერთ წარჩინებულ პირს, რომელნიც დატოვებული იქნებიან ახალციხის ციხეში ჩილდირის ვალის მეთვალყურეობით".

„ხოის, ნახჭევანის, ყარაბაღის, განჯის, ერევნის, შირვანის ხანები ხანდახან აგზავნიან მასთან [ერეკლესთან] საჩუქრებს, ხოლო ხანდახან აძლევენ მას ხარკს. ასეთი პირობების გამო არც ერთი მათგანი არ დაეხმარება ქერიმ-ხანს და როგორც ის [ერეკლე], ისინი მიიღებენ თავისთვის, როგორც კეთილნიშნიან ფაქტს და დიდ სიკეთეს, უკეთუ მოჰყვებიან ოსმალეთის სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ. უკეთუ ფადიშაჰის მიერ აზერბაიჯანის ხანებს გაეგზავნებათ საჩუქრები და უმაღლესი ფირმანები და ამ ხანების მიკუთვნება ოსმალეთისადმი ამ უკანასკნელის მიერ ეცნობება უცხო სახელმწიფოებსაც, მაშინ ის [ერეკლე] გარანტიას იძლევა, რომ ეს ხანები არ მოაწყობენ თავდასხმებს ოსმალეთის სახელმწიფოზე. ის [ერეკლე] თხოულობს, რომ ოსმალეთის სახელმწიფომ ჩათვალოს ის [ერეკლე] თავის მორჩილ ხანად და ქერიმ-ხანთან ზავის დადების შემთხვევაში ხელშეკრულების ერთ-ერთ მუხლად აღიარებულ იქნას, რომ ის [ერეკლე] და მისი შვი-

ლები [ე. ი. მემკვიდრეები] უზრუნველყოფილი და დაზღვეული იქნებიან მწუხარებათა და უბედურებისაგან.

ამჟამად ირანის ქვეყანას არ ჰყავს სეფიანთა დინასტია, ასე რომ ირანელი ხანების მიერ თავშესაფრის ძიება ისეთ მძლავრ სახელმწიფოში, როგორიც ოსმალეთია, მათთვის აუცილებელია და დროულია. თუნდაც გამოჩნდეს ვინმე სეფიანთა გვარისანი, ვისზეც შეიძლება გადავიდეს კიდეც ირანის სულთნობა (ხელმწიფობა), მაშინაც ზემოთ დასახელებული ხანები არ გამოვლენ ოსმალეთის მორჩილებიდან და ამ შემთხვევაშიც კვლავ ოსმალეთის სახელმწიფოს მორჩილებაში იქნებიან.

და ბოლოს, ის [ერეკლე] თხოულობს. რომ, როგორც თვითონ [ერეკლე], ისე მისი შვილები და მათი ჩამომავალნი იმყოფებოდნენ ოსმალეთის სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ. ვიდრე ანაზე ღვთის ნება იქნება". ამით მთავრდებოდა ერეკლეს მიმართვა ოსმალეთის მთავრობისადმი.

„როგორც ამ მიმართვის შინაარსი, ისე ერეკლეს ელჩის ზეპირი განცხადება, — განაგრძობს ჯევდეთი, — ეთანხმებოდა ჩილდირის ვალის ცნობას და მისი მორდალის მოხსენებას. ამის გამო ვეზირების სასახლეში მოხდა რამდენიმე თათბირი. მიღებულ იქნა მხედველობაში, რომ შექმნილ მდგომარეობას შეუძლია გაადიდოს ოსმალთა სახელმწიფოს ძალა და სახელი, ხოლო ზარალს ის დიდს არ მოიტანს. ამაზე უწინდელი ფადიშაჰის ფირმანი ყარსის სერასკირის სახელზე ითვალისწინებდა თავშესაფარის მიცემას ზემოხსენებული ხანებისათვის, რადგანაც მათ არაფერი სამტრო არ ჩაუდენიათ და არც მომავალში ჩაიდენდნენ, არამედ იცხოვრებენ თავისთვის. ცნობილი შეიქნა (ფადიშაჰის) ბრძანებულების შინაარსი, რომ თუ ხსენებული ხანები იქნებიან ოსმალეთის მორჩილნი, მათ ექნებათ დაცვა ყოველგვარი უბედურებისა და ზიანისაგან. ეს ცხადი იყო ყველასათვის, ამიტომ ერევნის ჰუსეინ-ალი-ხანი და ხოის ახმედ-ხანი, რომელნიც ყარსის სერასკირის ალი-ფაშას მეშვეობით იქნენ სტამბოლში მივლინებულნი, თავის წერილობით მოხსენებაში ირწმუნებოდნენ, რომ ამიერიდან ისინი კისრულობდნენ მათზე დაკისრებული ყოველგვარი სამსახურის შესრულებას თბილისის ერეკლე-ხანთან შეთანხმებით. ამით დადასტურდა ერეკლე-ხანის აღთქმა, მისი კავშირის შესახებ ხანებთან, ამიტომაც (დივანში) ერთხმად იქნა მიღებული დადგენილება ხანების თხოვნის დაკმაყოფილების შესახებ. ყველა მათგანს ცალ-ცალკე გაეგზავნა ფადიშაჰის ფირმანები მათი თხოვნის დაკმაყოფილების შე-

ერეკლე მეორე

სახებ". ამასთანავე, მათ აცნობეს, რომ თუ ქერიმ-ხანი თავს დაესხმის ძათ ქვეყანას, „უკანასკნელთ დახმარებას გაუწევს ყარსის სერასკირი და ტრაპიზონის ვალი ელგედო ალი-ფაშა. საჭიროების დროს კი თბილისის ხანის ერეკლესათვის დასახმარებლად ჩილდირის ვალის ჰყავს რჩეულ მეომართა საკმაო რაოდენობა. ერეკლეს საჩუქრად გაუგზავნეს ათასი ალთუნი (ოქრო), სიასამურის ქურქი და ძვირფასად აღკაზმული ცხენი, ერევნის ჰუსეინ-ალი-ხანს 2 ათასი, ხოის ახმედ-ხანს კი 1500 ოქრო მაჰმუდი".

იესე ოსეს ძე თავის დღიურში ერეკლესთან სულთნის საჩუქრების მოსვლის შესახებ ასე აღნიშნავდა: „მარტს 23 ხუთშაბათს ქრონიკონს 465 [1777 წ.] ხონთქრის ქურქი და ცხენი მოიყვანა გურგინამ. გაეგება ბატონი. [ერეკლე II]. მე ვიწევ, არ შემეძლო"...

მირზა-გურგინს და, ეტყობა, მასთან ერთად ჩამოსულ ოსმალო წარმომადგენელს თბილისში საზეიმო მიღება მოუწყვეს. ამის თაობაზე, იმავე ჯევდეთის სიტყვით, ჩილდირის (ახალციხის) ფაშა ოსმალეთის მთავრობას ატყობინებდა: „თბილისის ხანმა ერეკლემ მოაწყო საზეიმო შეხვედრა ფადიშაჰის საჩუქრების მისაღებად. შორიდანვე (ე. ი. ერეკლე წინ გაეგება მომავალ ელჩებს) შეხვედრისას ის ჩამოხტა თავისი ცხენიდან, აკოცა აღვირს ფადიშაჰის მიერ გამოგზავნილი ცხენისა, შეჯდა მასზე, ფადიშაჰის საჩუქრები კი წინ გაიძღვანა და ასე, დიდი ზეიმით, ზარბაზნების სროლით დაბრუნდა თავის სასახლეში, სადაც მან მოაწყო საზეიმო დივანი (შეკრება), რომელზედაც თავისი ხალხის წარჩინებულთა თანდასწრებით ფადიშაჰის ფირმანი წაიკითხა. აქ მან ჩაიცვა ფადიშაჰის მიერ გამოგზავნილი ხალათი, რომლის კალთას დამსწრენი კოცნით უახლოვდებოდნენ, და ოსმალეთის სახელმწიფოს მფარველობის მიღება გამოაცხადა".

ბაგრამ, — განაგრძნობს ჯევდეთ, — ამასთანავე ჩილდირის ვალი იტყობინებოდა, რომ ერევნის ჰუსეინ-ხანს ფადიშაჰის საჩუქრები მიუღია ყოველგვარი ზეიმის გარეშე — საზეიმო მიღებას თვით ხანმა შეუშალა ხელი, რითაც ცხადი შეიქმნა, რომ აზერბაიჯანის ხანების თხოვნა ოსმალეთის ქვეშევრდომობაში მიღების შესახებ გამოწვეული იყო მხოლოდ დროის მოთხოვნით. ასე რომ, სრული ნდობა ამ ხანების მიმართ შეუძლებელი იყოო. ამიტომ არზრუმის სერასკირს სტამბოლიდან მისწერეს, რომ ვითომცდა ცხენების საძოვრებზე გადაყვანის მიზნით, ყარსის მხარეში გადავიდეს და ადგილზევე გამოარკვიოს: ხომ არ ფიქრობენ აზერბაიჯანის ხანები რაიმე მტრულ მოქმედებაზე

ოსმალეთის საზღვრების მიმართ და თუ ასეთი რამ დადასტურდა, თვითონ დაიძრას მათ წინააღმდეგ.

ერეკლის ხანის სიფრთხილე, როგორც ეტყობა, გამოწვეული იყო სპარსეთის კონტრღონისძიებებით. სპარსეთის ვექილი და მისი ხელისუფალნი ძალზე შეწუხებულნი იყვნენ ოსმალეთის მიერ ქართლ-კახეთისა და ამიერკავკასიის აზერბაიჯანის ხანებზე მფარველობის დამყარების ცდებით. მართლაც რომ, სპარსეთის მბრძანებელი გულხელდაკრეფილი არ იყო და ოსმალეთის საწინააღმდეგოდ თავისი საკუთარი პოზიციების გამაგრებას ცდილობდა. ეს კარგად ჩანს მისი ურთიერთობიდან ერეკლე II-სთან. იესე ოსეს ძე თავის დღიურებში წერს: „ივლისს 24 ქერიმხანის კაცი მოვიდა. გლახა ციციშვილისა და ფარეშთხუცის გივისათვის გამოეტანებინა მძიმედ შეკაზმილი ოქროს იარაღით სისვი ცხენი, ბადილის ხიფითანი შალი და სარტყელი. მოერთო, გაეგება, ცხენზე შეჯდა, ტანისამოსი ისე ბოხჩით წამოაღებინა და ძობრძახდა. ყოელი სული დართულ-დაკაზმილი ახლდა და მე ჩოჯით ვიჯექ ცხენსა... დიაღ მრისხანის სახით იყურებოდა და შეწუხებულს გულს ხომ ისე სჭირს, ყველა თავისი ეგონება“... (იესეს ეშინოდა — მეფე მე ხომ არ მიჯავრდებაო).

როგორც ამ ცნობიდან ივარაუდება, 1777 წ. ერეკლეს მიერ ოსმალეთის სულთნის ფირმანის საზეიმო მიღებამ და ოსმალეთის მფარველობაში შესვლის შესახებ განცხადებამ სპარსეთის მბრძანებლის ქერიმ-ხანის და მისი მმართველობის გულისწყრომა გამოიწვია. ამიტომაც ერეკლე იძულებული გახდა, ქერიმ-ხანთან თავადი გლახა ციციშვილი გაეგზავნა ამალით. ციციშვილმა, ეტყობა, სპარსეთის მთავრობა დაამშვიდა და ქერიმ-ხანმაც ძვირფასი საჩუქრები გამოუგზავნა ერეკლეს, მაგრამ ეს უკანასკნელი, ეტყობა, თვითონვე არ იყო კმაყოფილი თავისი წაჯექ-უკუჯექობის პოლიტიკით. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ამ საზეიმო მიღებისას ერეკლეს სახის მრისხანე გამომეტყველების მიზეზი.

სპარსეთის მმართველობა, როგორც ეტყობა, არც ამის შემდეგ იყო კმაყოფილი ქართლ-კახეთის სამეფოსთან ურთიერთობით. სპარსეთის მიმართ ერეკლე არავითარ გარკვეულ ვალდებულებას არ კისრულობდა და თავი დამოუკიდებლად ეკავა.

მაშინ სპარსეთის მმართველობამ ერეკლეს წინააღმდეგ თავის ნაცად ხერხს მიმართა, სახელდობრ, პოლიტიკურ სარბიელზე კვლავ ქართლ-კახეთის მეფობის პრეტენდენტი ალექსანდრე ბაქარის ძე აამოქმედა. ამიტომ ახლა, როდესაც ერეკლე II-ს თითქოს უკვე გადა-

წყვეტილიც ჰქონდა ოსმალეთის პროტექტორატში შესვლა და ამიერ-კავკასიის სახანოების სპარსეთისაგან ჩამოშორება, ქერიმ-ხანმა მოლაპარაკება გამართა უცმა-ხანთან, თან საჩუქრებიც გაუგზავნა, რათა მას მეომრები შეეკრიბა ლეკეთში და თავდასხმა მოეწყო ქართლ-კახეთზე ალექსანდრე ბაქარის ძის იქ გასამეფებლად (1777 წლის ბოლოს). უცმაც უკვე თანახმა იყო ამ ლაშქრობის მოწყობაზე, მაგრამ ვერას გახდა, ვინაიდან შამხალი და დარუბანდის ფეტ-ალი-ხანი ამ ლონისძიების წინააღმდეგ წავიდნენ.

მაშინ ქერიმ-ხანმა საგანგებო ელჩი აახლა ერეკლეს და მოსთხოვა, გადაჭრით დაედასტურებინა თავისი ვასალური დამოკიდებულება სპარსეთისადმი, რის გამოსახატავადაც მას ვექილის კარზე უნდა გაეგზავნა თავისი გარდაცვლილი უფროსი შვილის ვახტანგის სილამაზით განთქმული ქვრივი, აგრეთვე, მემკვიდრე ბატონიშვილი გიორგი, თავისი სიძე დავით ორბელიანი (ეს ორი მძევალი მუდმივად საცხოვრებლად უნდა დარჩენილიყო ირანში), თორმეტი ვაჟი და თორმეტი ულამაზესი ქალიშვილი — ყველანი არა უმეტეს 12 წლის ასაკისა და საუკეთესო ოჯახებიდან, რომლებსაც თავისი შესედულებისამებრ გამოიყენებდნენ. ქერიმ-ხანის ელჩი ამ მოთხოვნის დაუყოვნებლივ შესრულებას მოითხოვდა. წინააღმდეგ შემთხვევაში კი იგი ჯარების შემოსევით იმუქრებოდა.

ზოგი ქართველი ერეკლეს ურჩევდა, დათანხმებოდა ქერიმ-ხანის ულტიმატუმს, მაგრამ მან კატეგორიული უარი განაცხადა რაიმე დათმობაზე. ქერიმ-ხანი უკვე ჯარსაც აგროვებდა ქართლ-კახეთში გამოსაგზავნად, მაგრამ ამ დროს საჭირო გახდა ამ ჯარის სხვა საქმეზე გამოყენება. ამგვარად, 1776 წ. დამდეგს ქართლ-კახეთი დიდ უბედურებას გადარჩა (იოსებ ემინის ცნობა).

ქერიმ-ხანის ჩარევის შემდეგ ქართლ-კახეთისა და ოსმალეთის ურთიერთობებში, როგორც ჩანს, აზერბაიჯანის ზოგიერთმა ხანმაც ყოყმანი დაიწყო ოსმალეთის ერთგულებაზე. განსაკუთრებით გამოჩნდა ეს ერევნის ხანის ზემოთ აღნიშნულ მაგალითზე, მაგრამ ერეკლე II ამ დროს მტკიცედ დაადგა სპარსეთის საწინააღმდეგო პოზიციას და კვლავ ოსმალეთზე დაყრდნობით ცდილობდა თავისი სახელმწიფოს ინტერესების წარმართვას. მან შესძლო ამიერკავკასიისა და აზერბაიჯანის ხანების ისევ შეკავშირება ოსმალეთის ორიენტაციის ნიშნით, რაზედაც ჯევდეთს აღნიშნული აქვს: რამდენიმე ხნის შემდეგ ერეკლე ხანის ზემოდასახელებული მდივანი მირზა-გურგინი ისევ ჩილდირის ვალის მორდალის თანხლებით ჩამოვიდა სტამბოლს, სადაც მან ოსმა-

ლეთის მთავრობის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ერეკლე ხანმა შესძლო ოსმალეთის სახელმწიფოს მხარეზე ხოის, განჯის, ერევნის, ყარაბაღის და შირვანის ხანების გადმობირება. ამის შემდეგ ეს უკანასკნელებიც ვალდებული არიან დაიცვან ოსმალეთის სახელმწიფოსადმი ერთგულება და არ უნდა უცქირონ ფადიშაჰის საზღვრებს ცუდი განზრახვებით. ამის თავდებად და დასამტკიცებლად ხსენებულმა ხანებმა დადეს სათანადო წერილობითი საბუთები, რომლებიც ერეკლე-ხანის წერილობით დაპირებებთან ერთად მირზა-გურგინის მიერ ოსმალეთის მთავრობაში იქნა წარდგენილი. ამასთანავე ოსმალეთში მირზა-გურგინმა ჩაიტანა საჩუქრები — ბეწვეული, ტყავები, ქსოვილები და შალები, სადრაზამოს, ქეთხუდა-ბეგისა და რეის-ეფენდისათვის; როგორც მირზა-გურგინს, ისე მორდალს საპატიო ხალათები ჩააცვეს და ასევე საცხოვრისი მიუჩინეს ჩილდირის ვალის ქეთხუდას სახლში. მაშინვე მათთან გაგზავნილ იქნა რეის-ეფენდის ბეკლეკჩი — ხეირი-ეფენდი, რომელმაც ჩაწერა მათი ზეპირი განცხადებანი. ამ განცხადებათა მოკლე შინაარსი ასეთი იყო: ფადიშაჰის ფირმანების და საჩუქრების მიღების დღიდან ერეკლე-ხანი იცავს და განამტკიცებს ერთგულებას და მორჩილებას ოსმალეთის სახელმწიფოსადმი, რის გამოც მის გამოყენებას მისი დიდებულების სულთნის სამსახურში ის მიიჩნევს წყალობად და სიამაყედ. ამის შემდეგაც ის ვალდებულებას კისრულობს, არა მარტო იყოს თავისი ამ მორჩილების ერთგული, არამედ ოსმალეთის სახელმწიფოს ერთგულებისადმი აზერბაიჯანის ხანებიც მოიზიდოს. ერეკლეს მიაჩნია, რომ ეს ქვეყანა მითვლილია ოსმალეთის სახელმწიფოსადმი, რადგანაც, ოსმალეთი ბოროტი თვალით არ უყურებს სხვების ქონებას. ერეკლეს სჯერა, რომ ვინც კი თავშესაფარი ოსმალეთის სახელმწიფოში პოვა, ბედნიერება და საკუთრება აქვს მოპოვებული მისი უდიდებულესობის სულთნის მეოხებით. ამიტომ ერეკლე სრულიად უარს ამბობს რუსეთზე, ოსმალეთის მფარველობაში შედის და ემორჩილება მის უდიდებულესობას სულთანს. ერეკლე-ხანის ასეთ განცხადებათა შემდეგ მისი უდიდებულესობის სულთნის სახელით მას გაეგზავნა საჩუქრები — ბეწვეული, ტყავები, ცხენის აკაზმულობა და ძვირფასი ქვებით შემკული საათი. ამ საჩუქართა შესახებაც უფრო დაწვრილებით გადმოგვცემს იესე ოსეს ძე:

„გურგინა მოვიდა და ხონთქრის კაცი. გაეგება [ერეკლე] ისაია უზბაშის ბაღთან მაისს 23. ქორანიკონს 466 [1778 წ.]. მოართვეს ცხენი მძიმედ შეკაზმილი, ჩამოჯდა, სადავეს აკოცა, შეჯდა. ხონთქრის ნასხამი ქურქი ბოხჩით შოართვეს, ისე წამოაღებინა. ამოვიდა ღრუ-

ბელი, დაგვასველა. შემოვედით, დაბძანდა, შარბათი ვსვით. მოერთო [ერეკლეს] ხონთქრიდამ ერთი ალმასის საათი და ესენი საათს ესე სჭირდა მეტი, წუთის აღრაბიც ჰქონდა. ვეზირს აზამს [ე. ი. დიდვეზირს] ებოძა ერთი ბურნიოთის კოლოფი, ალმასით გულქანდა და შუაზე ლალი ჰქონდა ცერის ფჩხილის ტოლი. რეიზ აფენდის ებოძა ერთი ფიალა ყავისა, ზარბი ოქროსი ჰქონდა, მძიმე იყო, და ალმასით და წვრილის იაგუნდით მოოქვილი იყო. მაქთუფჩის ერთი საათი, ამას ზურგზე მცირე ალმასი უსხდა. განცვიფრდა ყოელი სული და ადიდებდენ ღმერთსა ამის [ერეკლეს] ესეთს ბედნიერობას. ხონთქარი ესრეთ, ყეენი ესრეთ, რუსეთის იმპერატორი ესრეთ, შვილნი მორჩილნი ესრეთ, ყმა დამონებული ესრეთ, მეზობელნი მორჩილნი ესრეთ და სხვა მრავალი ბედნიერობა აურაცხელი“.

4. იმერეთის მეფის სოლომონ I-ის პოზიცია

ოსმალეთთან ერეკლეს მიერ ახალი ურთიერთობის დამყარებამ ძალზე შეაშფოთა იმერეთის მეფე სოლომონ I. ცხადი იყო, რომ შედარებით პატარა ქართლ-კახეთი ამიერკავკასიის ყველა სახანოზე გავლენის განმტკიცებას ვერ შეძლებდა. მას ძლიერ უშირდა ერევნისა და განჯის სახანოების მოხარკეებად შენარჩუნება. ამიტომ ცხადი იყო, რომ ახლო მომავალში ლიხთიმერეთის მთლიანად და აგრეთვე ახალციხის საფაშოს ერეკლეს მორჩილებაში გადასვლის საკითხიც დადგებოდა. სწორედ ასე გაიგო იმერეთის მეფე სოლომონ I-მა ერეკლეს მიერ ოსმალეთთან დაწყებული მოლაპარაკების არსი. მით უმეტეს, რომ აღმოსავლეთ ანატოლიასა და არზრუმ-ყარსის მხარეებში დაწყებული იყო ოსმალთა დიდძალი ჯარის შეგროვება (გადამეტებულად 80 ათას კაცს ასახელებდნენ), ალბათ, სპარსეთის წინააღმდეგ ლაშქრობისათვის. ყველაფერი ეს სოლომონ I-მა საკუთარ საფრთხედ მიიჩნია და ამიტომაც სპარსეთში გააგზავნა მასთან თბილისიდან გადახიზნული პოეტი ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი). ბესიკს უნდა ეცნობებინა სპარსეთის მთავრობისათვის ერეკლეს მიერ ოსმალეთთან დადებული პირობა და ამასთანავე იმერეთში გადმოეყვანა ქართლის ტახტის პრეტედენტი ალექსანდრე ბაქარის ძე.

1779 წლის დასაწყისში გარდაიცვალა სპარსეთის უდიდესი ნაწილის მმართველი ქერიმ-ხანი, რასაც სპარსეთში შაჰობის ახალ პრეტენდენტთა შორის შინაომი მოჰყვა. აღარავითარი პერსპექტივა აღარ-

ჩანდა იმისაც, რომ ალექსანდრე ბაქარის ძეს ვინმე სპარსეთიდან დაეხმარებოდა, მაგრამ მას იქიდან მაინც არ უშვებდნენ. მაშინ ალექსანდრე გამოიპარა და ბესიკთან ერთად გამოემართა იმერეთისაკენ, საიდანაც გააჩაღა ინტრიგები ერეკლე II-ის წინააღმდეგ. იქვე შეიმუშავეს გეგმა, რომლითაც ერეკლეს ტახტიდან ჩამოაგდებდნენ და მის ნაცვლად მთლიანად ქართლ-კახეთში თუ არა, ქართლში მაინც ალექსანდრე ბაქარის ძეს დასვამდნენ. მაგრამ მალე ალექსანდრე ოსმალეთის შიშით დაღესტანში გადავიდა და დადგა დარუბანდის ფეტ-ალი-ხანთან, რომელსაც ერეკლე აღმ. ამიერკავკასიაში პირველობისათვის თავის მეტოქედ მიაჩნდა, ამიტომაც იგი ემხრობოდა ალექსანდრეს და მას საკუთარი თანმხლები ქართველებიანად ინახავდა.

5. მფარველობითი კავშირის დადება რუსეთთან (1783 წ.)

ასეთ გართულებულ პირობებში ქართლ-კახეთისათვის აუცილებელი იყო ძლიერი მფარველის მოპოვება. ყველაზე ხელსაყრელ მფარველად კი ისევ რუსეთი ჩანდა, მაგრამ რადგანაც რუსეთმა საქართველოს თავის მფარველობაში მიღებაზე წინათ უარი უთხრა, ამიტომ 1781 წ. ერეკლემ წერილები გაგზავნა ევროპაში გერმანიის (რომის) იმპერატორის და ვენეციის რესპუბლიკის სახელზე.

გერმანიის იმპერატორის სახელზე ვენაში თხოვნის გაგზავნა იმით იყო გაპირობებული, რომ ამ დროს იქ წამოყენებული იყო შავი ზღვის მიმდებარეებში ყირიმითურთ ეგრეთწოდებული მითრიდატეს სახელმწიფოს აღდგენის პროექტი. კიდევ ერთხელ გაჩნდა საქართველოს გაერთიანების იმედი და ერეკლემაც სასწრაფოდ გააგზავნა იმპერატორის სახელზე თხოვნა, რათა მისთვის აღმოეჩინათ ნივთიერი დახმარება ქართული რეგულარული ჯარის შესაქმნელად. ანალოგიური მიმართვა ერეკლემ გააგზავნა ზოგი სხვა ევროპული სახელმწიფოს მეთაურთა სახელზე. წერილების წამღებ კათოლიკე პატრს (მღვდელს) უნდა გაევლო რუსეთი, სადაც ის გააჩერეს და წერილები ჩამოართვეს.

ეს ის დროს იყო, როდესაც პეტერბურგში რადიკალურად იცვლიდნენ შეხედულებას ამიერკავკასიის შესახებ. ამ დროს იქ წამოაყენეს პროექტი ქრისტიანული სახელმწიფოს აღდგენის შესახებ კონსტანტინოპოლში, საიდანაც ოსმალები უნდა გაეძევებინათ. ამ სახელმწიფოს მმართველად განზრახული იყო ეკატერინე II-ის შვილისშვილი, რომელსაც სახელად კონსტანტინე დაარქვეს (1779 წ.). ამასთანავე შე-

მუშავებული იქნა ინდოეთისაკენ რუსეთისათვის გზის გაკაფვის პროექტი. მაგრამ ყველაფერ ამაში რუსეთს ხელი ეცრებოდა გერმანიის (ე. ი. ავსტრიის) იმპერატორის მთავრობის მიერ წამოყენებული პროექტით მითრიდატეს სახელმწიფოს აღდგენის შესახებ. ავსტრია ამით ფიქრობდა, გზა გადაეღობა რუსეთისათვის ყირიმისა და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსკენ, ე. ი. საქართველოსკენაც. ამით ბოლო მოეღებოდა მთელს „ბერძნულ პროექტს", ე. ი. კონსტანტინოპოლში ბერძნული სახელმწიფოს აღდგენის იდეას. პეტერბურგში მხოლოდ ახლა მოისაზრეს, რომ საქართველოსადმი გულგრილობის პოლიტიკა შეიძლება მეტად საზიანო აღმოჩენილიყო რუსეთის იმპერიის ინტერესებისათვის, რადგანაც შექმნილ პირობებში ამიერკავკასია რუსეთისათვის საჭირო ხდებოდა, როგორც სამხედრო-სტრატეგიული ბაზა ოსმალეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ. ამიტომაც პეტერბურგში ისარგებლეს იმით, რომ ამ ხანებში რაღაც გაუგებრობის გამო ერთხანობას თბილისს მცხოვრები გერმანელი ინჟინერი და ექიმი რეინეგსი საქართველოდან რუსეთს გადასულიყო. რუსეთის მთავრობამ რეინეგსის გამოყენება გადაწყვიტა საიმისოდ, რომ ერეკლეს ახლა თვითონ აღეძრა შუამდგომლობა რუსეთის მთავრობის წინაშე, რათა მას ქართლ-კახეთი აეყვანა მფარველობაში. ასეთი იმედი რეინეგსზე იმის ეფუძნებოდა, რომ რუსეთის მმართველ წრეებში იცოდნენ — რეინეგსს ერთგვარი გავლენა ჰქონდა მოპოვებული ერეკლე II-ის კარზე და ქართულიც კარგად იცოდა. მართლაც, რეინეგსი მალე ჩამოვიდა საქართველოში და ურჩევდა ერეკლეს, ქართლ-კახეთის რუსეთის მფარველობაში მიღების საკითხი დაესვა. მოლაპარაკებას მთავრობასთან. ქართლ-კახეთის მხრივ ჩრდ. კავკასიაში, ქ. გეორგიევსკში, აწარმოებდნენ ივანე მუხრან-ბატონი და გარსევან ჭავჭავაძე, რუსეთის მხრივ კი გენ.-პორუჩიკი პავლე პოტიომკინი. მოლაპარაკების დროს სპეციალურად ხაზგასმული იქნა, რომ ერეკლე II მომავლისათვის უარს ამბობს ყოველგვარ ურთიერთობაზე გერმანელების კეისართან და მის მთავრობასთან (ავსტრიასთან). ამით უარიყოფოდა მითრიდატის სამეფოს აღდგენის პროექტი და რუსეთს გზა ეხსნებოდა როგორც ყირიმის დასაუფლებლად, ისე საქართველოში უპირატესობრივი მდგომარეობის განსამტკიცებლად.

ზემოხსენებული მოლაპარაკება იქვე დამთავრდა — ქ. გეორგიევსკში 1783 წ. 24 ივლისს დადებული ტრაქტატით, რომელსაც ეწოდება მფარველობითი კავშირის ხელშეკრულება რუსეთსა და საქართველოს შორის. ტრაქტატი რატიფიცირებული, ე. ი. ეკატერინე

II-ის და ერეკლე II-ის მიერ ხელმოწერილი იქნა 1783 წლის ბოლოს და 1784 წლის იანვარში. ერეკლე II-მ მაშინვე რუსეთის ერთგულებაზე დაიფიცა.

ამ ხელშეკრულების მიხედვით, ქართლ-კახეთი აღიარებდა რუსეთისადმი ვასალურ დამოკიდებულებას, ყოველი ახალი მეფე უნდა დამტკიცებულიყო რუსეთის იმპერატორის მიერ, საჭირო იყო ქართლ-კახეთის მეფეს მიეღო რუსეთის იმპერატორის ერთგულების ფიცი, რაც იმას ნიშნავდა, რომ თავისი საგარეო და გარკვეულ ფარგლებში საშინაო პოლიტიკაც ქართლ-კახეთის მეფეს რუსეთის ინტერესებისათვის უნდა შეეფარდებინა. თავის მხრივ რუსეთი კისრულობდა მფარველობა გაეწია ქართლ-კახეთის სამეფოსათვის, რისთვისაც თბილისში, ან სადაც საჭირო იქნებოდა, ჩაყენებული უნდა ყოფილიყო რუსის ჯარის ორი სრული ბატალიონი, ე. ი. ორი ათასი კაცი თავისი არტილერიით. ამ ჯარის ხარჯს რუსეთი კისრულობდა. ამასთანავე, თუ აუცილებელი იქნებოდა, ამ ჯარს რუსეთისავე სახსრებით ახალი ძალაც მიემატებოდა. ის ქვეყნები, რომლებიც ოდესღაც საქართველოსი იყო და მომავალში დაპყრობილი იქნებოდნენ რუსის ჯარის მიერ, ან მისი დახმარებით, კვლავ საქართველოს შეუერთდებოდა. ერეკლე თანმხდებოდა, ყოველწლიური ხარჯი გადაეხადა, მაგრამ რუსეთის მთავრობამ ამ ხარკზე უარი განაცხადა. ისე გამოდიოდა, რომ რუსეთის მთავრობა ქართლ-კახეთისაგან ერთგულების გარდა არაფერს თხოულობდა, მას კი ის დიდ დახმარებას უწევდა. ამით აიხსნება, რომ ამ ხელშეკრულების დადებით მაშინ ქართველები ძალზე გახარებული იყვნენ.

ამას ემატებოდა ქართლ-კახეთის მეფის ერეკლესა და მისი არისტოკრატიისათვის მირთმეული მრავალრიცხოვანი საჩუქრები — ფული და ნივთები. მალე, პირობისამებრ, 2000-კაციანი რუსის ჯარი პოლკოვნიკ ბურნაშოვის მეთაურობით, ოთხი ზარბაზნით, თბილისს ჩამოვიდა.

რუსეთში ამ დროს საგარეო საქმეებს განაგებდა სახელმწიფო კანცლერის (მთავრობის მეთაურის) თანაშემწე—ვიცე-კანცლერი, რომლის წაბაძვით ერეკლე II-მაც თბილისში ვიცე-კანცლერის თანამდებობა შემოიღო. პირველი ვიცე-კანცლერი იყო მდივანი სულხან ბეგთაბეგიშვილი, მეტად აზრიანი ადამიანი. ეს უკანასკნელი მალე გარდაიცვალა და მის შემდეგ ვიცე-კანცლერად იყო სოლომონ ლიონიძე, სპარსულ-თურქულ-რუსული ენების შესანიშნავი მცოდნე.

1783 წლის ტრაქტატის რუსეთთან დადებამ ბოლო მოუღო ალექსანდრე ბაქარის ძის პრეტენზიებსაც ქართლ-კახეთის ტახტზე. ტრაქტატის დადებისას ალექსანდრე ბატონიშვილი იმყოფებოდა დარუბახდის ფეტ-ალი-ხანთან, რომელიც ამიერკავკასიაში პირველობისათვის იბრძოდა. ტრაქტატის გაფორმების შემდეგ კავკასიის ხაზის უფროსმა მოსთხოვა ფეტ-ალი-ხანს, მხარი არ დაეჭირა ალექსანდრეს აგრესიული ზრახვებისათვის საქართველოს მიმართ. მაგრამ, რადგანაც რუსეთი ვერ ენდობოდა ფეტ-ალი-ხანს და ამიტომ კავკასიის ხაზის უფროსი ჯარსაც აგროვებდა ფეტ-ალი-ხანის წინააღმდეგ მის შესაპყრობად და ასტრახანში გადასასახლებლად, ეს განზრახვა სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი. მაგრამ ალექსანდრე ბაქარის ძემ იგრძნო თუ არა კარს მომდგარი საფრთხე, მიიმალა. 1786 წელს იმყოფებოდა ვენეციაში, სადაც მას, ტუკის სიტყვით, წერილი მიუწერია იქ ჩასული გრაფ ივკისათვის და უცნობებია, რომ ის ცოცხალია, თანაც უთხოვია, რომ არ დაეწყო მისი ძებნა. ალექსანდრეს შემდგომი თავგადასავალი ჩვენ აღარ ვიცით. ეტყობა, შემდეგ რუსეთში დაბრუნებულა. მ. ბროსეს ცნობით, ის მომკვდარა ქ. სმოლენსკში (ალბათ, 1792—1793 წლის ახლოს).

₾. საგარეო პოლიტიკური კრიზისი

სულ მალე გამოჩნდა, რომ ტრაქტატის დადება საქართველოსათვის დადებითზე უფრო უარყოფითი შედეგების მომტანი იყო.

ტრაქტატის შედეგად რუსეთი ფეხს იკიდებდა კავკასიონის ქედის სამხრეთით, რაც ძალიან აღიზიანებდა არა მარტო ამიერკავკასიის სახანოების მეთაურებს და მაშინ ჯერ კიდევ დაქსაქსულ სპარსეთს, არამედ ოსმალეთსაც.

რუსეთთან ტრაქტატის დადების შემდეგ ერეკლემ დაანგრევინა თბილისში სასახლის წინ მდგარი როსტომ მეფის მიერ აშენებული მეჩეთი. ამ აქტით ერეკლე სიმბოლურად წყვეტდა კავშირს მაჰმადიანურ სპარსეთთან და საბოლოოდ რუსეთს უკავშირდებოდა, რაც, ცხადია, აღიზიანებდა ამიერკავკასიის მაჰმადიანთა თავკაცებს, ამიტომაც რუსეთთან ტრაქტატის დადებას მოჰყვა ქართლ-კახეთის საგარეო მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება.

ტრაქტატმა განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ოსმალეთზე, რომელსაც უკვე 1783 წ. რუსეთმა ყირიმი წაართვა, ახლა კი რუსეთი საქართველოშიც ფეხს იკიდებდა, რის შედეგადაც ოსმალე-

თი ამიერკავკასიაშიც კარგავდა თავის პოზიციებს. აზერბაიჯანის ხანები და სპარსეთის მფლობელებიც შეძრწუნდნენ, როდესაც რუსის ჯარის საქართველოში შემოსვლა შეიტყეს.

ერეკლე ცდილობდა აღმ. ამიერკავკასიის ხანების ერთგვარ დამშვიდებას, რისთვისაც მათ საჩუქრებს და ზოგჯერ ემისრებს უგზავნიდა, მაგრამ უშედეგოდ.

დიდი შიში დახერგა რუსეთის საქართველოში ფეხის მოკიდებამ, აგრეთვე საჩეჩნოსა და მთელ ლეკეთში, რადგანაც ქრისტიანული რუსეთი მათ ახლა ქართლ-კახეთიდან ზურგში და ფლანგზე მოეკცა და აღრე თუ გვიან მათ დამორჩილებასაც მოიწადინებდა. მაჰმადიანური რელიგიური ფანატიზმი, რომელიც შერწყმული იყო თავისუფლებისაკენ მიდრეკილებასთან, საჩეჩნოს და ლეკეთის მმართველ ფენებს რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად რაზმავდა. წამოჭრილმა უდიდესმა საფრთხემ ლეკეთის დაქსაქსული ტომების მეთაურები აიძულა შეკავშირებულიყვნენ ხუნძახის, ანუ ავარიის ომარ-ხანის მეთაურობით, რომელიც ამ მხარის ყველაზე ძლიერი მმართველი იყო.

ბუნებრივია, რომ ბაბა-ალიც (მაღალი პორტა, ანუ „მაღალი კარი", ე. ი. ოსმალეთი) ძალიან შეწუხებული იყო რუსეთის ჯარის ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე განლაგებით, რადგანაც ამით რუსეთს მცირე აზიაში შესაღწევად ახალი პლაცდარმი გაუჩნდა ამიერკავკასიაში.

ამ დროს არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა, რომ რუსეთს სურდა კონსტანტინოპოლსა და მის მიმდგომ მხარეებში აღედგინა ქრისტიანული სახელმწიფო, რომლის მეფედ და იმპერატორად, როგორც აღვნიშნეთ, უნდა დაესვათ ეკატერინე II-ის შვილიშვილი კონსტანტინე, რომელიც ამ მიზნით საგანგებოდ „ქნა მონათლული კონსტანტინე დიდის სეხნად.

ამ დროს ოსმალეთი სამხედრო თვალსაზრისით რუსეთის იმპერიასთან შედარებით სუსტი იყო — ამიტომაც დაკარგა მან ყირიმი — და თუმცა მას მისტიროდა, მაგრამ მაინც ერიდებოდა რუსეთთან დადებული ხელშეკრულების დარღვევას ახალი გართულებების შიშით. ამიტომ ოსმალეთი იმასღა ცდილობდა, რომ ლეკეთსა და საჩეჩნოში შექმნილი დიდი შეშფოთება რუსეთისა და მისი მოყვრის ერეკლეს II-ის წინააღმდეგ და თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ფორმალურადაც ბაბა-ალი (მაღალი კარი) რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას არ ცნობდა და საქართველო და ერეკლე II-ც კვლავინდებურად თავის ხელქვეითებად მიაჩნდა. ამრიგად, ოსმალეთს ერეკლე II თავის მთავარ მტრად თვლიდა ამიერკავკასიაში, რისთვისაც არავითარ სა-

შუალებებს, — ფულს თუ საჩუქრებს, — არ ზოგავდა ლეკების და აზერბაიჯანელების (იგულისხმება მთელი აზერბაიჯანი თავრიზის მხარითურთ) მის წინააღმდეგ ასამოქმედებლად. რასაკვირველია, მაშინდელი კომუნიკაციების პირობებში ყოველივე ამას დრო სჭირდებოდა და მხოლოდ 1785 წლისათვის გახდა შესაძჩნევი ის დიდი საფრთხე, რომელიც ყოველი მხრიდან ექმნებოდა ოსმალეთის მიერ ქართლ-კახეთს და არა მარტო მას, არამედ იმერეთსაც.

ამ დროისთვის საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა უკვე მეტად მძიმე იყო. ახალციხის სულეიმან-ფაშა, ცხადია, სტამბულის მითითებებით, ყველა საშუალებას ხმარობდა, რათა ლეკების და საკუთრივ მესხ-მაჰმადიანთა ჯარებით საქართველოს სოფლები აეოხრებინა, მოსახლეობა მოესპო და ტყვეენიც წაესხა გასაყიდად. საქართველოში რუსის ჯარის შემოსვლის შედეგად, — წერდა პ. ბუტკოვი (II, 177—178). — ერეკლესათვის ყველაფერი გაუარესდა. მაჰმადიანური სარწმუნოების მისი ქვეშევრდომები, როგორც შამშადილები, თათართა მომთაბარე ელები და სხვა ადგილობრივი მაჰმადიანები მას უკვე ნაკლებ ემორჩილებოდნენ. აზერბეიჯანში მან დაკარგა თავისი წინანდელი გავლენა და იქიდან საჩუქრების მიღებაც შეწყდა. განჯა უკვე თითქმის გამდგარი იყო. ერევანი ხარკის გადახდაზე უარს ამბობდა, ხოლო მისი მფლობელი ხანი, ახალციხის სულეიმან-ფაშის შუამავლობით, ხოის ახმედ-ხანს დაემოყვრა. ერევნის მაგალითს მიჰბაძა ერთ-ერთი ქურთების ტომის თავკაცმა შამდანალმა, რომელიც მაჰმადიანი იყო და თავისი ტომის სამი ათასი საბარგულით ერევნის სახანოში მომთაბარეობდა და აქამდის ერეკლეს უხდიდა ხარკს. შუშის იბრაიმ-ხანი თავს არიდებდა ერეკლესთან კავშირს, რომელსაც იგი ოც წელზე მეტ ხანს იცავდა. საქართველოს ვაჭრებს სპარსეთში, ოსმალეთსა და სხვა მხარეებში ძარცვავდნენ, ტყვედ ჰყიდდნენ და კლავდნენ. ამას ისიც დაემატა (სიძვირე), რომ 1785 წელს თბილისში ჩეტვერთი, ე. ი. 7,5 ფუთი პური 7 მანეთად იყიდებოდა. ყველა ამ ზარალის ნაცვლად ერეკლემ მხოლოდ ის მოიგო, რომ ახლა აღარ აძლევდა ლეკებს ფულს, როგორც ეს წინათ იყო, სამაგიეროდ ახლა ისინი მზად იყვნენ ერეკლეს წინააღმდეგ გამოსულიყვნენ სამსახურში ოსმალებისა, რომლებსაც მეტის გადახდა შეეძლოთ.

ოსმალეთის მთავრობა მოფიქრებულად შეუდგა საქართველოს დასაღუპად მზადებას. ქართველთ წინააღმდეგ ლეკების კომბინირებული ამოქმედებისათვის საჭირო იყო რუსეთისათვის ჩრდ. კავკასიაში რაიმე საფრთხე შეექმნათ, რათა გაჭირვების ჟამს ერეკლეს ვეღარ შეეძლო

იქიდან რუსებისაგან რაიმე დახმარების მიღება. ამ მიზნით ოსმალებმა მოხერხებულად გამოიყენა ეს ავანტურისტი მანსური (სრულიად — შეიხ იმამ მანსური).

ამ ამბების თანამედროვის, ინგლისელი ტუკის ცნობით, ეს მანსური იყო ერთ-ერთი პატარა იტალიური ქალაქის მთავრის შვილი, რომელმაც კარგი აღზრდა მიიღო. იგი თავისი სახლიდან ერთ მონასტერში გაიქცა, სადაც ბერად აღიკვეცა. მიმზიდველმა საუბარმა, კეთილშობილმა ქცევამ და ამასთანავე სარწმუნოებრივი წესების ბეჯითად დაცვამ მას მალე თითქმის წმინდანის პატივისცემაც კი მოუხვეჭა. შემდეგ იგი გაგზავნილ იქნა ქრისტიანობის საქადაგებლად სპარსეთში, სადაც, როგორც ჩანს, შეისწავლა თურქული და სპარსული ენები. ასურელი ნესტორიანების პატრიარქთან უთანხმოების გამო ის გაიწვიეს რომში ვატიკანის წინაშე თავის სამართლებლად, საიდანაც კვლავ სპარსეთში დაბრუნდა, მაგრამ იქ ვერ გაძლო და გაემართა სტამბოლს, სადაც მას აღმოუჩნდნენ მფარველები. ერთ ხანს მანსური იყო ტრაპიზონის ალი-ფაშასთან, შემდეგ კი ისევ სპარსეთში, კერძოდ, თავრიზის მიდამოებში. აქ, როგორც საექიმო საქმის ერთგვარმა მცოდნემ, მანსურმა თავისი მოხერხებით მალე გაითქვა სახელი, ხოლო ქიმიისა და ფიზიკის ცოდნამ მას წინასწარმეტყველის სახელიც მოუპოვა. აი სწორედ ამის შემდეგ შეირქვა მან წინასწარმეტყველ მანსურის სახელი (მანსურ არაბულად გამარჯვებულს ნიშნავს) და 1785 წ. ის, ვითარცა ოსმალეთის აგენტი, მოევლინა საჩეჩნოს; ეტყობა, მას ფულადი სახსრებიც ჰქონდა. თავისი გასაოცარი ენერგიითა და ორგანიზატორული უნარით მან სულ მალე მთიელ ხალხებში — როგორც საჩეჩნოში, ისე ლეკეთში — გაბატონებული მდგომარეობა მოუპოვა ისედაც გავრცელებულ ისლამს. მანსური თავის თავს აცხადებდა წინასწარმეტყველად, შეიხად (მეთაურად) და იმამად (ისლამის რელიგიურ მეთაურად). მალე მის გარშემო 12 ათასამდე მეომარი შეიკრიბა.

ეს გასაოცარი ფაქტი — მთელი საჩეჩნოს და ლეკეთის უმეტესი ძალების კონსოლიდაცია — შესაძლებელი გახდა იმ საფრთხის გამო, რაც აქაურმა ხალხებმა იგრძნეს თავისთვის ჩრდ. კავკასიაში რუსეთის გაძლიერების გამო. სახელდობრ, 1784 წლის გაზაფხულზე რუსებმა ააგეს რიგი სიმაგრეებისა მოზდოკიდან დარიალამდე და დარიალის მისადგომზე ძაუგში ციხე ვლადიკავკაზი, რომლის თვით სახელიც კი აგრესიული შინაარსისა იყო (ამ ვლადიკავკაზს ქართველებმა კავკაკი შეარქვეს). ყველგან ჩაყენებული იქნა რუსის რაზმები, ვლადიკავკაზში — მთელი გარნიზონი არტილერიით.

ცრუ წინასწარმეტყველის მანსურის მეტისმეტი გაძლიერების საპასუხოდ მის საწინააღმდეგოდ კავკასიის ხაზის უფროსმა გენ.-პორუჩიკმა პოტიომკინმა გააგზავნა ჯარით პოლკ. პიერი, რომელიც დამარცხდა და მოკლულ იქნა (1785 წ. ივლ.). ამ გამარჯვების შემდეგ მანსური მიადგა ყიზლარს, მაგრამ უკუგდებულ იქნა. მანსურმა ააფეთქა რუსების რედუტი კარგინი მთელი იქ მყოფი რაზმით. მოძრაობა მოედო მცირე ყაბარდოსაც, რომლის მოსახლეობა რუსების შიშით, აიყარა და გაიხიზნა მდ. სუნჯის ზემო ნაწილის მთებში (1785 წ. ივლ.). მალე ამის შემდეგ მანსური 12 ათასი ჩაჩნით, ლეკითა და ყუმიხით კვლავ ყიზლარს დაესხა თავს, მაგრამ ახლაც უშედეგოდ — მისი აღება მან ვერ შეძლო (1785 წ. აგვ.), თუმცა რუსებს ამ დროს კავკასიის ხაზზე ჰყავდათ 20 ათასი რეგულარული ჯარი და 7 ათასიანი არარეგულარული ნაწილები, მაგრამ ამ ხაზის დაცვა უზარმაზარი სიგრძის გამო დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში რუსეთი — საქართველოს ვერავითარ ახალ დახმარებას ვერ აღმოუჩენდა, თუმცა ერეკლე იქ შიკრიკს შიკრიკზე აგზავნიდა დახმარების თხოვნით, ლეკეთში კი უკვე დიდი მზადება წარმოებდა საქართველოს სრული დაპყრობის მიზნით.

7. ტაშისკარის ბრძოლა

ახალციხის სულეიმან-ფაშა, ქართველი ათაბაგების ჩამომავალი, ქართლ-კახეთზე ლეკეთიდან წამოსულ მოთარეშე რაზმებს თავშესაფარს აძლევდა, ასაჩუქრებდა მათ ტანისამოსით და ა. შ. 1785 წლის აპრილში სწორედ ამ ლეკებმა, ისინი ათას კაცამდე იყვნენ, შემოიერთეს ყარსისა და არზრუმის ვილაიეთებიდან გადმოსული მაწანწალა მოთარეშეები და ქურდები, სულ 40—50 კაცი. რუსული ცნობით. ამ დიდ რაზმში იყო აგრეთვე, სამასამდე თურქი, ალბათ უფრო მესხი-მაჰმადიანები. ამ რაზმმა აღდგომის დღეებში (აღდგომა ამ წელს 24 აპრილს იყო) თავდასხმა მოაწყო შიდა ქართლის ზოგ სოფელზე, აიღო ნადავლი, ტყვეებიც იშოვნა და უკან გაეშურა. მაგრამ ტაშისკარის ვიწრო ხეობაში მოთარეშეებს დახვდა ქართველების და რუსების ზარბაზნებიანი რაზმი. ლეკებს წინ მიჰქონდათ ნადავლი და ტყვეები მიჰყავდათ, უკან კი ლეკები და მათი თანამებრძოლები მოემართებოდნენ.

დაიწყო ბრძოლა. ქართველები და რუსები თავს დაესხნენ ლეკების ავანგარდს და ტყვეები და დავლა დაიხსნეს, ლეკთაგან ზოგი და-

თეიმურაზ ბატონიშვილი

ხოცეს, სხვები მტკვარში დაიხრჩენენ, ნაწილი ტყვედ იქნენ წაყვანილი.

ამის შემდეგ ქართველების და რუსთა ლაშქარს თავს დაესხნენ უკანიდან ლეკები, რომელთაც გაიმარჯვეს კიდევაც და მოწინააღმდეგეთაგან 40—50 კაცი ტყვეთაც იგდეს, მაგრამ ჩანს, ეს იყო მეორეხარისხოვანი ბრძოლა. საერთოდ აღებული კი, ლეკი და თურქი მომხვდურების ეს რაზმი სასტიკად დამარცხდა, რაც იქიდანაც ირკვევა, რომ, როდესაც ახალციხის ფაშამ მოითხოვა ტყვეების განთავისუფლება, მას უპასუხეს, რომ ამჟამად თურქი ტყვეები გაგზავნილი არიან ჩრდილოეთ კავკასიაში კავკასიის ხაზის უფროსთანო.

პ. ბუტკოვი რუსული საარქივო ცნობების მიხედვით ამ ამბების შესახებ შემდეგს გადმოგვცემს: ახალციხის სამთუღიანი სოლიმან-ფაშა, რომელიც წინათ ერეკლესთან მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო, დიდი ხანია პორტასაგან დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფოდა. მაგრამ, მას შემდეგ, რაც ერეკლე რუსეთის მფარველობაში შევიდა და საქართველოშიც რუსის ჯარი ჩამოვიდა, იგი ერეკლეს ყველაზე დიდ მტრად გადაიქცა. ცნობილია, რომ ახალციხეში მემკვიდრეობით ფაშები არიან რენეგატი ქართველები ათაბეგების სახლიდან. ასევე ბაიაზეთის ფაშობა ეკუთვნის მემკვიდრეობით ამ მხარის ძველ მფლობელთა გვარს. ტრაქტატის სათანდო პუნქტით ეკატერინე II-მ ითავდება მეფე ერეკლეს იმ სამფლობელოებზეც, რომელნიც მომავალში იქნებოდნენ მოპოვებული, რაც პირდაპირ მიუთითებდა ახალციხის საფაშოსა თუ სამცხე-საათაბაგოზე, როგორც საქართველოს მეფეების ძველ სამკვიდროზე. ამიტომაც სოლიმან-ფაშა არ დაკმაყოფილდა ლეკების წაქეზებით საქართველოს წინააღმდეგ და დაუშვა, რომ ახალციხეში შეკრებილი ლეკები (ჯანგოტაელ ალი-სულთანის მეთაურობით) და თურქები, სულ ოთხი ათას კაცამდე, ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ ქართლს, აეოხრებინათ იქ სამი სოფელი და ტყვედ წაეყვანათ 600-ზე მეტი მცხოვრები.

უფრო მეტი უბედურების თავიდან ასაცდენად და წადავლის წასართმევად სურამში დაბანაკებულმა მაიორმა თედორე სენნენბერგმა წაიყვანა 200 ეგერი (ეგერები ქვეით ჯარს წარმოადგენდნენ) ერთი ზარბაზნით.

დავით ბატონიშვილის სიტყვით, ამ ოპერაციაში მონაწილეობდა 500 ქართველი ცხენოსანიც (ქართველების ყოფნას, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თურქული წყაროც ადასტურებს. — ს. კ.), გაბრუნებული მტერი 7 ვერსზე ახალციხის გზაზე (იგულისხმება ტაშისკართან), მიამწყვდიეს მტკვრის მარცხენა ნაპირას და ოთხსაა-

თიანი ბრძოლის შემდეგ სასტიკად დაამარცხეს. დაიხოცა და მტკვარში დაიხრჩო 1377 კაცი, მათ შორის 465 ლეკი, დანარჩენები კი — ახალციხელი თურქები (ე. ი. მეტ წილად ქართველი შაჰმადიანები), ტყვედ შეპყრობილ იქნა 200 კაცი. ქართველებმა ბრძოლას ვერ მოუსწრეს, მაგრამ როდესაც მტერი უკვე დამარცხებულიყო, ისინი ათავისუფლებდნენ თავისიანებს, რომელნიც მოწინააღმდეგეს ჰყავდა შეპყრობილი და იჭერდნენ ტყვეებს. ჩვენებს (ე. ი. რუსებს) მოუკლეს ერთი ეგერი, დაჭრეს 5 კაცი.

მტრის ეს დიდი დამარცხება მოხდა 1785 წლის 16 აპრილს, დაღუპული მტრის გვამები დიდი რაოდენობით მიჰქონდა მტკვარს თბილისისაკენ. ეს იშვიათი გამარჯვება იზეიმეს როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ისე იმერეთში.

ეს ამბავი, ბუნებრივია, ცნობილი გახდა როგორც სტამბოლში, ისე პეტერბურგში. სტამბოლში მან დიდი აურზაური გამოიწვია. ბაბა-ალიმ (პორტამ) სულიმან-ფაშას მიუთითა, რომ „ლეკების რაზმების განდევნა საფაშოდან, ოსმალეთისადმი თბილისის ხანის ცუდი და არასაიმედო ზრახვების გამო, სასურველი არაა და მათი იქ გაჩერება შეიძლება, მაგრამ, მეორეს მხრივ, რუსებს შეუძლიათ ლეკების თავდასხმა საქართველოზე მიაწერონ ოსმალეთს და მიიჩნიონ მასთან დადებულ ხელშეკრულებათა დარღვევად". ამიტომ სულიმან-ფაშას ეთქვა, რომ საჭიროა, ერთის მხრივ, ჯარების შეგროვება, მეორეს მხრივ კი, რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებათა დაცვა და, მაშასადამე, საქართველოზე ლეკების თავდასხმათა არ დაშვება.

ამასთანავე რუსეთის ელჩს სტამბოლში იაკ. ბულგაკოვს პეტერბურგიდან 1785 წლის 23 მაისს გაეგზავნა ეკატერინე II-ის ხელმოწერილი რესკრიპტი, რათა ელჩს ბაბ-ალის (პორტას) წინაშე სათანადო ენერგიული დემარში გაეკეთებინა. რესკრიპტის მიღებისთანავე ბულგაკოვმა საელჩოს დრაგომანის პირით რეის-ეფენდის მოსთხოვა მიღება, რაც 1785 წ. 7 ივლისს შედგა კიდევაც. მათი ბაასი, უფრო დავა, რომელიც ეხებოდა ქართლ-კახეთს, სამი საათი გაგრძელდა.

8. რუსეთის პროტესტები პორტასადმი ლეკ-ოსმალთა ქართლზე თავდასხმის გამო

იაკ. ბულგაკოვმა რეის-ეფენდის პროტესტი განუცხადა იმის თაობაზე, რომ ოსმალეთის ხელისუფალნი (იგულისხმებოდა ახალციხის ფაშა) ლეკების ამაოხრებელ თავდასხმებს აწყობენ საქართველოზე.

ამაზე რეის-ეფენდიმ ელჩს უპასუხა, რომ გურჯები და მეგრელები (იმერლები) არიან ოსმალეთის სახელმწიფოს რაიები და რამდენადაც ყველა სახელმწიფოს უფლება აქვს დამოუკიდებლად განაგოს თავისი ქვეშევრდომების საქმეები, რუსეთის ჩარევა ამ შემთხვევაში თვითნებობა და უკანონობაა.

3—4 დღის შემდეგ შედგა სახელმწიფო მეჯლისის სხდომა. სადაც ეგვიპტის საკითხთან ერთად საქართველოს საკითხიც განიხილეს. დაადგინეს, რომ პორტა კატეგორიულად ეწინააღმდეგება თბილისის ხანის რუსეთისადმი დამორჩილებას. თუ თბილისის ხანი თავს არ დაუსხმენა იმერეთს, რომელიც ოსმალეთის ქვეშევრდომია, და — ისლამის ქვეყნებს, განსაკუთრებით კი დაღესტნის ერთმორწმუნე ხალხს, მაშინ ოსმალეთის სახელმწიფოც არ შეცვლის საქართველოსთან თავის ძველ დამოკიდებულებას. ამასთანავე, რადგანაც იმერლებს (მეგრელებს) არ სურთ წინათ მათთან დანიშნული ქაიხოსრო (აბაშიძე) და მოითხოვენ დავითის (იგულისხმება დავით II გიორგის ძე) დანიშვნას, მათი ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნას. ხოლო თუ ხალხმა არც ეს დავითი ისურვა, მაშინ დანიშნული იქნება სხვა პირი. ეს აცნობენ რუსეთის ელჩს (ჯევდეთის ცნობა).

დიპლომატიური შეხვედრისას, რუსეთის ელჩმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ქართლ-კახეთის მეფე, დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რუსეთის ვასალია. ამიტომაც იგი ვალდებულია თავისი ქვეშევრდომი დაიცვას, ახალციხის სულეიმან-ფაშამ კი ლეკები საქართველოზე სათარეშოდ გაუშვა. ამის გამო რუსმა ელჩმა მოითხოვა ისიც, რომ ოსმალეთმა უარი თქვას ლეკებისადმი მფარველობაზე და აუკრძალოს მათ ქართლის მეფის ქვეყანაზე თავდასხმები.

რეის-ეფენდიმ ელჩს უპასუხა, რომ ლეკები დიდი ხანია მტრობენ თბილისის ხანს; ეს უკანასკნელი, თბილისის ხანი, თვითონაც აწყობს ხოლმე თავდასხმებს ლეკებზე და ამიტომ უსაფუძვლო იქნება ყველაფერი ჩილდირის ვალის მიეწეროსო. რეის-ეფენდის სიტყვებით. ერეკლე-ხანი ახლაც ავიწროებს და ჩაგრავს აზერბაიჯანში მდებარე განჯის ქვეყანასო. თანაც, ამბობდა იგი, ჩვენი ფადიშაჰის არის ყველა მაჰმადიანის ხალიფა, რის გამოც ის ვალდებულია დახმარება გაუწიოს ლეკეთს და ყველას, რომელნიც ისლამის ქვეყნები არიანო.

ამ მოლაპარაკების შემდეგ პორტამ კვლავ გაუკეთა ჩილდირის ვალის ბრძანება, თავი შეეკავებინა რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებათა დარღვევისაგან. მაგრამ რუსეთი ამით არ კმაყოფილდებოდა.

პეტერბურგიდან ელჩს კვლავ მიუთითებდნენ, რომ პორტასაგან დაჟინებით მოეთხოვა ახალციხის სულეიმან-ფაშის გადაყენება და მოთარეშე ლეკთა ძალების ახალციხის საფაშოში არ დაშვება. მაგრამ პორტა კვლავ არ ასრულებდა ამ მოთხოვნას და, პირიქით, ბრძანებდა, რომ როგორც დუნაის მიმართულებით, ისე ახალციხის საფაშოში გაეძლიერებინათ თავდაცვითი ღონისძიებანი, გაემაგრებინათ სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტები, მუდმივ სამხედრო მზადყოფნაში ჰყოლოდათ ჯარები და სხვ. ამასთანავე პორტა არაფრით არ ცნობდა ერეკლე II-ს რუსეთის ვასალად.

უკანასკნელად რუსეთის ელჩის დავალებით კონფერენცია ამ საკითხზე საელჩოს პირველ დრაგომანს (თარჯიმანს) პიზანის დიდ ვეზირთან ჰქონდა 1785 წ. 5 (16) ნოემბერს. შეხვედრისას დიდმა ვეზირმა სხვათა შორის თქვა, რომ პორტა ხშირად არ ცვლის ფაშებს ზოგიერთ საფაშოშიც, როგორც, მაგ., ბაღდადსა და ჩილდირში (ანუ ახალციხეში), რადგანაც იქ ინიშნებიან ადგილობრივი წარმოშობის ფაშები. დიდი ვეზირის აზრით, ახალციხის ფაშა უდანაშაულოა ლეკთა თარეშების საქმეში. საქართველოს მეზობლად არიან ყოველი ჯურის მოთარეშენი, რომლებიც მუდამ მზად არიან მოაწყონ თავდასხმები და სხვ. დრაგომანი უპასუხებდა, რომ თავდამსხმელთა ნაწილი არიან ოსმალეთის ქვეშევრდომნი და თვით ახალციხის ფაშას სამსახურში მყოფნიც, რასაც დიდი ვეზირი უარყოფდა და ამტკიცებდა, რომ საქართველოზე მოთარეშეთა ყველა თავდასხმას აწყობს იბრაიმ-ბეი — წარმოშობით სპარსელი, რომელიც სპარსელების სამსახურიდანაო გამოქცეული.

საერთოდ, რუსეთის მოლაპარაკება ოსმალეთის მთავრობასთან 1785 წ. აპრილში საქართველოზე მოწყობილი თავდასხმის შესახებ ჩიხში იყო მომწყვდეული, რადგანაც თუმცა ახალციხის ფაშას ნაბრძანები ჰქონდა, მორიდებოდა ისეთ აქციებს, რაც რუსეთის უკმაყოფილებას ვამოიწვევდა, მაგრამ ამასთანავე აიძულებდნენ მუდამ მზად ყოფილიყო და საერთოდ სამხედრო თადარიგიც დაეჭირა. ლეკების ძოთარეშე რაზმების დაშვებაც ახალციხის საფაშოში ნებადართული იყო.

ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში იყო დატოვებული ოსმალეთის ბიერ აღმოსავლეთ საქართველოს საკითხი, როდესაც სტამბოლში არზრუმის და ჩილდირის (ახალციხის) ვალიებისაგან, პორტას მოხსენება

მოუვიდა, რომ ომარ-ხანმა თავისი ინიციატივით მთელი ლეკეთის ჯარებით უკვე გადალახა მდინარე ალაზანი და აღმოსავლეთ საქართველოს შეესია.

9. ომარ-ხანის შემოსევა

ომარ-ხანმა შეკრიბა 20 000-კაციანი ჯარი და ჭარის (ზაქათალის) მხრიდან წამოვიდა კახეთისაკენ (1785 წ. სექტ.). ერეკლემ შეაგროვა 4 000-მდე კაცი და 2000-იან რუსის ჯართან ერთად ომარ-ხანს გადაეღობა. ამიტომ ომარ-ხანმა ვერ შესძლო შიგნით კახეთის სოფლებისათვის დაკვრა და იძულებული გახდა კახეთის ნაპირ-ნაპირ ევლო. ერეკლეს არ შეეძლო მთელი თავისი ჯარის გამოყვანა, რადგანაც გამორკვეული არ იყო, თუ რომელი მხრიდან შემოუტევდა ომარ-ხანი ქართლ-კახეთს. ამიტომ სხვადასხვა ადგილებში რაიმე ძალა უნდა ყოფილიყო დატოვებული. დასავლეთ ქართლიდან ჯარის შეყვანა სრულიად შეუძლებელი ხდებოდა, რადგანაც ახალციხის მხრიდან მოსალოდნელი იყო ოსმალების, ანდა მათ მიერ გამოგზავნილი ლეკების თავდასხმა. და, მაინც, რუსის ჯარის დახმარებით ერეკლემ მოახერხა, რომ ომარ-ხანი თბილისზე არ მოსულიყო. მდგომარეობა უაღრესად დაძაბული იყო. პოლკბურნაშოვს ერეკლე ეუბნებოდა, რომ შაჰ-აბაზის შემდეგ ქართლ-კახეთი ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში არ ყოფილაო.

რადგანაც ომარ-ხანმა თბილისზე მისვლა ვერ შესძლო, მან თავისი ჯარი მდ. მტკვარზე გადაიყვანა და თავს დაესხა ახტალის მადნებს, ააოხრა ეს მადნები, ბერძენი მემადნეები კი ნაწილობრივ დატოვა, სხვები კი ტყვედ წაიყვანა. ახტალის ამ სამადნოების მუშაობის გაუქმებით ომარ-ხანმა დიდი ზიანი მიაყენა ქართლ-კახეთის სახელმწიფოს. ომარი თავს დაესხა ლორის ციხეს, აქაც გაიმარჯვა და მერე ახალციხის საფაშოში გადავიდა.

ამ გამარჯვების შემდეგ ომარ-ხანი თავისი ჯარით ჯავახეთს, ახალქალაქსა და მის მიდამოებში დადგა და ახალციხის (ჩილდირის) ფაშას თბილისზე გასალაშქრებლად ზარბაზნები და სამხედრო მასალით დახმარება მოსთხოვა. ფაშა შეწუხდა, მას პორტას წინაშე პასუხისგების ეშინოდა, რადგანაც ლეკების ეს დიდი თავდასხმა საქართველოზე მოხდა ოსმალეთის მთავრობის ბრძანებისა და ნებართვის გარეშე. ამიტომ ახალციხის ფაშა წავიდა ახალქალაქს ომარ-ხანის ბანაკში და ლეკების ბელადებს აუხსნა, რომ რადგანც ამჟამად თბილისზე გალაშქრება ოსმალეთის ინტერესებისთვის სასურველი არაა, ამიტომ მათ თავიანთი

ჯარი გაეყვანათ საფაშოდან. ლეკების ბელადებმა განაცხადეს, რომ მათ ჯარში ბევრი დაჭრილი და ავადმყოფია, ამიტომ გადაწყვეტილი აქვთ დაიზამთრონ ახალციხის საფაშოში.

ფაშას იმისიც ეშინოდა, რომ ჯავახეთში ჯარის ჩადგომას მოჰყვებოდა მოსახლეობის გაღატაკება და სასურსათო კრიზისი, ამიტომ ფაშა შეეცადა საჩუქრებისა და საპატიო ხალათების მიცემით განხეთქილება ჩამოეგდო ლეკთა ბელადებს შორის. ამ ღონისძიებით მან, მართლაც, შესძლო, რომ ჭარელების მეთაურები და აკუშელები — 4—5 ათასი კაცი — თავიანთი ქვეყნისაკენ გაბრუნდნენ. ომარ-ხანი კი დანარჩენი დიდი ჯარით ახალციხის მხარეში გადავიდა.

ომარ-ხანის ამ ლაშქრობამ აჩვენა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს მეზობლებთან ურთიერთობა მეტად გამწვავებული ჰქონდა; რუსის ჯარის დახმარება კი საკმაოდ ეფექტური არ აღმოჩნდა, რადგანაც ის ერთობ მცირერიცხოვანი იყო. ამასთანავე რუსის ჯარის უფროსები ჩიოდნენ, რომ საქართველოში მათ ძალზე უჭირთ თავისი ჯარის სურსათით დროულად მომარაგება.

მას შემდეგ, რაც აშკარა გახდა, რომ ომარ-ხანი ახლა ახალციხის მხრიდან აპირებდა ქართლ-კახეთში შემოჭრას, ერეკლე თავისი და რუსის ჯარით საჩქაროდ გაემართა ხეობის (ახლანდელი ბორჯომის ვიწრობის) მიმართულებით. და აი, ის მხოლოდ სურამთან იყო ჯერ მისული, როდესაც მოუვიდა ცნობა, რომ ომარ-ხანი თავს დასხმოდა ვახანის ციხეს (იგი თავად აბაშიძეებს ეკუთვნოდა) და ერთი დიაკვნის შინაღალატით აეღო ის. ამ ციხის აღებისას მცხოვრებთაგან 400 სული დაიღუპა და 400-ც ტყვედ იქნა წაყვანილი (1785 წ. 31 ოქტ.).

ამ ზარალმა ერეკლე დააშინა და მან ომარ-ხანთან მოლაპარაკება დაიწყო. ომარ-ხანი ზავზე დათანხმდა 10 ათასი მანეთის საფასურად. თანაც იგი მოითხოვს ჯამაგირს 5.000 მანეთის ოდენობით, რასაც ომარ-ხანი ამიერიდან თითქმის მუდამ ღებულობდა, ვიდრე 1799 წ. რუსის ჯარი კვლავ არ შემოვიდა ქართლ-კახეთში.

ყოველივე ზემონათქვამი ამტკიცებს, რომ 1783 წ. ტრაქტატის დადების შემდეგ ქართლ-კახეთის მდგომარეობა ყოველმხრივ გაუარესებული იყო. გახშირებულმა საგარეო თავდასხმებმა და შინაურმა არევ-დარევამ დიდი დეზორგანიზაცია შეიტანა ქართლ-კახეთის ცხოვრებაში. ოსმალეთის მთავრობაც ენერგიულად მოითხოვდა რუსის ჯარის გაყვანას ქართლ-კახეთიდან. ასეთ ვითარებაში რუსებს უფრო ენერგიულად უნდა მოეკიდათ ხელი ქართლ-კახეთის საქმეებისათვის, ან არა და საკუთარი ბედის ანაბრად დაეტოვებინათ ის.

ვახანის ტრაგედიამ გამოიწვია რუსეთის მთავრობის ახალი დემარშები პორტას წინაშე. პეტერბურგში დარწმუნებულები იყვნენ, რომ ლეკებს აქაც ზურგს უკან ოსმალ-ფაშები და პირველ რიგში ახალციხის ფაშა ედგნენ. პორტა კი კვლავინდებურად თავს იმართლებდა იმით, რომ მას არ შეუძლია ლეკების ალაგმვა და ვერ ახერხებს მათ გაყვანას ახალციხის საფაშოდან. ამასთანავე სულთნის სახელით ახალციის ფაშას გაეგზავნა ბრძანება, დაეცვა რუსეთთან დადებული ხელშეკრულება და ლეკების ჯარებიც საფაშოდან დაეთხოვა.

ამის საპასუხოდ ახალციხის ფაშა თავის მთავრობას ატყობინებს, რომ ავარიის ომარ-ხანი და ალი-სულთანი დათხოვნილი იყვნენ საფაშოდან. ისინი, გზად მყოფები, დაესხნენ ვახანის ციხეს და შიგ მყოფნი მოსპეს, თუმცა ლეკებმაც დიდი ზარალი განიცადეს, მათ ბევრი დაჭრილი ჰყავთ, რომელთა ლეკეთშიც წაყვანა შეუძლებელია. ახალციხის ფაშის ცნობითვე, რუსებმა და ქართველებმა ჯარით და ზარბაზნებით ჩაკეტეს გზები, რის გამო ლეკები იძულებული გახდნენ დაბრუნებულიყვნენ ახალციხის საფაშოში და იქ დაეზამთრებინათ ვითარცა სტუმრებს, რისთვისაც ოსმალეთის მთავრობის ნებართვა იყო საჭირო.

ამ ნებართვის საკითხი სტამბოლს საგანგებოდ იქნა განხილული ვექილთა საბჭოში, რომელმაც ლეკების ჯარს (მაშინ ექვსი ათასი კაცი მაინც უნდა ყოფილიყო) მისცა საფაშოში დაზამთრების უფლება, ოღონდაც იმ პირობით, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები არ შეეწუხებინათ. ლეკების შესანახად ახალციხის ფაშას ოსმალების მთავრობამ 50 ათასი ყურუში გაუგზავნა. ამასთანავე სიფრთხილის მიზნით, ყოველი შემთხვევისათვის. ფაშას უბრძანა, მუდმივად მზად ჰყოლოდა 4-ათასიანი ჯარი. არზრუმის ვალისაც უბრძანა მუდმივი სიფრთხილე და მზადყოფნა, რომ თავდასხმის შემთხვევაში სწრაფი დახმარება აღმოეჩინა ახალციხის ფაშისათვის. ბათუმის ციხის გარნიზონიც 500 კაცამდე გაიზარდა. ფოთის ციხის დასაცავადაც ტრაპიზონიდან დამატებით ხუთასი კაცი გაიგზავნა.

1786 წლის აპრილში ოსმალეთის დიდი ვეზირი ალი-ფაშა გადაყენებულ იქნა და მის მაგივრად დიდ ვეზირად გახდა იუსუფ-ფაშა, რომელსაც ჯევდეთი უარყოფითად ახასიათებს; წერა-კითხვა ძლივს იცოდაო (ოსმალური დამწერლობის სიძნელისა და სირთულის გამო

მისი დაუფლება არც ისე ადვილი საქმე იყო), ხეპრე და უნიჭო იყოო. ის დარწმუნებული იყო რუსეთთან ახალი ომის აუცილებლობაში, რისთვისაც შესაფერის დროს უცდიდა. ასეთი ხაზის გატარება მისთვის იოლი არ იყო, რადგანაც დივანის (სახელმწიფო საბჭოს მაგვარის) უმეტესობა, ისე როგორც რეის-ეფენდი ატა-ულა-ბეი-ეფენდი მშვიდობიანობის მომხრენი იყვნენ.

რამდენიმე სიტყვით ამ დროის საერთაშორისო ურთიერთობათა შესახებ: რუსეთი და ავსტრია იმას ელოდებოდნენ, რომ ოსმალეთის უფრო მეტად დასუსტების შემთხვევაში ხელთ ეგდოთ მისი ევროპული ტერიტორიების დიდი ნაწილი. ასეთ ვითარებაში რუსეთი და ავსტრია ერთმანეთის მიმართ ნეიტრალიტეტს იცავდნენ. ამასთანავე რუსეთს თვალი ეჭირა ბალკანეთის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთი ნაწილებისაკენ, ავსტრია კი ანგარიშობდა ბალკანეთის მთელი დასავლეთი ნაწილის დაუფლებას. რაც შეეხება დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებს, განსაკუთრებით კი პრუსიას, საფრანგეთსა და ინგლისს, მათი მიზანი ის იყო, რომ რუსეთსა და ავსტრიას არაფერი რგებოდათ ევროპაში ოსმალეთისაგან, რათა არ დარღვეულიყო არსებული სწორწონაობა. ასეთ ვითარებაში საფრანგეთი და ინგლისი ოსმალეთის მიმართ იცავდნენ „სტატუს ქვოს", რომელშიც რაიმე თვალსაჩინო ცვლილებების შეტანას მოჰყვებოდა ზემოხსენებული სახელმწიფოების პოზიციების შესუსტება საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე. ასეთ პირობებში რუსეთი და ავსტრია იძულებული ხდებოდნენ დაეცვათ არსებული მდგომარეობა, რადგანაც რაიმე ტერიტორიული ცვლილებების გატარება დიდი ომის გარეშე შეუძლებელი იყო. ასეთ ომს კი ყველა ერიდებოდა.

რუსეთის ელჩი სტამბოლში იაკ. ბულგაკოვი დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ ახალციხის ფაშისათვის გაეგზავნათ სულთნის კატეგორიული ბრძანება, აღეკვეთა ყველა ის მოქმედება, რაც რუსეთთან კეთილგანწყობილებას დაარღვევდა. რუსეთისადმი განსაკუთრებული ენდობლობით გამსჭვალული ახალი დიდი ვეზირი კი ყოველნაირად აჭიანურებდა ბულგაკოვის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, რაც ოსმალეთის შინაურ საქმეებში ჩარევად მიიჩნდა. ბოლოს შუამდგომლობა ამ საქმეში საფრანგეთის მთავრობის დავალებით იკისრეს საფრანგეთის ელჩებმა პეტერბურგსა და სტამბოლში. რუსეთი არ იყო ამ ჩარევით კმაყოფილი, რადგანაც ქართლ-კახეთის საკითხს იგი საკუთარ საქმედ თვლიდა და საფრანგეთის შუამავლობა მიუღებლად მიიჩნდა, მაგრამ ბოლოს მაინც დათანხმდა საფრანგეთის ელჩის ამგვარი შუამავ-

ლობის გაწევაზე, რასაც საჭირო შედეგი მოჰყვებოდა, მაშინ საქმეში ჩაერია ავსტრიის ინპერატორი, რომელმაც უბრძანა სტამბოლში თავის ელჩს, ეგრეთწოდებულ ინტერნუნციის (ეს იყო ელჩის ტიტული, ლათინურად — ამბების გადამცემი, შუამავალი) ჩარეულიყო ამ საქმეში. ამ გარემოებამ შესაფერისად იმოქმედა და ბოლოს, 1786 წლის ოქტომბერში, ახალციხის ფაშას გაუგზავნეს სულთნის ვრცელი ბრძანება, თავი შეეკავებინა რუსეთთან დადებული საზავო ხელშეკრულებათა რაიმე დარღვევისგან და არ დაეშვა ლეკთა მოთარეშე რაზმების ყოფნა თავის საფაშოში. ერეკლეს მიმართ ამ ფირმანში ხმარებული იყო (ფრანგული თარგმანის მიხედვით) ასეთი გამოთქმა „un fidele", „attachement" და კიდევ „le proteger", ვითომც ერეკლე იჩენს ოსმალეთისადმი „ერთგულების მიდრეკილებას", რისთვისაც მას უნდა გაეწიოს „მფარველობა". რუსეთის ელჩი უკმაყოფილო იყო ასეთი გამოთქმებით, რადგან მათში ცხადად ჩანდა ოსმალეთის მთავრობის სურვილი ერეკლე ოსმალეთის მორჩილებაში მყოფად მოეხსენებინა. მაგრამ საფრანგეთის ელჩი რუსეთის ელჩს ბულგაკოვს არწმუნებდა, რომ ხსენებული გამოთქმა გაგებული უნდა იქნას „ერთგული მეგობრის" და დაცვის მნიშვნელობით, რაც სინამდვილეს არ შეესაბამებოდა.

მაგრამ დავა ამით არ დასრულებულა.

1787 წ. 2 თებერვალს რეის-ეფენდი ატა-ულლა-ბეი-ეფენდი გადაყენებული იქნა და მის მაგივრად დანიშნეს სულეიმან-ფეიზი-ეფენდი. ამავე წლის 8 თებერვალს ახალმა რეის-ეფენდიმ მიიღო რუსეთის ელჩი და მას უპასუხა ზოგიერთ იმ სადავო საკითხზე, რომელთა მოგვარებაც შედარებით იოლი იყო. რაც შეეხება ერეკლეს საკითხს, ამაზე ოსმალეთის თავკაცი პასუხობდა, რომ ქართველთა ქვეყანას თავს დაესხნენ უცხონი, ე. ი. არა ოსმალეთის ქვეშევრდომები. ჩილდირის ფაშას მიეთითა არ დაერღვია რუსეთთან დადებული პირობები, რისთვისაც ფირმანიც გაეგზავნა.

ორი დღის შემდეგ რუსეთის საელჩოს დრაგომანი რეის-ეფენდისთან გამოცხადდა და მოითხოვა ერეკლეს თაობაზე ახალციხის ფაშისათვის გაგზავნილი ფირმანის ასლი, რაც მას მისცეს, მაგრამ ორიოდე დღის შემდეგ დრაგომანი ისევ გამოცხადდა და რეის-ეფენდის შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ოსმალეთის სახელმწიფოს შეუძლია გაუწიოს მფარველობა მხოლოდ თავის რაიებს (ქვეშევრდომებს). ერეკლე-ხანი კი ბრძოლებში მუდამ გამოდიოდა რუსეთის მოკავშირედ. ამიტომ ელჩი წინააღმდეგია ფირმანის გამოთქმისა ერეკლე-ხანისადმი

მფარველობის გაწევის შესახებ". ამაზე რეის-ეფენდიმ უპასუხა, რომ რუმინეთის რაიებიც ლაშქრობის დროს რუსეთის მხარეზე იმყოფებოდნენ, მაგრამ შემდეგ ისინი მოჰყვნენ ოსმალეთის სახელმწიფოს ფარგლებში და მათ ოსმალეთის რაიობა (ქვეშევრდომობა) მიიღეს. ამის გამო არ იქნება სწორი, მათ ვუწოდოთ რუსეთის მფარველობაში მყოფი. ერეკლე-ხანი ეძიებდა ოსმალეთის სახელმწიფოს საფარს და მას მიეკუთვნა სათანადო ღირსება და პატივი (იგულისხმება ხალათის ბოძება, რაც, ოსმალური წესით, უკვე ვასალობას ნიშნავდა). ოსმალეთის სახელმწიფოსადმი ერთგულებას ერეკლე თავისთვის საამაყოდ თვლიდა. ამით დასრულდა დრაგომანსა და რეის-ეფენდის შორის ბაასი.

რამდენიმე ხნის შემდეგ დრაგომანი ისევ გამოცხადდა რეის-ეფენდისთან და ერეკლეს შესახებ წერილობითი პასუხი მოითხოვა, რის მიცემასაც მას შეჰპირდნენ, თუ იგიც თავის მოთხოვნას ერეკლეს შესახებ წერილობითვე წარმოადგენდა. ელჩმაც ეს პირობა შეასრულა, მაგრამ რეის-ეფენდიმ წერილის შინაარსი იმდენად მიუღებლად მიიჩნია, რომ იგი მას უკანვე დაუბრუნა. ცხადი იყო, რომ რუსეთის და ოსმალეთის მთავრობათა შეხედულება საქართველოს საკითხის შესახებ ურთიერთგანსხვავებული და წინააღმდეგობრივიც იყო.

ორივე მხარე, ოსმალეთი და რუსეთი, ომისათვის ემზადებოდა. განსაკუთრებით აქტიურობდა ოსმალეთი, რომლის მიზანიც იყო ყირიმის დაბრუნება და ქართლ-კახეთის სამეფოში რუსების გავლენის მოშლა. რუსეთმა შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტი მოაწყო, 1787 წელს კი ეკატერინე II-მ უკრაინაში იმოგზაურა. მოგზაურობას თან ახლდა არაჩვეულებრივად მდიდრული ზეიმი და აღლუმი, რომელშიც დიდძალი ჯარები მონაწილეობდნენ. ყირიმში თათარი მურზების გულის მოსაგებად დიდძალი საჩუქრები იქნა გაცემული.

ამ მოგზაურობის დროს ეკატერინე II-სთან გამოცხადდნენ ავსტრიის იმპერატორი იოსებ II და პოლონეთის მეფე სტანისლავ პონიატოვსკი. იოსებ II-ის ჩასვლას ეკატერინე II-სთან განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. რუსეთი და ავსტრია საბოლოოდ ერთმანეთს შეეკრნენ წინააღმდეგ ოსმალეთისა, რომლის მთავრობაც, რასაკვირველია, კარგად ხედავდა, თუ რა საფრთხე ელოდა მის სახელმწიფოს რუსეთისა და ავსტრიის კავშირისაგან.

როგორც მოხსენიებული იყო, დიდი ვეზირი (სადრაზამი) იუსუფ-ფაშა რუსეთთან ომის მომხრე იყო, რისთვისაც ემზადებოდა კიდევაც ინგლისი და პრუსია ამ დროს რუსეთის საწინააღმდეგო პოლი-

ტიკას ეწეოდნენ, რისი მიზეზიც, ერთი მხრივ, ის იყო, რომ რუსეთი და ავსტრია ფაქტიურად გაერთიანდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ.

ამასთანავე რუსეთსა და საფრანგეთს შორის უკვე დადებული იყო სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც ინგლისის სავაჭრო ინტერესებს ლახავდა. ვინაიდან ინგლისი კარგავდა საშუამავლო როლს რუსეთის საიმპორტო ვაჭრობაში და საფრანგეთის საქონელი, რომელიც აქამდე რუსეთში ინგლისის კომპანიების მეშვეობით შედიოდა, ახლა უშუალოდ რუსეთის ბაზრებს დაუკავშირდა. ამიტომ ინგლისი გადაიქცა რუსეთის აშკარა მოწინააღმდეგედ. მას მიემხრო პრუსიაც, რომლის ინტერესებსაც ეწინააღმდეგებოდა ავსტრიის გაძლიერება გერმანულ ქვეყნებში. საერთოდ კი რუსეთის მოწინააღმდეგეთა სათავეში ამ დროს იმყოფებოდა ინგლისი, რომლის ელჩი სტამბოლში ბევრს ცდილობდა დაერწმუნებინა ოსმალეთის მთავრობა რუსეთთან ომის აუცილებლობაში. ინგლისის ელჩი სადრაზამს (დიდ ვეზირს) იუსუფ-ფაშას უმტკიცებდა, რომ ხელსაყრელი დროა რუსეთისათვის პრევენტიული ომის გამოსაცხადებლად, ვინაიდან იგი განიცდის დიდ ფინანსურ გაჭირვებას, სიღარიბესა და შიმშილსაც. ჯევდეთი დაწვრილებით გადმოგვცემს ინგლისის ელჩის ვრცელ ბაასს სადრაზამ იუსუფ-ფაშასთან, რომელიც თვითონაც ომის მომხრე იყო. მაგრამ მაშინ ომი არ სურდა ოსმალეთის ვეზირ-ვექილთა უმეტესობას, რეის-ეფენდის და თვით სულთანსაც, მაგრამ სადრაზამმ მაინც თავისი გაიტანა და სულთანიც დაიყოლია.

რუსეთში თვით ეკატერინე II-ს და მის უახლოეს თანამშრომლებსაც ომი არ უნდოდათ, ომს მოითხოვდა მაშინდელ რუსეთში ბევრის შემძლე გრაფი პოტიომკინი, რომელიც იმპერიის სამხრეთ პროვინციებსა და შავი ზღვის ჩრდილოეთ მხარეებში პირველობდა და სხვადასხვა საშუალებით ხელს უწყობდა ოსმალეთთან ურთიერთობის უკიდურესად გამწვავებას.

11. რუსეთ-ოსმალეთის ომი 1787—1791 წლებში

1787 წ. 15 ივლისს ოსმალეთის რეის-ეფენდიმ (საგარეო საქმეთა მინისტრმა) სტამბოლში თავისთან დაიბარა რუსეთის ელჩი იაკ. ბულგაკოვი და მოსთხოვა, რომ რუსეთმა უარი თქვას ყირიმსა და საქართლოზე და თავისი ჯარი საქართლოდან გაიყვანოს. მალე ბულგაკოვი დააპატიმრეს და ე. წ. შვიდკოშკიან ციხეში ჩასვეს.

ამის შემდეგ რუსეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს (1787 წ. 7 სექტ.). 1787 წ. სექტემბრის მიწურულს საქართველოში მყოფ რუსის ჯარს დაუყოვნებლივ უკან დაბრუნების ბრძანება მოუვიდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ომის დროს რუსეთს ქართლ-კახეთის დასაცავად უფრო მეტი ჯარის გამოგზავნა დასჭირდებოდა. ამიტომაც რუსეთმა არჩია ქართლ-კახეთში მყოფი 2000 კაციც უკან გაეწვია, რათა ერეკლე II-ს შესაძლებლობა მისცემოდა თავისი ძალებით და მოლაპარაკებებით აღედგინა ნორმალური დამოკიდებულება მეზობლებთან. ყოველივე ამას ისიც დაემატა, რომ ცრუ-წინასწარმეტყველმა მანსურმა ააჯანყა ადიღეები (1787 წ. ივლ.) და მდინარეების ურუპსა და ლაბას შორის თავს დაესხა რუსის ჯარს, თუმცა დამარცხდა (1787 წ. სექტ.).

საყურადღებოა ამ მანსურის შემდგომი ბედი. დას. ეროპული ცნობებით, ის თითქოს შეიპყრო ერეკლე II-მ და გაუგზავნა ეკატერინე II-ს. უფრო სწორი იქნება ის აზრი, რომ მანსური რუსეთ-ოსმალეთის 1787—1791 წწ. ომში ვერას გახდა და რუსეთის ბატონობა ჩერქეზეთსა და საერთოდ ჩრდილოეთ კავკასიაში ვერ შეარყია. ბოლოს რუსების მიერ ანაპის ციხის აღებისას ის დაატყვევეს და პეტერბურგს გააგზავნეს, თუმცა სიცოცხლე შეუნარჩუნეს. იგი მოათავსეს სოლოვკის მონასტერში.

ამ ცრუ-წინასწარმეტყველმა დიდი სახელი დატოვა კავკასიელ მთიელ ხალხებში, რომლებიც 1806 წელსაც კი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათი ეს იმამი მანსური ცოცხალი იყო და იმპერატორ პავლე I-ის მიერ მისთვის რუსეთში ნაბოძებ სოფელში ცხოვრობდა.

რუსის ჯარის საქართველოდან წასვლის შემდეგ ერეკლე II-მ მოახერხა აღედგინა ურთიერთობა ოსმალეთის, ამიერკავკასიისა და სპარსეთის ხალხებთან, რის შედეგადაც ქვეყანამ ცოტა ხნით მაინც მოისვენა. ერეკლემ დაიწყო სამშვიდობო მოლაპარაკება ახალციხის ფაშასთანაც.

ოსმალეთთან ომს რუსეთი ავსტრიასთან კავშირში ეწეოდა. ამ ომის შედეგად, რომელიც რუსეთის სასარგებლოდ წარიმართა, რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი ბალკანეთის მიმართულებით გახდა მდ. დნესტრი, ხოლო ამიერკავკასიაში მდ. ყუბანი. ყირიმზედაც ოსმალებმა საბოლოოდ უარი თქვეს. 1791 წლის დეკემბერში იასაში დადებული ხელშეკრულებით ოსმალეთს ევალებოდა, რომ ახალციხის და სხვა მოსაზღვრე ფაშებმა არც აშკარად და არც საიდუმლოდ არ შეურაც-

ხყონ და არ შეაწუხონ ქართლის მეფის ქვეყნები და მოსახლეობა, რისთვისაც პორტას ანუ ბაბ-ალის სათანადო მკაცრი განკარგულებანი უნდა გაეცა.

12. ხელშეკრულება ქართული სახელმწიფოების ერთობის შესახებ (1790 წლის ზაფხულში)

ჯერ კიდევ 1790 წ. ზაფხულში ამერ-იმერეთის პროგრესულად განწყობილმა ძალებმა ქვეყნის გაერთიანების მიზნით თვალსაჩინო ღონისძიება გაატარეს — დადეს ეგრეთწოდებული იმერეთის ტრაქტატი, როგორც მას ერეკლე II უწოდებს. ეს ტრაქტატი დათარიღებულია 1790 წლით და მისი შედგენის ადგილად თბილისია დასახელებული. მაგრამ შემდეგ, 1790 წლის სექტემბერში, დავით II-მ გადააგდო სოლომონ II და ხელშეკრულების განხორციელებაც შეჩერდა. ამ ხელშეკრულების მომწყობი იყო სოლომონ ლიონიძე.

საყურადღებოა სოლ. ლიონიძის (1754—1811) პიროვნება. მისი პაპის მამა თითქოს იყო გარეკახეთიდან, ლეკების მიერ გატაცებული გლეხი ლევანიძე. მისი შვილიშვილი იყო კახეთში მოსული და ქრისტიანობაში აღზრდილი, „ნალეკარი ანდრია დეკანოზი", ნიჭიერი კაცი, რომელმაც შესძლო თელავის კარის ეკლესიის დეკანოზად გახდომა. ამ ანდრია დეკანოზის შვილი იყო სოლომონი, რომელმაც თავისი ნიჭითა და სიბეჯითით ერეკლე II-ის ყურადღება მიიქცია. სოლომონმა ახალგაზრდობაშივე კარგად აითვისა თურქული, სპარსული და რუსული ენები, ასე რომ ამ ენებზე მას წერაც შეეძლო. არის მონაცემები, რომ ის იცნობდა ი. რეინეგსსაც და, ალბათ, მისგან ერთერთ დასავლეთ ევროპულ ენასაც (უფრო გერმანულს) სწავლობდა.

1780 წელს ერევანზე ლაშქრობის დროს 27 წლის სოლომონმა თავი ისახელა ბრძოლაშიც — ის ერეკლეს თვალწინ დაჭრეს მეტად სერიოზულად. მაშინ ერეკლემ სოლომონს უბოძა თავადობაც ლიონიძის გვარით.

1783 წლის ტრაქტატის დადების შემდეგ რუსეთის მიბაძვით (სადაც საგარეო საქმეთა ხელმძღვანელი მაშინ ვიცე-კანცლერად იწოდებოდა) ერეკლე II-ის კარზეც შემოღებულ იქნა ამავე სახელწოდების თანამდებობა (თუმცა კანცლერი აქ არ იყო), ოდნავ დამახინჯებული სახელით (ვიცე-კანცელერი). პირველ ვიცე-კანცლერად იყო თავ. სულხან ბეგთაბეგიშვილი, მისი სიკვდილის შემდეგ კი, 1788 წელს, ამ თანამდებობაზე დანიშნული იქნა სოლ. ლიონიძე.

მალე სოლ. ლიონიძე — ეს ჭკვიანი და განათლებული პიროვნება — აქტიურად ჩაება ქართლ-კახეთის საგარეო საქმეებში და ენერგიულად ემხრობოდა რუსეთთან კავშირს, რაშიც, გამორიცხული არაა, ერთგვარ გავლენას ახდენდა მისი ი. რეინეგსთან სიახლოვეც. შემდეგში კი იგივე სოლ. ლიონიძე უკვე რუსეთის წინააღმდეგი გახდა და მან ამიერიდან დაიწყო ბრძოლა საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის, რის პირველ ეტაპადაც მას მიაჩნდა ქართულ სახელმწიფოებს შორის ერთობის კავშირის დადება. ჩვენი ისტორიის ეს ტრაგიკული ამბავი პლ. იოსელიანს ასე აქვს აღწერილი: „თვით სოლომონ ლიონიძე, მისრული კართა ზედა იმერთა მეფისა და მთავართა დადიანის გრიგოლისა და გურიელისა სვიმონისა, მრავლად დაშვრა, რათა მოეყვანა ერთობასა მტკიცესა ერთნათესაობა ქართველთა, მეცადინეობდა შინაკავშირითა გაეუქმებინა გარეკავშირი“ (ე. ი. კავშირი და დამოკიდებულება ქართლ-კახეთისა რუსეთზე, დას. საქართველოსი კი ოსმალეთზე), რაზედაც იგი, თურმე, ამბობდა: „ერი, დაცული გარეთითა უცხოთა ნათესავთაგან მფარველობითა არის მარადის დამდაბლებული. ერი, სხვათა მფლობელობასა ქვეშე წესრული, არის მონა და მონა მზაკვარი, დაცინებული, მასხარად აგდებული. (ის) ვითარცა დამკარგველი თვითმყოფობისა, კარგავს სულისა თვისისა საკუთარსა ძალასა და ღირსებასა. უძლური სულითა, კარგავს სხეულისაცა ძალასა. ენა და მეტყველება მისი, მწერლობა და მწიგნობრობა მოეღება ერსა დამონებულსა უცხოსა ნათესავისა ენითა და ჩვეულებითა“.

„ოთხასთა წლითა განმტკიცებულნი კერძოობითსა უფლებასა ზედა სამთავრონი მოისმენდნენ ლიონიძისა სიტყვითა ერთობისათვის. გარნა სადღა იყო ძალა დამაკავშირებელი მათი. ოდეს მეფემან ირაკლი მეორემან დაკარგა ერთმეფობისა იმერთა ერისა თხოვა დაკარგაცა ძალი კავშირისა. ხმა ლიონიძისა იყო ხმა ღაღადებისა უდაბნოსა. ენითა ცემა ჰაერისა და ამაო ბგერა ბაგეთა. იხილა ესე ლიონიძემან ადრევე და შორსმხედველმან ვერღა ჰპოვა ღონე სხვა დაცვისათვის მეფობისა. რომლისათვისაც გამიგონია მამისა ჩემისაგან (კარის დეკანოზ ეგნატი იოსელიანისაგან) იტანჯებოდა იგი. ესევე იყო მიზეზი, რომელ შემდგომად მეფისა გიორგისა წარვიდა სოლ. ლიონიძე იმერეთსა და მუნით სპარსეთსა და მოკვდაცა მუნ დამტირებელი ქვეყნისა და მრავლად დატირებული სომეხთა კათალიკოსისა ეფრემისაგან, რომელთანაცა ცხოვრობდა რავდენსამე დროსა. სიკვდილი მისი იყო ვგონებ 1810 წელსა ანუ მცირედ შემდეგ“ (სოლ. ლიონიძე გარდაიცვალა ახალციხეში 1811 წელს ივლისში).

საქართველოს მეფე-მთავრებს შორის (1790 წ.) ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ერეკლე II-მ, სოლომონ II-მ, დადიანმა და გურიელმა. ხელშეკრულების თანახმად, ამ მეფე-მთავრებს შორის მყარდებოდა პოლიტიკური კავშირი ერეკლე II-ის უზენაესი ხელმწიფობის ქვეშ.

რამდენიმე საუკუნის სიგრძეზე, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური დაშლის ნიშნით იყო აღბეჭდილი, 1790 წ. აქტი წარმოადგენდა საქართველოს დაქსაქსული ნაწილების გაერთიანებისათვის ბრძოლის პირველ კონკრეტულ ღონისძიებას.

13. ტახტის მემკვიდრეობის ახალი კანონი და ქართლ-კახეთის სამეფოს თავდაცვისუნარიანობაზე მისი უარყოფითი გავლენა

შინაურ კრიზისს პოლიტიკაშიც დაერთო ზოგი ისეთი დიდი შეცდომა, რომელიც აგრეთვე საბედისწერო აღმოჩნდა ქართლ-კახეთის სამეფოს დამოუკიდებელი არსებობისათვის.

1791 წლის პირველ თვეებში ერეკლე II-მ დარეჯან დედოფლის ზეგავლენით შეიმუშავა სამეფო ტახტის მემკვიდრეობის ახალი კანონი, რომელიც ითვალისწინებდა მეფობის გადასვლას მის შვილებზე ჩამორიგებით. სახელდობრ, ტახტის მემკვიდრის გიორგის გამეფების შემდეგ მეფობა უნდა გადასულიყო არა მის შვილზე, არამედ მომდევნო ძმაზე, შემდეგ კიდევ ძმაზე და სხვ. ამგვარი რიგის ჩათავების შემდეგ კი, თუ ტახტის მემკვიდრე ძმა აღარ იქნებოდა, ძალაუფლება გადავიდოდა უფროსი ძმის შვილზე და ა. შ. მთელი შემოსავალი სამეფო სახლის საკუთრებად ცხადდებოდა. მოხელეებისათვის ჯამაგირის გაცემის და სხვა ხარჯების შემდეგ დარჩენილი შემოსავალი იყოფოდა სამ ნაწილად, რომელთაგან ორი წილი უნდა მისცემოდა მეფეს, ერთი კი — დანარჩენ ძმებს. ამით ერეკლეს უნდოდა შეეჩერებინა საუფლისწულოების გამოყოფა, რადგანაც ისედაც პატარა ქართლ-კახეთის დიდ-დიდ საუფლისწულოებად დაყოფა უფრო დაასუსტებდა მეფის ძალაუფლებას.

ამ კანონის უცნაურობა უპირველეს ყოვლისა იმაში იყო, რომ შომავალში მეფესა და ბატონიშვილებს შორის აუცილებლად ატყდებოდა დაუსრულებელი დავა სახელმწიფო ხარჯების ოდენობაზე, რადგანაც სახელმწიფო შემოსავლის ახლებური განაწილება შეუძლებელს ხდიდა სახელმწიფოს საჭიროებაზე ფართო ზრუნვას. ამგვარი განაწილების უხერხულობას მალე ერეკლეც მიხვდა, რისთვისაც ამჯობინა

საკუთარი შვილებისათვის თავის სიცოცხლეშივე გამოეყო საუფლისწულოები. სულ მას ჰყავდა (ქალების გარდა) ექვსი ვაჟიშვილი.

ზემოხსენებულმა კანონმა იმთავითვე უარყოფითი შთაბეჭდილება მოახდინა მაშინდელ მოწინავე ქართველებზე. ყველა გრძნობდა, რომ ეს ახალი კანონი დაღუპავდა ქართლ-კახეთის სამეფოს. მალე ტახტის მემკვიდრეობის კანონს ერეკლემ მოაყოლა დადგენილება მორიგე ჯარის აღდგენის შესახებ. მაგრამ ეს ჯარი უკვე თითქმის დაშლილი იყო და აღარავის სჯეროდა, რომ მასში ბატონიშვილები თავისი ხელქვეითი აზნაურებით და კაცებით წავიდოდნენ. ეს კარგად ჩანს ერეკლე II-ის მიერ 1791 წ. 14 მაისის მიწერილობიდან ენისელთ (სოფ. ენისელის) მოურავის თავ. დიმიტრი ჯორჯაძისადმი: „ახლა, რომ ისევ მორიგის გამოყვანა დავამტკიცეთ, ჩვენ ასე გვეუბნებიან სამღვდელონი (ე. ი. ეპისკოპოსები) და თავადნი: აზნაურნი და გლეხნი კაცნი თქვენა და თქვენს შვილებსა გაყავსთო. თქვენ რომ გამოუყვანთ, ჩვენ როგორ დაგაკლდებითო. ახლა ჩვენ ყველგან მოხელეებსა წიგნები მივსწერეთ და თავთავისი სახელოების გამოყვანა დავადევით. შენთვისაც ასე გვიბრძანებია: ენისელი შენი სახელო არის. რაც ამ თავის მორიგე არის, ახლავ საჩქაროდ უნდა გაიყვანო და სადაც ჩვენ ვიყვნეთ, იქ შემოგვყარო და სხვას თვეებისასაც თავის ვადაზე უნდა გამოიყვანდე და ჩვენ შემოგვყრიდე... ყველა მოურავებისათვის და მოხელეებისათვისაც ასე მიგვიწერია“.

ერთი სიტყვით, ერეკლე II ზომებს ღებულობდა, რომ სამეფო სოფლებიდან (მოურავების მეშვეობით) და საბატონიშვილო მამულებიდან მორიგე სრულად გამოსულიყო, რათა მათთვის მიეცა თავადებს და ეპისკოპოსებს, რომელთაც აგრეთვე წესისამებრ თავიანთი ყმები მორიგე ჯარში უნდა გამოეყვანათ. მაგრამ ერეკლეს განზრახვა ამაო აღმოჩნდა ბატონიშვილების სრული უპასუხისმგებლობის გამო.

შემდგომში ერეკლემაც იგრძნო თავისი კანონის არარეალურობა, მაგრამ მისი სულ გაუქმება ვეღარ შესძლო და ისღა მოახერხა, რომ ტახტის მემკვიდრეს გიორგის ხელწერილი მისცა ამ კანონის გასაუქმებლად 1793 წ. თუმცა ეს გადაწყვეტილება საჯაროდ არ გამოუცხადებია. 1794 წელს ერეკლემ ხსენებული კანონის ფაქტიურად გაუქმების შემდეგ ზოგიერთ ბატონიშვილს თავის სახასო (სამეფო) სოფლებიდან ათასი, თუ უფრო ნაკლები კომლი გამოუყო, მაგრამ ამგვარი საბოძვარით ყველა ბატონიშვილის დაკმაყოფილება მაინც შეუძლებელი იყო, რადგანაც მეფე ცდილობდა ტერიტორიების მეტი რაოდენობა მაინც თავისთვის დაეტოვებინა.

ბატონიშვილები თავის საუფლისწულო სოფლებში დამოუკიდებლად და თავისუფლად იქცეოდნენ, რაც დიდ ზიანს აყენებდა სახელმწიფოს მმართველობის პრესტიჟს. ამ საუფლისწულოების გამო „აღდგა შფოთი მეფისა ერეკლეს სახლში ძმათა შორის“, რაც საქართველოს სამეფოს დაღუპვის მიზეზი გახდა.

ქვეყნის პოლიტიკურ სისუსტეს აღრმავებდა, აგრეთვე, ეკონომიკური სიდუხჭირე და უუფლებობა, რაც ფართო მასებს სამშობლოს ბედისადმი ერთგვარად ინდიფერენტულს ხდიდა. ეს განსაკუთრებით გამოჩნდა 1791 წ. საგლეხო კანონის შემდეგ, რითაც გლეხობა ერთობ შეწუხებულად გრძნობდა თავს, ამიტომაც 1795 წ., აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისას, იგი უხალისოდ ებმებოდა თავდაცვით საქმიანობაში და ფეხსაც ითრევდა. ამ მხრივ, მაგალითად, განსხვავებული ვითარება იყო არაგვის ხეობაში, სადაც ბატონყმობა არ არსებობდა. ამიტომაც, ცხადია, ამ გარემოებამაც განაპირობა ხეკსურების ენთუზიაზმი — შემოსეული სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმცაღა მათ კრწანისის ბრძოლას ვერ ჩამოუსწრეს.

ამგვარად, ფეოდალური პარტიკულარიზმი, დაბალი სოციალური ფენების, უმთავრესად გლეხობის, მძიმე მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობა, და ამის გამო ქვეყნის ბედიღბლისადმი მათი ინერტული განწყობილება უარყოფითად მოქმედებდა ქართლ-კახეთის თავდაცვითუნარიანობაზე, რაც კარგად გამოჩნდა ქართლ-კახეთის სამეფოზე აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისას.

ეს გარემოება მქონდა მე მხედველობაში, როცა ჯერ კიდევ 1930 წ. ვწერდი: „1791 წ. ქართლისა და კახეთის ცალკეულ ოლქებში მმართველებად დასმული იქნენ მეფის ძენი, ბატონიშვილები, რაც ფაქტიურად ქვეყნის ფეოდალური მმართველობისაკენ მიბრუნებას მოასწავებდა. ეს იყო რეაქციის ზეიმი, მით უფრო სახიფათო, რომ ეხლა მემკვიდრე ფეოდალების ნაცვლად ცალკეული პროვინციების მმართველობა იმყოფებოდა ბატონიშვილების ხელში, რომლებიც თავისი მდგომარეობით უფრო მეტად უპასუხისმგებლოები იყვნენ.

მოახლოებულმა რეაქციამ დაუყოვნებლივ თავი იჩინა საგლეხო საკითხში. იმავე წელს გამოცემული იქნა ბრძანება, რომელიც ისევ 30 წლამდე აგრძელებდა 1746 წლიდან არსებულ იმ გლეხთა ძებნის ვადას, რომლებიც იმალებოდნენ ან სხვა მემამულეებთან იყვნენ გადასული.

ამის შემდეგ, დოკუმენტების თანახმად, ნებადართული იქნა გლეხთა უმიწოდ და ცალცალკე გაყიდვა. ეს მოასწავებდა მობრუნებას

გლეხთა სრული უუფლებობისაკენ... ამ დამღუპველი პოლიტიკის შედეგები მალე გამოჩნდა. როდესაც სპარსეთის თავისი ძალაუფლების ქვეშ გამაერთიანებელი აღა-მაჰმად-ხანი 1795 წ. თბილისისა და საქართველოსაკენ ამ მხარეებში სპარსეთის სიუზერენული ძალაუფლების აღსადგენად დაიძრა, საქართველომ თითქმის ვერაფერი დაუპირისპირა მას, მიუხედავად სამზადისისა... კატასტროფა არ ყოფილა გამოწვეული მოჩვენებითი გულგრილობით ბატონიშვილებისა, რომლებსაც არც სურდათ და არც შეეძლოთ ყოფილიყვნენ საკუთარი მოხუცებული მამის მოღალატეები. კატასტროფის მიზეზი იყო ის გასაოცარი გულგრილობა სამშობლოს დაცვისადმი, რასაც ეხლა გამოხატავდნენ ხალხთა მასები“...

II. ქართლ-კახეთი და სპარსეთი კრწანისის ომის წინ (XVIII ს. 90-იანი წწ. პირველი ნახევარი)

1. მდგომარეობა სპარსეთში. აღა-მაჰმად-ხანი

1779 წ. გარდაიცვალა ირანის მბრძანებელი ქერიმ-ხან ზენდი, რომლის შემდეგაც ტახტს განაგებდა მისი ძმა ზუკე-ხანი. მალე ეს უკანასკნელი, როგორც სისხლიანი ტირანი, მოკლეს, დინასტიის წევრები კი ერთმანეთს დაერივნენ, ვიდრე 1795 წელს ირანის სათავეში დაყენებული იქნა ზუკე-ხანის 16 წლის შვილიშვილი დოუთ-ალი-ხანი. „იყო ესე დოუთ-ალი-ხან ჟამსა ამას ესრეთ მჯედარი და მჯნე რომელ მსგავსი მისი ყოველსა შინა სპარსეთსა არ იპოებოდა“ (დავით ბატონიშვილი).

ზენდელების დინასტიას სასტიკად ემტერებოდა თურქული ყაჯართა ტომის მეთაური, მაზანდარანის და ქ. ასტრაბადის მფლობელი აღა-მაჰმად-ხანი, მაჰმად-ჰასან-ხანის შვილი.

ყაჯარები იყვნენ ჯელაირის დინასტიის ხელქვეითი თურქული ტომი, რომელნიც XIII ს. ჩინგის-ყაენის შვილისშვილმა ჰულაგო-ყაენმა მოიყვანა ირანში. შემდეგში ყაჯართა ტომის ნაწილი გადავიდა მცირე აზიასა და სირიაში, თემურ-ლენგმა კი ყაჯრების 50 ათასი ოჯახი მოიყვანა ერევანს, განჯასა და ყარაბაღში, სადაც ისინი მომრავლდნენ. ყაჯართა ტომიდან იყვნენ ერევნისა და განჯის ხანები.

შაჰ-აბას I-მა განჯის მხარედან ყაჯართა 30 ათასი ოჯახი გადაასახლა ხორასანსა და ასტრაბადში.

სეფიანთა დინასტიის უკანასკნელი შაჰის თამაზის დროს 1720-იან წლებში ამ ყაჯართა მეთაური ფეტ-ალი-ხან ყაჯარი გახდა სპარსეთის ვეზირი (შაჰის ხელქვეითი მმართველი), მაგრამ ნადირ-შაჰმა ის მოაკვლევინა (1726 წ.). ამ უკანასკნელს დარჩა ორი შვილი — მაჰმად-ჰასან-ხანი და მაჰმად-ჰუსეინ-ხანი. 1759 წ. მაჰმად-ჰასან-ხანი თავისივე ნუქერების მიერ იქნა მოკლული.

ამ მოკლულ მაჰმად-ჰასან-ხანს დარჩა 6 ვაჟი, ამათგან პირველი ცოლისაგან: მურთაზ-ყული-ხანი, ალი-ყული-ხანი და იმამ-ყული-ხანი, რომლის შვილიც იყო აღა-მაჰმად-ხანის შემდგომი შაჰი ფეტ-ალი. მაჰმად-ჰასანის სხვა სამი ვაჟი — ჰუსეინ-ყული-ხანი, აღა-მაჰმად-ხანი და ჯაფარ-ყული-ხანი ერთი დედისაგან იყვნენ.

ამ ძმათაგან აღა-მაჰმად-ხანი ყმაწვილობაში დასაჟურისებულ იქნა. ერთი ცნობის მიხედვით, ნადირ-შაჰის (1736—1747) ბრძანებით, რომელმაც ამით, თითქოს, შური იძია მამის მაჰმად-ჰასანის ღალატის გამო, მეორე ცნობით კი აღა-მაჰმადი დასჯილი იქნა ადილ-შაჰის (1747—1748) მიერ სერალის (სასახლის) ჰარამხანის ქალთან ინტრიგის გამო.

აღა-მაჰმად-ხანს ებრძოდა მისი უფროსი ძმა, სხვა დედისაგან, მურთაზ-ყული-ხანი, რომელიც ჯერ კიდევ 1771 წელს ქერიმ-ხანის მიერ დანიშნული იყო ასტრაბადის ხანად. იმ დროს, როდესაც აღა-მაჰმად-ხანი ლუთფი-ალი-ხანის წინააღმდეგ სპარსეთის ტახტისთვის იბრძოდა, ზემოხსენებული მურთაზ-ყული-ხანი ტახტის პრეტენდენტი თავისი ძმის წინააღმდეგ მოქმედებდა და რუსეთს უკავშირდებოდა. 1792 წელს მურთაზა-ყულიმ თხოვნით მიმართა კავკასიის ხაზის სარდლობას, რუსის ჯარი ენზელში ჩაეყენებინათ, მაგრამ ეს ვერ მოხდა, რადგანაც რუსის დიდი ჯარის ირანში გაგზავნას აუცილებლად მოჰყვებოდა რუსეთის აშკარა ომი აღა-მაჰმად-ხანთან. მცირე ჯარით აღ-მაჰმად-ხანისაგან დაცვა კი სპარსეთის ტერიტორიაზე არ ხერხდებოდა.

1792 წელს რუსებმა მურთაზა-ყული-ხანი ზღვით ენზელიდან ბაქოში ჩაიყვანეს, 1795 წ. 30 აპრილს კი — ასტრახანს, სადაც მას ახლდნენ მისივე ოჯახის წევრები და მოხელე-მოსამსახურეები — სულ 70-მდე სული. მალე მურთაზა გადაყვანილ იქნა ყიზლარში, სადაც მას მის თანმხლებ პირთა შესანახად აძლევდნენ თვეში ათას მანეთს.

ჩრდილოეთ კავკასიაში მყოფი მურთაზა ითვლებოდა აღა-მაჰმად-ხანის კონკურენტად, რის გამოც ეს უკანასკნელი ცდილობდა ამ საფრთხის თავიდან აცილებას. ოსმალური წყაროებიდან ირკვევა, რომ აღა-მაჰმად-ხანს სურდა ერეკლე II-ის მეშვეობით და დახმარებით მურთაზა ხელში ჩაეგდო, რაზედაც ქართლ-კახეთის მეფეს 3—4 წლის განმავლობაში არაერთხელ მიმართავდა. ერეკლეც ყოველთვის ჰპირდებოდა დახმარებოდა აღა-მაჰმად-ხანს რუსეთთან ამ საკითხის მოგვარებას. სხვათა შორის, ოსმალური ოფიციალური წყარო აღა-მაჰმად-ხანის თბილისზე გალაშქრების მიზეზს სწორედ ამ გარემოებას თვლი-

და: აღა-მაჰმად-ხანი განრისხებული იყო ერეკლეზე, რომ მან თავისი დაპირებები მურთაზაზე არ შეასრულაო.

ამასობაში სპარსეთის ტახტისათვის ბრძოლა დიდი გაქანებით მიდიოდა ლუთფ-ალი-ხან ზენდსა და აღა-მაჰმად-ხან ყაჯარს შორის. ბოლოს, 1794 წ. აგვისტოში, აღა-მაჰმად-ხანმა აიღო ზენდების მთავარი რეზიდენცია ქალ. შირაზი და სასტიკად ამოწყვიტა მისი მოსახლეობა. 12 წლის ასაკამდელი შირაზელი გოგოები თავის ჯარს დაურიგა. იმავე ასაკის ვაჟები კი დაასაჭურისებინა. მალე ლუთფ-ალი-ხანიც შეიპყრეს და იმავე 1794 წ. საშინელი წამებით მოკლეს.

სპარსეთის მბრძანებლობა აღა-მაჰმად-ხანს დარჩა.

ჯერ კიდევ რუსეთ-ოსმალეთის მეორე ომი არ იყო დამთავრებული, რომ ერეკლემ რუსეთის მთავრობის წინაშე კვლავ დასვა საკითხი რუსეთის ჯარის 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე ქართლ-კახეთში გაგზავნის შესახებ. ამის საპასუხოდ გენ. გუდოვიჩმა კავკასიის ხაზზე მიიღო ეკატერინე II-ის 1792 წ. 18 მაისს ხელმოწერილი მითითება, რომ რუსეთის ჯარის გაგზავნა საქართველოში ახლა მიზანშეუწონელიაო.

ერეკლე მაინც არ ეშვებოდა რუსეთს. 1793 წლის 1 მარტს და 18 აპრილს იგი პეტერბურგში მყოფ თავის შვილს მირიანს სწერდა: აღა-მაჰმად-ხან ყაჯარი ძლიერდება, საქართველოს მეზობელი ხანების დამორჩილებას ცდილობს და თუ მან ამას მიაღწია, მაშინ შეეძლება საქართველოზედაც წამოსვლა და თავისი თავის შაჰად გამოცხადებაო: ამიტომ ერეკლე მირიანს სთხოვდა, გრაფ. პლ. ზუბოვის მეშვეობით (პლ. ზუბოვი ეკატერინე II-ის ახალი ფავორიტი და ფაქტიურად მთელი რუსეთის იმპერიის გამგე იყო) იმპერატრიცას გაეფრთხილებინა აღა-მაჰმად-ხანი, რომ საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშაა. თანაც ერეკლეს სურდა საქართველოსათვის მიეცათ მოზდოკის ხაზზე დარჩენილი ის ზარბაზნები ყუმბარებით, რომლებიც მას 1783 წლის ტრაქტატის შემდეგ ჰქონდა ნაბოძები და ჯერ არ მიეღო. ამ ზარბაზნების მიღების საკითხი ამის შემდეგაც რამდენიმეჯერ იყო დასმული, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ.

1793 წ. მირიანმა სათანადო თხოვნით მიმართა ეკატერინე II-ს და გრაფ. პლ. ზუბოვს, რასაც შედეგად მოჰყვა რუსეთის სამხედრო საბჭოს 1795 წ. 20 მაისის დადგენილება, რომლის თანახმადაც კავკასიის ხაზის უფროსს გენ. გუდოვიჩს მიუთითეს, რომ „უკეთუ აღა-მაჰმად-ხანი, მართლაც, გამოააშკარავებს მეფე ერეკლეს საზღვრებზე თავდასხმის სურვილს, მაშინ მან დააიმედოს ერეკლე მისი დიდებულების

უმაღლესი მფარველობით და სათანადოდ ჩააგონოს ხსენებულ ხანს რომ ის, გუდოვიჩი, მის ასეთ განზრახვას გულგრილად ვერ შეხვდება. გუდოვიჩმა მეზობელ ხანებს და თვით მეფეს აღმოუჩინოს, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, დახმარება, მაგრამ დიდი ხარჯების და დავიდარაბის გაუწევლად". გათვალისწინებული იყო ერეკლესთვის არტირელიის გაგზავნაც, „თუ მას ეს, მიცემული დაპირების თანახმად, მართლაც ერგება"-ო.

ფაქტიურად სამხედრო საბჭოს დადგენილება პლატონური დაპირების გარდა ქართლ-კახეთის სასარგებლოდ არაფერს შეიცავდა. ამიტომ ერეკლემ იმავე 1793 წლის 12 დეკემბერს პეტერბურგში მუდმივ მინისტრად და ელჩად გააგზავნა თავისი კარის ეშიკ-აღასბაში და ყაზახის მოურავი თავ. გარსევან ჭავჭავაძე, რომელიც 1794 წლის იანვარში პეტერბურგს ჩავიდა და შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას.

მაგრამ ვინაიდან რუსეთისგან ეფექტური სამხედრო დახმარების იმედი მაინც არ ჩანდა, ერეკლე და მისი მრჩეველები ახალ ღონისძიებებს მიმართავდნენ, რათა სპარსეთიდან მოსალოდნელ საფრთხეს მზად დახვედროდნენ.

2. ქართლ-კახეთის ორიენტაციის საკითხი

1783 წლის ტრაქტატის შემდეგ ქართლ-კახეთის მდგომარეობა ერთობ გაუარესდა. ქართველი მოწინავე წრეები ხედავდნენ, თუ როგორ თანდათან უარესდებოდა ადგილობრივი სახელმწიფოებრივი ცხოვრება. რუსეთმა ქართლ-კახეთს არ გაუწია რაიმე თვალსაჩინო სამხედრო დახმარება. ის ორი ბატალიონიც კი, რომელიც ტრაქტატის მიხედვით საქართველოში უნდა დარჩენილიყო, უკან გაიწვია და ქვეყანა წინანდელზე უარეს მდგომარეობაში ჩააგდო, რამდენადაც ქართლ-კახეთს რუსეთის გამო ახლა მეზობლებიც გადამტერებული ჰყავდა. ასეთ ვითარებაში შინაური ცხოვრების მოწყობაზე რაიმე ფიქრიც კი ზედმეტი იყო, მით უმეტეს, როცა რუსეთის იმპერია არც ამ მხრივ იძლეოდა რაიმე, თუნდაც მორალურ დახმარებას მაინც. ასეთ ვითარებაში, ცხადია, რუსეთთან კავშირის იდეას და მისადმი იმედს თანდათან გაუჩნდა ოპოზიცია, რომელიც ჯერ სუსტი იყო, მაგრამ შემდეგში ერთობ გაძლიერდა. ოპოზიცია კარგად ამჩნევდა რუსეთის იმპერიის გულგრილობას საქართველოსადმი, იმას, რომ პეტერბურგის მთავრობას საქართველო მხოლოდ მაშინ ახსენდებოდა, როდესაც რუ-

სეთის კასპიის ზღვაზე გაბატონების საკითხი წამოიწევდა ხოლმე წინ. ზემოხსენებული ოპოზიცია დამოუკიდებელ პოლიტიკის გატარებაზე ოცნებობდა. ამ იდეის მატარებელ ჯგუფს მეთაურობდა ვიცე-კანცლერი (საგარეო საქმეთა წამყვანი) სოლ. ლიონიძე, რომელიც, როგორც აღვნიშნავდით, ქართლ-კახეთში თავის დროს პრორუსული ორიენტაციის და ტრაქტატის თავგადმოდებული მომხრე იყო.

1790 წლიდან კი, პრორუსული ორიენტაციისადმი იმედის გაცრუების შემდეგ, სოლ. ლიონიძე უკვე რუსეთთან კავშირის მოწინააღმდეგე იყო და თვლიდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლად უნდა ეწარმოებინა თავისი საქმიანობა. ამავე აზრისა იყო ქართლის სარდალ-სახლთუხუცესი დავით ორბელიანი, რომელსაც ერეკლეს ასული ჰყავდა ცოლად. დავითი იყო გონიერი კაცი და მამაცი სარდალი. ანტირუსულ დასს ეკუთვნოდა დარეჯან დედოფალიც, რომელსაც ამ ხანებში დიდი გავლენა ჰქონდა ქვეყნის მართვა-გამგეობაში და აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკაში.

ამასთანავე ერთად არსებობდა უფრო მრავალრიცხოვანი ჯგუფიც, რომელიც ქვეყნის მოუწყობლობისა და არევდარევის გამო ერთადერთ გამოსავალს ისევ რუსეთთან კავშირში ხედავდა და მისგან მოელოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ხსნას. ამ, ასე ვთქვათ, რუსოფილურ ჯგუფში შედიოდნენ წინათ პეტერბურგში ელჩად მყოფი გარსევან ჭავჭავაძე, მისი სიმამრი ქაიხოსრო ავალიშვილი, ქსნის ერისთავნი, მემკვიდრის გიორგის სიმამრი გოგია ციციშვილი, რომელსაც წინათ ღალატისათვის ყურები ჰქონდა დაჭრილი და სხვანი. რუსეთის მოიმედეთა ჯგუფსვე ემხრობოდნენ სომხური სარწმუნოების გავლენიანი თავადები: თბილისის მელიქი დარჩია ბებუთაშვილი, თუმანიშვილები: მდივანი სულხან, ძმა მისი მდივანიდ მანუჩარ, სულხანის შვილი შიოშ და ზოგი სხვა დიდი მოქალაქეების მეტი ნაწილიც (ისინი თითქმის მთლიანად სომხები იყვნენ) აგრეთვე, რუსეთის ორიენტაციისა იყვნენ, ვინაიდან ერთერთი სახელმწიფო, რომელიც ოსმალეთ-სპარსეთის სომეხთა მდგომარეობის მოგვარების საკითხს აყენებდა, რუსეთი იყო.

ერეკლე II უფრო რუსეთის ორიენტაციისა იყო, მაგრამ ქვეყნის უკეთესი მერმისისათვის არც სხვა ძალას გამორიცხავდა.

ტახტის მემკვიდრე გიორგი, იმ ხანებში ავადმყოფური სიმსუქნით დასნეულებული და ამიტომაც მუშაობის უუნარო, რუსეთის მომხრე იყო, ვინაიდან დიდი ხანია გულუბრყვილოდ ფიქრობდა, რომ საქართველოს რუსეთისათვის გადაცემის შემთხვევაში ეს უკანასკნელი მას დიდ ნივთიერ კომპენსაციას მისცემდა. ამ აზრით ის აპირებდა მიემარ-

თა რუსეთის მთავრობისათვის 1799 წელს, ხოლო 1800 წელს მიმართა კიდევაც.

ზემონათქვამიდანაც ჩანს, რომ ამ მცონარა ადამიანის ტახტის მემკვიდრედ და შემდეგ მეფედ ყოფნაც საქართველოსთვის დიდი უბედურება იყო.

ამ დროს, ეს იყო 1794 წ., აღა-მაჰმად-ხანმა ელჩი გამოაგზავნა ერეკლესთან — ზიათ-ხანი, რომლის პირითაც მოსთხოვა — ერეკლეს რუსეთთან კავშირი გაეწყვიტა, სპარსეთის მფარველობა მიეღო. საამისოდ მძევლები გაეგზავნა და ნადირ-შაჰის ნაქონი ძვირფასი თვალი მიეცა.

თავდაპირველად, აღა-მაჰმად-ხანს უნდოდა ერეკლესთან ურთიერთობა მშვიდობიანი გზით მოეგვარებინა.

აღა-მაჰმად-ხანმა, ბაგრატ ბატონიშვილის სიტყვით, „აბირა მეფე მორჩილებასა და ზავსა ზედა და აღუთქვა რა მიცემა განჯის, ერევნისა, ყარაბაღისა, შაქისა, შირვანისა და მართებლობაცა ადირბეჯანისა (იგულისხმება არეზს გამღა თავრიზითურთ). თუმცა ღა სწადდა მეფესა ესე ვითარნი სასარგებლონი თავისასა ქვეყნისანი, გარნა, ვინადგან იყო ფიცითა ქრისტიანელთა შეკრულ იმპერატორიცა ეკატერინესადმი, არა ინება ტეხა ფიცისა, არამედ განემზადა ბრძოლისადმი მისისა". მალკოლმის მიხედვით, სპარსული წყაროც აღნიშნავს, რომ ერეკლემ უარი შეუთვალა აღა-მაჰმად-ხანს დამორჩილებაზე, რადგანაც იგი უკვე რუსეთთან იყო დაკავშირებული.

(საინტერესოა, რომ რუსეთთან ურთიერთობების და მისადმი მტკიცე ერთგულების საქმეში ერეკლე, როგორც თანამედროვენიც აღნიშნავდნენ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ერთმორწმუნეობას, რასაც ზოგჯერ ლამის ყველაზე სერიოზულ ფაქტორად მიიჩნევდა. ერეკლე იყო დიდად მორწმუნე ქრისტიანი. რუსეთისადმი ერთგულების ფიცს იგი ხატავდა წმიდათაწმინდა საქმედ და მის დარღვევას ან რამოდენადმე გადახვევასაც ვერაფრის გზით ვერ კისრულობდა. ამ საბედისწერო გარემოებამ ერეკლეს თითქოსდა ჩაუკლა კიდევაც რეალისტური აზროვნება და ის თავისი რელიგიური წარმოდგენების ტყვე გახდა. 1795 წელს ერეკლე მთიულეთიდან კავკასიის ხაზის უფროსს გენ. კნორინგს ჯერ წმიდათა ნაწილების თბილისიდან მთიულებში ჩამოტანის ამბავს აუწყებდა, შემდეგ კი თავისი ქონების, მათ შორის გვირგვინების, დაღუპვას.)

ერეკლეს მორწმუნეობაზე ერთგვარად მიგვანიშნებს ბ. ბუტკოვიც, რომლის სიტყვებითაც, ერეკლე თბილისის დაცვის საქმეში დიდ

იმედს ამყარებდა წმიდათა ნაწილებზე, რისთვისაც ერთაწმიდიდან წმიდა ესტატეს მკლავი ჩამოატანინა. ცხადია, ამგვარი სარწმუნოებრივი წყობის ადამიანს უჭირდა ერთმორწმუნე რუსეთის იმპერატორთან დადებული ფიცის, მისი წარმოდგენით, რელიგიური აქტის გატეხა, რაც, სხვათა შორის, სრულიადაც არ ეძნელებოდა მასავით ქრისტიან რუსთ ხელმწიფეს. ეს გარემოება უეჭველად ზღუდავდა ერეკლეს იმაში, რომ სათანადო ელასტიურობა გამოეჩინა სპარსეთთან ურთიერთობაში, როცა ეს აუცილებელი იყო და სხვა გამოსავალი არ ჩანდა. ამის უარყოფით შედეგებს შემდეგში, ეტყობა, ერეკლე თვითონაც გრძნობდა, რაც კარგად ჩანს, მაგალითად, მისი წერილიდან, რომელიც გაგზავნილია 1795 წ. 15 სექტემბერს მთიულეთიდან პეტერბურგში მყოფი შვილის მირიანისადმი. აღწერს რა თავს დამტყდარ უბედურებას, ერეკლე შენიშნავს: მე რომ რუსეთის კართან ფიცით არ ვყოფილიყავი შეკრული და აღა-მაჰმად-ხანს მოვრიგებოდი, ეს ამბავი არ დამემართებოდაო.

ერეკლეს პოლიტიკურ ორიენტაციასა და ტაქტიკაზე, უეჭველია, ისიც ასვამდა დაღს და, ალბათ, ეს უფრო მთავარი იყო, რომ მის წარმოდგენაში სპარსეთი და სპარსული, ეს იყო კულტურულად და ეკონომიკურად ჩამორჩენილი, ცივილიზაციის დაბალ დონეზე მდგომი სამყარო, რომლისგან განსხვავებითაც რუსეთი ევროპულად განვითარებული და უკეთესი ქვეყანა იყო.

აღა-მაჰმად-ხანის ულტიმატუმის მიღებისთანავე ერეკლეს კარზე საგანგებო თათბირი გაიმართა. მეფის ძე გიორგი სპარსეთის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მომხრე იყო, თვითონ კისრულობდა სპარსეთში წასვლას და თავისი შვილის დავითის იქ მძევლად დატოვებას. ეს აზრი არ გავიდა ჯერ ერთი იმიტომ, რომ ერეკლე მტკიცედ ადგა რუსეთის ორიენტაციას და გარდა ამისა დარეჯან დედოფალიც შიშობდა ამ გზით გიორგის გავლენა არ გაძლიერებულიყო. პლ. იოსელიანის სიტყვით, დარეჯანს ეფიქრებოდა, რომ სპარსეთში წასული გიორგი უკან არ დაბრუნებულიყო სპარსელების ჯარით და მამისივე სიცოცხლეში არ გამეფებულიყო. საერთო გადაწყვეტილებით, აღა-მაჰმად-ხანის მოთხოვნილება უარყოფილ იქნა და ერეკლემ, პლ. იოსელიანის სიტყვით, გამოუცხადა სპარსეთის ელჩს: „მრავალჯერ ვართ მოტყუებული სპარსთაგან, მრავლად მათგან ტანჯულნი. სარწმუნოება ჩვენი ვერ დაგვაკავშირებს სპარსეთსა. მიმიცია სიტყვა და წერილითა პირობა ვიყო კავშირითა მტკიცეთა შეკრული რუსეთის ხელმწიფესთან, რომელიც არის ერთი სარწმუნოებისა ჩემთან მქონი. ერთისა ეკლე-

სიისა შვილი, ერთისა ხმითა მადიდებელი ღვთისა. თვით სპარსეთმაც იცის ესე ადრითვე და წინა-მოადგილეთა ვექილთა (მმართველთა) სპარსეთისა. მე მყავს გვერდით ჯარი ჩემი და ჯარი რუსეთისა. მანამ ერევნიდან აქ მოვა ჯარი ყაენისა, ჯარი რუსეთისა უფრო ადრე შემოვა ტფილისს".

მიუხედავად მტკიცე პრორუსული პოზიციისა, როგორც ეტყობა, ერეკლეს რუსეთის დიდი იმედი არ ჰქონდა, ამიტომ მან ოსმალეთის მთავრობასაც მიმართა გაბლიერებული აღა-მაჰმად-ხანისაგან დაცვის მიზნით.

ერეკლეს საიდუმლოდ გაგზავნილი ჰყავდა თავისი კაცები, კერძოდ თავ. იოსებ ბებუთაშვილი, მაგრამ ოსმალეთის მთავრობამ თავი აარიდა მასთან რაიმე ლაპარაკს და ერეკლეს დამამცირებელი სახით უარიც კი შეუთვალა ბაღდადის ფაშის აგენტის მეშვეობით. მას პოლიტიკური მერყეობის გამოც უსაყვედურა და შეუთვალა, რომ რაკი ერეკლე რუსეთის ერთგულების გზას ადგას, ოსმალეთს არ შეუძლია მისი დაცვა იკისროს. ამრიგად, ცხადი იყო, რომ ოსმალეთი რუსეთის ამიერკავკასიაში გავლენის აღმოსაფხვრელად თვითონ აშკარად ვერაფერს იკისრებდა, მაგრამ არც იმის წინააღმდეგი იყო, რომ ეს აღა-მაჰმად-ხანს გაეკეთებინა ქართლ-კახეთის დათრგუნვისა და დამორჩილების გზით.

ცნობისათვის: როგორც აღვნიშნეთ, ერეკლემ სტამბულში მოსალაპარაკებლად გააგზავნა თავ. იოსებ ბებუთაშვილი (ეს იყო მეფის მინბაში, შემდეგ კი მისკარბაშიც). იოსებმა ექვსი თვე დაჰყო სტამბულში, სადაც ის ცხოვრობდა ათაბაგების ჩამომავლის ქართველ საბით-ფაშას ბინაზე, რომელიც 1796—1801 წლებში ახალციხის ფაშად იყო. „ხელმწიფის (სულთნის) კარზედა ექვსი თვე ჩვენთან იყო. დიდი და პატარა გავაცნობინე", სწერდა იოსებ ბებუთაშვილის შესახებ საბითი, უკვე ახალციხის ფაშად მყოფობის დროს, დარეჯან დედოფალს.

ერეკლეს დიპლომატიური ბრძოლების დეტალები, ჩანს, ცნობილი ხდებოდა აღა-მაჰმად-ხანისათვის, რომელიც თავის მხრივაც ქართლ-კახეთის შეთაურის წინააღმდეგ ენერგიულ ზომებს იღებდა. 1795 წ. იანვარში აღა-მაჰმად-ხანმა, ამას სერობი აღნიშნავს, გააგზავნა თავისი ელჩი კეისართან ვენასა და სტამბოლში და მოითხოვა, რომ როგორც ავსტრია, ისე ოსმალეთი არ გარეულიყვნენ საქართველოს საკითხში, რადგანაც ეს ქვეყანა იმთავითვე ირანის მორჩილი იყოო. სერობის ცნობით, როგორც ავსტრიის, ისე ოსმალეთის მთავრობები

ვახტანგ ბატონიშვილი

სათანადოდ დათანხმდნენ აღა-მაჰმად-ხანის თხოვნაზე. ცხადია, ამის შესახებ ერეკლეც შეიტყობდა.

საინტერესოა იმის გახსენებაც, რომ ერეკლეს მისიის ოსმალეთთან მოლაპარაკების შესახებ იმთავითვე შეიტყო რუსეთის სტამბოლელმა ელჩმაც, რომელმაც ეს ამბავი სასწრაფოდ შეატყობინა პეტერბურგს.

ამასთანავე, სავარაუდოა, რომ აღა-მაჰმად-ხანისაგან თავდაცვის მიზნით ერეკლე მოლაპარაკებას ცდილობდა არა მარტო ოსმალეთთან, არამედ ავსტრიასთანაც. მართალია, საამისო პირდაპირი ცნობა ჯერჯერობით გამოვლენილი არაა, მაგრამ ის ფაქტი, რომ 1795 წლის დასაწყისში აღა-მაჰმად-ხანმა სპეციალური ელჩი გააგზავნა ავსტრიაში ქართლ-კახეთის საკითხზე მოსალაპარაკებლად, ცხადჰყოფს, რომ ერეკლეს ამაზე ადრე უცდია ვენაშიც მოეძებნა დახმარება ქართლ-კახეთისათვის. ამითაც უნდა აიხსნებოდეს ის, რომ 1794 წლის ჩათვლით რუსეთის ხელმძღვანელებიც ერთგვარი უნდობლობით ეექცეოდნენ ერეკლეს. უკვე კრწანისის კატასტროფის შემდეგ, 1795 წ. 27 ნოემბერს, რუსეთის სომხების მთავარეპისკოპოსი იოსებ არღუთაშვილი (წარმოშობით საქართველოდან, ქართულის მცოდნე, გრიგორიოპოლიდან — უნდა იგულისხმებოდეს ოსმალეთის სომხების მიერ 1792 წელს დაარსებული ქალაქი) ერეკლეს სწერდა: „სანამ თქვენ ეს უბედურება გეწეოდათ, ბევრ პირს ვწერდი და ვეუბნებოდი (თქვენს სასარგებლოდ), მაგრამ მათ არ ჯეროდათ საქართველოს სამეფო სახლის გულწრფელობა. ეხლა კი მთელმა მსოფლიომ გაიგო, რომ ქრისტიანულად თქვენი ფიცის ერთგული ხართ, რადგანაც თვით თქვენი სამეფოს დაღუპვამდის შერჩით ამ ფიცს. ამიტომ ღმერთი და რუსეთის იმპერატრიცა თქვენს წმიდა გულწრფელობას უყურადღებოდ არ დასტოვებენ“.

ასეთი იყო ერეკლე II-ის დიპლომატიური ნაბიჯები აღა-მაჰმად-ხანის ნეიტრალიზების მიზნით, მაგრამ ამაოდ.. .

მაშინ ერეკლემ სცადა თავის დასაცავად ისევ რუსეთი გამოეყენებინა.

ამ დროს თბილისში ჩამოსული იყო კავკასიის ხაზზე გენ. გუდოვიჩთან თანჯიმნად მყოფი თავადი გარსევან ამილახვრისშვილი, რომელიც 1795 წლის თებერვალში ერეკლემ უკანვე დააბრუნა იმავე ხაზზე და თხოვნა გაატანა რუსებთან — დახმარებოდნენ მას სპარსელთა თავდასხმის მოგერიებაში. პლატონ ზუბოვი, რომელიც ამ დროს 66 წლის ეკატერინე II-ის ფავორიტი იყო და ფაქტიურად რუსეთის იმ-

პერიის საქმეებს განაგებდა (ის ამ დროს 28 წლის იყო, მაგრამ მას უკვე ჰქონდა უგანათლებულესი თავადის ტიტული და იმპერიის უმაღლესი ორდენები), გადმოგვცემს, რომ თავის მიმართვაში გენ. გუდოვიჩისადმი ერეკლე თხოულობდა მხოლოდ დახმარებას. ზუბოვი ამ დროს დაინტერესებული იყო საქართველოს და კავკასიის საკითხებით. ამილახვრისშვილი გენ. გუდოვიჩის დამატებითი ქაღალდით წავიდა პეტერბურგს. ამიტომ კავკასიის ხაზიდან წასული ამილახვრისშვილი პლ. ზუბოვმა პეტერბურგში მიიღო მაშინვე და მანაც ერეკლეს მიმართვა გაიგო, როგორც საზოგადოდ დახმარების თხოვნა. შემდეგში ამილახვრისშვილი ეკატერინე II-მაც მიიღო, რომელმაც გასცა მხოლოდ ასეთი განკარგულება, რომ შეეგროვებინათ რუსის ჯარი ყიზლარსა და მის მიდამოებში, რათა პირველი საჭიროებისთანავე შესაძლებელი ყოფილიყო მისი დაძვრა თბილისისაკენ. გენ. ქიშმიშევის აზრით, ეკატერინეს ბრძანებას საფუძვლად დაუდო თარჯიმნის შეცდომა. მიწერ-მოწერაში ერეკლეს შუამდგომლობა გაგებულ იქნა, როგორც საერთოდ დახმარების თხოვნა, ამიტომაც თბილისისაკენ ჯარის გაგზავნის ბრძანება ეკატერინეს არ მიუცია, ამას კი საბედისწერო შედეგი მოჰყვა ქართლ-კახეთისათვის.

ამ აქციის წარუმატებლობა იმანაც განაპირობა, რომ ერეკლეს მიერ გაგზავნილი ამილახვრისშვილი რთული დიპლომატიური საქმიანობისათვის შეუფერებელი პიროვნება იყო და პეტერბურგში სატრფიალო საქმეებში უფრო გამოიჩინა თავი.

ხელიდან იქნა გაშვებული რუსეთიდან კონკრეტული და ურთულეს საგარეო-პოლიტიკურ ვითარებაში აუცილებლად მისაღები დახმარების შანსი, მით უმეტეს, რომ პლ. ზუბოვი საქართველოს კარგი თვალით უყურებდა.

ამრიგად, ქართველები ფაქტიურად მარტოდმარტონი რჩებოდნენ ირანის კარსმომდგარი აგრესიის პირისპირ.

როგორი იყო ამ დროის ქართლ-კახეთისა და ირანის სამხედრო პოტენციალი? შევეხოთ ამ საკითხს.

*
* *

კრწანისის ომის სრულყოფილი გადმოცემა შეუძლებელია, თუ სათანადო წარმოდგენა არ გვექნება მაშინდელი ქართლ-კახეთისა და სპარსეთის შეიარაღებულ ძალებზე, მათ, ასე ვთქვათ, სამხედრო პოტენციალზე.

ქართლისა და კახეთის სამხედრო ძალა XVIII საუკუნის მთელ სიგრძეზე ცვლილებებს და წინსვლასაც განიცდიდა, თუმცა საქმე ევროპული წესის რეგულარული ჯარის შემოღებამდის არ მისულა.

მოლაშქრეთა გაწვევა, როგორც ეს ირკვევა ვახტანგ VI-ის დროიდან საკათალიკოზო, უკეთ, საეკლესიო გლეხების მაგალითით, შემდეგნაირად ხდებოდა: სრულ და კარგ საგლეხო საკომლოზე, რომელიც ადგილის მიხედვით 30—100 დღიურ მიწას მოიცავდა, უნდა გამოსულიყო ერთი ცხენოსანი მეომარი თოფით შეიარაღებული და საკუთარი ნუზლით. ნაკლები ღირსების და ღირებულების საკომლოს მქონე გლეხი კი უნდა გამოსულიყო ცხენით და შუბით, მცირემიწიანი ბოგანოები გამოდიოდნენ ქვეითად და ფარხმალით, ხოლო უფრო ნაკლები მიწის მქონენი — მშვილდისრით. მცირემიწიანი ბოგანოები იწოდებოდნენ ბოგანო-მოლაშქრეებად, უმიწონი კი — მარტივად ბოგანოებად.

ბრძოლისუნარიანი ყველა თავადი და აზნაური ლაშქარვალდებული იყო ცხენით და თოფით.

ზემოთ მოხსენიებული წყაროს მიხედვით, სულ ქართლის სამეფოში იყო საკათალიკოსო (მცხეთის საეკლესიო) გლეხების 616 საკომლო. თითო საკომლოზე, სხვა მაგალითების მიხედვით, ორთაშუა რიცხვით, იყო 2 კომლი. 616 საკომლოზე, მაშასადამე იჯდა 1232 კომლი, პლუს 250 კომლი ბოგანოები, სულ დაახლოებით 1480 კომლი. ამას უნდა მივუმატოთ საკათალიკოზო თავადიშვილები (გედევანიშვილები) და აზნაურები, მოსახლეობის დაახლ. 3% და, სამღვდელოებაც. ყველაფერი ეს გვიჩვენებს, რომ საკათალიკოზო 1558 კომლზე მოლაშქრეთა რაოდენობა შეადგენდა 976 კაცს, რომელთაგან მეთოფე, ცხენოსანი იყო 53,40% (ამათგან 11,3% თავადი და აზნაური, დანარჩენები გლეხთაგან), შუბოსანი ცხენოსნები 21% და ქვეითნი მეომრები 25,6% (ნახევარი ფარხმლით და ნახევარი მშვილდისრით).

ვახტანგის მმართველობის უკანასკნელ ხანაში, 1720 წლისთვის, ქართლის სამეფოს მოსახლეობა, სავარაუდებელია, დაახლ. 18 ათასი კომლი იყო. ამათგან ქალაქებში (თბილისი, გორი და მცირე ქალაქები) ცხოვრობდა დაახლ. 3500 კომლი; ამას უნდა მიემატონ მთის ოსებიც 2 ათასი კომლი. ისინი ყველა არ გაჰყავდათ ომში. ჯარი გამოჰყავდა დაახლ. 14 ათას კომლს 9 ათასი კაცის რაოდენობით, ამათგან დაახლ. 11,3% იყვნენ თავადები, აზნაურები და გლეხები: მეთოფე ცხენოსნები 42%, ცხენოსან-შუბოსნები 21% და 25,6% ქვეითნი (თანასწორად ფარხმლით და მშვილდისრით).

ვახტანგის შემდეგ ქართლის (და კახეთისაც) შეიარაღებულ ძალებში დიდი ცვლილებები მოხდა გაუმჯობესების მხრივ.

XVIII ს-ის პირველ ნახევარში ქართველების საომარი ტაქტიკა აღწერილი აქვს კახ-ბატონს თეიმურაზს 1736 წელს. მისი თქმით, ჯარი უნდა გამოყვანილი იქნას ოთხ რიგად, ანუ ოთხ სადროშოდ, რომელთაგანაც ყველას ჰყავს თავისი სარდალი დროშიანად. თითოეულ ასეთ რაზმში უნდა იყოს თორმეტი ათასი კაცი, რაც, რასაკვირველია, თეორიული ვარაუდია, თორემ ამოდენა ჯარის გამოყვანა XVIII ს-ში არა თუ ცალკეულ ქართულ სამეფოებს, მთელ საქართველოსაც არ შეეძლო. ბრძოლისას წინ იდგა მეწინავე რაზმი, უკან კი სამი სადროშო — მემარჯვენე, მემარცხენე და შუა — თვით მეფის სადროშო.

ამის შესახებ თეიმურაზ II წერს:

რაზმსა თვითოს წინ მეთოფე ქვეითი, ცხენიანია.
ქვეითს, ცხენიანს თავ-თავად ჰყავს მიჩენილი თავნია,
მეშუბარი უდგს უკანა, შეკაზმული აქვსთ ტანია,
და საომრად დამზადებული მოსაწონია ყმანია.
რა შეიქნას მტერი მტერზე ერთმანეთზე მიწეული,
ჯერ დასცლიან ზარბაზნებსა, ხმა აქვსთ ზეცას აწეული,
მერმე ესვრის ქვეითობა, ჩახმახი აქვსთ მოწეული,
და მასთან დასცლის ცხენიანიც მეთოფეცა გულად სრული.
ერთმანეთზე რა დასცლიან თოფს, შეუტევს მეშუბარი,
მეწინავეს სხვა დროშები ზურგს მოაბამს, ვით კლდე მყარი.
ვინცა ვარგა ვაჟი-კაცი, წინ მივიდეს, არ დამდგარი.
— და „თორმეტს შუბზე გარდაწყვეტა“ — უთქვაძსთ, დადებული არი.
გამარჯვებული შუბები თორმეტი გასტეხს მტერსაო,
რაკი გაიქცეს თვით მტერი, ვინ შეუნახავს ხელსაო.

(„სარკე თქმულთა“, სტრ. 705—708).

შემდეგში, 1735 წლის ახლო ხანებიდან, ეტყობა ოსმალთა ჯარის მიბაძვით, ქართველებსაც კახეთში, სადაც მაშინ ამისი მეტი შესაძლებლობა იყო, საჭიროდ უცვნიათ სამხედრო შეიარაღებასა და საბრძოლო ტაქტიკაშიც ცვლილებები შეეტანათ. ცხენოსნები იყვნენ თოფით, მაგრამ ქვეითებსაც თოფი ჰქონდათ.

ქუთათელი მიტროპოლიტი მაქსიმე 1769 წელს წერდა რუსეთის მთავრობას, რომ „იმერლები ხმარობენ ომში თოფსა, ხმალსა და შუბსა, იმ რიგათ, როგორც ოსმალნი შეიბმიან და ქვეითიცა და უფრო ცხენოსანიცა. ხალხი იქაური მამაცი, მეომარი და მორჩილი იქნება. ამის დროს ომის რიგი ასე ისწავლოს, როგორც ევროპიაში. თოფსა, ხმალსა და ტყვიას შოობენ ოსმალოს ქვეყნიდამ, ყიზილბაშიდამ და

ტფილისის ქალაქიდამ, თოფის წამალს თუმცა იმერეთშიაც აკეთებენ, მაგრამ უფროსი ერთი ამ ზემოწერილის ქალაქებიდამ ჩოობენ".

ქართლ-კახეთის გაერთიანების შემდეგ ერეკლე II ფიქრობდა შეექმნა რეგულარული ჯარი. ეს აზრი განსაკუთრებით აქტუალური გახდა 1769—1771 წლებში, როდესაც რუსეთის ჯარი გენ. ტოტლებენის, შემდეგ კი სუხოტინის მეთაურობით საქართველოში იმყოფებოდა. ერეკლემ მაშინ შეკრიბა ათასამდე კაცი და მათ ერთნაირი ტანისამოსი ჩააცვა, მაგრამ მათი შესაფერისი გაწვრთნა განსწავლული ოფიცრების უყოლობის გამო შეუძლებელი შეიქნა და საქმე ჩაიშალა. ამის შემდეგ მუდმივი ჯარის მაგივრად შეიქმნა ეგრეთწოდებული მორიგე ჯარი.

მორიგე ჯარი ნაწილობრივ შემოღებულ იქნა 1772 წელს, საბოლოოდ კი ის ჩამოყალიბდა 1774 წლის 1 იანვრიდან. სამეფოს მთელი სამხედრო ვალდებულნი გაყოფილ იქნენ, წელიწადის თვეების მიხედვით, 12 ნაწილად. მათგან ყოველ თვე თავისი რიგის მიხედვით გამოდიოდნენ საკუთარი ნუზლით და სამხედრო მოვალეობის შესასრულებლად დანიშნულ ადგილებში ცხადდებოდნენ. ჯარს ხელმძღვანელობდნენ მუდმივ ულუფასა და ჯამაგირზე მყოფი იუზბაშები (თურქულად ასისთავი), პენდსედები (სპარსულად ხუთასის თავნი) და მინბაშები (თურქულად ათასის თავები).

მორიგე ჯარმა დიდი სარგებლობა მოიტანა. ის ეფექტურად ებრძოდა ლეკთა თარეშს და ასე თუ ისე საშინაო ცხოვრებაში უშიშროების დამყარებას უწყობდა ხელს. ამ მხრივ დიდად ნაყოფიერი იყო ერეკლეს შვილის ლევან ბატონიშვილის მოღვაწეობა—ის დიდი უნარით უძღვებოდა მორიგე ჯარის ოპერაციებს, განსაკუთრებით ლეკთა თარეშების წინააღმდეგ. მაგრამ 1781 წელს 5 თებერვალს, ლევანის სიკვდილის შემდეგ, მორიგე ჯარი მალე დაიშალა და 1786 წელს, ბურნაშოვის ცნობით, ის ფაქტიურად არ არსებობდა.

1791 წელს ერეკლემ ბრძანა კვლავ აღედგინათ მორიგი ჯარი. ყოფილი სარდლის თავ. ივანე ორბელიანის 1803 წ. ცნობით, ერეკლე II-ის დროს (1791—1795 წლებში) ყოველ თვე გამოდიოდა 1500-მდე მორიგე, ზოგჯერ კი იწვევდნენ ორი ან მეტი თვის მორიგესაც, ვიდრე 7 ათასამდეც, სხვა დროს კი ამაზე მეტ ცხენოსანს და ქვეითს, სულ, მაშასადამე, 1723—1795 წწ. აღრიცხული მეომრების რაოდენობა ქართლ-კახეთის სამეფოში უნდა ყოფილიყო 18 ათასზე ოდნავ ნაკლები, 16—17 ათასი კაცი.

პოლკ. ბურნაშოვის (1778 წ.) სიტყვით (ქართლ-კახეთის სამე-

ფოში), ყველა კეთილშობილი და შეძლებული ჯარში გადის ცხენოსნადო. ჩემი იქ ყოფნისას ყველა სახის მეომრები იკრიბებოდნენ 6 ათას კაცამდე. მაჰმადიანებს, ყაზახელებს და შამშადილებს, რომელნიც საუკეთესო მეომრები არიან, რუსეთის მფარველობაში შესვლის შემდეგ მეფე, მათი გამოსვლების გამო, არ ენდობოდა, ამიტომ მათ ჯარში არ იწვევდა. ყაბარდოელები და ოსები (ერეკლეს) ჯარში ქირით ემსახურებიან, ასევე ლეკების ზოგიერთი გვარიც, რომელთაგან მეფეს მათი ერთგულების მიზნით მძევლები ჰყავს. შეიარაღებული არიან (ქართველები) უმეტესწილად თოფებით, დამბაჩებით, რომლებიც წელზე უკან აქვთ, მხრებზე მოგდებული აქვთ ჩანთა (იგულისხმება — სურსათისათვის. — ს. კ.), აქვთ აგრეთვე ხანჯალი და ხმალი. თვითონ მეფეც ასეა შეიარაღებული. უღარიბესნი გლეხთაგან, როდესაც ისინი ომში გაჰყავთ, კომბლებით არიან შეიარაღებულნი, კომბლებით იყო შეიარაღებული კახელი ქვეითი მეომრების ნაწილი ნიახურის ომშიც 1800 წ.

კომბალმა, ეტყობა, მოსახლეობის უღარიბეს ნაწილში შეცვალა მშვილდისარი. საომარ კომბალს ჩვეულებრივ ბოლო რკინით ჰქონდა შემაგრებული. ასეთი კომბალი ღონიერი და ცქვიტი მეომრის ხელში საშიში იარაღი იყო. 1939 წელს ვახანში ჩემს მიერ ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით, დაახლოებით 1770-იან წლებში შემდეგი ამბავი მოხდა: სამცხის ერთ-ერთი სოფლიდან წამოვიდნენ მამა-შვილები, სულ ექვსნი, რათა ხალხი დაეტყვევებინათ და შემდეგ გაეყიდათ. დედა არ უშვებდა 16 წლის მეხუთე ვაჟს, მაგრამ მან დაიჟინა და ისიც წაიყვანეს. მოხერხებულ ადგილას, სოფ. ვახანთან, ისინი ჩასაფრდნენ. უცებ გზაზე გამოჩნდა მხრებზე კომბალმოგდებული ახალგაზრდა, მხიარულად მოღუღუნე იმერელი. მის შესაპყრობად ჯერ გადაეშვა უფროსი ვაჟი, რომელმაც შესაშინებლად იმერელს ფეხებთან დაახალა დამბაჩა, მაგრამ ამ უკანასკნელმა მსწრაფლ მოუქნია მომხვდურს თავისი კომბალი, თავში დასცხო და იქვე გააგორა. ასევე ეძგერა იგი დანარჩენ მოთარეშე ქართველი მაჰმადიანის ხუთივე ვაჟს. ამის შემხედვარე მამა საფარიდან გამოვიდა და თავისით დანებდა იმერელს. აწი მე შინ ვეღარ დავბრუნდებიო, — მაგრამ იმერელმა უარი სთქვა მის წაყვანაზე — საჭმელი მე ჩემთვისაც არ მაქვს და შენ როგორ შეგინახოო. ამიტომ ცოცხლად დარჩენილ მამას ორივე ყური დააჭრა და გაუშვა. რუსების დროს ეს ყურებდაჭრილი მოხუცი დადიოდა დასავლეთ ქართლში, ყვებოდა თავის ამბავს, რის გამოც ამ ამბავმა ჩვენამდისაც მოაღწია გადმოცემის სახით.

როგორც მოხსენიებული იყო 1793—1795 წლებში მორიგედ აღრიცხული იყო დაახლ. 17 ათასი მეომარი. ამავე წლებში ქართლ-კახეთის სამეფოს მოსახლეობა შეადგენდა დაახლ. 42 ათას კომლს. ამას უნდა გამოაკლდეს თბილისის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, რომელიც ჯარში არ გაჰყავდათ (კერძოდ მოქალაქენი, სამაგიეროდ ისინი იხდიდნენ ფულად გადასახადს „მახტას"), თბილისშივე მცხოვრებნი „გარეშენი" და „ლუთები", ყველანი ესენი (მოქალაქენი, გარეშენი და ლუთები, ანუ ლოთები) იყო ოთხი ათას კომლამდის. ლაშქარვალდებულნი თბილისში მხოლოდ ათასამდის კომლი იყო. სალაშქროდ არ გაჰყავდათ სხვა ქალაქების მცხოვრებნიც, დაახლ. ათას კომლამდე. ასევე ბორჩალოს და ბამბაკის თათრები, ბამბაკის სომხები და მთიელი ოსები. ყველა ესენი შეადგენდნენ დაახლ. 20 ათას კომლს. რჩებოდა, მაშასადამე, ლაშქარვალდებული დაახლ. 22 ათასი კომლი. ამათ უნდა გამოვაკლოთ, აგრეთვე, თარხან-მსახურთა მუდმივი ჯარი დაახლოებით ათასამდის, თოფჩები 600-მდე და აზატი მეომრები, რომლებიც განთავისუფლებული იყვნენ მორიგედან. მაშასადამე, ლაშქარვალდებული მეკომურნი სულ უნდა ყოფილიყვნენ დაახლ. 21 ათასი, სინამდვილეში კი იყვნენ 17 ათასამდე, რადგანაც სალაშქრო ვალდებულებისაგან განთავისუფლებული იყვნენ დაჭრილ-ინვალიდები, უმიწო ღარიბები და სხვ. სულ დაახლ. 30 ათასი კაცი.

თავადიშვილნი და აზნაურნი ომში ყველანი ცხენით და თოფით გადიოდნენ. ისინი შეადგენდნენ მთელი მოსახლეობის დაახლ. 1,5%-ს.

კრწანისის ომის აღმწერის ალ. ორბელიანის სიტყვით, „მაშინდელს დროში საქართველოს ხალხნი სულ ჩინებული მეომრები იყვნენ, რადგან სულ ომში იყვნენ და ამის გამო ყუჩლას კარგი იარაღი ჰქონდათ. თათრის სამოურაო სოფლები კარგი ცხენიანი მეომრები გამოვიდოდნენ და ქართუჩლი სამი წილიდან ორი წილი ცხენიანი გამოვიდოდა და სხვა ქუჩვითი. ქიზიყიდგან და საგარეჯოს მხრიდგან სულერთიან ცხენიანი ჯარი გამოდიოდა. საქართუჩლოს ამ ცხენიანს ხალხსა, ყველას საუცხოვო ცხენები ჰყუანდათ".

მაშასადამე, ქიზიყისა და საგარეჯოს მხარის გარდა ქართლ-კახეთში 2/3 ჯარში გადიოდნენ ცხენით და ამ დროს (ვახტანგ VI-ის დროსაგან განსხვავებულად, როდესაც ცხენოსნების ნაწილი შუბებით იყვნენ) ყველას იარაღად ჰქონდა თოფი, დანარჩენი 1,3 კი იყვნენ ქვეითნი და, საგულისხმებელია, ფარ-ხმლით და შუბებით, ხოლო მცირედნი კომბლებითაც. ხოლო რადგანაც ქიზიყელები და საგარეჯოელები მთლიანად გადიოდნენ ცხენით (ისინი იყვნენ დაახლ. 3,5 ათასი კომ-

ლი), ამიტომ 17 ათას მორიგეთა შორის 12 500 საგულისხმებელი არიან ცხენოსნები და თოფით, ხოლო 4 500 კაცი ქვეითნი ფარხმალით და შუბებით (მცირედნი მათ შორის კომბლებითაც). ამ რიცხვს უნდა მიემატონ თავადიშვილები და აზნაურები, რომლებიც, როგორც მოვიხსენიეთ, ყველანი ვალდებული იყვნენ ჯარში გასულიყვნენ. კომლეულად ისინი იქნებოდნენ (პროცენტულად გადაანგარიშების დროს თბილისის და სხვა ქალაქების მოსახლეობაც უნდა ჩათვლილ იქნას, ე. ი დაანგარიშება საჭიროა 27 ათასი კომლიდან) 400 კომლი და ცოტა მეტი(?), რომელთაც შეეძლოთ 800 თოფიანი მეომრის გამოყვანა. ამათ უნდა მიემატოს მაშინდელი მსახურ-თარხანთა დაახლოებით ათასკაციანი ნახევრად-მუდმივი ჯარი და 600 თოფჩი. ამგვარად, ამ დროს ქართლ-კახეთს, თათრების და ოსების გარდა, რომელთა გამოყვანა ზოგ შემთხვევაში ნაწილობრივ შეიძლებოდა, ჰყავდა 600 თოფჩი, 13,5 ათასი ცხენოსანი თოფით, 4,5 ათასი ქვეითი, სულ 19 ათას კაცამდე. მთლიანად ამ რაოდენობის ჯარის გამოყვანა გაძნელდებოდა, მაგრამ დაახლ. 14—15 ათასი კაცის ფეხზე დაყენება სავსებით შესაძლებელი იყო. ამიტომ გასაგებია, უკვე აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ, როცა ერეკლემ კრწანისის ომში 2 ათასამდე კაცი დაკარგა, 1796 წელს რუსთა სარდლობის შეკითხვაზე, თუ რამდენი ჯარის გამოყვანა შეუძლია კიდევ მას, იგი 12 ათას კაცს ასახელებს.

ჯერ კიდევ თეიმურაზ II, როგორც ზემოთ ვაჩვენებდით, ომში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა არტილერიას. ერთი მისი დროინდელი, როგორც ეტყობა, თბილისში მისი სახელის წარწერით ჩამოსხმული ზარბაზანი ჩვენამდეცაა მოღწეული. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა არტილერიას ერეკლე II-ც. 1771 წელს მას ციხეების საალყო ზარბაზნების გარდა ჰქონდა 48 საველე ზარბაზანიც.

ამ ეპოქის ქართლ-კახეთის სამეფოს სამხედრო ძალებზე საყურადღებო ცნობა აქვს კაპიტან იაზიკოვს, რომელიც წერდა: „ქართველთა ლაშქარი იმ მხარეში განთქმულია როგორც მამაცი, უფრო კი მათი მეფეა ცნობილი ვითარცა მხედარი და წინამძღოლი. მას შეუძლია ველზე გამოიყვანოს თხუთმეტი ათასი ქვეითი და მხედარი, ნაწილი კი დატოვოს თავისი მიწაწყლის ლეკებისაგან დაცვის, თუ უფრო მეტი საჭიროების მიზნით. ოთხი ზარბაზანი დააქვს თან ლაშქარში. სროლა იქ ყველამ იცის, თოფიც ყველას აქვს და ომისათვის მუდამ მზად არიან. მეფე არასოდეს მიემგზავრება უდამბაჩოდ. დამბაჩა მას სარტყლის უკან აქვს, ხოლო როცა მტერი ახლოსაა, თოფი ჰკიდია მხარზე. თუ მტრისათვის დასარტყმელად წავა, იგი ხმალამოღებული

მიაჭენებს ცხენს, ვინაიდან უმისოდ მებრძოლები ასეთი აღტკინებით ვერ მიდიან“.

ქართული არტილერიის შესახებ საინტერესოა აგრეთვე 1786 წ. ცნობა პოლკ. ბურნაშოვისა, რომელიც წერდა: „ქართველების არტილერია მოძრაობს ხარებით და თუმცა ის არც თუ მთლად სწორად არის მოწყობილი და არც მთლად წესრიგშია, მაგრამ ის მაინც შიშის ზარს გვრის მეზობელ მტრებს, რადგანაც ამათ არ აქვთ საველე არტილერია. ახლა მეფეს 12 საკუთარი ზარბაზანი აქვს, ჩამოსხმული ტფილისში. თოფის წამალს თვითონვე ამზადებენ, მაგრამ პროპორციის უცოდინარობის გამო ძლიერ ცუდი ხარისხისაა.

ქართლ-კახეთის ჯარის შინაგანი განრიგის შესახებ იგივე პოლკ. ბურნაშოვი წერდა: ქართველებს ჰყავთ ქართლ-კახეთში სამი სარდალი (2 ქართლისა და ერთი კახეთისათვის), კათალიკოზს ჰყავს თავისი სარდალი, არიან მარჯვენა და მარცხენა ფრთის გენერლები (იგულისხმებიან ქართლის ზემოთ დასახელებული სარდლები), არის არტილერიის უფროსი თოფჩიბაში, მეფის უფროსი და უმცროსი ადიუტანტები მინბაშები, ანუ ათასისთავები, ხუთასისთავები, ასისთავები, ინაულები და ბედროშეები. თუმცა ისინი ყველა თანამდებობის პირნი არიან, მაგრამ არასოდეს იმყოფებიან თავის ადგილზე და ლაშქრობისას ყოველთვის მეფესთან ჯგუფდებიან. მათი ხელქვეითები ლაშქრობის დროს თავის ნებაზე დაეხეტებიან და ყოველგვარი წესრიგის გარეშე დგებიან. ამ უკანასკნელთა ბანაკი ჰგავს სავაჭროდ შეკრებილ გლეხთა შეყრილობას. არ გააჩნიათ არც მეწინავე რაზმები, არც ცალკე ყარაულები, ამიტომ ღამე არ იქნება, რომ ბანაკიდან ცხენებს და ზოგჯერ ადამიანებსაც არ იტაცებდნენ. თვითონაც ასე იქცევიან საკუთარი მტრის ბანაკის მიმართ. სურსათს წინასწარ არ იმზადებენ. ლაშქრობისას ყველას თან მიაქვს სურსათი შეძლებისდაგვარად, რის გამოც ხშირად შიმშილობენ, ზოგჯერ კი, თუმცა იშვიათად, (ბანაკში) სურსათი თბილისიდან მიაქვთ. ამიტომ ლაშქრობის დროს პურს და სხვა საკვებს სოფლებში კრებდნენ განურჩევლად და განრიგის გარეშე. სურსათის ნაკლებობაც იმის მთავარი მიზეზია, რომ მეფეს არ შეუძლია თავისი ჯარი დიდხანს გააჩეროს ველზე. სამხედრო სიმკაცრე და მორჩილება სრულებით არაა და ამიტომაც ჯარების ყოფნას და ლაშქრობას თავხედურ მოქმედებათა გამო, საკუთარი ქვეყნების აოხრებაც კი მოსდევს. ერთადერთი გასამრჯელო იმათთვის, ვინც ჯარში იმყოფება, დავლა და ნაძარცვია“.

ასეთი იყო ქართლ-კახეთის სამხედრო ძალები 1780-იან წლებში.

ისინი ბევრად არ განსხვავდებოდნენ მეზობელი ქვეყნების (ოსმალეთის ეარდა) სამხედრო ძალებისაგან.

სულ სხვა სურათს ვხედავთ იმავე ქართლ-კახეთში უკვე 1790-იან წლებში, როდესაც თეიმურაზ ბატონიშვილი (ცხადია, უმთავრესად დავით ბატონიშვილის გადმოცემის მიხედვით) 11 სექტემბრის დილისათვის კრწანისის ველზე ქართველების დისპოზიციაზე მოგვითხრობს და დასძენს: „ყოველთა მხედრობათა მეფისათა (ისინი განყოფილ იყვნენ ექვს გუნდად) იყვნეს ქვევითნიცა და ცხენოსანნიცა, დაწესებულ კანონიერად თვის-თვისთა მძღვანთა ჯელსაქვეშე“. ცალკე მდგარან საველე არტილერია და მსუბუქნი ზარბაზანნი“ (ე. ი. ზაიბურაკნი) „ყოველთა იყვნენ მხედრობათა მეფისათა“. მაშასადამე, კრწანისის ველზე ქართველთა ჯარი დაწყობილი იყო გუნდებად, რომლებიც შესდგებოდნენ „კანონიერად დაწესებულ“ „ქვეითა და ცხენოსანთაგან“, იყო, მაშასადამე, მწყობრები, რომლებსაც რაღაც წესით განლაგებული ჰქონდათ ზამბურაკებიც.

თბილისის კატასტროფიდან ხუთი თვის შემდეგ, 1796 წ. თებერვალში, ალექსანდრე და დავით ბატონიშვილები 3 ათასი კახელით და თათრებით გაგზავნილი იქნენ განჯის ასაღებად და იქიდან თბილისიდან წასხმული ტყვეების გასათავისუფლებლად. მარტში განჯას სამი ათასი კაცით მიადგა ყარაბაღის ხანი იბრაიმი, რომელსაც არ სურდა, რომ განჯაში მარტო ქართველები შესულიყვნენ. ამიტომ ქართველთა ჯარი თითქმის დაიშალა და უკანვე იქნა გამოშვებული.

იმავე წლის მაისში განჯას ახლა ერეკლე მეფე გაემართა 7 ათასი კაცით. თეიმურაზ ბატონიშვილი ერეკლეს ამ ლაშქრობის გადმოცემისას წერს: „ოდეს მოიწია გაზაფხული, მეფემან ირაკლი უბრძანა და წარავლინა ძის ძეი თვისი დავით მეწინავეთა მხედართა განჯას ზედა და შეუდგნა მას კუალად სხვათა მხედრობითა ძე თვისი ალექსანდრე, და მივიდნენ ასე მეფის ძენი განჯას და აიღეს ქალაქი განჯაი. წელსა 1796-სა, აპრილის 3-სა, დღესა ხუთშაბათსა.

მაშინ იბრეიმხან ყარაბაღისა მისრულიყო მახლობელად განჯისა და დასდგა ქურაქჩაისა მდინარესა ზედა, რომელი შორავს განჯასა ორისა მილითა, ე. ი. ათოთხმეტი ვერსითა. ხოლო ჯავადხან, ვინადგან სასახლეცა თვისი აქვნდა ციხესა შინა და ყოველნი სახლეულობანი მისნი ჰყვეს მისთანა, განამაგრნა მან ციხეჲ. ჰყვეს მას მეციხოვნენი გამოცდილნი და გულოვანნი და აქვნდა საჭმელთა სიმრავლე და საჴმართა ყოველთავე ციხისათა ადრიდგანვე მზადებულნი. გარე შემოზღუდნეს ციხეი მხედრობამან მეფისძეთამან. ხოლო იხილა — რა ხან-

შან ყარაბაღისმან იბრაიმ ესე, მოვიდა და დასდგა ერთ კერძო გარე ქალაქის განჯისა, ადგილისა, რომელსა ეწოდების იმაზადა. და არა მოვიდეს ესენი ბრძოლასა ზედა ციხისასა, ვინაიდგან იყვნეს ყარაბაღელნი ყოველნივე ცხენოსანნი მხედარნი და არა მკვირცხლნი და არცა აქვნდათ მათ ზარბაზანნი"...

„ამის შინა მოვიდა ყოვლითა მხედრობითა თვისითა მეფე ირაკლი და ჰყვეს თანა ძენი თვისნი, პირმშო და მემკვიდრე გიორგი და მისი ძენი იოანე და ბაგრატ. აქვნდეს კახთა მხედრობასა ურემნი მრავალნი საზრდოჲთა აღსავსენი და კაცნი მებრძოლნი ფრიად რჩეულნი და აქვნდა სახელველობა მხედრობასა მას და ურემთა მათთა ფრიად ზარის საცემელი მტერთა. ურემნი მათნი იყვნეს დიდ (ვითარცა არის ჩვეულებისამებრ) და ყოველსა ურემსა ებნეს თვითოეულსა ოთხ-ოთხნი ხარნი და კამბეჩნი თვითოეულსა ურემსა ზედა იყვნეს კაცნი ოროლნი თოფოსანი და სრულიად ყოვლითა საჭურველითა მკვირცხლითათა შეჭურვილნი. ხოლო ურემნი იგი იყვნეს ვიდრე რვა ათასადმდე (8. 000) და აქვნდათ ურემთა ზედა ყოველნივე საჭურველნი მოსახმარებელნი ციხისა აღებისათვის და იარაღნი. და გარდა ამისა, ჰყვეს მეფესა სხვანიცა კვალად უმეტესნი მხედარნი ქვეითაგან და რჩეულთა მხედრობათა ცხენოსანთაგანი მრავალნი.

ურემთა მათ აქვნდათ განწესებაჲ თვისი, თუ ვითარ და სადა, რომელსა კერძოსა შემთხვევისამებრ წინააღმდეგობისა და ადგილისა, დასდგებოდეს იგინი ბრძოლისა ჟამსა და თვითეული კაცი ურმისა მის წარვიდოდეს ბრძოლად პირის-პირ მტერთა. ხოლო თვითეულ დადგრებოდა ურემსა თვისსა და ოდესცა დაშვრებოდეს ბრძოლისაგან ბრძანებისამებრ მხედართ-მძღვანთა თვისთათა მოიქცეოდეს ურემთა მიმართ და სხვანი შესვენებულნი ურემთა მყოფნთ მოვიდოდეს ბრძოლად.

გარნა არცა ერთსა მებრძოლთაგანსა ძალ-ედვა თავით თვისით მიქცევა ანუ უკუნ-ქცევაჲ თვინიერ ბრძანებისა უფროსთა თვისთა. მაშინ ოდესცა უბრძანებდეს მათ მხედართ-მძღვანი. ხოლო ბანაკთა შინა აქვნდათ იგი გარემო ბანაკსა — გარემო მოხვეულნი, ვითარცა ზღუდე რაჲმე და ზედა-დასხმისაგან მტერთასა არა რაჲიმე აქვნდათ შიშნი.

ვითარცა მიეახლა მეფე განჯას, მოეგება მეფესა იბრეიმ-ხან და მიიღო იგი მეფემან შესაბამითა პატივისცემითა და შეიტკბო იგი ფრიად. ხოლო ვითარცა იხილა იბრეიმ-ხანმა ესეოდენი ძლიერება და დიდებული მისვლა მეფისა, დაუკვირდა ფრიად, და ვითარცა მძრწოლარე ეგრე იქნა ხილვასა მას ზედა მეფისა და მხედრობათა მისთასა".

ამ ცნობაში რიცხვი „სხვა ათასი ურემი“ აშკარად გაზვიადებულია. ამ ამბების დეტალური მცოდნის, რუსი პრემიერ-მაიორის ვერდერევსკის სიტყვით, ერეკლეს განჯასთან მიყვანილი ჰყავდა 7 ათასი კაცი, თეიმურაზის მიხედვით კი ისე გამოდის, რომ ქართველთა ჯარში უნდა ყოფილიყო მარტო ქვეითი (8 ათ. X 2) 16 ათასი, რაც, რასაკვირველია, გაზვიადებულია, შესაძლებელია თეიმურაზს მისმა ინფორმატორებმა მისცეს ცნობა, რომ ერეკლეს ჯარში იყო 8 ათასი კაცი, მან კი, შეცდომით ეს რიცხვი ურმების რაოდენობის მაჩვენებლად მიიღო. ვერდერევრსკის მიერ დასახელებული ჯარის რიცხვი (7 ათასი კაცი) უფრო რეალური ჩანს.

ჩვენი მსჯელობისათვის ზემოხსენებულ რიცხვითს მონაცემებს და ინფორმაციას ტაქტიკურ ერთეულთა შესახებ გარკვეული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან გვიჩვენებს, რომ 1788—1794 წწ. ერეკლეს სამხედრო სფეროში თვალსაჩინო ცვლილებები ჩაუტარებია.

ამასთანავე შექმნილა კარგად შეიარაღებულ და გაწვრთნილ თარხან-მსახურთა მუდმივი კონტიგენტი, დანარჩენ ჯარში კი ნაწილობრივ მაინც დამყარებულა სამხედრო დისციპლინა, რომელსაც ამყარებდნენ მინბაშები (ათასისთავები), ხუთასისთავები და იუზბაშები (ასისთავები). შეუქმნიათ, აგრეთვე, კარგი აღალი ურემ-საბარგულებით, სურსათის და იარაღ-საჭურვლის მარაგი და სხვ.

ჩანს, აღა-მაჰმად-ხანის დასახვედრად ქართლ-კახეთის ხელმძღვანელობა ემზადებოდა ყოველი ღონით, რის გაკეთებაც კი მოკლე დროში და მისი სამხედრო პოტენციალის შესაბამისად იყო შესაძლებელი.

აღსანიშნავია, რომ ქართლ-კახეთის მესვეურები სამხედრო ძალების რეორგანიზაციისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ საარტილერიო საქმის გაუმჯობესებას. ეს თვით ერეკლე II-ის ინიციატივა იყო; თუ ამ საქმეში თავისი წილი მიუძღოდა მეწინავე (პირველ) სარდალს დავით ორბელიანს, არა ჩანს.

XVIII საუკუნისათვის არტილერიის თავისებური მასწავლებლები წინა აზიისა და კავკასიისათვის იყვნენ ამ დროს ორი მაშინდელი მთავარი სახელმწიფო მსოფლიო ასპარეზზე — ინგლისი და საფრანგეთი. ასე მაგალითად, ლუთფ-ხან ზენდს არტილერიის ინსტრუქტორებად ინგლისელები ჰყავდა, აღა-მაჰმად-ხანს კი ფრანგი სპეციალისტები. ერეკლე II-ს ამ დროს ჰქონდა ჯერ ათი, შემდეგ კი თხუთმეტ ზარბაზნიანი არტილერია. ჩვენში ზარბაზნები, ისე როგორც სპარსეთში, ხარებით დაჰქონდათ. არტილერიის მომწყობი იყო რუსეთში საარტილერიო საქმეში განსწავლული თაუ. პაატა ანდრონიკაშვილი, რომელიც აქ

არტილერიის უფროსი (თოფჩიბაში) იყო. ეს არტილერია თავდაპირველად რუსულ წესზე იყო მოწყობილი. თოფჩიბაში იწოდებოდა მაიორად, შემოვიდა აგრეთვე წოდებულებანი აფიცერი, შარჟანტი. იმ ხანებში არტილერიაში ორასამდე კაცი მსახურობდა, რომელთა შორისაც ქართველების გარდა იყო რუსი დეზერტირების, ანდა ტყვეობიდან გამოსყიდული რუსების ნაწილი. სულ ასეთი რუსები 1795 წელს ქართლ-კახეთში 375 კაცს შეადგენდნენ.

ასეთი იყო არტილერიის ოდენობა ქართლ-კახეთში 1792 წლამდე, მაგრამ როდესაც ამ წელს რუსეთმა უარი თქვა ერეკლესთან თავისი ჯარის გამოგზავნაზე, ამ უკანასკნელმა, ეტყობა, ახალი ღონისძიებები ჩაატარა არტილერიის გასაუმჯობესებლად. ეს იქიდან ჩანს, რომ კრწანისის ველზე საველე ბატარეა უკვე 19 ევროპულ ზარბაზანს ითვლიდა. თანაც თბილისის ციხის არტილერისტებიც ინგლისური წესით ყოფილან გაწვრთნილნი (სერობის ცნობა).

ზემოთ მითითებულიდან ჩანს, რომ ჩვენში სამხედრო საქმეში შემოსულა ინგლისური გავლენა. ეს გარემოებაც, რომ ერეკლეს, ეტყობა, თავისი არტილერიის გარდაქმნაში ინგლისელები უნდა გამოეყენებინა, თავის მხრივ დიდად აღაშფოთებდა აღა-მაჰმად-ხანს, რომელიც ფრანგებთან იყო დაკავშირებული, და რუსეთსაც, რომელიც უკმაყოლო იქნებოდა იმით, რომ მისმა ხელდებულმა ერეკლემ ინგლისელები გამოიყენა. როგორც ეტყობა, რუსეთიდან დახმარების შესახებ უარის მიღების შემდეგ ერეკლეს ურთიერთობა დაუმყარებია ირანის გამგებელ ლუთფ-ალი-ხანსა და მის მართველობასთან, რასაც შედეგად მოჰყვა ევროპულ წესზე არტილერიის მოწყობა და ინგლისელი ინსტრუქტორის მოყვანა თბილისში. მართალია, თბილისში ადრეც ჰქონდათ ზარბაზნების ჩამომსხმელი ქარხანა, მაგრამ ახლა მათი დამზადება ევროპული ქვემეხების მსგავსად დაუწყიათ. უკვე ამ დროს ქართველი თოფჩიბაში პაატა ანდრონიკაშვილი ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ ერთი მაიორის ნაცვლად ახლა უკვე იხსენიება ორი — პრემიერ-მაიორი, ე. ი. პირველი მაიორი (ფრანგულად) და სეკუნდ-მაიორი, ანუ მეორე მაიორი (ფრანგულადვე). პრემიერ-მაიორი იყო გაბრიელ არეშიშვილი, რომელიც წინათ რუსეთში ნამყოფი იყო და იქ სწავლობდა საარტილერიო საქმეს, მაგრამ, ეტყობა, არტილერიის ინგლისურ წესებსაც იცნობდა. ამავე ხანებში სეკუნდ-მაიორად იყო თავ. გიორგი გურამიშვილი. მასაც არტილერიის საქმე რუსეთში ჰქონდა ათვისებული და იგი ქართული საველე არტილერიის მესვეურებისთვისაც უნდა ესწავლებინა. ინგლისურ წესსზე განსწავლა კი უფრო 1790—1794 წლებ-

ში უნდა მომხდარიყო. ქართული არტილერიის ევროპულად მოწყობის საქმეში მონაწილეობდა, აგრეთვე ავსტრიელი გერმანელი ოსიპ გეტინგი, რომელიც 1784 წელს 17 წლის დავით ბატონიშვილის მასწავლებლად იქნა მოწვეული. მან იკისრა ქართული არტილერიის რეორგანიზაციაში მონაწილეობაც. 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს გეტინგი დაჭრეს, იგი ტყვედ ჩავარდა და წაყვანილ იქნა თეირანში. აღა-მაჰმად-ხანმა მას წინადადება მისცა სპარსეთის სამსახურში შესულიყო, მაგრამ მან უარი განაცხადა. იგი უკანვე დაა-ბრუნეს საქართველოში, სადაც 1796 წელს ერეკლემ იგი დანიშნა არ-ტილერიის კაპიტნად. ქართლ-კახეთში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ გეტინგი ერთხანს მესაათეობას ეწეოდა, შემდეგ კი დავით ბატონიშვილის მიწვევით პეტერბურგში გადასახლდა.

ოსიპ გეტინგი ამასთანავე იყო შესანიშნავი მხატვარი. მას ეკუთვნის ერეკლე II-ის, დარეჯან დედოფლის და ზოგი სხვა პირის, კერძოდ, გიორგი XIII-ის საუკეთესო სურათები.

საარტილერიო საქმის რეორგანიზაციაში გეტინგის გარდა სხვა პირიც ღებულობდა მონაწილეობას, მაგრამ მისი ვინაობა არ ვიცით.

როგორც აღვნიშნავდით, 1780-იან წლებში ქართლ-კახეთის არ-ტილერიის ხელმძღვანელი (თოფჩიბაში) იყო რუსეთში სწავლამიღებული თავ. პაატა ანდრონიკაშვილი.

ს. ქიშმიშევი 1795 წლისათვის ქართული არტილერიის უფროსად რუსეთშივე ნასწავლ თავ. ამატუნს ასახელებს. მართალია, ეს ამატუნი სხვაგან არ იხსენიება, მაგრამ მისი თოფჩიბაშობა გამორიცხული არაა. გიორგი XIII-ის დროს თოფჩიბაშს უკვე ეწოდებოდა რუსეთის გზით შეთვისებული გერმანული სახელწოდება — ფელდცეიხმეისტერი. ამ თანამდებობაზე მაშინ (ალბათ ამათუნის შემდეგ) იოანე ბატონიშვილი იყო.

როგორც მივუთითებდით, ერეკლე არტილერიას ბრძოლის ველზე გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა. მის ამ აზრს კარგად გადმოსცემს მეფის მიერ 1795 წ. ქეშიკჩიბაშის იოანე აბაშიძესთან გაგზავნილი წერილი: „შენ ხომ იცი, ჩვენ ჯარში ყოფნა როგორ გვინდა. ჩვენი სარქარდობა აქედან ამას ში[ნ]ჯავს, თუ ისინი გამოვიდნენ და ომი მოუხდესთ, თქვენ მინდორზე შებმას ეცადენით. კინკლაობასა და იმათსავით თოფების მიშველებასა და ისე შებმას დაეხსენით. თქვენ ერთიანათ თქვენის ძალით, ღვთით, მიაწექით და ზარბაზნები წინ მიიძღვანეთ. ქვეითი კაცი იბრეიმ-ხანსაც ბევრი ეყოლება. ცხენოსანიც რომ დააქვეითოთ და ისე მიხვიდეთ, ზარბაზნებიც წინ მიიძღვაროთ

და ომი ზარბაზნებს დააცალოთ. ჩვენი გონება ამას უმჯობესათ ხედავს. რომ, ღვთით, ამ გზით შეებათ. ჩვენ ეს სიტყვა მირზა გურგინასაც დავაბარეთ, რომ იბრაიმ-ხანს მოახსენოს და ეხლა შენთვისაც ეს მოგვიწერია, თქვენ რომ არ აუჩქარდეთ, დააცალოთ, ისინი თქვენზე ძოიყვანოთ და თქვენ იმათზე არ მიხვიდეთ ისი სჯობს, რომ ისინი თქვენზე მოსვლით დაღალოთ და ღვთით თქვენ იმ დაღალულს ერთიანათ შეებათ. ისინი აქეთ-იქიდამ ტანებას დაგიწყებენ, თქვენ ზარბაზნის სროლის მეტს ნურას იქთ. ისინი ამაში რომ დაიღლებიან, მასუკან ერთიანათ მიაწევით და, ღვთით, თან გავიტანთ".

ამ ტაქტიკას ადგა, როგორც ვნახავთ, ერეკლე კრწანისის ომშიც.

ქართლ-კახეთის საბრძოლო აქციებში ხშირად დაქირავებული ჯარები და მეზობელი ქართული სამეფოების ლაშქარიც მონაწილეობდა ხოლმე.

ასე, მაგალითად, ყარყუთა-კრწანისის ომში იმერლებიც მონაწილეობდნენ. იმ ხანებში იმერეთს კომლზე ერთი კაცის გაწვევით სალაშქროდ შეეძლო გამოეყვანა 15 ათასი მეომარი, ოდიშის მთავარს — 10 ათასი, გურიისას — 3 ათასი.

იმერეთის ჯარი, მებრძოლთა პირადი მამაცობის მიუხედავად, ტაქტიკური მომზადებითა და ორგანიზებულობით ქართლ-კახეთის მხედრობის საუკეთესო ნაწილებს ერთობ ჩამოუვარდებოდნენ.

*

* *

ჯერ კიდევ მაშინ, როცა აღა-მაჰმად-ხანი ებრძოდა ტახტის კანონიერ პრეტენდენტს ლუთფ-ალი-ხანს, ყაჯართა ბელადთან მყოფი კონფიდენტის (აგენტის) ცნობით (ცნობა ეკუთვნის 1791 წელს), აღა-მაჰმად-ხანის ლაშქარი ითვლიდა 45 ათასამდე კაცს, რომელთაგან 25 ათასამდი ჯამაგირს იღებდა, დანარჩენები კი უჯამაგიროდ იყვნენ და სამხედროებს არ ეკუთვნოდნენ. ქვეითებს ჰქონდათ მეტწილად პატრუქიანი თოფები, ცხენოსანი ჯარი კი ჩახმახიანი თოფით იყო შეიარაღებული. დიდი ზომის თუჯის ზარბაზანი გააჩნდათ შვიდი, მათ სამბორბლიანი ლაფეტები ჰქონდათ და ბორბლები ღერძთან ერთად ტრიალებდნენ. თითო ზარბაზანს უბამდნენ ოთხ წყვილ ხარს, ორ ზარბაზანზე ჰქონდათ ერთი ყუთი ყუმბარები. ჰყავდათ, აგრეთვე, 50 აქლემი. ისე რომ, თითო მათგანზე იდგა ორ-ორი ზამბურაკი (ე. ი. მცირე ზარბაზანი, ფალკონეტი), რომელთაც სათითაოდ ჰყავდათ მსროლელე-

ბი. სურსათის მუდმივი მარაგი არ გააჩნდათ, გაგზავნილნი პირნი სოფელ-სოფელ კრებდნენ პურს და აწვდიდნენ მას ლაშქარს.

ერთ-ერთ ბრძოლაში აღა-მაჰმად-ხანი სასტიკად დამარცხდა და მთელი თავისი შეიარაღებაც დაკარგა. დაახლოებით ასეთივე ძალით იყო აღჭურვილი ჯარი აღა-მაჰმად-ხანისა 1795 წლისათვის, როცა ის უკვე მთელი ირანის ბრძანებელი იყო.

მალკოლმის სიტყვით, აღა-მაჰმად-ხანის ლაშქარი მისი შაჰობის დროს შედგებოდა არარეგულარული ცხენოსანი და ამგვარივე ქვეითი ჯარისაგან. მას ჰქონდა რამდენიმე მძიმე ზარბაზანი და ზამბურაკი, ანუ მცირე ზარბაზანი, რომლებიც აქლემებით დაჰქონდათ.

სამხედრო ორგანიზაციის მხრივ იმდროინდელი სპარსეთი აშკარად ჩამოუვარდებოდა ქართლ-კახეთს. გარდა ამისა, სერობის ცნობით, აღა-მაჰმად-ხანის ჯარში, როდესაც ის თბილისზე მოდიოდა, იყვნენ მშვილდ-ისრით შეიარაღებულნიც, ქართველები კი ამ დროს მშვილდ-ისარს აღარ ხმარობდნენ. ამასთანავე ქართველებს ჰყავდათ მუდმივი ჯარისმაგვარი მსახურ-თარხანთა ლაშქარი და ჰქონდათ ძლიერი საველე და საციხო არტილერია. აქედან ჩანს, რომ იმჟამინდელი ქართლ-კახეთის სამხედრო ორგანიზაცია გაცილებით მაღალ დონეზე იდგა, ვიდრე სპარსეთისა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ქართლ-კახეთის სამეფო მცირე ქვეყანა იყო, რომლის დაცვა თავის ზურგზე გადაჰქონდა სულ რაღაც 22 ათას კომლს, ე. ი. დაახლოებით 150 ათას. ორივე სქესის ქართველს.

III. ომი

1. ქართლ-კახეთის სამეფო იმზადება ირანის აგრესიისგან თავის დასაცავად

შეიტყვეს თუ არა ქართლ-კახეთში, რომ აღა-მაჰმად-ხანი სალაშქროდ უნდა დაძრულიყო, ერეკლე II-მ ჯარების შეკრება გადაწყვიტა. ანგარიშობდნენ, რომ ქართლ-კახეთიდან მოგროვდებოდა 36 ათასი მოლაშქრე, ყაზახ-ბორჩალოდან და შამშადილიდან 10 ათასი, ამდენივე იმერეთიდან. ამასთანავე აპირებდნენ დაქირავებული ჯარის მოყვანას დაღესტნიდან, რომლის თავკაცებთანაც საგანგებოდ წინდაწინვე მოლაპარაკება იყო გამართული.

სამწუხაროდ, რეალურად, ჯარი ძალზე ცუდად იკრიბებოდა: ისე რომ, აგვისტოს ბოლოს თბილისში თავი მოიყარა სულ რაღაც ორი ათასმა მეომარმა. მხოლოდ იმერეთის მეფემ სოლომონმა მოიყვანა ნაწილ-ნაწილ 4 ათასი კაცი.

იმერთა მიერ თანამოძმეებისადმი დახმარების საკითხი იმთავითვე დაიხვა სოლომონ II-ის კარზე მოწვეულ თათბირზე, სადაც ზურაბ წერეთლის გარდა ყველა იმ აზრისა იყო, რომ დაუყოვნებლივ მიშველებოდნენ ერეკლეს.

ზოგიერთი მერყევი პიროვნების გასანეიტრალებლად სარდალმა ქაიხოსრო წერეთელმა იმერთა თათბირს წარუდგინა ზაქარია ანდრონიკაშვილის შემდეგი შინაარსის წერილი: მეფე ერეკლეს მოღალატეები გამოუჩნდნენ, აქ ხელს უშლიან, გააფრთხილეთ სოლომონ მეფე, რომ ამ პირთ მანდაც ხელი არ მიაწვდინონ და საქართველო არ დაიღუპოსო. ამ ხელის შემშლელთა ბრალი იყო, რომ სოლომონ მეფემ მარტო 2 ათასი იმერელი წაიყვანა, რის შემდეგაც მას ახალი ჯარი იმერეთიდან აღარ მისვლიაო („კვალი", 1895 წ. № 40).

ეს ცნობა ზუსტი არ უნდა იყოს. დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ იმერლების ჯარი ქართლში ნაწილ-ნაწილ შემოდიოდა და სულ ოთხი ათასზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. თბილისის მელიქის შვილის (შემდეგში მელიქის) დარჩია ბებუთოვის (ბებუთაშვილის)

მიერ 1795 წლის 30 ივნისს თბილისიდან გაგზავნილ ერთ კერძო წერილში ვკითხულობთ: „ბატონიშვილი ალექსანდრე [ჯარით] ხომ დიდი ხანია გოგჩაზე ბრძანდება და ახლაც მისი უგანათლებულესობა ბატონიშვილი იულონ და მუხრანის-ბატონი, ამილახვერი, — ეს სარდლები უმაღლესობამ გამოისტუმრა. არტილერიაც სრულის ძალით გამოდგა. ღვთით და უმაღლესობის დოვლათით ვნახოთ, რას იმოქმედებს. გუშინ განჯიდამ კაცი მოვიდა ჯავათ-ხანისა, რომ აღა-მაჰმად-ხან ყარაბაღში მოვიდაო. ეს საეჭვო არის, სარდალი კი იქნება, რომ მოსულიყოს. აქ დიდრონი ჯარები იყრება. პირიქით ლეკის ჯარი სულ ხვალ ან ზეგ შემოვა და იმერელიც ახლა ქართლს მოსული იქნება“.

ლეკები სინამდვილეში არ მოსულან, რადგანაც, ჩანს, მათთან მოლაპარაკება ჩაიშალა და თანაც აღა-მაჰმად-ხანიც ცდილობდა მათ გადმობირებას და ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმას (თითო კაცზე ჰპირდებოდა ათ თუმანს).

1795 წლის 18 ივლისს, ერთი საბუთის მიხედვით, ერეკლე გახარებული იყო, რომ ალექსანდრე ბატონიშვილმა მოახერხა და ელი ჩამოიყვანა. ამით მისი მდგომარეობა ერთგვარად უმჯობესდებოდა, რამდენადაც ყაზახის და ყარაბახის ხალხი შიმშილს უჩიოდა და საჭირო იყო მათი მდგომარეობის ერთგვარი შემსუბუქება.

ამ დროს იმერეთის მეფე სოლომონიც გორს უნდა ჩამოსულიყო. მან ერთგვარად შეიგვიანა, იმიტომ, რომ მას უნდა წამოჰყოლოდა დადიანიც, მაგრამ იგი წყალდიდობამ შეაჩერაო.

იმერეთის სარდალი ქაიხოსრო წერეთელიც ათას ხუთასი კაცით უკვე ფცასთან იყო ჩამოსული.

რამდენიმე სიტყვით, სოლომონ II-ის დამოკიდებულებაზე ლიხთიქითა მთავრებთან.

წინა წელს სოლომონ II-მ გადააგდო ოდიშის მთავარი გრიგოლ დადიანი (ერეკლეს ძის გიორგი ბატონიშვილის სიძე), რომლის მაგივრადაც დადიანად დასვა ძმა მისი მანუჩარი. გრიგოლ დადიანმა მოიყვანა აფხაზები და სვანების ჯარი და მათი დახმარებით კვლავ დაიბრუნა მთავრობა. მაშინ სოლომონი თავისი ჯარით ჩავიდა ოდიშში და დაამარცხა გრიგოლი, რომელიც ოჯახიდან მაშინ ოსმალთა ხელთ მყოფ ფოთში გაიქცა. მანუჩარი კვლავ გადადიანდა.

იმავე 1794 წელს სოლომონ II-მ გურიის მთავარი ვახტანგიც გადააყენა და მის მაგივრად მთავრად გამოაცხადა მცირეწლოვანი მამია, რომელსაც აღმზრდელად და მეურვედ ქაიხოსრო გურიელის ძე მიუჩინა.

ამგვარად, იმერეთში მდგომარეობა დაწყნარებული არ იყო. ყოველ დღე შეიძლებოდა რაიმე ახალი მტრული გამოსვლები. ამიტომ ქუთაისის ქვემოთ მდებარე იმერეთიდან ჯარის ერეკლესთან წამოყვანა არ მოხერხდა.

იმერეთის ჯარი, როგორც ეტყობა, ივნისის ბოლოდან ქართლში ნაწილნაწილ შემოდიოდა, ივლისის ბოლოს კი თბილისში სოლომონ მეფე ორი ათასი კაცით მოვიდა. ამ რიცხვს ასახელებს იმერთა ჩამოსვლისა და მათთან შეხვედრის მოწმე არტემ არარატელიც, რომლის ცნობითაც, იმერლები ორი ათასიც არ იყვნენ. თბილისელები კი, მისივე სიტყვით, ამბობდნენ: იმერლები რვა ათას კაცამდე მოვიდნენო. აქ იგულისხმება იმერთა მთელი ჯარი, ისინიც, ვინც ადრეც ჩამოვიდნენ.

ერეკლე თავის შვილიშვილს ქალაქგარეთ შეეგება, ცხენიდან ჩამოხტა და ისე მოეხვია სოლომონს. ციხიდან იმერლების მოსვლის აღსანიშნავად ზარბაზნები ისროლეს, საღამოს კი ქალაქი გაჩირაღდნებული იქნა.

სერობის სიტყვით, ერეკლე თავის შვილიშვილს შეხვდა ქალაქგარეთ დიდი ამბით; მთელი თავისი ჯარით, მდივანბეგებით და მდივნებით, ქალაქის მოურავ-მელიქით, მოურავებით და, საერთოდ, ყველა თავისი წარჩინებულით. იმავე სერობის ცნობით, ჩამოსული იმერლებიდან მალე ბევრი წავიდა და დარჩა მხოლოდ ათასი კაცი.

დავით თუმანიშვილის მიხედვით კი (რაც უფრო სწორი უნდა იყოს) იმერლებს მუცლის სახადი დარევია, რაც ივლისში, მართლაც, ადვილი მოსალოდნელი იყო. სხვა ცნობით, იმერლებს მუცლის სენი იმიტომ შეეყარათ, რომ პურის ჭამას არ იყვნენ მიჩვეული. ჩვეულებრივ, ჭადისჭადს და ღომს ხმარობდნენ, რის გამო ბევრი იმერელი დაიხოცა, ბევრიც ისე დასუსტდა, რომ მეომრად ვეღარ გამოდგებოდა. ცხადია, დავადებულებს და დასუსტებულებს უკან, იმერეთშივე, აბრუნებდნენ. სოლომონმა, სერობის სიტყვით, თბილისში 12 ათასი მეომარი მოიყვანა; რუს პრემიერ-მაიორის ვერდერევსკისათვის 1796 წელს ქართველების მიერ მიწოდებული ცნობით კი — 8 ათასი, მაგრამ უფრო სწორი უნდა იყოს დავით თუმანიშვილის ცნობა, რომ იმერლები 4 ათასი კაცი მოვიდნენ.

ცხადია, თბილისში ყველა იმერელი არ შემოუყვანიათ და მათგან დაახლოებით ორი ათასი ქართლში იქნა დატოვებული. ეს მოხდებოდა ამ ჯარის სურსათით უკეთ მომარაგების მიზნით.

ერთი ცნობით, იმერლები (ე. ი. მათი ნაწილი) მოთავსებულ იყვ-

ნენ კრწანისში და კოჯორშიც, რაც სავსებით შესაძლებელია, რადგან კოჯრის მიდამოებს სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. თბილისზე სამხრეთიდან მოვლით ის იცავდა გადასასვლელს სოლოლაკის მიმართულებით.

კრწანისშივე, იქ, სადაც იმერთა ლაშქრის ნაწილი ჩააყენეს, დაბანაკებული იყო ქართლ-კახეთის მხედრობის 2 ათასამდე კონტიგენტი.

სამწუხაროდ, მათში იმთავითვე სუსტი იყო დისციპლინა, რასაც განსაკუთრებით ამძიმებდა ღვინის სმა. ეს მეომრები იდგნენ, გადმოგვცემს არტ. არარატელი, „კრწანისში, სადაც იშვიათი იყო უდავიდარაბო დღე. ვინც მათ ბანაკთან გაივლიდა, მას ამა თუ იმ სახით კლავდნენ, ხოლო თათრულ ან სპარსულ ტანისამოსში ჩაცმულს ჯაშუშად აცხადებდნენ. მიაბამდნენ სვეტსა, ან ზარბაზანზე და უწყალოდ სცემდნენ, ხოლო რაც ჰქონდა, იმას კი ართმევდნენ. ცარცვავდნენ აგრეთვე მოსახლეობის ბინებს, საიდანაც ისინი შეწერით ღებულობდნენ პურს და ღვინოს. წესრიგით ვერ დაიკვეხიდნენ იმერელი მხედრებიც. ღვინის სიჭარბე იყო ყველა არევ-დარევათა მიზეზი, როგორც ქართველები (ქართლ-კახელები), ისე იმერლები დილიდან საღამომდის მთვრალები იყვნენ".

2. ლაშქრობა ყაზახზე

სწორედ იმ ხანებში, როცა ერეკლე ენერგიულად ემზადებოდა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისაგან თავდაცვისათვის და საამისოდ ჯარებს კრებდა, ქართლ-კახეთს უღალატა და განუდგა განჯის გამგებელი ჯავად-ხანი, რომელიც ერეკლეს მოხარკედ ითვლებოდა. ჯავად-ხანი საქართველოსაკენ გამოლაშქრებულ აღა-მაჰმად-ხანს მდ. არეზზე შეხვდა და ეს უკანასკნელი ყარაბაღში მიაცილა. ჯავად-ხანის უკუდგომის მიზეზი ის იყო, რომ იგი უკმაყოფილებას იჩენდა ერეკლესა და ყარაბაღის მმართველის იბრეიმ-ხანის ურთიერთობისადმი, რაშიც მათ გაძლიერებას და თავისი თავისთვის საფრთხეს ხედავდა.

ჯავად-ხანი და მისი დიდკაცობა განაწყენებული იყვნენ იმის გამო, რომ ქართველებმა თავისად გამოაცხადეს შამშადილის მხარე. შემდეგშიაც, როდესაც ქართლ-კახეთში რუსული მმართველობა დამყარდა, განჯის სახანოს მმართველები პროტესტს აცხადებდნენ შამშადილის გამო და სწერდნენ, რომ ისინი არასოდეს დათანხმდებიან შამშადილის დათმობაზე. ამ მიზეზით განჯის ხანი იოლად გადაუდგა ერეკლე II-ს და აღა-მაჰმად-ხანს მიემხრო, მით უმეტეს, რომ მას სპარსელებს

იოანე ბატონიშვილი

დიდი ჯარისათვის წინააღმდეგობის გასაწევად არც ჰქონდა ძალა. ამას ემატებოდა ის გარემოებაც, რომ ყარაბაღის ხანი იბრეიმი მტრულად იყო განწყობილი განთავისუფლების მოტრფიალე ყარაბაღელი სომეხი მელიქების მიმართ, ერეკლე კი იბრეიმთან კარგად იყო. სხვანაირად ერეკლეს არც შეეძლო, ვინაიდან ეს კარგად ყოფნა მისთვის აუცილებელი იყო განჯისა და ერთგვარად ერევნის სახანოს შემოსამტკიცებლად, წინასწორობის დასამყარებლად აზერბაიჯანის ხანებს შორის.

ასეთ ვითარებაში სახანოების სომეხთა ერთ ნაწილში ერეკლესადმი მტრული ხმები ვრცელდებოდა. იმასაც ამბობდნენ, რომ ერეკლე ზომხრეა სომხები რუსეთშიაც კი იქნენო გადასახლებული. განსაკუთრებით აქტიურობდა ამ მხრივ მელიქი მეჯნუმი, რომელიც გაუთავებლად აქეზებდა ჯავად-ხანს და ჩააგონებდა: ერეკლესაგან ხიფათი მოგელისო.

სხვათა შორის, ყარაბაღელი მელიქებისა და აზერბაიჯანის სომხობის ამ პოზიციამ ერთგვარი გავლენა იქონია თბილისის სომეხთა დიდკაცობაზეც. ერთი მხრივ, ეს უკანასკნელები ერთობ დიდ იმედებს ამყარებდნენ რუსეთზე, მეორე მხრივ კი, ანგარიშს უწევდნენ აზერბეიჯანელი სომხების უკმაყოფილებას ერეკლესადმი, ამით აიხსნება, რომ თბილისის სომხობის გავლენიანი წრეები გულგრილად შეხვდნენ აღა-მაჰმად-ხანის შემოსევას და ზოგი მათგანი თბილისის დაცვის ინტერესების წინააღმდეგაც კი მოქმედებდა.

ასეთ ვითარებაში, იმ დროს, როცა აღა-მაჰმად-ხანი და მასთან მისული აზერბაიჯანის ხანები ყარაბაღის, შუშის კედლებთან იდგნენ, ერეკლემ გადაწყვიტა განჯის ხანი ჯავადი დაესაჯა და მისი სახანო მოერბია, რისთვისაც მეფის ძენი იულონი და ალექსანდრე იქნენ გაგზავნილები.

•

• •

მიუხედავად ჯარის მცირე რაოდენობით შეკრებისა. ერეკლე მაინც იმ იმედს არ ჰკარგავდა, რომ თბილისში ახალი ძალებიც მოვიდოდნენ. მაგრამ ამაოდ.

ტახტის მემკვიდრე გიორგი ბატონიშვილი, რომელიც გადამეტებული სიმსუქნით იყო ავად, სიღნაღში იმყოფებოდა და თუმცა ჯარის შეკრებას და თბილისში გაგზავნას ბრძანებდა, მაგრამ ჯარი არ იკრიბებოდა, ხოლო ვინც ცხადდებოდა, ისიც შემდეგ გზიდან იპარებოდა.

სახელმწიფო აპარატი სრულ დეზორგანიზაციას განიცდიდა.

ბატონიშვილითაგან თბილისში იმყოფებოდნენ მხოლოდ არაგვის ზეობის მფლობელნი ვახტანგი, 300 კაცით, და ახალგაზრდა დავით და იოანე გიორგის ძეები.

ასეთ ვითარებაში ერეკლე დაადგა აქტიური თავდაცვის ტაქტიკას, რისთვისაც ვარაუდობდა არ დაეშვა სპარსელების მისვლა გოგჩის ტბის ჩრდილოეთით და განჯის სახანოს მიმართულებით.

ყარაბაღში იბრეიმ-ხანის წინააღმდეგ შესულმა აღა-მაჰმად-ხანმა, რომელსაც 40.000 მებრძოლი ახლდა, ალყა შემოარტყა შუშას, მაგრამ ეს უკანასკნელი იმდენად გამაგრებული აღმოჩნდა, რომ ორი თვის იქ დგომის მიუხედავად ვერ აიღო.

[აღა-მაჰმად-ხანი თავისი მხედრობიანად ყარაბაღში თითქმის ორ თვეს ჩარჩა. აქედან მან მოლაპარაკება განაახლა ერეკლესთან და, ბაგრატ ბატონიშვილის ცნობით, შესთავაზა მეფეს ჩამოშორებოდა რუსეთს და სანაცვლოდ სპარსეთის მორჩილება მიეღო, რისთვისაც მას ჰპირდებოდა უზენაესობას ამიერკავკასიის სახანოებზე, მათ შორის ყარაბაღზე, შაქზე და შირვანზე, გარდა ბაქოსა და თალიშის სახანოებისა, ე. ი. კასპიის ზღვის სანაპირო ნაწილისა. ერეკლემ მერყეობა დაიწყო, რადგანაც წინადადება ძალზე სარფიანი იყო, მაგრამ ბოლოს იგი მაინც ვერ ენდო აღა-მაჰმად-ხანს და მასთან შემდგომ მოლაპარაკებაზე უარი თქვა.]

იმისთვის, რომ აღა-მაჰმად-ხანისთვის საქართველოში შემოსვლა შეეფერხებინა, ერეკლე მეფე ქართლ-კახეთისა და იმერეთის სულ 5-ათასიანი ლაშქრით სასწრაფოდ გაეშურა ყაზახისაკენ. სხვათა შორის ამ ლაშქარში, მისი გამხნევების მიზნით, თან წაიყვანეს თვით კათალიკოსი ანტონ II.

ერეკლემ ბრძანა ყაზახის მომთაბარეები (ელები), რომლებიც აქაური მოსახლეობის უმეტეს ნაწილს შეადგენდნენ, თავიანთი ლაშქრიანად აეყარათ და მის სამეფოში გადმოეყვანათ.

[9 სექტემბერს, როგორც ქვევითაც ვნახავთ, ყაზახიდან ქართლ-კახეთისაკენ წამოყვანილ ელებს თავს დაეხსნენ ქიზიყელთ მოლაშქრეები რევაზ ანდრონიკაშვილის მეთაურობით, მიტაცებული საქონელი ერთმანეთში გაიყვეს და ქიზიყისაკენ გარეკეს. ამგვარი უწესრიგობა, რომელიც ქვეყნის შინაური საქმეების აწეწილობაზე მიუთითებდა, არაფერ სიკეთეს არ უქადდა მას. ამით დამწუხრებულმა ერეკლემ ვეღარ გაბედა ბრძოლა ყაზახში სპარსელთა მთავარ ძალებთან და თბილისისაკენ გამობრუნდა.]

მომთაბარე თათრების ევაკუაციამ ძალზე განარისხა აღა-მაჰმად-ხანი რომელსაც, როგორც ჩანს, სათანადო ცნობები ჰქონდა თბილისში მყოფი ქართველთა ჯარის სიმცირის შესახებ. ამით აიხსნება ის, რომ მან თავისი ბანაკი და ჯარის უმეტესობა შუშასთან დასტოვა და რჩეული ცხენოსანი ჯარით უარტილერიოდ (მას თან ჰქონდა მხოლოდ აქლემებით გადასატანი წვრილი ზამბურაკები), განჯისკენ გამოემართა. „მოუვიდა ამბავი მეფეს ირაკლის მოსვლა ყაჯარი მამად-ხანისა განჯას. — გადმოგვცემს ამ ამბების თანამედროვე უცნობი ქართველი ავტორი, — მეფე ირაკლი და მეფე სოლომონი ჯარებით ჩაბრძანდნენ ყაზახს და მეფეს ირაკლისთან ბრძანდებოდა ძეცა თავისი პატრიარქი ანტონი და საქართველოს ელები სრულიად აყარეს და ქართლის მხარეს დახიზნეს და თვით მეფენიც მობრძანდნენ თბილისს ხალხის დასაბინავებლად (სექტემბრის 8) შაბათსა და რა ესე სცნა ურჯულომან (აღა-მაჰმად-ხან), ვითარმედ ელები აჰყარესო, აჩქარდა და ჩაფაულსაით (ჩქარი მარშით) მოვიდა სოღანლუღსა სექტემბრის 9-ს კვირას“.

ზემოხსენებული ლაშქრობის მონაწილე იაკუბ-ბეგ ბებუთაშვილიც ამ ამბებზე წერს: „ავიყარენით განჯის მხრიდამ, სადაც ორისა ანუ სამის დღის მეტი არ დავსდექით, შემოდგომის დასაწყისი წვიმიანი იყო, როდესაც ბანაკი განჯიდამ დაიძრა და რაოდენ დროსაც ჯავათხანის მიწაში ვიყავით, საშმელი უხვად იყო, და როდესაც შევედით საქართველოს მიწაში, არა თუ მხოლოდ სოფლის მცხოვრებნი აყრილიყვნენ, არამედ ყანები და ბალახიც დამწვარი იყო, სადაც რომ დიდს შეწუხებას სწევდა ჯარი“.

და აი, სპარსელები მდ. ხრამს მოადგნენ, სადაც აღა-მაჰმად-ხანის მოწინავე რაზმებს წითელ (გატეხილ) ხიდთან ქართველების რამდენიმე ასი ცხენოსნისაგან შემდგარი რაზმი გადაეღობა. ქართველებმა დიდი ვაჟკაცობით მოიგერიეს სპარსელთა მეწინავეების შემოტევა, მაგრამ როდესაც სპარსელების მთავარი ჯარი გამოჩნდა, მათ თავისი 50-მდე მკვდარი და დაჭრილი დატოვეს და საჩქაროდ გაიქცნენო, გადმოგვცემს იგივე იაკუბ-ბეგი (ეს იყო 7 სექტემბერს). თავდაპირველად სპარსელების ჯარს ძლიერ უხაროდა საქართველოზე ლაშქრობა, მაგრამ „როდესაც შევედით მათს მიწაში, — სწერს იგივე იაკუბ-ბეგი, — შიში დღედადღე ასუსტებდა ჩვენს გულსა. და სხვადასხვა ჯაშუშების ამბავისაგან გვესმოდა, რომ ერეკლე ხანს ორმოცი ანუ ორმოცდაათი ათასი კავკასიის მცხოვრებნი შეუკრებიაო და ყოველი სიმაგრეები უჭირავსო და აქვს განძრახვა, რომ ჩვენ უკან მოგვექცესო (ანუ უკან გვდიოსო) და ზედ დაგვესხასო. და მთის მცხოვრებთ სახელ-

სა სასტიკი შიში ჩაეგდო სპარსეთის ჯარში, რომელიც მრავალჯერ იყვნენ ჩავარდნილნი განსაცდელში მათგან, არ იყო დაციწყებული ნადირ-შაჰის დათრგუნვა და უკუ-ქცევა კავკასიის ჯართაგან. შაჰმა სამრიგად განჰყო თავისი ბანაკი. საშუალო თვით მიიღო, პირველი და მეორე სხვა მხედართ მთავრებს მიანდო".

შევჩერდეთ ახლა იმ ამბების ქრონოლოგიაზე, რომელიც წინ უსწრებს კრწანისის ბრძოლას. 1795 წ. 29 აგვისტოს ერეკლე II ყაზახიდან გარს. ჭავჭავაძეს პეტერბურგში ატყობინებს: მე და სოლომონ მეფე ჯარით ყაზახში ედგევართ და აღა-მაჰმად-ხანს თავისი ლაშქრით ორი დღის შემდეგ (მაშასადამე, უფრო 31 აგვისტოს) მოელიანო. იაკუბ-ბეგ ბებუთაშვილის სიტყვითაც, ყიზილბაშებმა განჯაში 2—3 დღე დაყვეს (31 აგვ.—2 სექტ.). აქედან, ს. ქიშმიშევის სიტყვით, აქსტაფაში (რომელიც ყაზახთან ახლოს იყო) მისასვლელი 90 კმ მანძილი ჯარმა გაიარა ერთ დღეში (3 სექტ.). ასეთი სწრაფი გადაადგილება, ცხადია, აუცილებლად საჭიროებდა შემდეგ დღეს (4 სექტ.) სრულ დასვენებას. აქსტაფიდან გატეხილ ხიდამდე (მდ. ხრამზე) 30 კმ-ის მანძილს მსუბუქი ჯარი გაივლიდა ერთ დღეში (5 სექტემბერს), რის შემდეგაც უნდა მომხდარიყო სპარსელების ქართველების რაზმთან ხიდთან შეტაკება. მეორე დღეს, იაკუბ-ბეგ ბებუთაშვილის სიტყვით, ე. ი. 5 სექტემბერს, ჯარი დაიძრა ჩრდილოეთისაკენ და მძიმე სვლით გატეხილი ხიდით სოღანლუღთან (მანძილი 55 კმ) მივიდა მეოთხე დღეს, ე. ი. 9 სექტემბერს.

როგორც მივუთითებდით, ერეკლე სოლომონთან ერთად 29 აგვისტოს ჯერ კიდევ ყაზახში იყო და უკვე იცოდა, რომ აღა-მაჰმად-ხანი ორი დღის შემდეგ დიდი ლაშქრით განჯაში შემოდიოდა. ცხადია, ამ ვითარებაში ერეკლე ყაზახში აღარ დარჩებოდა და მეორე დღესვე თბილისისაკენ გამობრუნდებოდა. ქართველების ჯარი სწრაფად ვერ იმოძრავებდა, რადგანც მას მოჰქონდა არტილერია, რომელიც ხარებით გადაჰქონდათ და, აგრეთვე, დიდი აღალი ურმებითვე. ყველაფერ აქედან სავარაუდოა, რომ ყაზახიდან 31 აგვისტოს წამოსვლის შემდეგ ქართველები გატეხილ ხიდთან იქნებოდნენ 2 ან 3 სექტემბერს, ხოლო 55 კმ-იანი მანძილის გავლას გატეხილი ხიდიდან სოღანლუღამდე ქართველები თავიანთი არტილერიით და აღალით გაივლიდნენ 4—6 სექტემბერს, 7 სექტემბერს დილიდან კი ერეკლე ჯარით უკვე თბილისში უნდა ყოფილიყო.

უკვე წითელ ხიდთან სპარსელების ჯარი ორ ნაწილად გაიყო. პირველი ნაწილი 20 ათასი კაცი, რომელიც საუკეთესო მებრძოლები-

ხა და ცხენოსნებისაგან შესდგებოდა, აღა-მაჰმად-ხანისავე სარდლობით გიაურ-არხისკენ დაიძრა და 7 სექტემბერს ამ ადგილს მიაღწია კიდევაც, ე. ი. განვლო 18 კმ. აქედან სპარსელთა ზემოხსენებული შენაერთი თითქმის პირდაპირი გზით, რომელიც იაღლუჯის მთას დასავლეთით უვლიდა და ნაწილობრივ ამ მთის დასავლეთ ნაწილსაც ხვდებოდა, გაემართა თბილისისაკენ. შემდეგ ეს ნაწილი კოდაზე გავლით კუმისზე გაემართა, აქედან იგი უნდა წასულიყო შავნაბადასაკენ, რომლის გავლითაც ზურგში მოექცეოდა ყარყუთის (სოღანლუღის) პოზიციებს. ეს ჯარი შავნაბადას მხოლოდ 10 სექტემბრის საღამოს მიუახლოვდებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში აღა-მაჰმად-ხანს ყარყუთის პოზიციით ზურგში მოსავლელად აღარ დასჭირდებოდა მტკვრის გადალახვა სამი ათასი კაცით.

9 სექტემბერს, დაახლ. ნაშუადღევს, აღა-მაჰმად-ხანი ყარყუთას, ანუ სოღანლუღს მიუახლოვდა და აქ დაბანაკდა. იაკუბ-ბეგის სიტყვით, ეს იყო მაშინდელი თბილისიდან (ანუ ეხლანდელი ორთაჭალჰესის ადგილიდან) ერთნახევარ ფარსანგზე (ე. ი. 1—4 კმ-ზე), თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვით კი, სპარსელების ბანაკი მაშინდელ თბილისს დაშორებული იყო ერთ ფარსანგზე, ანუ მისივე ანგარიშით, 7 ვერსზე (უნდა იყოს 6—7 კმ). მაშინვე ჯარმა გაამაგრა ბანაკი. „გარემო ბანაკისა აქვნდათ თხრილნი და ბურჯნი მიწისანი, რათა, უკეთუ უეცარი ზედა-დასხმაჲ შაამთხვას მოხდომისა მიერ მეფისა, ბანაკსა შინა ძალედვასთ გამაგრება“. ეს სიმაგრე უნდა გაეკეთებინათ 9 სექტემბრის შეორე ნახევარში და შესაძლებელია მისი კეთება 10 სქტმბერსაც გრძლდებოდა.

ყარყუთის (სოღანლუღის) ვიწრობის სამხრეთით, დაახლ. ოთხნახევარ კმ-ის მანძილზე, ახლაც არის სანგრის-გორა, რომელსაც შესაძლებელია თავისი სახელი მიღებული აქვს სწორედ ხსენებული დიდი სანგრისაგან. სანგრის-გორადან აღმოსავლეთით მტკვრამდე სამი კმ-ია. ზემოხსენებული სანგარი ამ გორასა და მტკვარს უნდა ყოფილიყო დამზადებული ორ წყებად — ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდანაც დასაცავად. ოცი ათასი ცხენოსნის და მათი საბარგულების თუნდაც ნაწილობრივად მოსათავსებლად სწორედ ასეთი დიდი სანგარი იყო საჭირო.

სპარსელების ჯარის მეორე, შედარებით მდარე ბრძოლის უნარის მქონე ნაწილი (მასში საგულისხმებელია ქვეითები და მშვილდ-ისრით შეიარაღებულნიც), გიაურ-არხში უფრო გვიან (ალბათ 9 სექტემ. შუადღეზე) ამოვიდა.

3. 7 და 8 სექტემბრის ვითარება

მობრუნდა თუ არა ყაზახიდან, ერეკლემ თბილისში მოიწვია სამ-ხედრო თათბირი, რომლის დეტალებიც ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ცნობილია ის, რომ თათბირი დაეთანხმა დარეჯან დედოფლის იმ აზრს, რომ სამეფო ოჯახი და ათი წარჩინებულთა სახლეულობა თბილისიდან დასახიზნავად წასულიყო. ეს გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა ყოფილიყო 7 სექტემბერს საღამოს, დილას 8 სექტემბერს კი იგი უკვე ცნობილი გახდა მოქალაქეთათვის.

ა. გოლოვინის მიერ ჩაწერილი ცნობით, თბილისის მოქალაქეები, რომლებმაც ზემოხსენებული გადაწყვეტილება შეიტყვეს, სასახლის მოედანზე შეიყარნენ და სთხოვდნენ მეფეს, არ მიეტოვებინა ქალაქი სპარსელების პირისპირ. თავის მხრივ ისინი პირობას დებდნენ, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდნენ. ერეკლე დაჰპირდა მოქალაქეებს, რომ თავის ხალხთან დარჩებოდა და ბრძანა ქალაქის ყველა კარებთან დაეყენებინათ მცველები, რათა გარეთ არავინ გაეშვათ.

ამ ვითარებაში თბილისელებმა ქალაქის დასაცავად 1500-კაციანი რაზმი შეადგინეს და ქალაქის ყველა კარი ჩაკეტეს. დამცველთა შეკრება, ალბათ, წინა დღეებშიც ხდებოდა, მაგრამ განსაკუთრებით ინტენსიურად ხდებოდა ეს საქმიანობა 7 სექტემბერს, 8-ში კი ქალაქის დაცვა უკვე ორგანიზებული იყო.

4. 1795 წ. 8 სექტემბრის სამხედრო თათბირი თბილისში

თბილისის დასაცავად გამაგრებული წინა პოზიცია იყო სოღანლუღის ვიწრობის დასაწყისში, საიდანაც კრწანისის ველამდე ოთხი კილომეტრის სიგრძეზე აღმა ვიწრო გზა მიდიოდა მდ. მტკვრის ნაპირას. ბუნებრივად ეს ვიწრობი მეტად მაგარი იყო და რადგანაც შავნაბადას მთაზე გადმოვლა სპარსელების ცხენოსან ჯარს უგზოობის გამო მეტად გაუჭირდებოდა, თანაც მტკვარიც მოდიდებული იყო, ამიტომ სოღანლუღის პოზიციას ქართველები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

მდ. ხრამზე სპარსელების გამოჩენამ ქართველებში პანიკა გამოიწვია. 8 სექტემბერს სასახლეში მოეწყო სამხედრო თათბირი, რომელზედაც, გენ. ქიშმიშევის დამოწმებული ცნობით, მონაწილეობდა და-

რეჯან დედოფალიც, რაც საქმისათვის დიდი უბედურება იყო. თათბირზე უმეტესობა მოითხოვდა, რომ ჯარი და არტილერია გადმოეყვანათ თვით ქალაქში, რომელსაც ირგვლივ გალავანი ერტყა, და შიგ გამაგრებულიყვნენ. სამწუხაროდ, თათბირს ვერ ესწრებოდა სარდალთაგან ყველაზე ჭკვიანი — დავით ორბელიანი, რომელიც სიდამბლის გამო ლოგინად იყო ჩავარდნილი და თბილისში არც იმყოფებოდა. სხვა სარდლები კი (ოთარ ამილახვარი, ივანე მუხრან-ბატონი და გ. ციციშვილი) გვარიშვილობით იყვნენ თავიანთ თანამდებობებზე და შეუფერებელი ჩანდნენ ამ საქმისათვის. ეს უკანასკნელები არ დაეთანხმნენ უმეტესობას და მოითხოვდნენ, ბრძოლა დაეწყოთ ჯერ ქალაქგარეთ, უკიდურეს შემთხვევაში კი ქალაქში გამაგრებულიყვნენ. მოხუცებული ერეკლეც ამავე აზრისა იყო, დედოფალი დარეჯანი კი პანიკურად იყო განწყობილი და თავისი შვილებითურთ (მათ შორის ცოლშვილიანი იულონით) თბილისიდან წასასვლელად ემზადებოდა.

ამგვარად, გავლენიანმა უმცირესობამ, მათ შორის მეფემ, საბედისწერო გადაწყვეტილება მიიღო, ვინაიდან ერეკლეს განკარგულებაში მყოფი ძალებით ღია ველზე ბევრად უფრო მრავალრიცხოვან სპარსელებთან ომის მოგების გარანტია არ ჰქონია. დამარცხების შემთხვევაში კი ქალაქის გალავნის შიგნით გამაგრება უკვე შეუძლებელი გახდებოდა და თბილისიც სპარსელების ხელში დარჩებოდა.

ცნობისათვის: 1829 წ. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, როცა ახალციხე უკვე რუსებს ჰქონდათ დაკავებული, მოულოდნელად ახალციხეზე წამოვიდა 10 ათასკაციანი აჭარლების და სხვების ჯარი. ახალციხეში კი რუსებს მცირე, 1000-კაციანი, რაზმი ჰყავდათ. სამხედრო თათბირზე, რომელიც მხედართმთავარმა გენერალმა ბებუთაშვილმა შეკრიბა, ყველა საჭიროდ თვლიდა ციხიდან გასვლას და აჭარლებთან შებრძოლებას, მაგრამ კაპიტანი გონიაჩკო ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ წავიდა: ჩვენ ცოტანი ვართ, ამიტომ საჭიროა გავმაგრდეთ ციხეში და დავუცადოთ მაშველი ჯარის მოსვლას. გამარჯვების შემთხვევაში ჩვენ დაკარგავთ სულ ცოტა 200—300 კაცს და ძლიერ დავსუსტდებით, ხოლო თუ გაშლილ ბრძოლაში დავმარცხდებით, ან ვერ შევალთ ციხეში, ან მტერი ფეხდაფეხ შემოგვყვება და ახალციხე დაგვეკარგებაო. თათბირის ზოგი მონაწილე ამ აზრს მიემხრო. ბებუთაშვილმაც ყოყმანი დაიწყო, ამიტომ რუსები ციხეში ჩაიკეტნენ და თუმცა აჭარლებმა ქალაქი დაიკავეს და ციხის შეთხრაც დაიწყეს, მაგრამ ამასობაში მაშველი ჯარიც მოვიდა და აჭარლები გაიქცნენ. კაპი-

ტანმა გონიაჩკომ მარტო ამ რჩევის მიცემისათვის შემდეგ მაღალი ჯილდო — მეოთხე ხარისხის წმ. გიორგის ჯვარი მიიღო.

სპარსელების ჯარი მდ. ხრამიდან მოემართებოდა ორი მთავარი მიმართულებით: ყარყუთისაკენ (სოღანლუღისაკენ) მტკვრის აღმა პირდაპირი გზით, იაღლუჯის გორებისთვის გვერდის ავლით, ხოლო მეორე გზა ის იყო, რომელიც კუმისზე გავლით მიდიოდა შავნაბადას მთის დასავლეთი ნაწილისაკენ, საიდანაც სპარსელების ჯარს შეეძლო პირდაპირ მომდგარიყო თბილისის ციხის მისასვლელზე აბანოების ზემოთ.

სპარსელების საუკეთესო მხოლოდ ცხენოსანი ჯარი (20 ათასი კაცის რაოდენობით) მოდიოდა პირველი გზით ყარყუთა-სოღანლუღის მიმართულებით და 9 სექტემბერს უკვე მიუახლოვდა კიდეც სოღანლუღის არეს და დაბანაკდა მის სამხრეთით რამდენიმე კმ-ის მოშორებით.

სპარსელების ჯარის მეორე ნაწილში, რომელსაც შავნაბადის მთის დასავლეთ კიდურისაკენ ეჭირა გზა, ცხენოსანი ნაწილების გარდა იყვნენ მშვილდოსანი ქვეითებიც, ამიტომ ისინი ნელა მოდიოდნენ. ამ ნაწილმა შავნაბადას მთის მისასვლელს მხოლოდ 10 სექტემბერს და ისიც ამ დღის მეორე ნახევარში მიაღწია. ჩანს, აღა-მაჰმად-ხანი ამ ჯარის ნაწილით სოლოლაკის მხრიდან თბილისზე გარშემოვლის ოპერაციის ჩატარებას აპირებდა. მეორე მხრივ, არც ის იყო გამორიცხული, რომ სპარსელები შავნაბადას მთიდან ეცდებოდნენ პირდაპირ თაბორისაკენ გაჭრილიყვნენ და იქიდან აბანოებისაკენ ძირს დაშვებით ზურგში მოქცეოდნენ ქართველების პოზიციებს, კრწანისის ველის ამოსავალში. ასეთი პოზიცია კი, ისიც არტილერიით გამაგრებული, ქართველებს აქ უკვე აგვისტოში ჰქონდათ დაკავებული, რის შესახებაც სპარსელების სარდლობას ჯაშუშების, ან სხვათა მეშვეობით, კარგად ეცოდინებოდა.

უეჭველია, ამასთანავე ერეკლესაც ექნებოდა ცნობა იმის შესახებ, რომ სპარსელების ჯარის ნაწილი კუმისის მიმართულებით მიემართებოდა.

ამიტომ 8 სექტემბერს თბილისში გამართულ სამხედრო თათბირზე ვახტანგ ბატონიშვილი მოითხოვდა, რომ სასწრაფოდ დაეკავებინათ შავნაბადას მთა და იქ არტილერიაც (4 ზარბაზანი) აეტანათ, რაც, მისი აზრით, გააქარწყლებდა სპარსელების შემოვლითი ოპერაციის მნიშვნელობას. ამავე აზრს ემხრობოდა არტილერიის მაიორი გაბრიელ არეშიშვილი, რომელსაც სწავლა რუსეთში ჰქონდა მიღებული. თუმცა ვახტანგის და მაიორ გაბრიელის შეხედულება სტრატეგიული თვალსაზრისით სწორი იყო, მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენი ჯარები მეტად მცი-

რე ჩანდა, სხვები ამ აზრის წინააღმდეგ წავიდნენ და ჯარის მთლიანობის დაცვა მოითხოვეს. ერეკლე ამ აზრს დაეთანხმა, თუმცა თბილისისაკენ მიმავალი გზის ტაბახმელის მხრიდან დასაცავად გამოყოფილი იქნა 400-კაციანი რჩეული რაზმი ოთხი ზარბაზნით, რომელიც დავით ბატონიშვილის მეთაურობით გაგზავნილ იქნა პოზიციების დასაკავებლად თაბორის მთასთან, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

5. პანიკის დაწყება თბილისში 8 სექტემბრის ღამეს

სწორედ იმ დროს, 8 სექტემბერს, როცა თბილისში ქვეყნის თავდაცვის მიზნით სამხედრო თათბირი ტარდებოდა, მეფე ერეკლეს სოღანლუღისკენ დაზვერვაზე გაგზავნილი ჰყავდა ვაჟკაცობით ცნობილი აზნაური გორჯასპი ნათიშვილი, 12 ცხენოსნით. დაახლოებით სოღანლუღიდან 16 კილომეტრზე, იალღუჯის ჩრდილო კალთებზე გორჯასპი შეეჩეხა სპარსელების წინ გამოჭრილ რაზმს, რომელიც აგრეთვე დაზვერვაზე იყო გამოსული. მიუხედავად იმისა, რომ სპარსელები მეტი იყვნენ, ან მორიდება ვერც შესძლო, გორჯასპიმ გმირულად შეუტია მტერს. ქართველი მზვერავები ერთიანად გაწყდნენ, მათ შორის სიმამაცით განთქმული მხედარი დავით თარაშვილი, რომელიც ერეკლეს გამუდმებით ახლდა ხოლმე ლაშქრობებში. გადარჩა მხოლოდ გორჯასპი ნათიშვილი, რომელმაც, თუმცა მას ცხენი მოუკლეს, მაგრამ მოახერხა და მოახტა მის მიერვე მოკლული თურქმენის ცხენს და სპარსელებს გამოასწრო.

ცხადია, გორჯასპი ნათიშვილმა ქართველთა თავკაცობას შეატყობინა, რომ სპარსელები უკვე იალღუჯასთან, ე. ი. თბილისთან ახლოიყვნენ.

ამ ამბავმა პირველ რიგში სამეფო ხელისუფლება და დიდკაცობა საშინელ პანიკაში ჩააგდო. სამეფო სახლი სასწრაფოდ შეუდგა აყრას, ძვირფასეულობის და ფულის ჩალაგებას: პანიკა ისეთად დიდი იყო, რომ სამეფო სახლის წევრებმა სასახლიდან თითქმის ვერაფრის წაღება ვერ მოახერხეს, თვით ოქროს გვირგვინები და სხვა ძვირფასეულობაც კი დარჩათ. ზოგმა კი თავისი ბარგის მცირე ნაწილის წაღებაღა შესძლო.

ამ პანიკის ატეხას თბილისელები აბრალებდნენ დარეჯან დედოფალს (არტემ არარატელის და ტერ ოჰანეს ვოსკერჩიანის ცნობა), რომელსაც თბილისის დაღუპვის მთავარ მიზეზად თვლიდნენ, რაც სიმართლეს უნდა შეესაბამებოდეს.

სამეფო სახლს თან მიჰყვებოდა მთელი რიგი სხვა ოჯახებისა.

პანიკა თანდათან გავრცელდა ქალაქში, მაგრამ ის ღამე წვიმიანი იყო და უცბად ბევრი ვერ ახერხებდა ქონების დამალვას და გაქცევას, მით უმეტეს, ყველამ იცოდა, რომ ქართველებს ყარყუთში ძლიერი, არტილერიით გამაგრებული პოზიციები ჰქონდათ. იმასაც ფიქრობდნენ, რომ ამ ავდრიან და ატალახებულ ღამეში ყიზილბაშების ჯარი თბილისში ვერსაიდან შემოვიდოდა. ამიტომაც ქალაქის მცხოვრებთ, ძალაუნებურად, დილისათვის უნდა მოეცადათ.

პ. ბუტკოვი ამის შესახებ წერს: „თბილისის მცხოვრებლებს მტკიცედ სურდათ თავდაცვა ქალაქში, რამდენადაც იგი საკმაოდ გამაგრებული იყო ქვის კედლით, მაგრამ მეფე ერეკლე თხოულობდა, რომ მისი ცოლი დარეჯანი მთებში ყოფილიყო გაგზავნილი. ამაზე თბილისელები დათანხმდნენ, მაგრამ დედოფალმა მოისურვა, თან წაეყვანა მრავალი ოჯახი და ყაზბეგისაკენ გაემართა. აქ დაიწყო დრტვინვა, რომ არ სურთ თავდაცვა. მეფე ერეკლემ, უკმაყოფილომ, სთქვა, რომ ყველას, საითაც უნდა, იქით წავიდეს, რის გამოც გაიქცნენ, ზოგი მთებში, მაგრამ უმეტესობა მთიულეთში, სხვები გადიოდნენ მოზდოკისაკენ.

დედოფალმა თავი შეაფარა მთებს, ყაზბეგის მხარეში. ბატონიშვილებიც, აგრეთვე, ყველა წავიდ-წამოვიდნენ. თბილისის მცხოვრებლები გარბოდნენ ტყეებსა და მთებში, დუშეთისა და ანანურის იქით, მთიულეთში, სტეფანწმინდისა და ყაზბეგისაკენ“.

მღვდელი იოანე ქართველიშვილი, რომელიც, ვითარცა მეფის ძის იულონის შვილების მასწავლებელი, სამეფო ოჯახს თან ახლდა, თბილისიდან აყრა-ლტოლვის შესახებ მოგვითხრობს: „რიცხვსა 8-სა (სექტემბერსა) მოვიდა აღა-მაჰმად-ხან იაღლუას ზედა. ღამესა ამას აიყარნენ სამეფო ფამილია და წარჩინებულნი ვინცა მყოფ იყვნენ მას ჟამსა ტფილისს შინა და წარვიდნენ სახიზნად მთიულეთს. ეჰა, საკვირველი და საგლოველი, რომელ წარჩინებულთა ტოლნიცა მრავალნი ვიდოდეს ქვეითად, — ვინაიდგან ვერ შოვობდეს ცხენსა — აღიარსა, წვიმასა და ტალახსა შინა მძაფრსა, ვინაიდან შვიდეულისა უმეტესსაცა ჟამსა იყო წვიმა გარდუღებელი და ესრეთ გავყევ მეცა მაშინ მათ მეფის-ძის იულონის შეწევნით. ვიარეთ ღამე იგი და დღე მეორე კვირიაკე. დღესა მესამესა, ორშაბათს, ძლივ შეუძელ მიწევნად დუშეთს“ (იოანე ქართველიშვილს თავისი ბარგი ურმით მიჰქონდა).

ალ. ორბელიანის სიტყვით, თბილისის მცხოვრებლებმა აყრა დაიწყეს პარასკევს დილას, მაშასადამე 7 სექტემბერს. „პარასკევს დი-

ლაზედვე თითქმის ნახევარი ქალაქი აიყარა და ნახევარი ქალაქიც შეორეს დილაზედ აპირებდა აყრას".

გამოდის, რომ ყაზახიდან გამობრუნებული ქართველების ჯარი ჯერ თბილისში არც კი იყო შემოსული, რომ ქალაქში უკვე პანიკა იყო ატეხილი. მაგრამ ეს ძნელი დასაჯერებელია, რადგანაც სამეფო კარი აიყარა შაბათს, 8 სექტემბერს გვიან საღამოს. ამიტომ ალ. ორბელიანს აქ თარიღში აქვს შეცდომა, 7 და 8 სექტემბერის ნაცვლად უნდა იყოს 9 და 10 სექტემბერი.

სამეფო სახლის და წარჩინებულების აყრამ და გაქცევამ 8 სექტემბერსავე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა თბილისელებზე. 9 სექტემბერს დილიდანვე თბილისიდან სხვაც ბევრი იყრებოდა, ვისაც კი ამის შესაძლებლობა ჰქონდა.

იმ დღესვე (9 სექტემბერს), გადმოგვცემს სერობი, ქალაქში ისმოდა ვაებისა და გოდების ხმა — ტიროდნენ თავისიანების გაურკვეველ ბედზე და ქონებას ღიად ტოვებდნენ. ვისაც ურემი ან ცხენი გააჩნდა, ქალაქის გარეთ ჩრდილოეთისაკენ მიისწრაფოდა და სწრაფად გარბოდა კავკასიის მთებისაკენ. სხვანი კი ქვეითად მიდიოდნენ, ხოლო ვისაც არც ფეხით შეეძლო სიარული და სახედარსაც ვერ შოულობდა, თანაც სუსტიც იყო, ის გზის სისასტიკის, შიმშილის და ავაზაკების შიშით უგზოუკვლოდ ხეტიალს თავისი სურსათით შინ დარჩენას ამჯობინებდა.

6. ორი ათასი ქიზიყელის ღალატით წაყვანა (უფრო 9 სექტემბერს დილით ადრე)

ომის დაწყებისთანავე ქიზიყის ჯარის შეკრება მინდობილი ჰქონდა მეფის ძეს გიორგის, რომელიც საამისოდ სიღნაღს ჩავიდა. დაავადებულმა და ამ დროს უკვე ყოველგვარ ინიციატივას მოკლებულმა გიორგიმ თავის მხრივ ეს საქმე მიანდო საკუთარ ცოლის ძმას (მეორე ცოლიდან) რევაზ ანდრონიკაშვილს. ეს უკანსკნელი, წინათ ქიზიყის მოურავად ნამყოფი, ცნობილი იყო როგორც იშვიათად მამაცი და სხვა მხრივაც ღირსეული ადამიანი. ამ უკანასკნელს თავის დროს ჩამოართვეს ქიზიყის მოურავობა იმ დროიდან, რაც მეფე ერეკლეს ქალი ელენე, იმერეთის ბატონიშვილის არჩილის ქვრივი, მიათხოვეს ზაქარია ანდრონიკაშვილს. დარეჯან დედოფალმა თავისი ახალი სიძისათვის ერეკლეს ქიზიყის მოურავობაც მიაცემინა. ამ გარემოებამ ადრიდანვე ჩამოაგდო შუღლი რევაზ და ზაქარია ანდრონიკაშვილებს შორის.

შით უმეტეს, რომ თუმცა ზაქარიაც თავისთავად მამაცი ადამიანი იყო, მაგრამ მაინც ყველაფერში ჩამოუვარდებოდა რევაზს. ამიტომაც იყო, რომ გადამწყვეტ მომენტში ქიზიყის ჯარის შეკრება და წინამძღოლობა ისევ რევაზს დაეკისრა, მაშინ როცა ზაქარიას მარტოოდენ ქიზიყიდან მარტყოფამდე შესაკრები ჯარის მეთაურობა მიანდეს. მაგრამ სამეფო კარზე განაწყენებული რევაზისათვის ასეთი საქმის მინდობა ამ ვითარებაში უთუოდ დიდი შეცდომა იყო, რადგან მას აღარ სურდა თბილისის დასაცავად წასვლა. „უშველოს ქვეყანას ზაქარია მოურავმან, — ამბობდა რევაზი, — როცა გაუჭირდათ, მაშინ მომიგონეს“.

შეგროვილი ჯარით რევაზ ანდრონიკაშვილი მივიდა სოღანლუღს, მაგრამ მალე ფონით გავიდა მდ. მტკვარს, სადაც გზად დაუხვდა ყარაბაღისა და შამშადილის ცხვრის სამი ფარა, რომელიც მიჰყავდათ დასახიზნად ქართლისკენ თუ კახეთისკენ, მოიტაცა ისინი, გაუყო ქიზიყელებს, როგორც ნადავლი, და თავისი ჯარით უკანვე გაბრუნდა. ერეკლეს მეტად საწყენად დაურჩა ეს ამბავი, მაგრამ საქმის გამოძიების დრო აღარ ჰქონდა, რადგანაც ამასობაში სპარსელების ლაშქარი უკვე თბილისისაკენ დაძრულიყო. ზაქარია მოურავი კი მის მიერ შეგროვილი 600 კაცით თბილისს მოვიდა, რაც შეეხება მეფის ძეს გიორგის და რევაზ ანდრონიკაშვილს, ისინი ქიზიყს დარჩნენ.

პლატონ იოსელიანის მიხედვით, მეფის ძეს გიორგის თითქოსდა ბრძანება არ ჰქონდა — კახეთის ჯარი შეეყარაო, მაგრამ საკითხის ამგვარი წარმოჩენა ეწინააღმდეგება იმ ფაქტს, რომ სწორედ გიორგის განკარგულებით იყო ქიზიყის ჯარი გაგზავნილი თბილისისაკენ. პლ. იოსელიანის სიტყვით, „ეგონათ, რომ იმერეთისა ჯარი და ქართლისა უკმაოდა სპარსთა დასამარცხებლად. ისევე იყო მიზეზით, — განაგრძობს ის, — რომ დღეინდელად დღემდე ქიზიყელნი ვერ მოიხსენებენ კეთილად მეფესა გიორგის, რომელსაც სწამობენ მტრობით ვითომც მამისა ესრეთ სუსტად მოქცევასა გაჭირვებისა დღეში“.

7. ქართველების ჯარის რაოდენობა 9—10 სექტემბერს

რა რაოდენობის ჯარი ჰყავდათ ქართველებს თბილისში და თბილისთან 9 სექტემბერს, როდესაც სპარსელების ჯარი ყარყუთას (სოღანლუღს) დაუახლოვდა?

დავით ბატონიშვილის ცნობით, 11 სექტემბერს „არღარა უვიდოდა ორთავე მეფეთა მჴედრობაჲ უმეტეს ათას ხუთასისა კაცისა“. მაგ-

რამ აქ იგულისხმება უკანასკნელ მომენტში კრწანისის პოზიციებზე მყოფ ქართველთა რაოდენობა.

ბაგრატ ბატონიშვილის სიტყვით, 11 სექტემბერს მეფეებს ირაკლის და სოლომონს კრწანისის ველზე არ ჰყავდათ „უფროს ორი ათასი კაცისა". იმავე ავტორის თხზულების ვრცელ ვარიანტში, ორი ათასის ნაცვლად დასახელებულია 2500 კაცი. ეს რიცხვები ასახავენ მხოლოდ კრწანისის ველზე 11 სექტემბრის ბრძოლების უკანასკნელ მომენტში მონაწილე ქართველების რაოდენობას.

10 და 11 სექტემბერზე შედარებით რეალისტურ ცნობას გადმოგვცემს თეიმურაზ ბატონიშვილი. იგი წერს, რომ „ჰყვეს მეფეს სოლომონს თანა მხედრობანი იმერთანი კაცნი ვითარ ორი ათასიოდენ (ესენი სულ ცხენოსნები უნდა ყოფილიყვნენ. — ს. კ.) და მეფე ირაკლის თანა იყვნეს მაშინ ორი ათას შვიდასადმდე მხედრობა თვისი ცხენოსანნი და ქვეითნი". ალ. ორბელიანის სიტყვით, ერეკლეს ჯარში 2/3 ცხენოსნები იყვნენ და 1/3 ქვეითნი. მეორეგან, იქვე თეიმურაზი წერს, რომ აღა-მაჰმად-ხანს 70 ათასი კაცი ჰყავდაო, რაც გადაჭარბებულია— თბილისთან მას ამოდენა ჯარი არ ჰყავდა. ალბათ, თეიმურაზის სპარსელი ინფორმატორები აქ გულისხმობდნენ აღა-მაჰმად-ხანის მიერ სპარსეთში ფეხზე დაყენებული ჯარის სრულ რაოდენობას; სპარსელების ჯარი იდგა ყარაბაღში (სადაც ალყა ჰქონდათ შემორტყმული ციხე-ქალაქ შუშისათვის), ერევნის სახანოში, განჯასა და სხვა ადგილებშიც, თეირანთან კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად. სპარსელების ჯარის წინააღმდეგ, თეიმურაზისავე სიტყვით, „ებრძოდეს მხედრობანი მეფისანი მხოლოდ ხუთი-ათასამდე კაცი ოდენ". განსხვავება თითქმის სამას კაცშია. შესაძლებელია, რომ ამ სამას კაცში იგულისხმებიან კრწანისის ველის მისადგომების ბატარეებზე მდგომი არტილერისტები თავიანთი ზარბაზნებით. სერობიც აქ 300 კაცს უჩვენებს.

გენ. ქიშმიშევი გადმოგვცემს, რომ ერეკლემ თბილისის მოქალაქეთაგან შეკრიბა 1500 კაცი. ალბათ, ეს ცნობა ს. ქიშმიშევს აღებული აქვს თბილისის მოქალაქეებში მის დროს დარჩენილი ზეპირგადმოცემიდან. ამიტომ ზეპირგადმოცემათა ჩვეულებისამებრ რიცხვი 1500 გადაჭარბებული უნდა იყოს. თეიმურაზის ცნობიდან ჩანს, რომ მარცხენა ფლანგზე ფშავ-ხევსურთა, არაგველთა და ქიზიყელთა გარდა კრწანისის ველზე შემტევ რაზმში მონაწილეობდნენ რჩეული მოქალაქენი დავით მაჩაბლის წინამძღოლობით. იაკუბ-ბეგის სიტყვით, მთელი ეს შემტევი რაზმი 11 სექტემბერს ათასი კაცისაგან შედგებოდა, ამ

რაზმში საგულისხმებელნი არიან სამასი არაგველნიც. ამიტომ რჩეულ მოქალაქეთა რაოდენობა დაახლ. 300 კაცია სავარაუდებელი.

ს. ქიშმიშევის სიტყვით, ხსენებულ 1500 მოქალაქისაგან 1200 კაცი დაყენებულ იქნა სეიდაბადის ბაღების დასაცავად, 300 კაცი კი გააგზავნეს ყორჩა-ყალაზე (ე. ი. თაბორის მთაზე) იულონ (უნდა იყოს დავით) ბატონიშვილის რაზმის გასაძლიერებლად. ეს რიცხვი შეიძლება ასე იქნას გაგებული. ამ მოქალაქეებიდან რჩეულნი დაახლ. 300 კაცი 11 სექტემბერს დაყენებულ იქნა დავით ბატონიშვილთან, დანარჩენი 800—900 კაცი კი კოჯრის გზაზე.

ყოველივე ზემონათქვამიდან ჩანს, რომ ქართველებს 10 სექტემბერს თბილისის დასაცავად უნდა ჰყოლოდათ ექვსი ათასზე მეტი კაცი (მათ შორის ორი ათასი იმერელი). მთელი ამ რიცხვიდან ათასი კაცი, არტილერისტების ჩათვლით, რჩეული მეომრები იყვნენ, დანარჩენები კი გამოუცდელი და სუსტები.

8. 9 სექტემბრის მცირე შეტაკება ყარყუთის (ლოღანლუღის) პოზიციების სამხრეთით

9 სექტემბერს დილითვე შაჰმა ცხენოსნები გააგზავნა გზების დასაზვერად და ბრძანა წინსვლა დაეწყოთ.

9 სექტემბერსავე შუადღეს აღა-მაჰმად-ხანის მთავარი ბანაკიდან მისი ჯარის მეწინავე მცირერიცხოვანი რაზმი მოუახლოვდა სოღანლუღს, რომლის მისადგომშიც ბაღ-ვენახები დაკავებული ჰქონდა დავით ბატონიშვილის რაზმს (ეს ჩანს ს. ქიშმიშევის ცნობიდან).

დავითი დაუყოვნებლივ თავს დაესხა სპარსელებს თოფის სროლით, დაამარცხა ისინი და განდევნა. ს. ქიშმიშევის ცნობით, დამარცხებულნი სასწრაფოდ დაბრუნდნენ თავიანთ ბანაკში და თავისი სიმხდალე რომ დაეფარათ, ამბავი მიიტანეს — ქართველებს დიდი ძალები ჰყავთო სოღანლუღის არეში. ასეთი იყო პირველი შებრძოლება სპარსელებთან.

მაგრამ ეს იყო მაინც შედარებით მცირე შეტაკება მზვერავ რაზმებს შორის (თითოეულ მხარეზე, ალბათ, ორასი-სამასიოდე კაცის მონაწილეობით).

სოღანლუღთან 9 სექტემბერს მომხდარ ამ მცირე შეტაკებას გულისხმობს ნიკ. ბარათაშვილი, როდესაც ის ყარყუთა-კრწანისის ეპოპეას სამი დღის ფარგლებში შლის.

ცნობისათვის: აღა-მაჰმად-ხანის შემოსევას ნიკოლოზ ბარათაშვილი აღწერს თავის პოემაში „ბედი ქართლისა“, მაგრამ აქ ეს ფაქტი შეზავებულია პოეტური ფანტაზიით, ამიტომ ისტორიული სინამდვილის წარმოსადგენად მას მცირე მნიშვნელობა აქვს. ნიკ. ბარათაშვილს სავსებით მცდარად აქვს წარმოდგენილი სპარსელების ჯარის თბილისზე პირველ დღეს მოწყობილი ლაშქრობის არსი. პოემის თანახმად, პირველივე (უნდა იგულისხმებოდეს 10 სექტემბრის) ბრძოლაში ქართველებმა გაიმარჯვეს და ისინი ზეიმით დაბრუნდნენ ქალაქში.

ქალაქს მოიქცნენ იმავე ღამეს
და მსწრაფლ ზღუდენი ნარიყალისა
ექმნათ საჴურედ ჯართა ქართლისა!
გათენდა დილა მზისა აღმოსვლად
მაგრამ მნათობმან შუქისა ნაცვლად
ბნელი მოჰფინა ტფილისის არეს:
აღა-მაჰმად-ხან მოადგა ციხეს!

ნიკ. ბარათაშვილის პოემაში „ბედი ქართლისა“ აღა-მაჰმად-ხანის შესახებ ნათქვამია:

სამი დღე და ღამ ადგა მას [ერეკლეს] ჯარით,
მაგრამ ვერარა ავნო ვერსაით.
დაღონდა სპარსთა მეფე ბორგვნილი,
და თურმე ყოვლით იმედმიხდილი
ქართლითგან წასვლას დააპირებდა;
მაგრამ იუდა ჟამს ეძიებდა!...

ნ. ბარათაშვილს თბილისის დაცვის ფაქტიური სურათი ზოგადი პოეტური ფერებით აქვს წარმოდგენილი, რადგანაც, ჩანს, რომ ერეკლემ უარყო თბილისის ციხეში გამაგრების იდეა და არსებითად მანევრული ომი ამჯობინა. ნ. ბარათაშვილის ცნობა იმის შესახებ, თითქოს, სპარსელები სამი დღე და ღამე ადგნენ თბილისის ციხეს, ასევე პოეტურად წარმოდგენილი ამბავია. მაგრამ თავისთავად, ნ. ბარათაშვილის ცნობა იმის შესახებ, რომ თბილისის მისადგომებთან ბრძოლა სამი დღე გაგრძელდა, მართალია იმ მხრივ, რომ პირველ დღეს (9 სექტემბერს), როდესაც ყარყუთას მიუახლოვდა სპარსელების მცირე მზვერავი რაზმი, ქართველების მზვერავმავე, მაგრამ უფრო ძლიერმა რაზმმა, დაამარცხა და განდევნა ის. მეორე დღეს (10 სექტემბერს) კი ქართველებს ებრძოდა სპარსელების მხოლოდ ერთი ნაწილი — ასე გამოდის სერობის ცნობიდან. მთავარი ბრძოლა მოხდა 11 სექტემბერს.

ნ. ბარათშვილს იქვე აქვს ასეთი ადგილიც:

> აჰა მან იგი აწ მოიხელთა
> და მუხთალისა ანგართა ხელთა
> აჰყარეს მამულს სიმტკიცის ბჭენი!
> მან მტერთ უმსხვერპლა თვისნი მოძმენი!.

აქ ლაპარაკია რომელიღაც გამცემზე, რომელმაც მტერს საიდუმლოდ მიაწვდინა თბილისის დაცვასთან დაკავშირებული ინფორმაცია და 10 სექტემბერს ღამით დაარწმუნა აღა-მაჰმად-ხანი, ომი გაეგრძელებინა. არ ჩანს, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ეს ჯაშუში ქართველი, რომლის ვინაობაც, ალბათ, ნიკ. ბარათშვილისათვის ცნობილი იქნებოდა. შესაძლებელია, ეს გამცემი იყო ოსეფა ყორღანაშვილის შვილი ივანე, რომელსაც შემდეგ, „რუსების დროს", ვანკა-კაინს ეძახდნენ.

ქართველების ეს პირველი, ძლიერი სანგრებით ორ რიგად გაწყობილი პოზიცია იყო სოღანლუღში. მათ მარჯვენა ფრთაზეც მთებზე ჯარი იდგა. აქედან თბილისის მიმართულებით 4 კმ სიგრძეზე კი იწყებოდა მეტად ძნელად სავალი ვიწროები. ერთი მხრივ, მიემართებოდა უგზო-უკვლო სოღანლუღ-შავნაბადის მთები, მეორე მხრივ კი მდ. მტკვარი, რომლის კბოდეზეც მოემართებოდა განჯიდან მომავალი საქარავნო გზა. ეს ადგილები თითქმის გამორიცხავდნენ აქ რაიმე რთული მანევრირებისა, თუ გადაჯგუფების შესაძლებლობას, ამიტომაც ჩასაფრებულ და საწყის პოზიციებზე მდგომ ქართველებს სრული იმედი უნდა ჰქონდათ იმისა, რომ აქ მცირე ძალებითაც შესძლებდნენ მრავალრიცხოვანი მტრის მოგერიებას.

9. ბრძოლა ყარაყუთის ვიწროებთან 10 სექტემბრის დილით

სერობის გადმოცემით, 9 სექტემბერს დილას, სოღანლუღთან მოვლის შემდეგ, შაჰმა ბრძანა, რომ მეორე დღეს უთენია 4 ათასი ცხენოსნით დაეწყოთ შეტევა.

ამ ამბის მონაწილე იაკუბ-ბეგ ბებუთაშვილი სპარსელთა მთავარი ბანაკის ამ მოწინავე ნაწილის წინსვლის თაობაზე შემდეგს მოგვითხრობს: „როდესაც ბანაკმა დაიწყო აყრა თბილისისაკენ, ჩვენს მარცხნის მხრით იყო მაღალი და გრძელი მთა ვიდრე თბილისამდინ (ვგონებ, თელეთის მთა ანუ იაღლუჯა) სამსე ხევებით (აქ იგულისხმება ახლანდელი სანგრის გორა, უფრო კი — შავნაბადას მთა.—ს. კ.), რომელშიაც, გვესმოდა, რომ ბევრი ლეკისა და ქართველთ ჯარი

არის დამალულიო, და მტკვარი დაგვრჩა მარჯვნივ, მდინარის იქითა პირი იყო თანასწორი მინდორი. თუმც ტაროსი იყო ღრუბლიანი, მაგრამ ჩვენს თვალში კიდევაც კარგად ჩანდა და გრძელდებოდა თბილისამდინ, სადაც ადვილად შეიძლებოდა ბანაკის მიყვანა, უკეთუ მტკვარი დიდი არ ყოფილიყო; და ესრედ ვიწრო გზებში, რომლებზედაც უნდა გაგვეევლო ერთის მხრით იყო მაღალი მთები, და მრავლის სანგრებით და ჯარებით გამაგრებული, და მეორეს მხრით — მტკვარი ადიდებული და ჩვენ ვგონებდით, რომ შეუძლებელია თბილისის აღებაო. შაჰმა იმავე დილით რამდენიმე ცხენოსანნი გაგზავნა, რომელთაც გზები უნდა გაეშინჯათ და ბრძანა მისვლა ქალაქზედ.

ჩვენის ბანაკის ადგილიდამ ნახევარ საათის ანუ მეტის (ცხენოსანი ჯარის. — ს. კ.) სიარულის შემდგომ მივეხწიენით ვიწროსა გზასა და კლდიანს ადგილსა, სადაც მარჯვნივ იყო მტკვარი და მარცხნივ იქ მაღალს მთებზე ქართველთ ჯარი სანგარში გამაგრებული იყო, (ეს იყო სოღანლუღის ვიწროები. — ს. კ.), ამაზედ საკმაო ძალი მივიტანეთ, მაგრამ ადგილიდან არ დაიძრნენ".

თავდაპირველად ქართველებს განზრახული ჰქონდათ სოღანლუღის სანგრებთან შეეჩერებინათ სპარსელები, რათა დრო მოეგოთ, ვიდრე თბილისში ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან დაბარებული ჯარები შეიკრიბებოდნენ.

აი სწორედ აქ გაიმართა პირველი დიდი ბრძოლა. პირველი სანგრის წინააღმდეგ სპარსელებმა ზამბურაკებიდან ცეცხლი გახსნეს და როცა ქართველებმა მთებზე იწყეს ასვლა, ახლა უკვე მეორე იერიშიც დაიწყეს. იაკუბ-ბეგს, რომელიც თვითონ მონაწილეობდა ამ ბრძოლებში, ეს ამბები ასე დამახსოვრებია. ქართველები შევიდნენ მეორე სანგარში, „რომლის გასატარებელი გზა უფრო ვიწრო იყო და მაგარის კლდით შეკრული და ამის წინად პატარა მინდორი იყო, სადაც ჩვენი ბანაკის მეათედი დაეტეოდა მხოლოდ სანგარზედ საომრად, ძლივ თუღა ორი ათასსა მხედრობას შეეძლო თავიანთის იარაღის ხმარება. ვითარცა ვთქვი, ერთს მხარეს მტკვარი იყო და მეორე მხარეს მიუსვლელი კლდეები, სადაც ბევრი ჯარი იყო თოფებით ხელში განმზადებულნი, რომელნიც დიდად აბრკოლებდენ ჩვენს ჯარს სანგარზედ მისვლისათვის, ერთს საათამდინ ვეცადენით და ვერ შევიძელით მიახლოება იმათს სანგარზედ და ჩვენგანნი ვგონებ ასასობით დაეცნენ. შაჰი სცდილობდა, რომ ახალი ღონისძიება მოეპოვნა.

შაჰმა ნახა თავის ჯარის განსაცდელი და მიუსვლელი ეგონა სანგარი. ამბობენ, იმისთანა სანგრებში წინ ბევრი არისო. მოუწოდა წინ

წამსვლელთ ჯარის მხედართ მთავარსა და უბრძანა, რომ შეუნძრევ-ლად ის ადგილი დაიცვას და გაფრთხილდეს მთების წვერეზედ განფენილის ქართველთ ჯარისაგან, რომ არ დაესხან თავიანთ ჯარსა და თვით თავის ცხენი მოაბრუნა მტკვრისაკენ და ხმა-ჰყო; ვისაც შაჰის თავი უყვარს და ვაჟ-კაცია, მოვიდეს შაჰის ახლო და თუ მტკვარმა მე წამიღოს, ეცადენით ჩემი გვამი შეიპყრათ, წაიღოთ და დაფლათ. სთქვა და თავის თურქმნის ცხენს ჰკრა მათრახი და შეაგდო მტკვარში. ჩვენი მხრივ მტკვრის პირი ვაკე იყო და გაღმავ კი დაკლდეებული. ასვლა არ შეიძლებოდა. მოულოდნელად ახლოთვე სამი ათასი ცხენოსანი ჯარი გაჰყვა შაჰსა (მათში მეც ვიყავ რამდენიმე ასი ცხენოსნით). შაჰი რომ მიახლოვდა იქით ნაპირსაც, ვგონებ ახლად შეენიშნა, რომ ცხენი იმ კლდეზე ვერ ავიდოდა; ამისთვის ცხენი მოაბრუნა და ცოტა ქვემოთ დავაკებულ კლდეზე გავიდა გაღმა მშრალზედ. როგორც პირველი შევიდა მტკვარში, ისე პირველი გავიდა გაღმა. და სამასამდის ცხენოსანნი მდინარეში დაიხრჩვნენ, რადგან ვერ შეიძლეს მეორეთ გასვლა გამოღმიდამ გაღმა.

მშრალზედ გასული შაჰი ერთ პატარა გორაზე ავიდა, დადგა და უყურა გამსვლელთ ჯართა, რომელნიც სრულიად რო გავიდნენ, ხმა ჰყო ამილახორს (მეჯინიბეთ მთავარს), რომ ორი ცხენი გამამიყვანეო. მხედრობა პატარა ხანს დაასვენა. შემდეგ მძიმედ დაუწყო გაღმიდამ სინჯვა ქართველთ სანგრებსა, რომელთაც ცხადად ვხედავდით, აგრეთვე თბილისის ერთის ნაწილის სახლებს ადვილად ვამჩნევდით. ქართველთ მესანგრე ჯარი ნახეს შავსა გაღმა და ცოტ-ცოტა ცხენოსანი ჯარის მიმატება და დაინახეს რომ შაჰი წინ წავიდა იქით პირსა ზემოდ მხარესა, და შაჰმა ხელით ანიშნა მხედართ მთავარს, რომ ყოვლის ძლიერებით სანგარზედ მისულიყო. ქართველებს კი ეგონათ — უკანიდამ გზა უნდა გადაგვიჭრას შაჰმაო. ამისთვის მაშინვე თავი დაანებეს იმ სანგარს და, თბილისისაკენ წასულნი, მესამე სანგარში მყოფ ჯართან შეერთდნენ.

შაჰმა რომ ნახა მათი გაქცევა, — მოგვითხრობს იგივე ავტორი, — მოინდომა უკანვე დაბრუნება და თავის ჯართან გაღმა გასვლა, ამ დროს რამდენიმე სარწმუნოება გამოცვლილი ქართველნი, რომელნიც ჩვენს ბანაკში იყვნენ, წინ წამოდგნენ და თავი დაუკრეს შაჰსა და მოახსენეს — ამ ახლო ადგილს ზემოთ ბაღებში (ორთაჭალა) რომ ჩანს, იქ უფრო უკეთესი ფონი არის, რადგან მტკვარი ორად იყოფება და იქ საპალნე აკიდებული ჯორიც ადვილად გავაო. შაჰმა აქო ისინი და მათი ერთგულება და ვაჟ-კაცობა და გაგვიძღვნენ ის სარწმუნოების

მგმობელი ქართველნი და ძლიერ ადვილად გავედით იმ ფონსა და რამდენიმე წამი მოვიცადეთ".

სპარსელების ბანაკში მყოფ ქართველ მაჰმადიანებს, რომელთაც აღა-მაჰმად-ხანს ფონი უჩვენეს, იაკუბ-ბეგ ბებუთაშვილი თავიანთი ქვეყნის და სარწმუნოების მოღალატეთ უწოდებს (თავის თავს კი ის რატომღაც ასეთად არ თვლის, ალბათ იმიტომ, რომ ქრისტიანად იყო დარჩენილი, თუმცა სპარსეთის სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა).

ფონი, რომელიც აღა-მაჰმად-ხანს რენეგატმა ქართველებმა უჩვენეს, იყო დაახლოებით ყარყუთას და კრწანისის ველის შუა, იქ, სადაც მტკვარს დიდი კუნძული ახლაც თითქმის ორ თანაბარ ტოტად ყოფს. ამ ადგილას აღა-მაჰმად-ხანმა თავისი რაზმი ამჟამად თითქმის უვნებლად გადაიყვანა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე.

ორთაჭალაზე სპარსელებს მისვლა არ შეეძლოთ, ვინაიდან, ისინი მოხვდებოდნენ ყარყუთა-სოღანლუღიდან მიმავალ და კრწანისის ველზე მდგომ ქართველების ორ ცეცხლს შუა და უსათუოდ განადგურდებოდნენ, ამიტომაც ამჯერად სპარსელების სარდლობა იმით დაკმაყოფილდა, რომ აიძულა ქართველები ყარყუთა-სოღანლუღის პოზიციები დაეცალათ და უკან დაეხიათ.

ყარყუთას პოზიციებზე მდგომი ქართველების ჯარის რაოდენობის შესახებ ალ. ორბელიანი გადმოგვცემს, რომ იქ იყვნენ ორივე მეფენი — ერეკლე და სოლომონი 4 ათასი კაცით. თუ ეს რიცხვი მიახლოებით მაინც სწორია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ აქ სანგარსა და აგრეთვე ფერდობებზე იმ ჯარის გარდა, რომელიც იმავე დღეს კრწანისის ველზე 2 500 ათასი კაცის რაოდენობით იბრძოდა, ქართველებს უნდა გამოყვანილი ჰყოლოდათ კიდევ მოქალქეთა რაზმების უმეტესობაც, სულ ცოტა ათასი კაცი მაინც. აქ ბრძოლას შეიძლებოდა მეტნაკლებად პოზიციური ხასიათი ჰქონდა. ამიტომაც მასში ომებში გამოუცდელი მოქალაქეები სავსებით გამოდგებოდნენ. კრწანისის ომების თანამედროვე ტერ-ოჰან ვოსკერჩიანცი გვამცნობს: „დაინახა ერეკლემ, რომ მის შვილებს შორის უთანხმოების გამო არ მოვიდნენ ტფილისში მოლოდინებული ჯარები და რომ ქალაქში მყოფთ იმერლების ჯარი ♭არცვავდა ქალაქს (უნდა ვიგულისხმოთ, თავისთვის სურსათს კრებდა. — ს. კ.), ის სასოწარკვეთილი გავიდა და რაც ძალები ჰყავდა, იმით შეება სპარსელებს სოღანლუღში, რომელიც ქალაქის ახლოს მდებარეობდა. ამ პირველ დღეს მან აქ მოიპოვა მცირე გამარჯვება და დაბრუნდა ქალაქში".

მას შემდეგ, რაც მტკვარი გადალახეს, იმის გამო, რომ ქართველებს ხევებზე გადებული ბოგირები აეყარათ, ყიზილბაშებს ჩვეულებრივზე მეტი დრო მოუნდათ, ვიდრე თავისი სამი ათასი ცხენოსანი ვიწრო საურმე გზით კრწანისის ველზე რომ გამოეყვანათ და აქ სათახადო გეგმით განელაგებინათ. ამასთანავე სპარსელების ზემოხსენებულ მხედრობას კიდევ შავნაბადის მთის ფერდობებზე კრწანისის ველისაკენ გადმოსული ჯარიც მოემატათ.

ალ. ორბელიანის მიხედვით, ქართველების ჯარი სწრაფად იხევდა უკან კრწანისის ველისაკენ. სისწრაფე არა მარტო იმით აიხსნება, რომ მტკვრის მარცხენა ნაპირზე გასული აღა-მაჰმად-ხანი ემუქრებოდა ქართველებს — მტკვარზე უკანვე მოსვლით ზურგში მოქცეოდა მათ, არამედ იმითაც, რომ ქართულ სარარდობას (სარდლობას) მზვერავებისგან უკვე მიღებული ექნებოდა ცნობა, რომ სპარსელების ერთი ნაწილი თელეთის გზიდან, მაშასადამე, დასავლეთიდან ადიოდა შავნაბადაზე, რათა იქიდან კრწანისის ველზე ჩამოსულიყო. საჭირო იყო სასწრაფოდ უკან დახევა და კრწანისის ველის ჩრდილოეთიდან კარგად მისადგომი და გამაგრებული პოზიციების დაკავება.

უკან დახეულმა ქართველებმა გავლეს ვიწრობი, შემდეგ კრწანისის ველიც და მოთავსდნენ ამ ველის თავში გორებთან, წინასწარ დამზადებულ პოზიციაზე. აქ მცირე გორაზე, როგორც ეს სერობის ცნობიდანაა საგულისხმებელი, იდგა ბატარეა თერთმეტი რუსული და რვა ევროპული ზარბაზნით, რომლებსაც ემსახურებოდნენ საუკეთესოდ გაწვრთნილი არტილერისტები.

როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ ამ დღისთვის სპარსელების რაოდენობა? იაკუბ-ბეგის თანახმად, აღა-მაჰმად-ხანს 10 სექტემბერს მტკვრის მეორე ნაპირას გაჰყვა სამი ათასი რჩეული ცხენოსანი. ამათგან ორასი-სამასი კაცი მტკვარში დაიხრჩო. გარდა ამისა, უსახელო ქართველი ავტორის სიტყვით, კიდევ უფრო მეტი ჯარი გადმოვიდა ამ დღეს კრწანისის ველზე შავნაბადას მთიდან („ურიცხვი ჯარი"-ო). ამიტომ შესაძლებელია კრწანისის ველზე ამ დღეს სპარსელების მებრძოლი ჯარი ვიგულისხმოთ ცხრა-ათი ათასამდის კაცი, მეტწილად ცხენოსნები. როგორ იყვნენ ისინი შეიარაღებულნი? რასაკვირველია, მათ შორის იქნებოდნენ მეთოფეებიც. ეს ჩანს დავით ბატონიშვილის ასეთი სიტყვებიდან: „1795 [წელს] მოვიდა აღა-მაჰმად-ხან და შემუსრა ტფილისი და სძლო მეფესა, თუმცაღა წინას დღეს ესძლეთ იმისს ჩარხაჩს ჩინებულად". ეს „წინა დღე" არის 10 სექტემბერი,

ხოლო ჩარხაჩი ნიშნავს ისრის მტყორცნელს. მაშასადამე, სპარსელების ჯარის შემტევი ნაწილის უმეტესობა იყო ისრის მტყორცნელი (გაუმჯობესებული, მცირედ მექანიზებული მშვილდი, რომელიც იხმარებოდა ძველი რომის სახელმწიფოში, სპარსეთში შემორჩა ამ დროისთვისაც. ევროპაში მას ეძახდნენ ფრანგულ სახელს — არბალეტი).

რამდენი ჯარი ჰყავდათ ამავე რიცხვში დღის მეორე ნახევარში ქართველებს კრწანისის ველზე?

1795 წელს 15 სექტემბერს ერეკლე თავის შვილს მირიანს და ელჩს გარს. ჭავჭავაძეს პეტერბურგში მთიულეთიდან სწერდა: „ათ სექტემბერს აღა-მაჰმად-ხანი მოადგა ტფილისს. ამ პირველი მისი მოსვლისას მე შევხვდი მას შეკრებილი მცირერიცხოვანი ჯარით და იმერეთის მეფესაც ჰყავდა თან აგრეთვე დაახლოებით ათასი კაცი. ჩვენ დავამარცხეთ აღა-მაჰმად-ხანის მეწინავე ჯარები და უკან დავბრუნდით".

ამ ცნობის მიხედვით, 10 სექტემბერს ერეკლეს ჯარი კრწანისის ველზე ბევრად არ აღემატებოდა სოლომონის მხედრობას, ორივე ერთად კი უნდა ყოფილიყო დაახლოებით ორი ათას ხუთასი კაცი. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობა, რომ 11 სექტემბერს დილით იმერლები ორი ათასამდე იყვნენ. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ იმერლებს ზარალი მოუვიდათ 10-შიც და მაინც 11-ში ისინი 2000-მდე იყვნენ, გამოდის, რომ 10 სექტემბერს ათასზე მეტი იმერელი რეზერვში იდგა და ბრძოლაში არ მონაწილეობდა. ამდენად, 11 სექტემბერს ბრძოლებში მონაწილე 2000 იმერელი და 10-ში ნაგულისხმები დაღუპული იმერლები, ერთად აღებული, უნდა ყოფილიყვნენ 2,5 ათასი კაცი. ეს იყო, მაშასადამე, იმერელთა საერთო რაოდენობა 10 სექტემბრის დამდეგს. ამათ ემატებოდნენ ქალაქში რეზერვში მყოფი მოქალაქეთა რაზმები და სხვ.

ერეკლეს ზემოთ ციტირებული სიტყვებიდან ჩანს, რომ მას ამ დღეს კრწანისის ველზე თითქოს მთლად გაუყვანია თავისი ჯარები.

§1. 10 სექტემბრის ბრძოლები კრწანისის ველზე

ყარყუთის ვიწრობთან და მის შემდეგ კრწანისის ველზე მომხდარი ბრძოლების ამბები სერობს ერთმანეთზე აქვს გადაბმული და შათ მოკლედ გადმოგვცემს. ეტყობა, სერობის ინფორმატორები 10 სექტემბრის ბრძოლას თვითონ არ დასწრებიან, რის გამოც ერთმანეთზე მიყოლებით ამ დღის ამბების გადაცემა დალაგებით ვერ შეს-

ძლეს. ამიტომ სერობი ჯერ გადმოგვცემს, რომ 10 სექტემბერს დილიდანვე სპარსელების 4-ათასიანმა ცხენოსანმა ჯარმა შეტევა დაიწყოო (იგულისხმება ბრძოლა ყარყუთა-სოღანლუღიდან), შემდეგ კი იგივე ავტორი განაგრძობს, რომ ამ ჯარმა მიაღწია ვენახების დასაწყისს (ე. ი. კრწანისის ველიც გაუვლია) და აქ 4 საათის განმავლობაში გაბედულად უტევდა ჩვენს ზარბაზნებს, რომლებიც ხშირ ყუმბარებს უშენდნენ მტერს, ამიტომაც მტერმა ვერ მოახერხა გამარჯვება.

ზემოთ მითითებული ცნობიდან ჩანს, რომ დასაწყისშივე ერეკლემ სპარსელების წინ წამოწეულ ჯარს არტილერია დაუშინა. რამაც დიდი ზარალი მიაყენა ამ უკანასკნელებს. სპარსელებმა ვერ მოახერხეს არტილერიის საფარქვეშ მყოფი ქართველების ჯართან მიახლოებაც კი. მეზარბაზნეები სპარსელების ახალ-ახალ დასტებს აჩერებდნენ და მათ დიდად დაზარალებულთ უკუაგდებდნენ. ერეკლე აქაც იყენებდა მის დროს მიღებულ ტაქტიკას, რომლის მიზანიც ის იყო, რომ არტილერიის ცეცხლით მოეღალა და მოექანცა მტერი, დაეზარალებინა იგი, რის შემდეგაც მას თავისი დასვენებული რჩეული მეომრებით დაჰკრავდა. მართლაც, როგორც ეტყობა, ქართველებმა სპარსელების მეწინავე ჯარი ზარბაზნის ყუმბარის სასროლ მანძილზე (500—600 მეტრზე) მიუშვეს, შემდეგ სასტიკი ცეცხლის დაშენით დიდი ზარალი მიაყენეს მას და გატეხეს კიდევაც. ასევე დაუპირისპირდა ერეკლე სპარსელების შემდგომ დარტყმებს, როცა ისინი შავნაბადას ქედიდან გადმოსულნი ცდილობდნენ თავისიანთა დახმარებას.

ამგვარად, კრწანისის ველის ჩრდილოეთ მონაკვეთში, ვენახებთან, ზარბაზნები სპარსელებს ოთხი საათის განმავლობაში აჩერებდნენ.

ამის შემდეგ მოღლილი და მოტეხილი სპარსელების წინააღმდეგ ქართველებმა იერიშით დაიწყეს შეტევა. ამ ოპერაციას მეთაურობდა დავით ბატონიშვილი. რომელიც მეწინავეთა რაზმის სათავეში იდგა. მის ხელქვეით იყვნენ სარდლები: ოთარ ამილახვარი, იოანე მუხრანბატონი, ზაქარია ანდრონიკაშვილი (ქიზიყის მოურავი) თავიანთი რაზმებით და იმერეთის სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი იმერლების რაზმით.

უცნობი ქართველი ავტორის ცნობით, ამ დღეს კრწანისის ბრძოლის ველზე იყვნენ ორივე მეფენი, ბატონიშვილი დავით და იოანე, ამასთან იმერლების ჯარიც. „გამოჩნდა მათი (სპარსელების) ჯარი ურიცხვი მთასა ზედა შავ-ნაბადისასა და შეიქნა ომი ფიცხელი და მოსცა ღმერთმან ძლევა მეფეს ირაკლის მრავალგზის გამარჯვებულსა და ბრავალგზის ღვთისგან დაცულსა ბრძოლასა შინა და იმ დღეს მრა-

ვალი ყიზილბაში დახოცეს და მრავალი თავიც მოართვეს. ვიდრე მწუხრამდე იყო ბრძოლა და სიღამემან განყარნა".

უსახელო ავტორის ცნობაში საყურადღებოა ის მითითება, რომ, ამ ბრძოლაში იყვნენ ერეკლე და სოლომონ მეფეებიცაო. დავით ბატონიშვილის ცნობით კი, ამ ბრძოლას ის თვითონ ხელმძღვანელობდა, რაც მართალი უნდა იყოს. ერეკლე და სოლომონი იქვე რეზერვში იდგნენ, მაგრამ ბრძოლაში არ ჩაბმულან.

დავით ბატონიშვილმა ისე კარგად ჩაატარა ეს შეტევა, რომ საჭირო არ გახდა რეზერვის გამოყვანა.

დავით ბატონიშვილის (1757—1819) ეპიტაფიაში, სადაც ჩამოთვლილია მისი მთავარი დამსახურებანი სხვადასხვა დარგში, აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში მისი ღვაწლი ასეა გამოთქმული:

მეწინავენი სპარსთაი წარვიქციენ
ჟამსა მოსვლისა ხოჯასასა ტფილისს.
დღესა მეორესა, ოდეს სძლიეს სპარს-ქართველებმა
მშვიდობით დავსცევ დას-მწყობრი რწმუნებული
ცეცხლ სასროლელით, რომელიც განვარინენ.

ამგვარად, უეჭველია, რომ არტილერიის ცეცხლით მოტეხილი და დეზორგანიზებული სპარსელების ჯარის წინაალმდეგ შეტევას ხელმძღვანელობდა 26 წლის დავით ბატონიშვილი, რომელიც საერთოდ ცნობილი იყო თავისი განსაკუთრებული სიმამაცითა და ჭკუით.

როგორც აღვნიშნავდით, 10 სექტემბრის ცნობილ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა იმერეთის მეფის სოლომონ II-ის ლაშქარიც. ამ ამბებს უნდა გულისხმობდეს იმერეთის მეღვინეთუხუცესის სვიმონ წერეთლის მოგონებაც, რომელიც მას მოუყოლია აკაკი წერეთლისათვის, ამ უკანასკნელმა კი იგი გამოაქვეყნა კიდევაც. სვ. წერეთლის თქმით, „გამოღმით (კრწანისის ველიდან) ჩვენ ვიდექით მაღლობზე და გაღმით ყიზილბაშები: ჩვენ ვიყავით ორი ათასამდე იმერელი, აქედან ერთი ნაწილიც (არტილერიის უფროსს) ქუმელა გურამიშვილს გაუგზავნეს. იქვე ჩვენთან იყო ორასამდე თათარი და სხვა კანტიკუნტად ქართლ-კახელები... მტერმა რომ გვიცოტავა, მოგვმართა, მაგრამ ჩვენ ბრძანება გვქონდა და ადგილიდან არ დავძრულვართ. ჯერ თოფები მივახალეთ და მერე ხმლით დავიწყეთ მოგერიება. შვიდჯერ გავაბრუნეთ. იმათ ახალ-ახალი ჯარი ენაცვლებოდათ, ჩვენ კი ჯერ არ გვეჭირვებოდა გამონაცვლება. საოცარი გულდამშვიდებით იბრძოდნენ ჩვენი თათრები და ქართლ-კახელები, ჩვენები კი ჯიქივით ხტოდნენ და საფარში აღარ დგებოდნენ. ორჯერ-სამჯერ კიდეც გაჰყვნენ

და მისდიეს უკუქცეულ მტერს. რაჰველი გოცირიძე გაიტაცა ბრძოლის სიმთვრალემ და მარტომარტო სერამდის აჰყვა გაქცეულ სპარსელებს... ისინიც მოუბრუნდნენ და შემოჰკრეს ირგვლივ. საოცარი სანახავი იყო მისი თავგამოდება — შემოატრიალა ხმალი და ირგვლივ კალო გაიკეთა. ეს რომ დაინახეს მისმა ამხანაგებმა, ახალგაზრდა იმერლებმა გულმა აღარ მოუთმინათ და შეუტიეს — ერთი ასს ებრძოდა. მოკლეს გოცირიძე, ზედ სამასამდის ჩვენებიც დააკვდა, მაგრამ ზედ ყიზილბაშების ხორაც დადგეს. მაშინ ბრძანა მეფე ირაკლიმ — აჩქარდნენ, საქმეს გამიფუჭებენო. მოავლო ბაირაღს ხელი (შეად. ზემოთ ალ. ორბელიანის ცნობა) და თითონ წაუძღვა ერთიანად ჯარს. ახალგაზრდა შვილიშვილი (სოლომონ II) ადგილზე დასტოვა და მიბრძანა — მეც არ მოვშორებოდი, მაგრამ ჩვენს მეფესაც გულმა აღარ მოუთმინა, მიაშურა ხმალ და ხმალ და ჩვენც მივყევით. ბევრს ომში ვყოფილვარ, მაგრამ ამისთანა ბრძოლა არსად მინახავს. თუ წინ ბნელი არ გადაგვღობებოდა, შორს გავრეკდით მტრებს. გამარჯვება მაინც, რა-საკვირველია, ჩვენი იყო".

სვ. წერეთლის გადმოცემას მთლიანად ემოწმება ალ. ორბელიანიც, რომელიც წერს: „მეფე სოლომონის დის ბატონიშვილის მარიამისაგან გამიგონია: ასე ვაუკაცად იყენენ იმერლებიო, რომ მარტო ორასი მეტი თავად-აზნაური დააკლდათ აღა-მაჰმად-ხანის ორის დღის (ე. ი. 10—11 სექტემბერს) ომში. მეც ვიცი მართლა ასეთი ხელი გამოუღიათ იმერლებს, რომ ქართველები გაუკვირებიათ, თვით მაშინდელის ქართველებისაგან გამიგონია".

დღის რომელ ნაწილში უნდა დაწყებულიყო 10 სექტემბრის ბრძოლა კრწანისის ველზე?

სერობის მიხედვით, სპარსელების შეტევები დაიწყო 10 სექტემბერს დილითვე ყარყუთას მისასვლელზე, ამ დროს, იაკუბ-ბეგის მოწმობით, სპარსელებმა რამდენიმე ასეული მეომარი დაკარგეს. ამ ცნობის საფუძველზე საფიქრებელია, რომ აღა-მაჰმად-ხანი მტკვარს გაცურავდა დაახლოებით 11 საათზე. შემდეგ, როგორც ვნახეთ, სპარსელები უკან, მტკვრის მეორე ნაპირზე, დაბრუნდნენ. ისინი ისე მიდიოდნენ შავნაბადის ფერდობებზე, ყარყუთას ვიწრობზე, კრწანისის ველზე, რომ ამ ვიწრობში უკან დახეულ ქართველებს ხიდები და ბოგირები განადგურებული ექნებოდათ. ასეთ ვითარებაში სპარსელების მოძრაობას დასჭირდებოდა არანაკლებ 2 საათისა. მაშასადამე, სპარსელების 8—9 ათასიანი ჯარი კრწანისის ველზე გადმოვიდოდა დაახლოებით 12 საათისათვის. ამის შემდეგ საჭირო იქნებოდა დრო ჯარის

განლაგებისა და შეტევის მოსამზადებლადაც. მაშასადამე, კრწანისის ველის ჩრდილოეთ გამოსავალთან შეტევების დაწყებას სპარსელები შეძლებდნენ მხოლოდ ორის ნახევარზე. ზარბაზნებმა სპარსელები 4 საათი გააჩერეს, დაახლოებით ექვსის ნახევარზე კი ქართველებმა დავით ბატონიშვილის ხელმძღვანელობით იერიშიც დაიწყეს უკვე მოღლილ-მოტეხილი სპარსელების წინააღმდეგ, დაამარცხეს ისინი და მთლიანად განდევნეს კრწანისის ველიდან.

ზემოაღნიშნული ბრძოლის წარმოსადგენად გარკვეული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ თოფი ამ დროს ისროდა 300 ნაბიჯის (დაახლ. 200 მეტრის), ზარბაზანი კი 700—800 მეტრის სიგრძეზე. მაშასადამე, ქართველების არტილერიას შეეძლო ნახევარი კილომეტრის იქით, თავისიანებზე გადავლით, ყუმბარები დაეშინა მოწინააღმდეგისათვის. ხოლო რადგანაც სპარსელებს ასეთი არტილერია არ ჰქონდათ, ქართველებს ბრძოლის ველზე დიდი ტაქტიკური უპირატესობა ეძლეოდათ.

მოახლოებული ღამის სიბნელემ მებრძოლნი გაყარა. შაჰი ავიდა შავნაბადაზე, სადაც მისთვის კარავი იყო დადგმული, მან აქ თავის სარდლებთან ერთად გამართა თათბირი იმის შესახებ, თუ როგორ ემოქმედათ შემდგომ დღეს. სპარსელების ჯარის დიდი ნაწილი დარჩა ყარყუთა-სოღანლუღის ბანაკში, ნაწილი იყო შავნაბადაზე, უფრო მცირე ნაწილი კი, წინა დღეს კრწანისის ველზე რომ იბრძოდა, იქვე, ამ ველის ამოსავალთან დარჩა.

ამგვარად, 10 სექტემბერს სპარსელებმა დიდი ზარალი ნახეს და სერიოზული დამარცხება განიცადეს, რაც ქართველების დიდი გამარჯვება იყო. შემდეგში ქართველებში გარეცელებული იყო აზრი, რომ აღა-მაჰმად-ხანი და მისი სარდლობა უკვე დაეჭვებული იყვნენ ქართველებზე გამარჯვებაში, რის გამოც აღა-მაჰმად-ხანი ყოყმანობდა და უკან წასვლასაც აპირებდა, მაგრამ გამოჩნდა შინაგამცემი, იუდა, როგორც მას ნიკ. ბარათაშვილი უწოდებს. მან, ნ. ბარათაშვილისავე სიტყვით, „მტერთ უმსხვერპლა თვისი მოძმენი“ და გააგებინა სპარსელებს ქართველების მცირერიცხოვნობა. ცნობას ღალატის შესახებ გვაწვდის ალ. ორბელიანიც. თუ ეს ცნობა მართალია, მაშინ ერთადერთი პირი, რომელსაც თითქოს ღალატი შეიძლებოდა ჩაედინა, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, უნდა ყოფილიყო ოსეფა ყორღანაშვილის შვილი ივანე, რომელსაც რუსები 1825—1830-იან წლებში ვანკა-კაინს ეძახდნენ. კაენი „ბიბლიით“ ცნობილია, როგორც თავისი ძმის —

აბელის მკვლელი. ოსეფა და მისი ოჯახი დიდად განაწყენებული იყვნენ მეფე ერეკლესა და ზოგ მის ახლობელზე, თუმცა პირდაპირი საბუთი ზემოხსენებული ღალატის შესახებ არ არსებობს, ოსეფას აბრალებდნენ დარეჯან დედოფალთან სიახლოვეს, მის საქმიანობაში ხელის შეწყობას. ამის გამო სარდალმა დავით ორბელიანმა, ერეკლეს სიძემ, ოსეფა თავის აზნაურებს საჯაროდ გაალახვინა. ორბელიანს ამისთვის არაფერი უყვეს, რის გამოც ო. ყორღანაშვილი, ალ. ორბელიანის სიტყვით, შემდეგ ერეკლეს გაუორგულდა.

10 სექტემბერს ღამე ერეკლე და სოლომონი თავიანთი სარდლებითურთ ქალაქის შიგნით დაბრუნდნენ. კრწანისის ველის გასასვლელსა და არტილერიასთან კი დარჩნენ მცველი რაზმები.

როგორც კი ერეკლე სასახლეში მივიდა, მაშინვე დაიწყო სამხედრო-თათბირი. აქ დაგეგმეს ახალი დისპოზიცია, რომლის მიხედვითაც დილით ადრე ჯარი მზად უნდა ყოფილიყო მისი ნაწილებისათვის მიჩენილ ადგილებზე.

საბწუხაროდ, ამ თათბირს სპარსელების წინააღმდეგ საბრძოლველად არავითარი თვისებრივად ახალი გეგმა არ შემოუთავაზებია. ძირითადი იდეა, რომ ბრძოლა კვლავ ქალაქის გარეთ უნდა გაგრძელებულიყო, უცვლელი დარჩა. მაგრამ თუ 8 სექტემბრის გადაწყვეტილებას ბრძოლის თბილისის გარეთ მიცემის შესახებ ერთგვარი მიმართულება ჰქონდა (რადგანაც ქართველებს ჯერ კიდევ ჰყავდათ ჯარიც და არც სპარსელების რაოდენობა იყო გამორკვეული). 10 სექტემბრის ღამით, როცა გახიზვნის დაწყებისა და ქიზიყელების გაბრუნების გამო ქართველთა რიგები მეტად შეთხელებული იყო და სპარსელების რაოდენობაც მიახლოებით მაინც ცხადი იქნებოდა, თავდაცვის წინანდელი გეგმის უცვლელად დატოვება შეიძლება აიხსნას მოხუცებული ერეკლეს დაბნეულობით და სარდლობის უნიჭობით. 11 სექტემბერს მდგომარეობის გამოსწორება შეეძლო მხოლოდ ქართველების ახალი მაშველი ჯარების მოსვლას (შეიძლება ერეკლეს ამისი იმედიც ჰქონდა), მაგრამ ამ დღეს ქართველებს ერთი კაციც არ მოჰმატებია.

12. 11 სექტემბრის ბრძოლის დისპოზიცია და ძალების შეფარდება

10 სექტემბრის თათბირის შემდეგ, 11 სექტემბერს, დილითვე ქართველებმა თავისი ჯარის ახლებური გაწყობა დაიწყეს, არტილერია იქვე დარჩა, სადაც წინა დღეს იყო, ე. ი. კრწანისის ველის ჩრდი-

ლოეთ ბოლოში მდებარე კლდოვან მაღლობზე, ორხევის პირას, მტკვართან ახლოს. არტილერია იცავდა მტკვრის ნაპირზე არსებულ გასასვლელს და ყუმბარებით ფარავდა წინ კრწანისის ველს 2/3 კილომეტრის მანძილზე. აქვე, მარცხენა ფრთაზე, არტილერიის დასაცავად მტკვართან ახლოს მაღლობზე იდგა იოანე მუხრან-ბატონის სარდლობაში მყოფი გუნდი (რაზმი). მემარჯვენედ (მარჯვენა ფრთაზე) მაღლობზე იდგა იმერლების ათასკაციანი გუნდი ზურაბ წერეთლის წინამძღოლობით. ცენტრი (მემარცხენე და მემარჯვენე ფრთებს შორის) ეკავა თვით ერეკლეს, რომელიც მთავარსარდლობდა. აქ იდგა ორი გუნდი, ერთი ვახტანგ ბატონიშვილის, მეორე კი სარდლის ოთარ ამილახვრის მეთაურობით. სულ კრწანისის პოზიციებზე განლაგებული იყო ხუთი გუნდი 3, 1/3 ათასი კაცის ოდენობით. ამ ადგილებში დამზადებული იყო ოთხწყება სანგრები.

გარდა ამისა, კრწანისის ველის ზემოთ, მაღლა, თაბორის მთის ფერდობზე, ტაბახმელა-შინდისიდან თბილისის ციხისკენ მიმავალ გზას იცავდა ბატონიშვილი დავითი ოთხასი კაცით, ოთხი ზარბაზნით და ორი ზამბურაკით.

ქალაქის პირას, აბანოს ხიდის მიდამოებში, იდგა სოლომონ ნ[illegible] იმერლებით, რომლებსაც ალ. ორბელიანი ათასი კაცის რაოდენობით ითვლის, მაგრამ სინამდვილეში ისინი უფრო ცოტა უნდა ყოფილიყვნენ. სოლომონს და მისიანებს ევალებოდათ წავკისის-წყლის (დაბახანის წყლის) ხეობის დაცვა იმ შემთხვევისთვის, თუ სპარსელები შესძლებდნენ გვერდიდან (თაბორის მთიდან, ან მაჰმადიანთა სასაფლაოს ვაკიდან) აქ გამოჭრას.

როგორი იყო ძალთა თანფარდობა მომავალი ბრძოლისათვის?

თეიმურაზ ბატონიშვილს კრწანისის ომის წინა დღისათვის ქართველების ჯარის რაოდენობა არ აქვს აღნიშნული: იმერლები „ორი ათასი ოდენ", ე. ი. მიახლოებით, და ქართლ-კახელთა „ორი ათას შვიდასამდე". ამ რიცხვში არ შედის არტილერია, რომელშიც, სერობის სიტყვით, უფროსების გარდა სამასი კაცი იყო. ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ იქვე, რამდენიმე სტრიქონის შემდეგ ქართველების ჯარის რაოდენობას კრწანისის ბრძოლის წინ თეიმურაზი უჩვენებს: „ხუთი ათასამდე კაცს". ეს იყო 10 სექტემბერს.

ქართლ-კახეთის ჯარის რიცხვი 10 სექტემბრისათვის შედგებოდა შემდეგი შენაერთებისაგან: მეფის მსახურნი (მუდმივი ჯარი) 600 კაცი, გარე კახელები ზაქარია ანდრონიკაშვილის წინამძღოლობით 600

კაცი, არაგვიდან სულ 300 კაცი, 150 თათარი, 300-ზე მეტი არტილერისტი, რჩეული მოქალაქენი, ვარაუდით 300-კაცი, ხევსურნი და თუშნი, ვარაუდით 500 კაცი, სარდლების ოთარ ამილახვრის და მუხრან-ბატონის მებრძოლები, ვარაუდით ორასამდე კაცი, სულ დაახლ. — 2950 კაცი. ყველა ესენი ბრძოლის ხაზზე იდგნენ.

გარდა ამისა, თბილისის ციხეს ჰქონდა 16 ზარბაზანი, რომელთა მომსახურეობას ორას-სამასი კაცი მაინც მოუნდებოდა. თბილისის ზედაციხეს (და მეტეხსაც) დასჭირდებოდა მცირეოდენი მცველი რაზმი, სულ ცოტა ორასი კაცი მაინც, რაც ერთად აღებული იქნებოდა 3500 კაცი.

კოჯრის გზაზე, სოლოლაკის ქედის მისადგომთან, ახლოს უნდა მდგარიყო ის რაზმი, რომელიც შემდეგ შეებრძოლა მუსტაფა-ხანის და მელიქ-მეჯნუნის სამ-ოთხათასიან ცხენოსან შენაერთს. ზემოხსენებულ რაზმში სჭარბობდნენ ცუდად შეიარაღებული და გამოუცდელი ქალაქელები (სერობის ცნობა) და ცოტაოდენ იმერლებიც. აქ ქალაქელთაგან რვაას-ცხრაასი კაცი წვრილი მოქალაქე და სამასიც იმერელი არიან საგულისხმებელნი.

სულ კი ერეკლეს ხელქვეით მყოფი სამხედრო ძალის რაოდენობა 10 სექტემბრისათვის აღწევდა 6 200 კაცს, რომლისგანაც 10 სექტემბერს მწყობრიდან იყო გამოსული 200 კაცი, მაშასადამე, დარჩებოდა 6 ათასამდე კაცი.

11 სექტემბერს დილისთვის, წინ დღის მსგავსად, ერეკლეს ჯარი გაყოფილი ჰყავდა ხუთ გუნდად იმერლების გარდა. ზემოაღნიშნულთაგან ორი გუნდის შესახებ იაკუბ-ბეგი გადმოგვცემს, რომ ისინი 11 სექტემბერს შეტევაზე გადასვლის წინ ათას-ათასი კაცისაგან შედგებოდნენ. დავით ბატონიშვილის თაბორზე (ყორჩი-ყალაზე) მყოფი გუნდი, სტ. ქიშმიშევის ცნობით, 11 სექტემბერს შედგებოდა ათას კაცისაგან სამასი მოქალაქის მიმატებით. სულ, მაშასადამე, ათას სამასი კაცისაგან. ასეთ პირობებში ძნელი დასაჯერებელია, რომ სარდლების ივანე მუხრან-ბატონის და ოთარ ამილახვრის გუნდები ათას-ათას კაცზე ნაკლები ყოფილიყო. იმერლებიც ზურაბ წერეთელის წინამძღოლობით ათასზე ნაკლები, ანუ 800 კაცი უნდა ყოფილიყო, რვაასი იმერელიც რეზერვში იდგა. კოჯრის გზაზეც დაახლოებით ათასამდის კაცი იდგა, მათ შორის ორასამდე იმერელი. ზემონათქვამიდან სულ, მაშასადამე, არტილერისტების და ციხეთა მცველი რაზმების მიმატებით გამოდის 8—8 1/3 ათასი კაცი. თუ ეს ზუსტად ასეა, გამოდის, რომ ერეკლეს ჯარს 10 სექტემბრის გვიან საღამოს მიჰმატებია

2—2 1/3 ათასი კაცი, ალბათ, უმთავრესად ამილახვრის და მუხრან-ბატონის სამფლობელოებიდან ქსნის ხეობის ჩათვლით. ალ. ორბელიანი გადმოგვცემს, რომ ეს სარდლები და თვით იოანე ბატონიშვილიც, რომელსაც ქსნის ხეობა ეკავა, თითოეული მათგანი, რამდენიმე ათეული კაცით გამოცხადდნენ, მაგრამ 10 სექტემბერს საღამოს და ღამე, ეტყობა, ქართლიდან მეომრები საკმაოდ ბლომად მოსულან.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ დაახლ. 1830-იან წლებში ერეკლე II-ზე რუსულად დაწერილი მონოგრაფიის უსახელო ავტორი, რომელიც მალკოლმის სპარსეთის ისტორიასაც იცნობს, მალკოლმივით მიუთითებს, რომ სპარსელებს 1795 წელს თბილისთან კრწანისის ომში 40 ათასი კაცი ჰყავდათ, ხოლო ერეკლეს ჯარის რიცხვი 8 ათასი კაციც არ იყო. პირველი რიცხვი მთლად ზუსტი არაა, თუმცა ერთგვარად სიმართლესთან ახლოა. მეორე რიცხვი კი, რომელიც ავტორს, ეტყობა, სათანადო შესწავლის შედეგად აქვს მოცემული, მართლაც, ახლოსაა სინამდვილესთან.

ქართველთა ჯარის რაოდენობის განსაზღვრისათვის საყურადღებოა, აგრეთვე, მალკოლმის მიერ სპარსეთში XIX ს. დამდეგს მოპოვებული ცნობა, რომლის თანახმადაც თბილისის აღების ჟამს იგულისხმება უკანასკნელ დღეს ქართველების ძალები სპარსელების ჯარის ერთ მეათედსაც არ შეადგენდნენ. ვინაიდან მალკოლმი სპარსელების ჯარის რიცხვს თბილისთან 40 ათასს ანგარიშობს, გამოდის, რომ ქართველების ჯარი 11 სექტემბერს 10 ათასზე მცირერიცხოვანი იყო. ამავე საკითხზე საყურადღებოა ისიც, რომ, როდესაც 4 ოქტომბერს არზრუმის ფაშა თავის მთავრობას სტამბოლში ატყობინებდა სპარსელების მიერ თბილისის აღებას, ერეკლეს ძალთა რაოდენობას 8—10 ათასი კაცით აღნიშნავდა.

ყოველივე ნათქვამიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ერეკლეს განკარგულებაში მყოფი ყველა სახეობის ჯარის რაოდენობა 11 სექტემბერს უნდა ყოფილიყო 8 ათასი, ან ოდნავ მეტი მოლაშქრე.

როგორი იყო სპარსელთა ლაშქრის რაოდენობა? თანახმად მალკოლმისა, რომელსაც შესაძლებლობა ჰქონდა ამის შესახებ თეირანში სანდო ცნობები შეეკრიბა, 1795 წლის აპრილში აღა-მაჰმად-ხანს ამიერკავკასიაში სალაშქროდ შეგროვილი ჰყავდა 60 ათასამდე კაცი. მას შემდეგ კი, რაც შუშასა და ერევნის გარემოცვისათვის, თუ სხვაგანაც, საკომუნიკაციოდ, სათანადო ნაწილები დატოვა, აღა-მაჰმად-ხანის მხედრობა შეადგენდა უკვე 40 ათას კაცს, რომლითაც ის თბილისზე წამოვიდა კიდეც.

ამ ამბების მომსწრის სერობის სიტყვითაც, აღა-მაჰმად-ხანის ჯარი თბილისთან უდრიდა 80 ათას კაცს. ეს რიცხვი განმეორებულია მისი თხზულების მოკლე ვერსიაშიც. ჩანს, ამ რიცხვში იგულისხმება მშვილდ-ისრით შეიარაღებული ისეთი ჯარიც, რომელიც თოფის და ზარბაზნის ხანაში სერიოზული სამხედრო ოპერაციებისათვის ერთობ მცირედ გამოსაყენებელი იყო.

თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობითაც, აღა-მაჰმად-ხანმა თბილისზე მოიყვანა 70 ათასი კაცი, ბაგრატ ბატონიშვილის მითითებით კი, აღა-მაჰმად-ხანმა 1795 წ. 9 სექტემბერს სოღანლუღში 30 ათასი კაცით დაიბანაკა. იაკუბ-ბეგ ბებუთაშვილის თანახმად, აღა-მაჰმად-ხანი თბილისზე მოემართებოდა სპარსელების 20 ათასიანი ცხენოსანი ჯარით. ოცი ათასს ასახელებს იოს. შახღუბათაშვილიც. ცხადია, ამ ცნობებში იგულისხმება მხოლოდ ის კორპუსი, რომელსაც პირადად აღა-მაჰმად-ხანი მოუძღოდა. ალი-ყული-ხანის და ჯაფარ-ყული-ხანის სახელზე აღა-მაჰმად-ხანის გაგზავნილი წერილებიდანაც ჩანს, რომ ის საქართველოზე მოდიოდა 20 ათასი ცხენოსნით, მაგრამ შემდეგ მას უნდა შეერთებოდა ერევნის გარემოცვაში დაბანდებული ჯარის ნაწილი. მასვე თავის ლაშქარში მოჰყავდა ყარაბაღელი მეჯნუმი-მელიქის ორი ათასი მებრძოლი. განჯაში მას შეუერთდა განჯის ჯავად-ხანის ჯარი არანაკლებ ორი ათასი კაცითვე, ეს ძალები, ერთად აღებული, დაახლ. 28—30 ათასი კაცი, 9—10 სექტემბერს თბილისთან იდგა. აღა-მაჰმად-ხანს ჰყავდა, აგრეთვე, ქვეითი ჯარიც, რომელიც 10 სექტემბერს სოღანლუღში ჩავიდა. სულ, მაშასადამე, თუ აღა-მაჰმად-ხანს 9 სექტემბერს თბილისთან ჰყავდა 30-ათასიანი ჯარი (ეს რიცხვი მოყავს კიდევაც ბაგრატ ბატონიშვილს), 10 სექტემბრის საღამოს სპარსელები უკვე 37 ათასი კაცი იქნებოდნენ. მაშასადამე, ყველაზე სწორი უნდა იყოს ის რიცხვი, რომელიც თბილისთან მყოფი სპარსელების რაოდენობის აღსანიშნავად 1828 წელს მოცემული აქვს კრწანისის ომის მომსწრეს, მემადნეთა უსტაბაშს ათანასის (37 ათასი კაცი).

თეიმურაზ ბატონიშვილი სპარსელების ჯარის დისპოზიციის შესახებ 11 სექტემბრისათვის ასე გადმოგვცემს: აღა-მაჰმად-ხანმა თბილისზე უკან მოსაველლად უკვე გაგზავნილი რაზმის გარდა თავისი ჯარი გაჰყო 14 დიდ მწყობრად, რომლებსაც თავისი ზარბაზნები და ზამბურაკები ჰქონდათ. აღა-მაჰმად-ხანმა ცალკე გამოყო თურქმანების ჯარი, თითქოს, 6 ათასი კაცის რაოდენობით. თეიმურაზისივე ცნობით, ეს თურქმანები „არა ეგრეთ მოყვარე არიან სპარსთა და არცა სპარსნი მათნი არიან მოყვარენი, არამედ სძულსთ მათ ფრიად ურთი-

დავით ბატონიშვილი.

ერთი“... აი ეს თურქმანები დაყენებულ იქნენ სპარსეთის მთავარი ძალების უკან იმ დავალებით, რომ თუ ბრძოლის ველიდან სპარსელები გაიქცეოდნენ, ისინი მაშინვე დაეხოცათ. თეიმურაზის თქმით, „აღასრულეს მათ სიხარულით ბრძანებული იგი და, რომელნიცა ივლტოდიან ბრძოლისაკენ სპარსნი, მყისვე უწყალოდ მოიკვლოდიან მათ მიერ“.

11 სექტემბერს დილიდანვე სპარსელების მოიერიშე ძალები (მათი რაოდენობა უნდა ყოფილიყო დაახლ. 26—28 ათასი კაცი) განლაგებული იყვნენ სოღანლუღის, შავნაბადის, თელეთის და კრწანისის გორებზე. ეს ზემოაღნიშნული ნაწილები მოიერიშე ძალები იყვნენ, ათასამდე კაცი კი დატოვებული იქნებოდა სოღანლუღის ბანაკის მცველად და, საერთოდ, ზურგის უზრუნველსაყოფად. ამასთანავე ოთხი-ხუთიოდე ათასი კაცი, როგორც აღნიშნული იყო, ტაბახმელის გზით მიდიოდა თბილისზე უკან მოსავლელად. ორი ათასამდე კაცი კი სპარსელებმა დაკარგეს პირველსავე დღეს (10 სექტემბერს). მაშასადამე, სულ 11 სექტემბრის დილისათვის სპარსელების ლაშქრის რაოდენობა, მართლაც, უნდა ყოფილიყო დაახლოებით 37 ათასი კაცი.

13. 11 სექტემბრის დილის ბრძოლები

10—11 სექტემბრის ღამე, როგორც ამას სერობი გადმოგვცემს, აღა-მაჰმად-ხანმა დიდ კარავში (ალბათ, შავნაბადაზე) გაათია. მან ღამითვე, დილის ხუთ საათზე, გაიღვიძა და მაშინვე ომის თადარიგს შეუდგა. სასწრაფოდ მოუწოდა მსახურთა პირით ყველა უფროსს. ისინი სწრაფად გააღვიძეს და თვით ჯარმაც იწყო წამოდგომა. მეოთხედ საათში უფროსები უკვე იყვნენ აღა-მაჰმად-ხანთან, რომელმაც მიმართა მათ სიტყვით, სადაც ის მათ გამარჯვებისაკენ მოუწოდებდა. ასაღები ქალაქის სიმდიდრეს, ოქრო-ვერცხლს, კერძოდ, მეფის სასახლის საგანძურს — დიდ ნადავლს პირდებოდა მათ. (გამოდის, აღა-მაჰმად-ხანს სწორი ინფორმაცია ჰქონია იმის შესახებ, რომ ქართველებმა ვერ მოასწრეს თვით სასახლის სიმდიდრის დახიზვნაც კი).

ამასობაში ჯარიც მოემზადა. სერობის სიტყვით, სპარსელების ჯარში ცხენოსანთა გარდა ყოფილან ქვეითნიც. მეთოფეთა და ზამბურაკების მსროლელთა გარდა იყვნენ მშვილდ-ისრით შეიარაღებულნიც.

ჩანს, ექვსი საათიდან სპარსელების ჯარმა უკვე ამოძრავება და-

ღწყო. თვით ბრძოლები კი, თეიმურაზის სიტყვით, გაჩაღდა მეშვიდე საათიდან, ე. ი. დაახლ. შვიდის ნახევრიდან.

თეიმურაზი შემდეგნაირად აღწერს სპარსელების ამოძრავებას 11 სექტემბერს. „ეგრეთვე მეორესა მხარესა მტერთა მხედრობანი განაწყვნა აღა-მაჰმად-ხანმან, რომელნიცა ადგილნი გამოურჩია მათ სარგებლად და დაადგინნა მათზედ ათოთხმეტნი სხვანი — და-სხვანი დიდ-დიდნი მწყობრნი, რომელთა შორის აქვნდეს ზარბაზანნი და ზამბურაკნი საკმაონი.

აღმოვიდეს მაღალთა ზედა გორათა სოღალუხისა, ყაენაბადისა, თელეთისა, კრწანისისა და გარემოთა მისთასა მხედრობანი სპარსთანი და მომართეს მხედრობათა ქართველთასა“.

ამასთანავე აღა-მაჰმად-ხანმა თავისი ლაშქრიდან გამოყო ჯამაგირზე მყოფი თურქმენები, თეიმურაზის თქმით, თითქოს 6 ათასი კაცი (საფიქრებელია, ისინი უფრო ცოტანი იყვნენ), რომლებიც მის საკუთარ რაზმს შეადგენდნენ. ეს შაჰმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცალკე დააყენა სპარსელების ზურგში ამ უკანასკნელთა უკან გაქცევის აღსაკვეთად.

იაკუბ-ბეგ ბებუთაშვილის სიტყვით, სპარსელების ცენტრს თვით აღა-მაჰმად-ხანი ხელმძღვანელობდა. როგორც ჩანს, სპარსელების ძალთა უმეტესობა და, ალბათ, მთავარი რეზერვისეული თოთხმეტი გუნდიდან ცენტრში უნდა ყოფილიყვნენ ამ უკანასკნელთაგან ნახევარი, ანდა ექვსი გუნდი მაინც. მარჯვენა და მარცხენა ფრთებსაც (სულ ორივეში დაახლ. 8 გუნდს) ჰყავდა თავთავისი ცალკე სარდლები. ზემოთ მოხსენიებული თურქმენები კი საგულისხმებელი არიან უმთავრესად რეზერვში.

მთელ ბრძოლას ქართველების მხრივ ხელმძღვანელობდა 77 წლის ერეკლე, სპარსელების მხრივ კი ოდნავ მასზე უფროსი, 80 წელს მიტანებული აღა-მაჰმად-ხანი, რომელიც მეწინავე რაზმში იმყოფებოდა. სპარსელების ეს ახალი დისპოზიცია ალბათ შემუშავებულ იქნა წინადღით.

11 სექტემბერს დილით ადრე, ეს დილა ძალზე ბურუსიანი იყო, შვიდი საათიდან მოკიდებული კრწანისის ველზე წინა დღეს დარჩენილ სპარსელ მეწინავეებთან მხოლოდ წვრილი შეტაკებები წარმოებდა.

ამ დროს კრწანისის ველზე შემოიჭრნენ სპარსელების მეწინავე ჯარები და ისიც ისე სწრაფად, რომ მათი ერთი ნაწილი ქართველების

ზარბაზნებს ისრის სასროლის მანძილზე მიუახლოვდა (სერობის ცნობა).

ავდრიანი ამინდი ხელს უშლიდა საომარი მოქმედების გაშლას. როგორც ეტყობა, ქართველებმა ამჯერად იოლად შეძლეს სპარსელების ამ მეწინავეთა განდევნა. ალბათ, ამ ფაქტს გულისხმობდა ერეკლე, როცა 14 სექტემბერს თავის შვილს მირიანს და ელჩს გარს. ჭავჭავაძეს სწერდა: ამ ომში 11 სექტემბერს ჩვენ სამჯერ გავიმარჯვეთო. ერთი გამარჯვება 11 სექტემბრის დილით უნდა ყოფილიყო მოპოვებული, როგორც ეს ცხადად ჩანს სერობის სიტყვებიდანაც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან დილით, ბურუსიან საათებში მოწინააღმდეგენი ერთმანეთის განლაგებაში ვერ ერკვეოდნენ, ამიტომ შესაძლებელია ქართველების ზემოთ მითითებული გამარჯვება უფრო მათ არტილერიას უნდა მოეპოვებინა. ალბათ, დილაადრიან სანგრებში გამაგრებული ქართველები, გარდა მცირერიცხოვანი მზვერავებისა, არც იბრძოდნენ. სამაგიეროდ სპარსელები თავისი ძალების ნაწილით უტევდნენ ქართველების პოზიციებს. ქართველების არტილერიამ დიდი ზარალი აგემა მოიერიშეებს და აიძულა ისინი, უკან გაბრუნებულიყვნენ. ეს უნდა იგულისხმებოდეს ქართველების პირველ გამარჯვებად 11 სექტემბერს.

კრწანისის ველზე 11 სექტემბრის ბრძოლას გულისხმობს ალ. ორბელიანი, რომელიც გვამცნობს: „მეფე ირაკლიმ... ის ოთხი ათასი მხედრობა ასე დააყენა, იმ ვიწრო გზის სიმაგრის მახლობლად, რომელსაც პირუშლს ათასსა ერთხელ უნდა ეომა, მეორე ათასსა შემდგომ, მესამე ათასსა მასუკან და მეოთხე ათასი კი გაჭირვებისჟის შეინახა“.

პირველ ათასეულში იყვნენ მეწინავენი, მეორეში იმყოფებოდა რეზერვი, დანარჩენ ორ ათასეულში კი, იმავე ალ. ორბელიანის თქმით, „ხუთას-ხუთასი ქართუშლ-იმერლები ერთად იდგნენ, ოთხ დასტად, ერთი ერთმანეთის მხარის მიმცემნი“...

„ეს ჩუშნი ჯარი ასე წყობით იდგნენ ვიწროს სიმაგრისა ზურგმიბჯენილი და შემოტეულს ყიზილბაშებს უყურებდნენ განსუშნებულის გულითა, რომელნიც მინამ ახლო არ მოვიდნენ ხმა არ გასცეს და, როდისაც დაახლოვდნენ, ერთიანათ წააყარეს თოფის ტყვია და თჳთონაც ხმლებ-გასმულნი დაერივნენ ყიზილბაშების ჯარში და ასე გააქციეს, ვინ წინა და ვინ უკან. წაიყუანეს გაქცეულები და გზის ჩაშოსასვლელი გორა რომ არის, იმაზედ მიყარეს. ეს პირუშლი ათასი ქართუშლ-იმერლები გამოტრიალდნენ და ფეხ-აკრეფით თავის ადგილს მოვიდნენ“.

„ამაობაში აღა-მაჰმად-ხან მოვიდა და ჩამოსასლველს გზის გორაზე გადმოდგა. ქართუშლ-იმერლებს რომ შემოეხადა, თუალში იფუქსავატა და სიცილით დაიძახა: — „ეს საწყლები არიან ჩუშნი მეომრები?“ ერთმა დიდმა კაცმა მოახსენა: — „ესენით გახლავან“ და სხვა კი აღარაფერი.

აღა-მაჰმად-ხანმა ახალს რაზმებს უბრძანა შეტევა და მასუკან იმ ხანს უთხრა თავმოწონებით: — „იმ საცოდავებს სულ მტკვარში გადაჰყრიან“.

მეფე ირაკლიმ იმ პირუშლს ათასს უკან დაწევა უთხრა და ჯგუფათ დადგომა. ასი მეომარი კიდევ მიაშუშლა იმ ათასსა ამ სიტყვით:— „ქართუშლებო და იმერლებო! აღა-მამად-ხან გორაზე გადმოდგა და ჩანს, რომ თავის თუალ წინა უნდა დაგუაჭერინოს; აბა როგორიც თქუშნის გულადობისაგან ვიცოდე, ისეთი ვაჟკაცობა აჩუშნეთ აღა-მამად-ხანსა.

აღა-მამად-ხანის თვალ წინ დათამამებული ახალი დასტები წამოვიდნენ; ეგონათ ცოცხლებს დავიჭერთო, მაგრამ მინამ კიდევ ახლოს არ მოუშუშს, არ ესროლეს თოფი და როცა დაახლოვდნენ, ერთიანათ წაააყარეს ტყეა, ამასთანავე ყიზილბაშებში დაერივნენ და წამსვე დააბრუნეს. გაქცეული ყიზილბაშები წაიყვანეს და შუა მინდვრამდისინ მიიყვანეს. აღა-მამად-ხანმა ეს რომ ნახა ცოტა ქართუშლ-იმერლებისაგან, გაიკვირუა, მაგრამ საჩქაროთ სხვა დასტებს უბრძანა მიშუშლება და მიშუშლებისთანავე ის ჩუშნი მეომრები დაატრიალეს და მინამ თავის ადგილამდი მორეკეს, მეფე ირაკლიმ ის ცხრაასი დანარჩენი ქართუშლ-იმერლები მიაშველა. დაბრუნებულთ მიმშველებელი რომ დაინახეს, ისინიც დაბრუნდნენ, შეუტიეს და კიდევ მინდვრის შუამდის მირეკეს.

აღა-მამად-ხანმა გაკვირუშებით დაიძახა: — „როგორიც ქართუშლების ვაჟკაცობა გამეგონა, იმაზედ უკეთესნი ყოფილან“! რომელმანცა ახლა სხუა ჯარს უთხრა მიშუშლება და მიშუშლებისთანავე ქართუშლ-იმერლები დააბრუნეს. მეფე ირაკლიმ იმათი გამოქცევა რომ ნახა, მესამე ათასი მიაშუშლა და ეგრეთუშ დააბრუნეს სპარსელები და კიდევ მინდვრის საშუალამდისინ მირეკეს. იმაზედ აღა-მამად-ხან გაწყრა და სხვუშებს დაუძახა — შეუტიეთო, მაგრამ აღარ იქნა, ქართუშლ-იმერლები ვეღარ დააბრუნეს და ხმლით კაფა შეიქნა. მეფე ირაკლიმ ქართუშლ-იმერლები შუა ყიზილბაშის ჯარში რომ დაინახა და თამამად იმათი ხმლის ტრიალი, მოხუცებულს გული აუპრიალდა და თავის ბაირახტარს დაუძახა: „აზატ-ხანის დამმარცხებელი ბაირა-

ხი აქ მაიტა! და ხუთას ქართუშლ-იმერელს უბრძანა უკან მაშყევითო. თუმცა მეფე სოლომან ბინაზე დააგდო, მაგრამ გულმა ვეღარ გაუძლო და თავის პაპას შეუდგა.

ერთს მხარეს ბაირახზე გამოსახული იყო ღვთის მშობელი თავის ძითა და მეორეზედ წმინდა გიორგი, რომელსაცა ვეშაპი გაეგმირა შუბით. ამ გაფრიალებულის ბაირაღით გაექანა მეფე და უკან ის თავისი მეომრები გულადად მიჰყვნენ მეფე სოლომონითურთ. წარმოიდგინეთ, მეფე ირაკლი იმათში არ იყო გარეული, ისე ომობდნენ და როცა გაერია, რანი შეიქნებოდნენ ქართუშლ-იმერლები? თავისი საყუარელი მოხუცებული მეფე რომ დაინახეს, ნამეტნავად იმ გაფრიალებულის ბაირახითა და მეფე სოლომანიც იმათში, ასე ეგონათ მეორე სიცოცხლე მოგვემატაო. რანიც იყუნენ, ერთი სამათ შეიქნენ. ორთავ მეფეს გვერდს მიუდგნენ და ყიზილბაშთ ზედ დაასხდნენ. ბაირახგაფრიალებული მეფე ირაკლი ყიზილბაშის პირუშლს დასტას მოუხადა და ერთი ყიზილბაშის მეომარი ბაირაღის შუბით ჩამოაგდო და მაშინვე მოკვდა. ქართუშლ-იმერლებმა მათს მეფეს ირაკლისაგან ეს რომ ნახეს, ერთიანათ იყივლეს, ყიზილბაშების დასტები მაშინვე დაშალეს, წინ წაიყარეს და უკან მიჰყვნენ, რომელიც სადაც აღა-მამადხან იდგა, თვით მეფე ირაკლი და მეფე სოლომან თავისი მეომრებით იქ აუხდნენ, საიდანაც აღა-მამად-ხანმა თავი მოარიდა თავის დასტით და საჩქაროდ გაეშურა. მაგრამ იმდენი ჯარის შემწეობა კი აღარ ჰქონდათ ქართუშლ-იმერლებსა, ზევით რომ აუხდნენ, იმ მინდორზედ მოსწოლოდნენ ყიზილბაშებს და სულ ერთიან თან გაეტანათ. თუმცა გამარჯუშბული გამოტრიალდნენ და თავის სიმაგრეშივე მივიდნენ, მაგრამ ქართუშელ-იმერლები ძალიან სწუხდნენ; რაც სხუშბმა ღალატი მოახდინეს, იმათ ჯანი წაუვიდეს. ეს რაღა არის, რომ თავის ამხანაგი ძმები მტერსა პირში მისცეს და თვითონ გაეპარნენ. თუ ის ორი ათასი ქიზიყის ჯარი, იმისთანა ხელ-გამომავალი ვაჟკაცნი, აქ ჩვენთან ყოფილიყვნენ, დღეს აღა-მამად-ხანს ბოლოს მოუღებდითო. ამასთან ყუშლანი ერთპირად ცუდად ახსენებდნენ რევაზ ანდრონიკაშვილსა მეფის ირაკლის მეტი, ის კი მდუმარებდა და ფიქრობდა, რომ როგორ მოეგვარებინა კიდეე საქმე".

სერობის ცნობიდანაც ირკვევა, რომ აღა-მაჰმად-ხანი კრწანისის მთის წვერზე მისთვის გამართულ კარავში იდგა და იქიდან ადევნებდა თვალს ბრძოლის და ხოცვის სურათს. ამ დროს საშინელი ნისლი წამოვიდა და ატყდა ჭექა-ქუხილი, რასაც მოჰყვა ძლიერი წვიმა. ყველა-

ფერი ისე ატალახდა, რომ ორივე მხრიდან ბრძოლა ფაქტიურად შეჩერდა.

მაგრამ აი, სერობისავე ცნობით, უცბად წამოვიდა ნელი ქარი, რომელმაც ნისლი გაფანტა და მზეც გამოაჩინა, გამოჩნდა გორები და ველები ტყესავით მოფენილი მტრის (სპარსელების) მეომრებით. ჩვენი (ე. ი. ქართველების) ჯარი კი, წერს სერობი, იმდენად მცირერიცხოვანი იყო, რომ „იწვევდა მტრის ღიმილსო". ეს ჯარი, წერს იგივე ავტორი, „შესდგებოდა მშიშარა მოქალაქეთაგან (ქალაქაცი — მოქალაქე, უფრო კი წვრილი მოქალაქე), იყო აგრეთვე რაღაც ნაწილი მოსულთაგან (პანდუხტ)". სერობის უკანასკნელი გამოთქმა ცხადჰყოფს, რომ სომხურ ტექსტში აქ ხარვეზია, რადგანაც კრწანისის ველზე ქართველების განლაგებული ჯარის შესახებ სერობს არ შეეძლო ეთქვა, რომ ის თითქმის მთლიანად შედგებოდა მშიშარა და ისიც წვრილ მოქალაქეთაგან. აქ, ვახტანგ ბატონიშვილის ფრთაზე, მართლაც, იდგა ᲫᲝქალაქეთა რაზმი, მაგრამ (თეიმურაზის მიხედვით) ის რჩეულ ვაჟკაცთაგან შედგებოდა და გმირულად იბრძოდა. ამასთანავე შეუძლებელია, რომ კრწანისის ფრონტზე მოქალაქეთა ზემოხსენებული მეომართა საერთო რიცხვის 5—8%-ზე მეტი ყოფილიყო. სერობისავე ცნობაში „მოსულნი" (აქ იმერლები უნდა იგულისხმებოდნენ). სულ რაღაც უმნიშვნელო ნაწილს შეადგენდნენ. სინამდვილეში კი კრწანისის ფრონტსა და ზურგში, აბანოს ხიდთან, რეზერვში განლაგებული იმერლები ამ ფრონტზე მყოფი ჯარის 40% მაინც შეადგენდნენ. ამიტომაც ცხადია, რომ სერობის ზემოხსენებულ ცნობაში, იქ სადაც კრწანისის ფრონტზე მყოფ ქართველთა ჯარზეა საუბარი, ტექსტში რაღაცაა გამოტოვებული. მოტანილ ციტატაში კი უნდა იგულისხმებოდეს ფრონტის სულ სხვა მონაკვეთი, სადაც ჯარი თითქმის მთლიანად მოქალაქეთაგან შედგებოდა და სადაც „მოსული" (ე. ი. იმერლების) რაზმი, მართლაც, მცირერიცხოვანი უნდა ყოფილიყო.

ეს ადგილი არის კოჯრის გზის ხაზი, სადაც სოლოლაკზე გადმოსასვლელის დასაცავად დაყენებული ყოფილა „მშიშარა" მოქალაქეთა რაზმი, რომლებთან ერთადაც იყვნენ, აგრეთვე, მცირერიცხოვანი იმერლები. იმის შესახებ, რომ ერეკლეს ჰყავდა სასწრაფოდ გაყვანილი მოქალაქეები, დანამდვილებით ვიცით ათანასე ბერძნის, შახბუდაგოვის და სტ. ქიშმიშევისეული ცნობებით. ათანასე ბერძნის სიტყვით, 11 სექტემბერს ბრძოლებში ჩაბმულნი იყო ყველა გაწვეული ᲫᲝქალაქე, ს. ქიშმიშევის ცნობით (რომელსაც ეს ცნობა კრწანისის ომის თანამედროვისგან ექნებოდა მიღებული), სულ გაწვეული იყო

1500-მდე მოქალაქე. კრწანისის ფრონტზე კი სამასი რჩეული მამაცი მოქალაქე მაინც უნდა ყოფილიყო. რჩება დაახლოებით 1200-მდე „მშიშარა“ მოქალაქეთაგან, რომლებიც სამასი თუ ორასი იმერლითურთ, როგორც ჩანს, დაყენებული იყვნენ კოჯრის გზაზე სოლოლაკისაკენ მიმავალ გზის დასაცავად. 1795 წ. 14 სექტემბერს ერეკლე სწერს გენ. გუდოვიჩს, 15 სექტემბ. კი მეფის ძეს მირიანს და გარსევან ჭავჭავაძეს, რომ 11 სექტემბერს ჩვენ სპარსელებზე სამჯერ გავიმარჯვეთო. პირველ გამარჯვებად უნდა იგულისხმებოდეს დილის საათებში სპარსელების მეწინავე ჯარის დამარცხება და მისი ვახტანგ ბატონიშვილის მიერ კრწანისის ველის ბოლოსაკენ მირეკვა. მეორე გამარჯვებად, ალბათ, იგულისხმება სპარსელების 3-ათასიანი რაზმის მოგერიება თაბორზე დავით ბატონიშვილის მიერ. მესამე გამარჯვებად კი უნდა ჩაითვალოს სპარსელების წინააღმდგ იოანე ბატონიშვილისა და მუხრან-ბატონის შეტევა ორი ფლანგიდან.

14. სპარსელების გენერალური შეტევა 11 სექტემბრის მეორე ნახევარში

სერობის ცნობით, დიდი ქარიშხლიანი წვიმის შემდეგ, ტირანმა, ისე ეძახის იგი, ჩვეულებრივ, აღა-მაჰმად-ხანს, დურბინდით გახედა ვერის დაბლობს. იგი სავსე იყო თოვლივით ქათქათა ლეჩაქიანი ქალებით, რომლებიც გასახიზნად მიემართებოდნენ.

აღა-მაჰმად-ხანმა — წერს სერობი — თავის სარდლებს და მეთაურებს უთხრა: როგორ სულელურად უშვებთ ხელიდან თქვენსავე დავლასაო. ამის გაგონებაზე სარდლები და მეთაურები სწრაფად ამოქმედდნენ. მათ დაგზავნეს გზირები და ყოველი მხრიდან ამოძრავდა სპარსელების მთელი ჯარი, რომლის ოდენობასაც სერობი აშკარად გადაჭარბებულად 80 ათასს უჩვენებს.

და დაიწყო გადამწყვეტი შეტევა.

ტერ-ოჰანეს ვოსკერჩეანციც გადმოგვცემს, რომ ერეკლემ პირველ დღეს მოიპოვა მცირე გამარჯვება და ქალაქში დაბრუნდაო. მეორე დღეს კი „მეფე კვლავ შეებრძოლა სპარსელებს ახლომდებარე კოჯრის მთაზე და კრწანისში. მაგრამ რადგანაც შემოდგომა და ნისლიანი დღე იყო, ამიტომ მებრძოლები ვერ ხედავდნენ ერთმანეთს და ერთგვარი შიშით იბრძოდნენ. ხოლო როდესაც გამოიდარა და ქართველების ჯარის სიმცირე აშკარა შეიქნა, მაშინ სპარსელების მთელი ჯარი დიდი ყვირილით დაიძრა წინ და როგორც ჩალის მცირე ღეროს აი-

ტაცებს ქარიშხალი, მოედვა ქართველების ჯარს, გადააგდო ის სიმაგრეებიდან (ხანდაკებიდან) და შევარდა ქალაქში“.

აქ გადამწყვეტ ბრძოლაში თავი გამოიჩინა თბილისელთა ქვეითმა რაზმმა, რომლის შესახებაც თეიმურაზ ბატონიშვილი წერს: „კეალად მცხოვრებთაგან ტფილისისათა გამორჩეულ იქმნეს კაცნი მამაცნი და მარჯვენი, რომელთაც აღირჩიეს წინამძღვრად თვისად კაცი ვინმე მსახიობი, რომელსა საზანდრად უხმობენ. ეს იყო ერთი წარჩინებულთა მესაკრავეთა და მსახიობთაგან მეფისათა, მუსიკი და კომედიანტი. და ესე იყო მსახიობთა შორის და ცნობილი იყო სამეფოსა სახლისა შინა. ესე იყო გვარეულობითა და სარწმუნოებითაცა ქართველი, რომელსაცა სახელს-სდებენ მაჩაბელად. ესე მიუძღვა გუნდსა მას ტფილისელთასა მტერთა მიმართ და ეპყრა ჯელთა მისთა ბარბითი, ე. ი. დაირა და უკრავდა მას ზედა შადიანსა, ე. ი. ჯმასა მას, რომელსაცა ლხინსა შინა დაუკვრენ, ყამსა, უმეტეს სიხარულისასა, ვინაიდგან ჯმაჲ ესე განამხიარულებს მსმენელთა. ხოლო ბრძოლნი ესე იყვნენ მკკრცხლნი (ე. ი. ქვეითნი) და მიმართეს ქვევითა და ბრძოდეს მტერთა ფიცხელად. და შეერთდა გუნდიცა ესე გუნდსა მას ფშავ-ხევსურთა, არაგველთა და ქიზიყელთასა“.

საერთოდ ვახტანგ ბატონიშვილის გუნდში ყველანი ჩინებული მეომრები იყვნენ, მაგრამ ამათგან კიდევ „აღერჩევნეს კაცნი მამაცნი ქიზიყელნი, არაგველნი და ფშავ-ხევსურნი“. ესენი „შეუხდეს სპარსთა მხედრობასა მაღალთა მათ კლდიერთა გორათა და მთათა ზედა და ჰბრძოდეს სივლტოლვრად“. გმირ მთიელთა მხარის დამჭერნი იყვნენ ზემოხსენებული თბილისელნი. „და შეუერთდა (მოქალაქეთა. — ს. კ.) გუნდიცა ესე გუნდსა მას ფშავ-ხევსურთა, არაგველთა და ქიზიყელთასა და ჰყვეს მათ ატაკა მტერთა მიმართ და მიიწევნეს ვიდრე დროშებამდე აღა-მაჰმად-ხანისა და მოსტაცნეს დროშანი რაოდენნიმე მხედართა აღა-მაჰმად-ხანისათა და მრავალნი სპარსთაგანნი მოსწყვიტეს წინაშე მისსა. იხილა-რა აღა-მაჰმად-ხანმან სიმხნე ესე ვითარი ქართველთა მხედრობისა, განუკვირდა ფრიად და იტყოდა: „სიყრმითგან ჩემით, ვიდრე აქამომდე, დამიყოფიეს ბრძოლასა შინა და არასადა მიხილავს მე წინააღმდეგნი, ვითარ ესე კაცნი ჩემდა მიმართ ესოფენ ბრძოლასა“.

ეს იყო ქართველების მეორე გამარჯვება, რომელსაც მოჰყვა თითქმის მთელი კრწანისის ველის გაწმენდა სპარსელებისაგან. მაგრამ გამარჯვების გასამტკიცებლად ქართველებს უკვე აღარ ჰქონდათ ძალა, ამიტომ დიდი მსხვერპლისათვის თავის არიდების მიზნით მათ არიერ-

გარდული ბრძოლით სრული წესრიგით დაიხიეს უკან, თავის პოზიციებზე.

სპარსელების სარდლობამ კი შეიცადა, ვიდრე კრწანისის ველზე ყარყუთას დაბრკოლებული ნაწილები მოვიდოდნენ. ისინი აქ მოედინებოდნენ შავნაბადის და თელეთის მხრიდან. ცხენოსანი ჯარის გარდა აქ ბლომად იყვნენ, აგრეთვე, ქვეითი რაზმებიც, რომელთაგან ნაწილი მშვილდ-ისრით იყო შეიარაღებული. ამგვარად, კრწანისის ველზე თავს იყრიდა აღა-მაჰმად-ხანის უზარმაზარი, არანაკლებ 20000-იანი ლაშქარი, რომელსაც მძლავრი შეტევით უნდა გადაექცა ქართველების ამჟამად უკვე არა უმეტეს 2500-კაციანი ჯარი და თბილისში შეჭრილიყო.

ცხადია, სპარსელების ამოდენა ძალების თავმოყრას გარკვეული დრო დასჭირდებოდა. ამით შესაფერისად ისარგებლა ერეკლემ, რომელმაც ახლა თავისი ჯარის ხელახალი გადაჯგუფება დაიწყო. საამისო პირდაპირი ცნობა ჩვენ არ გვაქვს, მაგრამ ზემოხსენებული გადაჯგუფების ფაქტი იქიდანაც ჩანს, რომ თუ, მაგალითად, იმერლები დილის დისპოზიციით მარჯვენა ფრთაზე იმყოფებოდნენ, ახლა უკვე ნაწილობრივ, 300 იმერელი თავ. აბაშიძის მეთაურობით, გადაყვანილ იქნა შეთხელებულ მარცხენა ფრთაზე. აბაშიძის რაზმში, როგორც მისი გვარიც გვიჩვენებს, უნდა ყოფილიყვნენ ზემოური იმერლები.

სპარსელების ჯარის ახალი მასობრივი თავმოყრა ჯერ დამთავრებული არ იყო, რომ აღა-მაჰმად-ხანმა თავისი მეწინავეებითურთ დაიწყო ომი ქართველებთან, რომლებსაც, როგორც აღვნიშნეთ, ზემოთ კრწანისის კბოდეებსა და გორებზე მტკვართან ახლოს ჰქონდათ ოთხი წყება სანგარი.

ამგვარად, გამოდის, რომ გამოდარების შემდეგ სპარსელების ჯარმა ერთიანად წინ წამოიწია. „ჩვენს წინ, — ამბობს იაკუბ-ბეგი,— გამოჩნდა ორი ხანდაკი, იმაზე ბევრად უფრო ძლიერი და მაგარი ვიდრე (სოღანლუღის ვიწრობში) ენახეთ“.

სპარსელებმა თანდათან დიდი ბრძოლით აიღეს ზემოხსენებული ეს ორი ხანდაკი და აიძულეს ქართველები, ისინი დაეცალათ. იაკუბ-ბეგი არაფერს ამბობს ამ ხანდაკების აღების შესახებ. რაც იმის შედეგი შეიძლება იყოს, რომ სომხურ ჩანაწერში იქ, სადაც ეს ბრძოლები უნდა ყოფილიყო აღწერილი, ხარვეზი გაჩნდა, ალბათ, ფურცლების დაკარგვის გამო. ისიც შესაძლებელია, ავდრის შემდეგ, ბრძოლა რომ განახლდა, იაკუბ-ბეგი თავის რაზმიანად რეზერვში იდგა და პირველი ორი სანგრის წინააღმდეგ ბრძოლებში არ მონაწილეობდა,

მესამე სანგრის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებისას კი მას თავისი რაზმით ბრძოლაში გასვლა დაავალეს.

ქიშმიშევის სიტყვითაც, ერეკლემ ბრძოლა შეწყვიტა შუადღეზე, ხოლო სპარსელებმა თბილისში თათრის უბანი (ხიდის არეში) 2 საათზე დაიკავესო, მაგრამ ეს ნათქვამი არ ეთანხმება სხვა ცნობებს.

თუ ჭექა-ქუხილი და კოკისპირული წვიმა დაიწყო დილის 9 საათზე, 10 საათზე უკვე გამოიდარებდა და 11 საათზე სპარსელებს უკვე შეეძლოთ შეტევაზე გადასულიყვნენ. თუ ამის შემდეგ სპარსელების ჯარმა შესძლო ქართველების ზარბაზნების ისრის სასროლ მანძილზე მიახლოვება, გამოდის, რომ პირველ და მეორე სანგრებში ბრძოლა ქართველებს უნდა გაეგრძელებინათ სამ საათს.

იაკუბ-ბეგი ერთობ დაწვრილებით გადმოგვცემს მესამე სანგრის ასაღებად წარმოებული ბრძოლის შესახებ.

„მესამე სანგარზე თვითონ ერეკლე იყო მბრძანებელი და ახლოიყო ჩვენზედ, მხოლოდ ერთი პატარა ხევი და ბაღები განგვჰყოფდნენ ჩვენ მათგან, და ძალიან ძლიერი იყო ჯარით და ზარბაზნებით და ამ ხევიდან მცირე ნაწილი ჯარი გავიდა მეორეს მხარეს, სადაც ცოტარამ ვაკე ადგილი იყო, და უცებ ბაღების თავიდამ და ხევიდამ, ორად განჰყოფილი ათასეული ცხენოსანი, და იმოდენიც ქვეითი ჯარი გამოვიდა, და შემდგომად, როგორც შევიტყეთ, ერეკლეს უფროსი შვილი ყოფილიყო და უნდოდა, რომ ჩვენის ჯარის ჯაჭვი (კავშირი) გაეწყვიტა და ყოვლის ძლიერებით ჩვენ დაგვეცა, და ჩვენი ცხენოსანი ჯარი ძლიერ შორს იყო დარჩენილი. უკეთუ ყოფილიყვნენ ჩვენთან, მაინცვერას გაარიგებდნენ, რადგანაც ადგილი იყო ძლიერ ვიწრო. იმისი გამოსვლა ჩვენ დიდს განსაცდელში ჩაგვაგდებდა, თუ მოეცადნა ცოტარამ ხანი, რომ ჩვენს ბანაკის დიდს ნაწილს გამოევლო. აგრეთვე არ უნდა გაეყო თავისი ჯარი ორად, რომ თავიანთი ძალა არ დაჰკარგოდათ ამ ვიწრო ადგილს ჩვენი დიაღ მრავალი დაიხოცა, წინ ერეკლე და შუაში შვილი იყო და შაჰი პირველ წინ მისულს ჯარში იყო და ადგილი დიდი ეჭირა. მაგრამ ჯარი ცოტა ჰყვანდა და წინააღმდეგად ჩვენზე ბოლოს მოსულის ჯარისთვის ადგილი ძლიერ ვიწრო იყო და ჯარი ბევრი იყო. ადგილიდამ ვერ შეძრულიყვნენ სივიწროობის გამო და ასე დაბრკოლებული იყო იმ ჩვენის ჯარის დიდი ნაწილი“.

ზემოაღნიშნული ოპერაცია, რომელსაც იაკუბ-ბეგი აღწერს, სამხედრო თვალსაზრისით ზოგადად კარგად აქვს შეფასებული ივ. შაიშმელაშვილს, რომელიც წერს: „ქართველი მარცხენა ფრთის მხედრობა, ჩვენის აზრით, განგებ იხევდა უკან, თბილისისაკენ, მტკვრის

ნაპირის გასწვრივ, რათა, რაც შეიძლება მეტი რაოდენობა ირანელებისა შეეტყუებინათ სეიდ-აბადის — მტკვრის ვიწრობში. ამ მიმართულებაზე მტრის წინ სულ მალე ერეკლე მეორის არტილერია და რეზერვში მყოფი იმერელთა ათასეული აღმოჩნდებოდა (ავტორი ალბათ გულისხმობს აბანოს კარის ხიდის მიდამოებში მყოფ სოლომონ II-ს თავისი იმერლებით. — ს. კ.). შემდეგ ფრთიდან — სეიდაბადის მაღლობებიდან ერეკლე მეორის მძლავრი და გადამწყვეტი კონტრიერიში დაიწყებოდა. ოღონდ საჭირო იყო ერთი რამ — ქართველთა მთავარი ძალების კონტრიერიშამდე ჯერ შუაზე უნდა გაწყვეტილიყო. კრწანისის — სეიდაბადის და ვაკეებში ჩამოწოლილი ირანელი ურჩხული. მისი თავი — ავანგარდი, რომელსაც შაჰი მიუძღოდა, ერეკლე მეორის მეთაურობით კონტრიერიშზე გადასულ ქართველთა მთავარ ძალებს უნდა გაესრისა. აი ამ მომენტში ურჩხულის ტანი — მთავარი ძალებით დროებით მაინც უნდა შეკავებულიყო, რათა ხელახლა არ შეერთებულიყო მოკვეთილ თავთან. ვინ იცის რა შედეგი მოჰყვებოდა ერეკლე მეორის ამ შთანაფიქრის განხორციელებას. ყოველივე ამის შესახებ არაფერს ამბობს თეიმურაზ ბატონიშვილი, ხოლო ი. ბებუთოვს შეცდომად ჩაუთვლია ამ შთანაფიქრით დაწყებული ქართველთა იერიშები" (მნათობი, 1964 წ. № 8, გვ. 163).

ივ. შაიშმელაშვილი არასწორად გადმოგვცემს აზრს იაკუბ-ბეგ ბებუთაშვილისა, რომელსაც ერეკლეს სამხედრო ჩანაფიქრი, პროფესიული თვალსაზრისით, მოსწონს კიდევაც, მაგრამ იწუნებს მის შესრულებას — სახელდობრ, იაკუბ-ბეგის სიტყვით, აჩქარდნენ და ცოტაც რომ შეეცადათ, ვიდრე ჩვენი (ე. ი. სპარსელების) ჯარი წინ წამოიწევდა, დიდ განსაცდელში ჩავცვივდებოდითო, ე. ი. ქართველებს შეეძლოთ სპარსელების მთელი მეწინავე ჯარი და თვით შაჰიც გაენადგურებინათო. მართლაც, თუ აღა-მაჰმად-ხანს რამე მოუვიდოდა (მის ცხენს ტყვია მაინც მოხვდა), მაშინ უხელმძღვანელოდ დარჩენილი სპარსელების ჯარი ვეღარ გაძლებდა, მოტყდებოდა და გაიქცეოდა კიდევაც. ამრიგად, მთელი ეს ჩანაფიქრი გვიჩვენებს, რომ ერეკლეში კვლავ გაიღვიძა ძველი სარდლის ნიჭმა, მაგრამ იგი უკვე იმდენად მოდუნებული იყო, რომ მას ჩანაფიქრის განსახორციელებლად ოპერატიული, საღი ხელმძღვანელობა უკვე არ შეეძლოო, წერს ი. შაიშმელაშვილი.

ასეთი იყო მდგომარეობა, როდესაც, იაკუბ-ბეგის სიტყვით, „სპარსელების ერთმა ხორასანელმა მხედართმთავარმა საჩუქრების მომტანი სხვა მამასახლისებისაგან შეიტყო, რომ ვენახების ზემოდან,

ხევიდან შეიძლებოდა გამოსული ქართველების ჯარს დაეცემოდით. ამ მიზნით ხსენებული ხანი რამდენიმე ასეული ცხენოსნით ვენახების თავში მტერზე თავდასასხმელად მივიდა. მაგრამ სანამ ეს ხანი სპარსელების ჯარის თავნაწილს დაეწეოდა, სადაც ცხენოსანი რაზმებიც იყვნენ, ხოლო ფეხოსნები კიდევ უფრო წინ იმყოფებოდნენ, მანამდის ფეხოსანი ჯარი უკვე ვენახებში შევიდა კიდეც და ქართველების ცხენოსან ჯარს სროლაც დაუწყო. ქართველებმა რომ დაინახეს, რომ ჩვენ ჯარი გვემატებოდა, მცირედ-მცირედ გაიქცნენ (ე. ი. უკან დაიხიეს). ერეკლემ ამათი უკან დახევა არ იცოდა (ასე ფიქრობს იაკუბ-ბეგი — ს. კ.), მაგრამ ქართველების მეწინავე ცხენოსანი რაზმის ეს დამარცხება მაინც საშიშად მიიჩნია. ამიტომ, — იაკუბ-ბეგის სიტყვით — ჩაიდინა შეცდომა, სახელდობრ სანგარის მახლობლად გორაზე მყოფის ჯარით შეტევაზე გადავიდა. შაჰსაც მხოლოდ ეს უნდოდა, რომ ერეკლე გორიდან რაიმე ხერხებით ძირს ჩამოეყვანა. ომი საერთო შეიქნა. ამ დროს წვიმა დაიწყო. შაჰს თოფის ტყვიით ცხენი მოუკლეს. მან ცხენი გამოიცვალა და ბრძანა ერეკლეზე თავდასხმა. ერეკლემ ვერ შესძლო გამაგრება, დიდი მსხვერპლი ნახა და (მეოთხე) სანგარში შევიდა.

ამ დროს ერეკლეს შვილიც (იგულისხმება ვახტანგ ბატონიშვილი — მეწინავე გუნდის უფროსი.—ს. კ.), გაიქცა და (ალბათ ახლად მი-შველებული რაზმით — ს. კ.) მაღალ ხევების ძირობაში ჩვენგან მარცხენა მხარეს შევიდა. შაჰმა თვით მიბრძანა მე, რათა ცხენოსანი ჯარით მისი კავშირი ერეკლესთან გამეწყვიტა. მეც ცოტა ხნით უკან დავედევნე, მაგრამ რიდესაც დავინახე, რომ მთების წვერზე ის მარჯვენა მხარეს თბილისზე მობრუნდა, შევშინდი — განგებ ხომ არ მირბის-მეთქი და დავბრუნდი. დაბრუნებისას ვნახე, რომ ჩვენებს (ე. ი. სპარსელებს. — ს. კ.) რამოდენიმე ზამბურაკი ჩემს მიერ გავლილ გორების თავზე აღუმაღლებიათ და იქიდან დიდს ვნებას აძლევდნენ ერეკლეს სანგარს".

იაკუბ-ბეგის მთელ ამ თხრობაში საყურადღებოა ის გარემოება, რომ ახლა ბრძოლა კონცენტრირებულია მტკვრის ნაპირას თუ მის ახლოს გორებთან და სრულებით არ ჩანან მარჯვენა ფრთაზე მყოფი იმერლები ზურაბ წერეთლის მეთაურობით. მეტიც, ისინი არათუ არ ჩანან, არამედ მარჯვენა ფრთა თითქმის გაშიშვლებულია და სპარსელების ხორასანელი სარდალი რამდენიმე ასეული მხედრით ცდილობს სეიდაბადის ბაღებს მაღლობიდან დაუაროს. ამით მას შესაძლებლობა ეძლეოდა თბილისის მთავარი შარასაკენ გაეკვლია გზა და ციხის განჯის კარებისკენაც გაჭრილიყო. ცხადი ხდება, რომ შექმნილი ვითარე-

ბის გამო ერეკლე იძულებული გამხდარა მესამე სანგარზე სპარსელების იერიშისას ზურაბ წერეთლის რაზმი მთლიანად, ან ნაწილობრივ თავისი ადგილიდან მოეხსნა და, როგორც ეტყობა, გაეგზავნა სოლოლაკისაკენ, სადაც კოჯრის გზიდან სპარსელების ჩამოსვლის საშიშროება გაჩნდა, იმის გამო, რომ ამ გზაზე მდგარი მოქალაქეების რაზმი დამარცხდა და გამოიქცა.

ეტყობა, ამ მომენტს ასახავენ თეიმურაზ ბატონიშვილის შემდეგი სიტყვები: „მაშინ მხედრობამან აღა მაჰმად ხანისაგან შეუკრნეს გზანი უკანით კერძო მეფის ძეთა ვახტანგ და იოანეს, რათამცა შეიპყრნენ იგინი, მაგრამ სიბრძნითა თვისითა განაპნეს მათ მხედრობანი მტერთანი და ესრეთ მოვიდეს მეფისა მიმართ დაშთომილითა მათითა მხედრობითა, რომელთაცა მოეწყვიდნეს მრავალნი სპარსთაგანნი და თვით მეფის-ძენიცა განბასრულ იყვნენ სრულიად სისხლისა შინა“.

როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ხორასნელმა სარდალმა წინ წაიწია ბაღების ზემოთ მდებარე გორებისაკენ, ამ უკანასკნელთა ქვემოთ კი ზარბაზნებთან იდგა სამასი იმერლისაგან შემდგარი რაზმი. მას შემდეგ, რაც სპარსელებმა შესძლეს ქართველთა არტილერიის ზემო მხარეზე მოქცევა, აქ არტილერიასთან მყოფი იმერლების რაზმის ნებისყოფა გატყდა. ალ. ორბელიანის გადმოცემით, არტილერიასთან დაყენებული იმერლები თითქოს შეშინდნენ და გაიქცნენ კიდევაც, როდესაც მათ უკან გვერდზე მაღალ გორაზე, სპარსელების ჯარი დაინახეს. ამ დროს მოკლეს, ეტყობა, იმერლების წინამძღოლი თავ. აბაშიძე, რამაც მისიანების პანიკა გამოიწვია. ქართველთა არტილერიის უფროსი, მაიორი გიორგი გურამიშვილი ბევრს ეხვეწა იმერლებს დარჩენილიყვნენ, მაგრამ ვერას გახდა. ეს იმერლები აქ ბევრი არ უნდა ყოფილიყვნენ.

ს. ქიშმიშევის მიერ შეკრებილ ცნობებს კიდევ უფრო აკონკრეტებენ სხვა წყაროები, რომლებიც ერთგვარად საშუალებას იძლევიან თანმიმდევრობით წარმოვიდგინოთ კრწანისის ომის დასკვნითი ეტაპი.

ტერ-ოჰანეს ვოსკერჩეანცის გადმოცემით, „მეფე ერეკლე ებრძოდა სპარსელებს ახლოს მდებარე მთაზე კოჯორზე და კრწანისში“, ე. ი. ქართველებს 11 სექტემბერს დილიდან ბრძოლა ჰქონდათ როგორც კრწანისში, სადაც მთავარი ბრძოლა იყო, ისე კოჯრის მიმართულებით.

ამ საკითხზე მეტ კონკრეტულ ინფორმაციას იძლევა მირზა იუსუფ ყარაბაღელი თავის „თარიხეში“, სადაც იგი წერს: „ქართველი მეზარბაზნეები უდიდესი ყოჩაღობით და მოხერხებით აკავებდნენ და შინ

არ უშვებდნენ ყიზილბაშების ჯარს. ვიდრე აღა-მაჰმად-ხანმა თავისი მთავარსარდალი მუსტაფა-ხან-დუჰლუ არ მოიხმო, რომელიც მისი უმამაცესი მხედართმთავართაგანი იყო, და მას უბრძანა — ტფილისი შენგან მინდა მივიღოო".

ზემომოყვანილი ცნობიდან ჩანს, რომ შაჰმა მუსტაფა-ხან-დუჰლუს თბილისში გარშემოვლის დავალება მისცა იმ დროს, როდესაც ქართველების არტილერია ჯერ კიდევ წარმატებით იცავდა ქართველთა პოზიციებს. და აი, როცა სპარსელებს გაუჭირდათ, 11 სექტემბრის დილით, მუსტაფა-ხანს მისცეს, ერთი ცნობით, ხუთი ათასი კაცი (ალ. ორბელიანი, რომელიც აქ მუსტაფას ნაცვლად მელიქ-მეჯნუმს ასახელებს), მეორე ცნობით კი, ოთხი ათასი კაცი. უკანასკნელი ცნობა უფრო სწორი უნდა იყოს და მიგვანიშნებდეს რაოდენობას მუსტაფა-ხანის ჯარისა, რომელთან ერთადაც იყო ყარაბაღელი მელიქ-მეჯნუმი თავისი ათასი კაცით.

იულ. კლაპროტი არუთინ ასტვაცატუროვის (არტემ არარატელის) მიერ მოწოდებული ცნობის მიხედვით გადმოგვცემს, თუ რატომ იბრძოდა მელიქი მეჯნუმი ერეკლე II-ის წინააღმდეგ. ამ ცნობით, ჩარაბერდის მელიქმა და მელიქ აბოვმა, სხვა მელიქებთან ერთად, საიდუმლოდ სთხოვეს ერეკლეს თავისი ხალხითურთ მიეღო ისინი ქვეშევრდომებად საქართველოში. ერეკლემ ეს წინადადება განიხილა თათბირზე, რომელმაც უარყო მელიქების ეს თხოვნა (ჩანს, იმიტომ რომ თავიდან აეცილებინათ კახეთზე ყარაბაღის ხანის გადამტერება). ამის შემდეგ ერეკლემ მელიქების ნაწილი გადასცა ყარაბაღის იბრაიმ-ხანს, რომელმაც დააპატიმრა მელიქები, გარდა მეჯლუმისა და აბოვისა, რომლებიც თავიანთი ქვეშევრდომებით გამოიქცნენ საქართველოსაკენ, სადაც ისინი დიდ გაჭირვებაში ჩაცვივდნენ. სამი წლის შემდეგ მელიქი მეჯლუმი მიწვეულ იქნა განჯის ჯავად-ხანის მის სახანოში დასასახლებლად. მეჯლუმი იქ გადასახლდა, სადაც მან მოაგროვა დაახლოებით ორი ათასი თავისი წინანდელი ქვეშევრდომი სომეხი. ჯავათ-ხანს უხაროდა, რომ ამ გზით მან მოიპოვა კარგი ჯარი. მაგრამ მელიქ მეჯლუმი დღედაღამ ფიქრობდა სასტიკად შური ეძია ქართველებზე, რის შემთხვევაც მას მიეცა, როცა აღა-მაჰმად-ხანმა ერეკლეს წინააღმდეგ გამოილაშქრა.

ს. ქიშმიშევი მის ხელთ არსებული სარწმუნო ზეპირი ცნობებით დამაჯერებლად მიუთითებდა, რომ თუმცა ერეკლე კრწანისის პოზიციებზე სანგრიდან სანგარში გადადიოდა, ე. ი. ოდნავ უკან იხევდა კიდევაც, მაგრამ ის იქ მაინც არ დამარცხებულა. რიცხვმრავალი სპარსელების შემოტევამ ვერ მოტეხა ქართველთა წინააღმდეგობა, რასაც მათი არტილერიის ბრწყინვალე მოქმედებაც ეხმარებოდა. ქართველთა წინააღმდეგობა ამ ეტაპზე ისეთი ორგანიზებული იყო, რომ სპარსელებს უკვე წარმატების იმედიც კი ჰქონდათ გადაწურული, მაგრამ ქართველებმა ეს ომი მაინც წააგეს.

რატომ?

განვიხილოთ ეს საკითხი.

ეხებოდა რა უკანასკნელ იერიშებს, ს. ქიშმიშევი წერდა: „სპარსელები, რომლებმაც თავის წინ ერთი მუჭა სუსტი მტერი დაინახეს, თავისი მრავალრიცხოვნობით დაიმედებულები მამაცურად დაესხნენ ძათ თავს, რათა გაესრისათ, მაგრამ ირაკლი არ შედრკა. მეფის პირადი მაგალითით და სახალხო მებრძოლის დავით მაჩაბლის საბრძოლო სიმღერით აღფრთოვანებული მისი მხედრობა ხელჩართულ ბრძოლაში ჩაება.

იოანე ბატონიშვილი და თავადი ჯანდიერი სიმამაცის სასწაულებს ახდენდნენ. სპარსელთა რიგებში უკვე მერყეობა დაიწყო, როცა კოჯრის გზაზე მეჯნუმი გამოჩნდა თავისი რაზმით. ორივე მხრიდან მტრებით შემორტყმულს, ირაკლის თავისი უმნიშვნელო ძალებით აღარაფრის გაკეთება აღარ შეეძლო ურიცხვი მტრის წინააღმდეგ და მათი მრავალრიცხოვნობით გაისრისა — თუმცა მაინც არ იქნა დამარცხებული და მან შუადღისთვის სეიდაბადისაკენ დაიხია“.

საფიქრებელია, რომ მუსტაფა-ხანს ქალაქისათვის გარშემოსავლელად ჯარი მისცეს მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ თაბორის მთიდან თბილისზე გაჭრა შეუძლებელი იყო — დავით ბატონიშვილი მტკიცედ იცავდა ამ გზას. უეჭველია, რომ სპარსელები დილიდანვე შეეცდებოდნენ იერიში მიეტანათ დავით ბატონიშვილის რაზმზე, რამდენადაც ამ უკანასკნელის ადგილსამყოფელზე გადიოდა ყველაზე მოსახერხებელი გზა თბილისისაკენ. მაგრამ, ჩანს, სპარსელებმა მიზანს ვერ მიაღწიეს. ამიტომაც დაისვა სპარსელთა წინაშე საკითხი — მუსტაფა ფაშასთვის ქალაქზე გარშემოვლა დაეკალებინათ. ამ მხედართმთავარს უნდა მაღლიდან მოშორებით გადაევლო თაბორისათვის და შინდისი-

საკენ მიმავალი გზის გავლით დაშვებულიყო თბილისის ციხის მისადგომთან განჯის კარის მხრისაკენ, რითაც სპარსელები ზურგში მოექცეოდნენ. მართალია, ამ ოპერაციის შესრულებისას სპარსელებს დასჭირდებოდათ არტილერიის წინააღმდეგობის გადალახვა და აბანოს ხიდის კართან მდგომი იმერლების უკუქცევა, რაც, ცხადია, დიდი ენერგიის გაღებას მოითხოვდა, მაგრამ სპარსელების სარდლობას ეს ოპერაცია იმდენად დიდი მნიშვნელობისად მიაჩნდა, რომ არავითარ საშიშროებას აღარ მოერიდა.

მუსტაფა-ხანს, ეტყობა, ჯარი გამოუყვეს შავნაბადა-თელეთის მისადგომებიდან, მაგრამ უამინდობის გამო (დილით სქელი ბურუსი იდგა, შემდეგ კი კოკისპირულმა წვიმამ დასცხო) სპარსელთა ამ მხედართმთავარს გზა აებნა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო იმის ნაცვლად, რომ ბილიკებით პირდაპირ თბილისის ციხისაკენ წამოსულიყო, მუსტაფა-ხანი მოჰყვა სოფ. შინდისის მიდამოებში და კოჯრის გზაზე სოლოლაკის ქედისაკენ.

ამის შესახებ საინტერესო ცნობას იძლევა იუსუფ ყარაბაღელი, რომლის სიტყვებითაც, „შემთხვევით იმ დღეს... ცა მეტად ბნელი და შავი იყო და ერთმანეთის დანახვა ძალიან ძნელი იყო. ხსენებული სარდალი თავისი ჯარით წინ წამოვიდა. ყიზილბაშებმა ადგილის უცოდინარობის გამო მთით წამოსვლა გადაწყვიტეს. როგორც კი ღრუბლების ფარდა გაირღვა და ცის სარკე გამოჩნდა, ვალიმ და ქართველების ჯარმა დაინახეს, რომ ყიზილბაშების ლაშქარი მათს ზურგში მოქცეულა და ქალაქის თავზე მოუვლია“. სწორედ ეს არის იუსუფ ყარაბაღელის მიერ ნაჩვენები სვლის გეზი, რომელიც შინდისზე უნდა ყოფილიყო. შინდისი კოჯორს დაშორებულია 6 კმ-ით. ამრიგად, დაგეგმილი 5 კმ-ის ნაცვლად, მუსტაფა-ხანს უნდა გაევლო დაახლოებით 15 კმ, რასაც მოუნდებოდა დაახლოებით ხუთი საათი. მაშასადამე, დილით 10 საათზე გამოსული მუსტაფა-ფაშა სოლოლაკის ქედს მოადგებოდა დაახლოებით 3 საათზე.

ზემოაღნიშნულ ისტორიულ სიუჟეტს კარგად ემოწმება ალ. ორბელიანის სიტყვებიც: „როდესაც ყიზილბაშებმა ზარბაზნები წაახდინეს, მაშინვე ათასი ყიზილბაში სოლოლაკისაკენ გამოგზავნა გაბარებულმა ხანმა, გზის მცოდნე თავის მოსამსახურის ბელადობით, და ეს ჯარი ქალაქისკენ ჩამოვიდა დასავლეთის მხარეს, სწორეთ მაშინ, როდესაც მეფე ირაკლი თავისი ქართველობით, მტკვრის ხიდზე ავლაბარში გავიდა“. ალ. ორბელიანისავე ცნობით, თბილისიდან გაპარულმა სპარსელმა ელჩმა აღა-მაჰმად-ხანს მოახსენა: — „ექვსი ათასი

მეომარი მიბოძე, აქეთი მხარის მოკლე გზები ახლა კარგად ვიცი, ერთერთს მოკლე გზაზედ გადვივლი და მეფეს ირაკლის უკან მოვექ-ცევი, აქედან თქუენ მიხუალთ, შუაში მოვამწყვდეეთ თავის ჯარით და ყათლანს უზამთო“.

ირანის შაჰმა მას მისცა ხუთი ათასი კაცი (სხვა ცნობით კი, ამ ხანს ჰყავდა ოთხი ათასი მოლაშქრე და მელიქ მეჯნუმის ათასი კაცი). ალ. ორბელიანისვე ინფორმაციით, „გაპარებულმა ხანმა“ თავისი ჯა-რიდან ათასი კაცი (სხვა ცნობებით, მელიქ მეჯნუმის რაზმი) სოლო-ლაკის ქედის მოსავლელად გააგზავნა.

მუსტაფა-ხანის ჯარს წინ შეეგება ქართველების ჯარი. ეს იყო სადღაც კოჯრისკენ მიმავალ გზაზე. ცნობების უქონლობის გამო ამ ადგილის დადგენა ახლა ძნელია, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ტერ-ოჰა-ნეს ვოსკერჩეანცი სწორედ კოჯორს ასახელებს იმ ადგილად, სადაც ქართველებს ბრძოლა უნდა ჰქონოდათ. ამ ცნობაში უნდა იგულის-ხმებოდეს არა საკუთრივ კოჯორი, არამედ კოჯრის მიდამოები, უფრო კოჯრიდან შინდისის მიდამოებში ჩამომავალი გზა, ხუთი თუ სამი კმ ოქროყანის სამხრეთით, სადაც ქართველებს ექნებოდათ წინასწარ მომ-ზადებული პოზიცია, რომელსაც, სერობის უკვე განხილული ცნობების მიხედვით, მშიშარა და ომში გამოუცდელი მოქალაქენი და მცირერი-ცხოვანი იმერლები იცავდნენ. სულ, როგორც სათანადო ადგილზე აღინიშნა, 1500 კაცი.

მართლაც, ომის წაგების მთავარ მიზეზად თანამედროვენი თვლი-დნენ მელიქ მეჯნუმის მიერ კოჯრიდან სოლოლაკისაკენ მიმავალი გზის ხაზის გარღვევას, რაშიც, სხვათა შორის, ადანაშაულებდნენ ზემოაღ-ნიშნულ სექტორში დამცველებად გაწესებული თბილისელ ლოთებს.

ამის შესახებ ირკვევა თბილისის მელიქის დარჩია ბებუთაშვილის წერილიდან აღალო-ბეგ ყორღანაშვილისადმი, რომელსაც იგი 1798 წ. 22 მარტს, ე. ი. კრწანისის ტრაგედიიდან 2,5 წლის შემდეგ ატყობი-ნებდა: „თქვენი წიგნი მებოძა და წინწყაროელთა ოქმი. როცა ქალა-ქის ლოთებს და იმათ ჩხუბი მოსვლიათ, მე იქ ჯერ მისული არ ვყო-ფილვარ და ხომ იცი, არც მე ვარ ამათი მადრიელი. ჩემი ხელმწიფის იმდენი საქონელიც და ჩვენიც სულ ამავ ლოთებმა დაგვაკარგინეს. რა წამს ახლა მოველ, კუკიის მამასახლისი დავიბარე და ხათრიჯამი გავხადე და ისინიც დავტუქსე“.

ამ წერილიდან, მაშასადამე, ჩანს, რომ თბილისის ლოთებს და წინწყაროელებს ადრე ერთმანეთში ჩხუბი მოსვლიათ, რომლებსაც

ხელმწიფის, ე. ი. ერეკლესა, და თვით დარჩია ბებუთაშვილისთვისაც დიდძალი საქონელი დაუკარგვინებიათ.

ზემოაღნიშნული დოკუმენტიდან ჩანს, რომ ქალაქის ლოთები და წინწყაროელები კუკიაში სახლობდნენ, ვინაიდან დარჩია ბებუთაშვილს მათი დაშოშმინებისას სწორედ კუკიის მამასახლისი დაუბარებია.

1804 წ. აღწერით, სოფ. კუკიაში იყო 62 კომლი გლეხი (აქედან 138 მამრი და 136 მდედრი). მათ შორის წინწყაროელი სომხები შეადგენდნენ 29 კომლს (30 მამრი და 60 მდედრი). ეს უკანასკნელები რიცხობრივად ერთგვარად სჭარბობდნენ მამაკაცებს, რაც იმის შედეგი უნდა იყოს, რომ წინწყაროელები ძალზე დაზიანდნენ აღა-მაჰმადხანის შემოსევისას. ეტყობა, სწორედ ამ ხანებშივე მოხდა ურთიერთობის გამწვავება კუკიის წინწყაროელებსა და ლოთებს შორის, რომელთაც სპარსელებთან ომში ქართველთა ზარალი ბრალდებოდათ.

ვინ უნდა იყვნენ ეს ზემოხსენებული კუკიის ლოთები და სად უნდა ყოფილიყო მათი სამოსახლო?

კუკიას ეკავა საკმაოდ დიდი ადგილი — კუკიის ტბა ამ სახელით ახლაც მდებარეობს დიღმის პირდაპირ მტკვრის აღმოსავლეთ სანაპირო მხარეში. გამოდის, რომ კუკია აღწევდა ჩუღურეთიდან ვიდრე ავჭალის ტერიტორიამდის დაახლ. 7—8 კმ-ის სიგრძეზე, სიფართით უფრო პატარა და დიდი ლილოს მისადგომამდის. დიდუბე, ალბათ, წარმოადგენდა კუკიის ნაწილს.

და აი, კუკიის ერთ ნაწილში, როგორც ეტყობა, ცხოვრობდნენ ქალაქის ლოთები, იგივე ლუტები. ლუტი სპარსული სიტყვაა, მაგრამ იგი ქართულშიც იხმარებოდა (საბას განმარტებით, ლუტი ეწოდებოდა უსახლკარო და უქონელ კაცს). ლუტების უბნის გადამახინჯებულ სახელს თბილისში ახლაც წარმოადგენს ლოტკის გორა, — დიდუბის აღმოსავლეთით. ეს სახელწოდება ნაწარმოებია რუსული გამოთქმიდან Лоткинская гора.

როგორც ვნახეთ, დარჩია ბებუთაშვილი 1798 წ. აღნიშნავდა, „აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აღების დროს ჩვენი ხელმწიფის (ერეკლეს) იმდენი ქონება და ჩვენიც სულ ამ ლოთებმა დაგვაკარგვინეს და მე როგორ ვიქნები მათი მადლობელი“. გამოდის, რომ ქართველების ჯარის დამარცხების მთავარი მიზეზი ლოთები ყოფილან, მაგრამ როგორ შეიძლება ეს მომხდარიყო.

ჯარში ლოთები (ლოტები) არ შეიძლება ყოფილიყვნენ, რადგანაც ესენი უსახლკარონი იყვნენ, ასეთები კი მეომრებად არ გაჰყავდათ.

მართალია, ს. ქიშმიშევს მოეპოვება ცნობა, რომ ერეკლემ საჩქაროდ შეკრიბა თბილისის მოქალაქეთაგან ათას ხუთასი მეომარი, მაგრამ ეს ცნობა მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ გაჭირვების ჟამს მეომრები გაიყვანეს თბილისის მოქალაქეთაგანაც. ეს კარგად ჩანს თეიმურაზ ბატონიშვილის მიხედვითაც, რომელიც გადმოგვცემს: „მცხოვრებთაგან ტფილისისათა გამორჩეულ იქნეს კაცნი მამაცნი და მარჯვენი, რომელთაც აღირჩიეს წინამძღვრად თავისად კაცი ვინმე მსახიობი, რომელსა საზანდრად უხმობენ. ესე იყო ერთი წარჩინებულთა ძე, მოსაკრავეთა და მსახიობთაგან მეფისათა, მუზიკი და კომედიანტი და ესე იყო უფროსი მსახიობთა შორის და ცნობილი იყო სამეფოსა სახლსა შინა. ესე იყო გვარეულობითა და სარწმუნოებითა ქართველი, რომელსაცა სახელდებდნენ მაჩაბელად“.

თეიმურაზთან მოხსენიებული ეს რჩეული მოქალაქეები შედიოდნენ ვახტანგ ბატონიშვილის ათასკაციან რაზმში. აქ იყვნენ: სამასი არაგველი, ზაქარია ანდრონიკაშვილის რაზმი, რომელსაც შეადგენდნენ მარტყოფიდან ქიზიყამდე შეგროვილი მებრძოლები, სულ 600 კაცი; მათ შორის, როგორც თეიმურაზის ცნობიდან ჩანს, მცირედ ქიზიყელებიც იყვნენ. ეტყობა, აგრეთვე, რომ იქ იყვნენ მცირერიცხოვანი ფშავ-ხევსურებიც.

სპარსეთის სამსახურში მყოფი სომეხი სარდლის ცნობით, ვახტანგ ბატონიშვილის რაზმში მთლიანად ათასი კაცი ყოფილა. ამიტომ მოქალაქეთა გუნდი, რომელიც მაჩაბლის წინამძღოლობით იბრძოდა, არ შეიძლება ყოფილიყო სამას-ოთხას კაცზე მეტი, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ვახტანგ ბატონიშვილს ჰყავდა 300 არაგველი და ამდენივე ფშავ-ხევსური. ამ უკანასკნელთ იხსენიებს სტეფანე ფერშანგიშვილიც.

ირკვევა, აგრეთვე, რომ მაჩაბლის მეთაურობით მებრძოლ მამაც და კარგად შეიარაღებულ მოქალაქეთა გარდა საომრად გაყვანილი ყოფილან სხვა მოქალაქეებიც. ესენი უნდა იყვნენ ის მშიშარა და გამოუცდელები, რომლებსაც სერობი იხსენიებს. 1796 წ. რუსების პრემიერ-მაიორი ვერდერევსკი, მისთვის ამ დროს საქართველოში გადაცემული ცნობის მიხედვით, წერდა: „მეფე, ემზადებოდა რა მტრის შესახვედრად, თავის ჯარს კრებდა (მოქალაქეებისაგან). ისინი უიარაღონი მოვიდნენ და მეფეს სთხოვდნენ ნება მიეცა მათთვის საქონელი დუქნებიდან აეღოთ.

ამრიგად, გაწვეულ მოქალაქეთა შორის უმეტესობა ყოფილან წვრილი ვაჭარ-ხელოსნები, რომლებსაც, ცხადია, თოფები არ ექნებო-

დათ. ისინი შეიარაღებული უნდა ყოფილიყვნენ მეტწილად ხმალ-ხანჯლებით და კომბლებით. მით უმეტეს, ცუდად უნდა ყოფილიყვნენ შეიარაღებული ლოთებიც, რომლებიც, ვითარცა „მშიშარა“ და „გამოუცდელთა“ კონტიგენტის ნაწილი, მდარე საბრძოლო თვისებისანი იქნებოდნენ. სხვა ფაქტორებთან ერთად, ცხადია, ამანაც განაპირობა ლოთების დამარცხება და ის უარყოფითი შედეგები, რაც, თბილისის მელიქის სიტყვებით, მეფეს და თვით მას რგებიათ ხვედრად.

როგორც კი კოჯრის გზაზე შექმნილი მძიმე მდგომარეობის შესახებ ერეკლეს აცნობეს, მან, ეტყობა, სწრაფად მოხსნა მარჯვენა ფრთიდან ზურაბ წერეთლის რაზმი და ის სოლოლაკისაკენ გამოაგზავნა. ამასობაში კოჯორთან ქართველების დამარცხებასა (რაც ერეკლემ მესამე სანგარში ყოფნისას 2 საათზე გაიგო) და სპარსელების სოლოლაკიდან გარეთუბანში შემოსვლას შორის (რაც 5-ის ნახევარზე მოხდა) სულ განვლო 2 1/2—3 საათმა. მთელი ამ დროის მანძილზე ზ. წერეთლის იმერლები, რომელიღაც ადგილზე, ალბათ სოლოლაკის გადმოსასვლელთან, აჩერებდნენ სპარსელთა მეწინავეებს, რომლებთანაც იყო მელიქ-მეჯნუმიც. ალბათ, ისინი იქნებოდნენ დაახლოებით 200—300 კაცი.

აღნიშნული რიცხვის დასადგენად უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმერელთა საერთო რაოდენობა შეადგენდა ათასამდე მებრძოლს. აქედან ორ დღეში თავად-აზნაურთა რიგებს გამოაკლდა 200 მებრძოლი, მსახურთა ჩათვლით კი გამოკლებულთა რაოდენობა უნდა ყოფილიყო 500.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კრწანისის ველზე მყოფი იმერლების უფროსად დისპოზიციის მიხედვით ზურაბ წერეთელი იყო. მაშ როგორღა მოხდა, რომ ზურაბი მეთაურის როლში ახლა თავადმა აბაშიძემ შეცვალა.

მე მგონია, რომ მაშინ, როცა სპარსელების მიერ კოჯრის ხაზის გარღვევის შემდეგ საჭირო გახდა იმერლების ნაწილის ზურაბ წერეთლის მეთაურობით გაგზავნა ქალაქზე გავლით სოლოლაკისაკენ, რათა ზემოხსენებული გარღვევა ლიკვიდირებული ყოფილიყო, იმ ათასი იმერლიდან, რომელიც თავდაპირველად ზურაბ წერეთელს ჰყავდა პოზიციაზე, ნანახი საერთო ზარალის შემდეგ, ალბათ, დარჩებოდა დაახლოებით 600—700 კაცი. თუ ამათგან ზურაბ წერეთელი გაიძღვანიებდა 300—400 კაცს, მაშინ გამოვა, რომ აბაშიძეს კრწანისის ხაზზე თავისთან დარჩებოდა 300 კაცი. მართლაც, რუსი პრემიერ-მაიორის

ვერდერევსკის ცნობით, ისინი მან 1796 წ. ადგილზევე მიიღო, თავდასხმის დროს გაიქცა სამასი იმერელი.

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით ალ. ორბელიანის ცნობით, რომელიც მას თვითმხილველისაგან უნდა ჰქონდეს გაგონილი, ერეკლემ აბანოს ხიდისკართან მდგომ სოლომონს გაუგზავნა შიკრიკი, რათა ის საჩქაროდ ზარბაზნებთან წასულიყო, მაგრამ შიკრიკს გზა გადაუჭრეს სპარსელებმა და მოკლეს, ცხადია, სოლომონს თავისი პაპის ბრძანება აღარც მიუღია, ამიტომაც სოლომონი თავისი იმერლებიანად ისევ აბანოს ხიდისკართან დარჩა მაშინ, როცა თავ. აბაშიძის რაზმი კრწანისის საბრძოლო ასპარეზის მარცხენა ფრთაზე მტრის მოზღვავების გამო დიდ გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი. იმერლები მაინც მედგრად იბრძოდნენ, მაგრამ როცა სპარსელებმა მათი წინამძღოლი თავ. აბაშიძე მოკლეს, ისინი გაიქცნენ.

ეს უკანასკნელი სოლოლაკის მთიდან ძირს ჩამოეშვა და ანადგურებდა იმ ქართველებს, რომლებიც ცდილობდნენ თბილისის კარებიდან მთებისაკენ გაქცევას. ამის შესახებ ცნობას გვაწვდის კლაპროტი, რომლის ინფორმატორიც იყო არტემ არარატელი.

ამგვარად, მუსტაფა-ხანის ჯარი ბოლოს მაინც ჩამოვიდა სოლოლაკში და ზურგში მოექცა ქალაქ თბილისს. ამ დროს, როდესაც მუსტაფა-ხანი კოჯრის გზიდან თბილისის გადმოსახედზე მოვიდა, კრწანისის ველთან ჯერ კიდევ გახურებული ომი იყო.

თბილისის თავს სპარსელთაგან სრული გარემოცვის საფრთხე აღიმართა.

16. კრწანისის პოზიციებიდან სწრაფი უკან დახევა

როდესაც ერეკლეს სპარსელთა მიერ სოლოლაკის ხაზის გარღვევა ამცნეს, იგი უკანასკნელ სანგარში იყო. მეფე იძულებული გახდა დაეტოვებინა ეს სანგარიც, სადაც მან მხოლოდ ერთი საათი გაძლო.

სოლომონ მეფე მასთან დარჩენილი მცირე რაზმით მაინც ფეხს არ იცვლიდა. როგორც ჩანს, მან მოახერხა აბანოს კარისაკენ ხარფუხის ზედა ადგილებიდან სპარსელების მოწოლის ერთგვარი შეჩერებაც, ურომლისოდაც ერეკლეს და მის ცოცხლად დარჩენილ ჯარს ტყვედ ჩაგდება არ ასცდებოდათ.

„იხილა რა მეფემან სიძნელენი ესე ბრძოლისა, — გადმოგვცემს თეიმურაზი, — ოდენნიცა ძალ-ედვა და ჰყვეს მხედრობანი, მიაშველ-

ხა ეჭრაველესნი და კნინღა სრულად (თითქმის მთლად ყველანი) მოსწყვეტნებოდეს და მცირედნი-ღა განაბნიეს. გაგრძელდა ბრძოლაი ესე დილისა დაწყებითგან შვიდის ჟამით ვიდრე საღამოს მეხუთი ჟამამდე" (მეხუთე საათამდე); ვახტანგ ბატონიშვილის ცნობით, „ვიდრე ხუთ საათ ნახევრამდე" (ე. ი. ხუთის ნახევრამდე). შემდეგ თეიმურაზი წერს: „თუმცაღა მეფისა კვალად არა ნებავდა უკუნქცევაი, არამედ ძახლობელთა და ერთგულთა მისთა მოახსენეს რჩევით, რათამცა მორიდოს მეფემან და არ მისცეს თავი თვისი სიკვდილსა და განსაცდელსა. ეტყოდეს მეფესა: „უწყის ყოველმან სკიპტრისა თქვენისა ქვეშ მყოფმან სიმხნე და გულოვნება თქვენი და რომელ არა-ჰრიდებთ თავსა თქვენსა სიკვდილსა. მამულსა საყვარელსა, ერისათვის შენისა და მსხვერპლ ექმნება, მაგრამ თუ სადმე გეწიოს შენ ძვირი ანუ ბოროტი რა მე, უმეტეს განაღდნენ მტერნი ძვირსა ქვეყანასა ჩვენსა. თუმცაღა მოახსენებდეს მეფესა ესრეთ, გარნა კვალად იმყოფებოდა მუნვე". ე. ი. მაინც არ ტოვებდა ბრძოლის ველს. ბოლოს მეტი გზა აღარ იყო, ერეკლე, როგორც ამას თეიმურაზ ბატონიშვილი გადმოგვცემს, იძულებული გახდა დათანხმებოდა უკან დახევაზე.

ზემოაღნიშნული ბრძოლების აქტიური მონაწილე ვახტანგ ბატონიშვილი ამ მომენტის შესახებ წერს: „თუმცა ღა იყო ფრიად მოხუცებული [ერეკლე], გარნა ბრძოლასა მას შინა ყოფაქცევა მისი იყო მრავალთა ჭაბუკთაგან სანატრელ, რამეთუ ოდესცა გაბრუნდნენ [ქართველნი] ძლეულნი მტერთაგან და მისდევდა უკან სპა იგი დიდი მტერთა ქვეითი და ცხენოსანი, მაშინ გაუბრუნდა მათ და უბრძანა სხვათაცა შეტევება, გარნა ვინადგან არღარა იყო შესაძლებელ, ამისთვის არა სცეს ნება ჟამსა მას მახლობლად მყოფთა მისთა და თითქმის იძულებით წარმოიყვანეს"*.

ერეკლეს ბრძოლის ველიდან გამობრუნება ფაქტიურად ეს იყო გაძოქცევა. ამის თაობაზე მიგვითითებს იაკუბ-ბეგიც, რომლის მიხედვითაც ქართველები მეოთხე სანგრიდან ცხენების ჭენებით გაიქცნენ. სერობის ცნობითაც, როცა ერეკლე გაიქცა, მას მიჰყვა ქართველების მთელი ჯარიც.

სპარსელები გამოედევნენ უკუქცეულ ქართველებს და სეიდაბადის ერთ-ერთ ორღობეში გვერდიდან კიდევაც მიეწივნენ ერეკლეს და მის შერჩენილ ჯარს, რომელშიც იმყოფებოდა მისი რჩეული 150-

---

* ისტორიებრი აღწერა, 1914 წ., გვ. 35.

კაციანი თათართა ამალა. ეს უკანასკნელნი ენერგიულად იგერიებდნენ სპარსელების თავდასხმას და მათ წინააღმდეგ კონტრშეტევაზეც კი გადავიდნენ, რომელთაგან თითქმის ყველა დაიღუპა. დანარჩენი ჯარისგან კი ერეკლეს თბილისის აბანოს კარებთან ჩამოჰყვა მხოლოდ 300-მდე კაცი, მაგრამ მათ აღარ შეეძლოთ მტრისათვის აქტიური წინააღმდეგობის გაწევა. სპარსელებს ახლა არტილერიაღა აჩერებდა — 16 ზარბაზნიანი ბატარეა, რომელიც თბილისის ციხიდან მოქმედებდა. თბილისის ციხის ერთ-ერთი უფროსის სომეხ აღალუას ხელმძღვანელობით. ამ აღალუას განსაკუთრებით აღნიშნავს თეიმურაზ ბატონიშვილი, რომ ის „ფრიად მხნედ იყო მას ჟამსა შინა და ზევიდგან მაღალთა მათ მთათა კლდიერთა ზედა მდგომარესა ტფილისის ციხით სეიდაბადის გარდმოსავალთა გზათა ზედა ესროდა სპარსთა, რათა ვერ უძლონ შემოსვლა ტფილისს და მრავალნი სპარსნი მოსწყდეს მით“.

ციხის არტილერიის ამგვარი მოქმედების მიუხედავად სპარსელების ერთმა რაზმმა მაინც შესძლო აბანოს კარის მიმართულებით გასვლა სწორედ იმ დროს, როცა ერეკლე ამ კარების ხიდს უახლოვდებოდა. სპარსელებს უკვე შეეძლოთ ერეკლს მოკვლა, ან დატყვევებაც. თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვებით, „მოეახლნეს სპარსნი, სადა იგი იყოფოდა მეფე და მოუხდეს აღმატებულთა ძლიერებითა და კინღან და მოჰკვლიდეს მეფესა ანუ შეიპყრობდეს, უკეთუ შვილიშვილი ამა მეფისა იოვანე არა იყომცა მუნ. ეკვეთა მეფის ძე იოვანე მახლობელ პაპისა მისისა მოსრულთა და განარინა ჯელთაგან მათთა მეფეი“.

ალექსანდრე ორბელიანის სიტყვით, გარდა იოანე ბატონიშვილისა ერეკლე ტყვეობისაგან იხსნეს დავით მაჩაბელმა, ჯანდიერ ჯანდიერიშვილმა და სხვა რჩეულმა ცხენოსნებმა.

სერობს ეს ამბავი უფრო დაწვრილებით აქვს აღწერილი. მისი ცნობით, ერეკლე აბანოს ხიდთან გაჭირვებისაგან ციხის ზარბაზნების სროლამ გადაარჩინა. ამ ავტორის მიხედვით, წინა ხაზიდან გვერდით შემოჭრილ სპარსელებს „ინგლისური წესით გაწვრთნილი“ ზარბაზნები წვიმასავით აყრიდნენ ყუმბარებს. თეიმურაზიც წერს, რომ აღამაჰმად-ხანმა „მოუწოდა მყისვე სხვათა ახალთა შესვენებულთა თვისთა მხედრობათა და მომართა მეფესა და შეუდგა უკანა დიდითა ძლიერებითა და თუმცა ტფილისის ციხით ჰსცემდეს ზარბაზნებითა მხედრობასა სპარსთასა, ვინაიდგან აღალუა ვინმე, ერთი უფროსთაგანი ტფილისის ციხისა ფრიად მხნედ იყო მას ჟამსა შინა და ზევითგან მაღალთა მათ მთათა კლდიერთა ზედა მდგომარისა ტფილისის ციხის სეიდაბედის გარდმოსავალთა გზათაზედა ესროთა სპარსთა, რათა ვერა

უძლონ შემოსევა ტფილისს და მრავალნი სპარსნი მოსწყდეს მით, მაგრამ ეგრეთცა სპარსნი არა ივლტოდეს“.

მართალია, ერეკლე და მისი თანმხლები გადარჩნენ, მაგრამ საფრთხე კვლავ არსებობდა და აუცილებელი ხდებოდა ქალაქიდან გასვლა. ამ ამბების მხილველის სიტყვით, ერეკლე მოდიოდა ოქროსფერ ყარაბაღულ ცხენზე წარბებამდის ჩამოწეული ბოხოხი ქუდით, მეომრების თანხლებით. მეფეს გარს ეხვეოდა ხალხი ყვირილით: გვიშველე, არ დაგვღუპოო. ხიდზე ერეკლემ მოატრიალა ცხენი და დაიძახა: რომ მივდივარ, სად მივდივარ, როცა ჩემი ქართველები აქ იხოცებიანო, მაგრამ სარდლებმა აღვირს უტაცეს ხელი მეფეს, ცხენი მოუბრუნეს და წაიყვანეს ერეკლე.

ამ უკანდახევის დროს ქართველთა ჯარის დიდმა ნაწილმა დაქსაქსვა და გაქცევა დაიწყო. „ოდეს იხილეს სიმრავლე ჯარის მის ურჯულოსა ყაენის ხალხთა ტფილისისათა გამოუცდელთა და უმეტესად იმერთა — გადმოგვცემს უსახელო ავტორი — შეშინდნენ და იწყეს უკან-ქცევად და სივლტოლად და მთათა და ქვაბთა შინა, ასე რომ ვგონებ აღარა დაშთა სანატრელსა მას მეფესა თვისთან მეომარნი კაცნი ვითარ სამასნი“.

ამის შემდეგ, როგორც სერობი ყვება, მოკლული იქნენ არტილერიის პრემიერ-მაიორი გაბრიელი და მისი მეზარბაზნეები, რომლებიც თავისი ბატარეიდან, ვიდრე ახერხებდნენ, ცეცხლს უშენდნენ მტერს. სერობისავე თქმით, ბოლოს თვითონ გაბრიელიც მსხვერპლად შეეწირა ქრისტიანობას და საკუთარ მეფეს, ე. ი. დაიღუპა.

გაბრიელის სიკვდილისთანავე მისი ადგილი დაიკავა სეკუნდ-მაიორმა გიორგი გურამიშვილმა, რომელიც, აგრეთვე, დიდი მამაცობით ხელმძღვანელობდა არტილერიას, ვიდრე ბოლოს ისიც არ დაეცა მარტვილობითო. თეიმურაზ ბაგრატიონის თქმით, „თავადი გურამიშვილი გიორგი, ქუმელად სახელდებული და ესე იყო ერთი უპირველესი მოხელეთაგანი არტილერიისა და მეცნიერიცა არტილერიის ხელოვნებისა. ესე იყო მას ჟამსა და ადგილსა მას ყოველთა მათ მოხელეთა არტილერიისათა მმართველი და გულოვანი ფრიად ჩინებული. კვალად მოიკლა მუნვე გაბრიელ მაიორი არტილერიისა, კაცი ფრიად მხნე და განსწავლული. ესენი ფრიად საყვარელ და პატივცემულ იყვნეს მეფისაგან. ესენი იყვნეს ბრძოლასა შინა ფრიად გამოცდილნი და ამათ ძლიერად და ფიცხლად ამოქმედნეს არტილერია მეფისა და შეაძრწუნვესცა სპარსნი და მოსწყვიტნეს ზარბაზანთა მიერ. და ფრიადისა ღვაწლითა, ვიდრეღა ძალედვა მათ, ჰბრძოდეს. ხოლო უკანასკნელი,

ყოვლითა ზარბაზნებითა თვისითა მოსწყდეს ერთობლივ ზარბაზანთა თვისთა თანა"*.

გაბრიელის და გ. გურამიშვილის მეთაურობით მოქმედი არტილერიის დაღუპვის შემდეგ, სერობის მიხედვით, სოლომონმაც თავისი იმერლებით თბილისის მიტოვება დაიწყო. ამიტომ იგი დამარცხებულ ერეკლეს დაელოდა გამომშვიდობების მიზნით და ქალაქს გაეცალა.

იმ დროს, როცა ქართველები ქალაქში შებრუნდნენ, სპარსელები ბრძოლით დაეუფლნენ არტილერიას და ქალაქშიაც შეიჭრნენ აბანოს ხიდის კარებით, როგორც ამას მოწმობს ზემოხსენებული ამბების მომსწრე ერთი ქალი, „ხოლო არტილერიის მსახურნი (უნდა იგულისხმებოდნენ ციხის ზარბაზანთა თოფჩები), რომელნიცა იგდო ხელად, წარიყვანნა (აღა-მაჰმად-ხანმა) იგინი თავის თანა და პატივი მიაპყრო მათ და რომელთამე მათგანთა მოუპოვა ცოლშვილნი მათნი და ნათესაობანი და წარიყვანნა იგინი სატახტო ქალაქად თვისად თეირანად და დააწესა იგინი არტილერიასა თვისსა შინა, მისცა მათ ჯამაგირნი და საცხოვრებელნი საკმაოდ და აღუშენა მათ სახლნი და დაადგინა ძოხელად არტილერიისა თვისისა".

ამ დატყვევებულ და ირანში წასხმულ არტილერისტებს შორის იყო ავსტრიელი ოსიპ გეტინგიც.

სწორედ ამ დროს, ერეკლე რომ თბილისიდან გადიოდა, სპარსელები ჯგროდ მოედინებოდნენ ქალაქისაკენ. იაკუბ-ბეგ ბებუთაშვილის სიტყვებით, „ძალზე ვიწრო იყო ის გზა, რომელიც ქალაქისაკენ მიდიოდა. ორსავე მხარეს ბაღ-ვენახები იყო და შაჰმა ვერ გაბედა, მაშინვე უკან დადევნებოდა გაქცეულებს, ნახევარ საათამდის დაიცადა, ვიდრე უკან ჩამორჩენილი ჩვენი ჯარი არ შეუერთდა და შემდეგ განაგრძო ქალაქისაკენ გზა. ცოტა რამ წინ წავედით და თვალწინ წარმოგვიდგა ეკლესიები, სასახლეები და მცხოვრებთ სახლები და აბანოები, რომელნიც შეიძლებოდა თითო-თითო დაგვეთვალა".

როგორც საერთო ვითარების ანალიზითა ჩანს, ქართველების ჯარის წამოსვლას პოზიციებიდან დასჭირდებოდა ერთი, ან ერთნახევარი საათი, რის შემდეგაც, იაკუბ-ბეგის სიტყვებით, აღა-მაჰმად-ხანმა ნახევარი საათი კიდევ დაიცადა, რადგანაც ერიდებოდა, რომ ორღობეებში ბრძოლის ატეხას ახალი მსხვერპლი არ მოეთხოვა. მაშასადა-

---

* სერობისა და თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობებს შორის ერთგვარი წინაუკმობაა. სერობით, გაბრიელი იყო გიორგი გურამიშვილის უფროსი, თეიმურაზით კი, პირიქით, უფროსი გ. გურამიშვილი ყოფილა.

მე, სპარსელების ჯარი თბილისში შესვლას დაიწყებდა მხოლოდ საღამოს 5 საათიდან, თვითონ შაჰი და მისი სარდლები კი ქალაქში ნახევარი საათით გვიან მაინც შევიდოდნენ.

აბანოებთან მისულ შაჰს შეეგებნენ რამდენიმე ასეული მაჰმადიანი და მოლები, რომლებსაც ხელთ ყურანები ეკავათ. მათ შაჰის ცხენის წინ საღმრთო ცხვრები დაკლეს, რის შემდეგაც შაჰი ერეკლეს სასახლისაკენ გაემართა.

სპარსელთა აღვირახსნილი ჯარი ქალაქის საძარცვად გაიფანტა, ისე რომ, შაჰთან ორასამდე მსახური და თავკაცი თუღა იყო. ძარცვაში გართულ სპარსელებს ერეკლესათვის აღარ ეცალათ, ამიტომ, იმ საღამოს მტკვრის მეორე ნაპირას მიმავალ უკანდახეულ ქართველებს აღარავინ გამოსდევნებია.

ამ დროს ერეკლე თავისი მცირე რაზმით მახათაზე მიდიოდა კახეთისკენ წასასვლელად. მაგრამ აღა-მაჰმად-ხანის ჯარში მყოფმა ერთმა აზერბაიჯანელმა ხანმა მას სწრაფად საიდუმლოდ კაცი დაადევნა— შაჰს მეტად დიდი ჯარები ჰყავს და უფრო უშიშარ ადგილს მიბრძანდითო. მაშინ ერეკლემ საგურამოსაკენ გაუხვია, სადაც ღამე ჩავიდა, იქიდან კი მთიულეთს გაემართა.

რაც შეეხება თაბორის მთის ძირას მდგომ დავით ბატონიშვილს, მას მთელი დღის განმავლობაში სხვადასხვა დროს მოუხდა სპარსელების შემოტევების მოგერიება. ამას იგი კარგად ახერხებდა თავისი ზარბაზნებით, მაგრამ როდესაც დაინახა, რომ თბილისი სპარსელების ჯარით აივსო და საშველიც აღარ ჩანდა, მან გადაყარა ზარბაზნები საგუბარის ხევში და თავისი შერჩენილი რაზმით გაემართა ოქროყანის და წყნეთის ბილიკებით მცხეთისაკენ, იქიდან კი შემდეგ მთიულეთისაკენ გაემართა. დავითი მთლად კანკალებდა, ჯავრით ლაპარაკიც ძლივსღა ესმოდა.

დავითი სასტიკად იყო განრისხებული მამაზე — გიორგი ბატონიშვილზე, რომელმაც კრწანისის ბრძოლაში ქიზიყელები არ გამოაგზავნა, რევაზ ანდრონიკაშვილს კი ამავე მიზეზით პირველი შეხვედრისთანავე ხელით წვერებში სწვდა და პირში შეაფურთხა.

რვა დღის განმავლობაში ქალაქში გაჩაღებული იყო აქ დარჩენილ მცხოვრებთა ხოცვა-ჟლეტა, დაწვა-განადგურება და ძარცვა-გლეჯა. იტაცებდნენ ყოველგვარ ძვირფასეულობას, რასაც კი იპოვნიდნენ: მარგალიტს, ოქრო-ვერცხლის ნივთებს, ტანსაცმელს და ქსოვილებს, ოქრო-ვერცხლის საეკლესიო საგნებს და სხვ. მამაკაცებს და მოხუცს

ქალებს განურჩევლად ხოცავდნენ. ყოველი მოკლული მამაკაცის თავის მომტანი შაჰის მოხელეებისაგან თითო თავში ღებულობდა სამ თუმანს. მიუხედავად იმისა, ეს თავი ბრძოლის ველიდან იყო წამოღებული, თუ ქალაქიდან. არ ინდობდნენ თბილისელ მაჰმადიანებსაც კი, სერობის ცნობით, სპარსელებმა მეტი ტანჯვა მიაყენეს ციხის უბანში მცხოვრებ მაჰმადიანთ, ვიდრე ქრისტიანებს. განსაკუთრებით დაუნდობლად ექცეოდნენ სპარსელები ქართველ და სომეხ მღვდლებს.

12 სექტემბერს შუადღისას, როგორც ამას იაკუბ-ბეგი იხსენიებს, შაჰი თბილისს დაჯდა ტახტზე. „და ყოველნი დიდნი კაცნი მივიდნენ და მიულოცეს იმისთანა დიდი გამარჯვება და ძლევა მტრისა. რომლისთვისაც შაჰმა ბრძანა საზოგადოებაში, მე ვიდრე ორმოც-და-ათამდის გამიმარჯვნია, მაგრამ ყოველზედ დიდი ეს არის. ჯავათხანმა ოცი ქალი და თორმეტი ყმაწვილი ვაჟი ათისა და თორმეტის წლისანი მოართვა შაჰსა, რომელთა ტირილი და გლეჯა კაცის გულსა სცვეთდა და სწომდა მათი საცოდაობა.

როდესაც გამოვედით პალატით, ვნახეთ, რომ მოლა აზანსა სცემდა და რამდენიმე ავედით ბანებზედ და ვუყურებდით თბილისის მდებარეობასა, და შესაწყალველი სახილველი გამოგვეხატა თვალ-წინ, ეკლესიებისა და ნაშენი სახლებისაგან საშინელი გამომავალი ალი ცეცხლისა, ბოლი და ჯარისაგან დატყვევებულის ტყვეების ღაღადი, ესოდენ სასტიკი იყო, რომ იტყოდი — მეორედ მოსვლა არისო. დაევლა იმ ხარისხში მდგომარეობდა შეუბრალებელთ და დაუდგომელთ ჯართაგან, რომ არავის არ უნდოდა დამორჩილება თავისის დიდისა. 11 დღე დავრჩით იქ და ყოველს დღეს ახალ-ახალ საშუალებას ფიქრობდნენ: ქალაქის დაქცევისა, გაცარცვისა და დატყვევებისათვის: სახლებისა და ეკლესიების საძირკველებსა სთხრიდნენ, რომ დაფარული რამ ეპოვნათ, როგორადაც კიდეც იპოვეს მრავლად, რომელთა შორის გამოჩენილი და მდიდარი იყო სომეხთ ეკლესიის სამალავი. აქედამ ოცამდის სამსე ზანდუკები, ოქროს ბარძიმები, ჯვრები, საეკლესიო დროშაკი, დიბები და ძვირფასი საეკლესიო შესამოსები, თვლეულით შემკობილნი ყავარჯნები (მღვდელთ-მთავრისა) და მიტრები (გვირგვინი მღვდლისა) მოიტანეს შაჰთან საჩუქრად (ძღვნად). საშმლის ნაკლებულობისათვის გავედით თბილისიდამ, არა ვითარცა მძლეველნი მხედრობანი, არამედ ვითარცა დედა-კაცნი. არ იყო ბანაკი, და იყო დედა-კაცთ სამყოფი, იტყოდი, რომ თუ ბანაკში უმეტესნი დედა-კაცნი და ყმაწვილნი იყვნენ, ვიდრე რომ მხედარნი, და არა თუ მარტო თბილისი, არამედ მისი გარეშემო (თემი) უბედურად გახადეს“.

კრწანისის ომი, თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვით, მიმდინარეობდა „დილისა დაწყებითგან შვიდისა ჟამით, ვიდრე საღამოსა მეხუთესა ჟამამდე". ვახტანგ ბატონიშვილის მიხედვით კი, ომი გრძელდებოდა ხუთნახევარი საათი. მაგრამ ამ ცნობაში რაღაც შეცდომა უნდა იყოს, რადგანაც ერეკლე თავად წერდა 1795 წ. 14 სექტემბერს გენ. გუდოვიჩს: „დილიდან საღამომდის დიდი ომი გვქონდა"-ო, რაც სინამდვილეს შეესაბამება. მაშასადამე, კრწანისის ომი დაიწყო დილის 7 საათზე და დამთავრდა 4—4, 1/2 საათზე. მზე ამ დღეს ჩადიოდა საღამოს 5 საათზე და 54 წუთზე. მაშასადამე, საღამოს შვიდის ნახევრიდან უკვე სიბნელე და ღამე დაიწყებოდა.

ამგვარად, კრწანისის ომი გაგრძელდა დაახლოებით 9 საათს (დილის შვიდიდან საღამოს ოთხის ჩათვლით).

•

• •

თბილისის აღების შემდეგ აღა-მაჰმად-ხანმა ქართლ-კახეთის სხვადასხვა ნაწილებს სპარსელების მარბიელი ჯარები შეუსია. მათ მიაღწიეს ქ. გორამდე და ცხინვალამდეც, მაგრამ მოსახლეობა ყველგან გახიზნული დახვდათ.

თბილისში სპარსელებმა მხოლოდ რვა დღე შესძლეს გაჩერება, ვინაიდან, ჯერ ერთი, მათ არ ჰქონდათ სურსათი, საქართველოში კი სურსათის შოვნა ძნელი აღმოჩნდა, რადგანაც იგი ქართველების მიერ გადამალული იყო. საკვები არ ჰქონდათ ოცი ათასზე მეტი ცხენისათვისაც, მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ შაჰს მოუვიდა ცნობა აღმოსავლეთ სპარსეთში დაწყებული აჯანყების და თანაც თურქმანების შემოსევის შესახებ. ამიტომაც აღა-მაჰმად-ხანმა ბრძანება გასცა სპარსეთში დაბრუნების თაობაზე.

ამიერკავკასიის მიწებზე სპარსეთის ჯარი დიდი სისწრაფით მიდიოდა და თან მიჰყავდა თბილისიდან წაყვანილი ტყვეები, რომლებიც, თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვით, 3000-მდე იყვნენ. ეს რიცხვი სწორი უნდა იყოს, მხოლოდ იმ შესწორებით, რომ არ უნდა იგულისხმებოდეს ის 700 ტყვე, რომელნიც წაასხეს განჯაში და განთავისუფლებულ იქნენ შემდეგ წელს, რის შესახებაც ქვევით ვიტყვით. აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრობის მონაწილე ერთ-ერთი სპარსელი მხედართმთავრის ცნობით, ტყვედ წაასხეს 18.000 ქართველი და სომეხი. სხვა, ასევე სპარსელი ავტორის მიხედვით კი — 16.000.

თვითონ შაჰმა წასვლისას თავისი ტყვეები გაათავისუფლა გარდა

თბილისის ციხის არტილერისტებისა, რომლებიც სპარსეთში წაიყვანა და თავის სამსახურში ჩარიცხა.

11 სექტემბერსვე, თბილისის დაცემის შესახებ ქალაქიდან დაცილებულ ადგილებშივე შეიტყეს. დაიწყო თბილისიდან გასული ლტოლვილების ძარცვა და დატყვევება. ამ უბედურების დროს მძარცველები თავისიანებივე იყვნენ, იმერთა ლაშქრიდან წამოსული ერთი მცირე ჯგუფი და ქართველი მთიულები, რომლებიც ჯარში წასასვლელად შეკრებილნი ახლა დიდ ბრბოებად თავს ესხმოდნენ გახიზნულთ და მათ ბარგს იტაცებდნენ. როგორც ერთი თანამედროვე (მდივანი მანუჩარ თუმანიშვილი) წერს: „იმდენი ქალაქს არ დაკარგულა, რაც გამოტანილი გზაზედ დაიკარგაო“.

ლტოლვილთაგან ბევრი შიმშილმა და ავადმყოფობამაც იმსხვერპლა, ბევრიც ჩრდილოეთ კავკასიაში გაიქცა და შემდეგ უკან აღარ დაბრუნებულა.

თბილისიდან სამეფო ოჯახის აყრისა და ლტოლვის შესახებ შთამბეჭდავად მოგვითხრობს ამ ამბის თვითმხილველი, ბატონიშვილ იულონის თანმხლები დეკანოზი იოანე ქართველიშვილი. მისი სიტყვებით: „აიყარნენ სამეფო ფამილია და წარჩინებულნი, ვინცა მყოფ იყვნენ მის ჟამსა ტფილისისა შინა და წარვიდნენ სახიზრად, მთიულეთს. ეჰა, საკვირველი და საგოლველი, რომელ წარჩინებულთა ტოლნიცა მრავალნი ვიდოდეს ქვეითად, ვინადგან ვერ შოვობდეს ცხენსა ავდარსა, წვიმასა და ტალახისა შინა მისაფრასა, ვინაიდგან შვიდეულისა უმეტესაცა ჟამსა წვიმა გარდაუღებელი და ესრეთ გავყევ მეცა მაშინ ძათ მეფისძის იულონის შეწევნით. ვიარეთ ღამე იგი დღე მეორე კვირიაკე. დღესა მესამესა ორშაბათსა ძლივს შეუძელ მიწევნად დუშეთსა (თბილისს და დუშეთს შორის იყო 48 კმ — ს. კ.). დავყავით დღეი იგი მუნ 11 სექტემბერი, დაღამდა რა დღე სამშაბათი, საღამოს ჟამს მოვიდა ამბავი შესაწუხებელი, საგოლველი და სატირალი (შიკრიკს, მაშასადამე, ცხენებით ეს მანძილი გაუვლია სამიოდე საათში. — ს. კ.), რომელ დამარცხებულ იყვნენ ორნი მეფანი — მეფე ქართველთა და კახთა ირაკლი და მეფე იმერთა სოლომონ. ესენი ქცეულნი — მეფე ირაკლი წამოსულიყო კახეთს. ხოლო მეფემან სოლომონ შვიდს ქართველსა ზედა და წარვიდა იმერეთს. მას ჟამსა შემოვიდა აღა-მაჰმადხან ტფილისსა შინა.

ღამესა მის სამშაბათს 11 სექტემბერს მოვიდა რა ამბავი მეფეთა დამარცხებისა და ქალაქსა შინა შესევისა, აიყარნენ, მთიულეთს გავყევ მე მათ ქვეითამდე და წარვიყვანე დედაცა თქვენი ქვეითათ,

შვილსა ჩემთანა. შვილი ჩემი შიო, მაშინ ვერღა იყავ შენ წლისა ოთ-ხისა და არა საკვირელ არს, უკეთუ ქვეითად ვერ შემძლებელ იქნებო-დი სიარულსა და დედაცა ჩემი, ბებია შენი, ვერ შემძლებელ იქმნა ღამესა ქვეითად მოყოლად ჩვენდა მოხუცებულობის გამო. ამისათვის დაგვტოვე თქვენ მას ღამეს დუშეთს და გავყევ მე სახლსა მას დედით თქვენით. გათენდა რა, მივედით ანანურს. მუნ იყო საკვირველი ხილ-ვა ხალხისა მის, რამეთუ ვერვინ იხილავდა სხვასა რამესა ეგოდენსა ერსა შინა, გარნა დუმილს და სწრაფად მიდიოდნენ. ეგოდენ იყო ხალ-ხი იგი, რომელ ანანურამდე ვიდრე მუხრანის მინდარამდეცე სურდა იგი ავადი გზასა ცალესსა, რომელსა ზედა არა ვიდოდნენ. უმეტეს ქვეითნი. ქალნი მორთულნი და ცოლნი წარჩინებულნი. გათენდა რა დღე ოთხშაბათი სექტემბრის 12, დავბრუნდი ანანურიდან, მოველ თქვენთანა, ვიხილე დედაჩემი და შენი შვილი შიო, მომავალი... უმე-ტეს მხედრათაც ჯდომით და ხანდიხან ქვეითად მოსიარულე ვლეთ ოთხშაბათი და ღამე იგი ხუთშაბათ. მივედით სექტემბერის 13 მთიუ-ლეთს — ცხაოტს, რამეთუ მანდ დაებანაკათ სამეფოს ფამილიას და დედა შენიცა დაგვხვდა მუნ. შევიყარენით ერთად, მხოლოდ ცალიერ-ნი და ტიტველნი, რამეთუ უკეთუ წარმოგვეღო რაიმე ქალაქით, იგიცა ყოველი დაგვრჩა დუშეთს ურემსაზედა დადებული".

15 სექტემბერს იოანე ქართველიშვილმა თავის ბარგს ჩააკითხა დუშეთში, მაგრამ იქ ვეღარ მიაგნო მას. „ვერღა რა ვიხილე ბარგთა ჩემთაგანი, რამეთუ აეკლო და წაეღოთ ყოველივე არა თუ მარტო ჩემი მეფისძის იულონისა ყოველივე რაცა აქვენდა ქატალიკოზისა ყოვლის შემოსავლით და სვეტიცხოვლის სამკაულითა დუშეთს შინა მდგომარეთა, უმეტეს სომეხთა და სხვათა გარემოს მყოფთა მახლო-ბელთა დაბათაგანთა. მოველ რა და ვიხილე იავარქმნილი დარჩენილი მუნ ნაქონები ჩემი და სხვათა ყოველთა, წარმომავალ ცალიერი, თუ ხანი დავკარგე მუნე; აღარ განვაგრძნობ, გარდა ამისა არამედ ვაუწყებ მოკლედ, რომელ რაი-ცა დამრჩა ქალაქს სახლი ანუ ქვეშაგები, ლო-გინი, ჭურჭელი, სპილენძისა და სხვანი ნივთნი, ვიდრე ოცდახუთმეტის თუმნისადმე ანუ მეტი, აღიკლეს დუშეთსაც".

სპარსეთის შემოსევების შედეგად ჩვენი ტრაგედიის — ძარცვა-გლეჯის შესახებ ხატოვან წარმოდგენას გვიქმნის იოანე ქართველი-შვილის სხვა ნაწერებიც. 30 სექტემბერს იოანე ქართველიშვილი თა-ვისი ოჯახით დუშეთს ჩავიდა. მისი სიტყვით, „მუნ ბრძანდებოდა მეფე ირაკლი და ყოველი ფამილია სამეფო. დაეპერინებინა მეფეს რამო-დენიმე ბარგისა ამკლებნი ავაზაკნი და მოეტანათცა ნივთნი რომელი-

მე, უმეტეს სამკაულნი სვეტის ცხოვლისანი და უკეთუ მოჰქონდათ ქურდთა და ავაზაკთა რაიმე თვინიერ ეკლესიისა ნივთისა, აწ იკლებნენ ისაულნი დაყენებულნი მეფისაგან და არა ანებებდნენ პატრონთა თვისთა უკანონობისა ძლით ქვეყანისა ჩვენისა".

თვითონ იოანემ კი საკუთარი ბარგიდან ვეღარაფერი იპოვნა.

იგივე ავტორი მწუხარებით გვაუწყებს იმის შესახებაც, თუ რა ნადავლი გაიტანა აღა-მაჰმად-ხანმა გაუბედურებული თბილისიდან. შაჰმაო, წერს იოანე, „ტყვე ჰყო მუნებურნი (თვით ქართველიშვილის სიმამრი-სიდედრი მაშინ დაიკარგნენ საბოლოოდ), აიღო ალაფი, რამეთუ ყოვლითურთ მუნ დარჩა ხაზინა სამეფო, ხატი და სამკაული მეტეხისა, სამკაული სიონისა, სამკაული ალავერდისა, სამეფო გვირგვინნი (ერთი 1744 წელს გაკეთებული, მეორე კი 1783 წელს, რუსეთიდან მიღებული). სკიპტრა და სხვანიცა მრავალნი ძვირფასნი ნივთნი, ნივთნი ეკლესიათანი და სიმდიდრე სხვათა სახლთა და მოქალაქეთა აღურაცხელი. მოწვა ცეცხლითა პალატნი და სახლნი სამეფონი და სრულიად ტფილისი... ვაჲ, ვაჲ, ცოდვათა ჩვენთა სიმრავლესა! რაოდენნი ქალწულნი განიხრწნეს, რაოდენნი მღვდელნი და მოწესენი — მოისრნეს, რაოდენნი ტყვე იქმნეს და მიზეზ ექმნათ დატეეებათ ქალაქისა... უკეთუ რაი გარდარჩათ აუკლებელ და წაუღებელ, იგიცა აიკლეს გამოქცეულთა იმერთა და სხვათა, აგრეთვე მეკობრეთა ქართველთა (ქართლელთა) და მთის კაცთა, რამეთუ ჟამსა მას ვიდრემდის სცნობდნენ წარსვლასა აღა-მაჰმად-ხანისასა ქართლსა და კახეთსა შინა, თვით იკლებდნენ ურთიერთთა, ვინ ვისცა მოერიოს, არა რასა სინდისის მგრძნობელნი თავის შორის".

არანაკლებ მძიმე განსაცდელში ჩაცვივდნენ ის თბილისელებიც, რომლებმაც მოასწრეს და სპარსელების მიერ თბილისში შემოსვლამდე ბთიულეთსა და სხვა ადგილებში გაიხიზნენ.

11 სექტემბერსვე, როცა თბილისის დაცემის ამბავი ცნობილი გახდა, ქვეყანაში გააქტიურდნენ ანტისაზოგადოებრივი ძალები, რომლებიც თბილისიდან გახიზნულთა ძარცვას და დატყვევებას შეუდგნენ, ეს მძარცველები, სამწუხაროდ, ქართველებივე, ბრბოებად თავს ესხმოდნენ გახიზნულთ და მათ ბარგს იტაცებდნენ, რის გამოც, როგორც ერთი თანამედროვე (მდივანი მანუჩარ თუმანიშვილი) წერს, „იმდენი ქალაქს არ დაკარგულა, რაც გამოტანილი გზაზედ დაიკარგა"-ო.

თბილისიდან გამოხიზნულები აუტანელ გაჭირვებაში ჩაცვივდ-

ნენ — მათ შიმშილი და ავადმყოფობანი ცელავდა. ამის გამო ბევრი ჩრდ. კავკასიაში გაიქცა და იქიდან შემდეგ აღარც დაბრუნებულა.

ძარცვა-გლეჯაში ბევრი ვინმე მონაწილეობდა: თავადიშვილები, აზნაურები და მოქალაქენიც. მაგალითად, გახიზვნისას მდივან მანუჩარ თუმანიშვილს თავისი ქონება (სხვადასხვა ძვირფასეულობა, ტანისამოსი და სხვა) 12 სექტემბერს დუშეთს ჰქონდა წაღებული და იქ დაბინავებული ადგილობრივ მცხოვრებ წიწუაშვილთან. მანუჩარის ეს ქონება ქურდებს გაუტანიათ, მათ შორის თავადიშვილსაც, 1796 წ. 25 თებერვალს ეს უკანასკნელები, სხვათა შორის, თავის ხელწერილში წერენ: „თქვენ მდივანს სულხანს მე არღუთაშვილმა (თავადიშვილი იყო — ს. კ.) ფარსადანმა, დურმიშხანმა, შვილმა როსტომამ და წიწუაშვილმა ოჰანეს ეს წიგნი მოგეცით. დუშეთს წიწუაშვილისას შენი სამი საპალნე საქონელი იყო. ისინი ჩვენ დავხსენით და ჩვენ მოვიპარეთ, რომ ჩვენ წაგვეღო. მერე შეგვიტყვე და ბატონის იასაულით ზოგიერთი მოგვატანინე და გამოგვართვი და რაც დარჩა, რომ შენის საქონლისა გაკლია... ამ დაკლებულს საქონლისათვის დაჭერილნი ვიყავით, რომ ესეც უნდა მოგვეცა. მოვედით და შემოგეხვეწეთ და ამაში ხსენებულის თავმდებობის მიცემით ჩვენ ტუსაღობიდამ აგვაშვებინე“*.

იმის წარმოსადგენად, თუ რა მასშტაბი მიიღო თბილისიდან გაქცეული მშვიდობიანი მოსახლეობის თანამოძმეთაგან ძარცვამ, საინტერესოა ერეკლე II-ის წერილი მდივნის ეგნატე თუმანიშვილისა და მისი შვილებისადმი 1795 წ. 8 ოქტომბერს. ერეკლე, სხვათა შორის, წერს: „სექტემბერში ასტრაბათელი მამად-ასან-ხანის შვილი აღა-შაჰმადხან სპარსეთისა და სხვა ურიცხვის ჯარებით ორსავ საქართველოს და ტფილისს ასაოხრებლად მოვიდოდა და ორივ საქართველოში დაიხიზნეს და ტფილისიდამაც ზოგიერთნი მთებში დაიხიზნენ და შენ რადგან ჩვენი მდივანი და მოხელე იყავ, ტფილისში სახლობდი და შენც აიყარე დასახიზნავად. ქართლისაკენ წამოხველ და შენი ბარგი, რაც რომ გქონდა, მუხათგვერდში იმერელებს და ქართველთ აეკლოთ“.

თბილისიდან გახიზნულთა ძარცვის ამბავს შთამბეჭდავად იხსენებს იოანე ქართველიშვილიც. იგი წერს: „მიველ რა (15 სექტემბერს

---

* ბრალდებულებს დატაცებული საქონელი ვეღარ შეუკრებიათ, რის გამოც არღუთაშვილი იძულებული გამხდარა თავისი ყმები და მამული მანუჩარისათვის გადაეცა.

ბარგის მოსაკითხავად) დუშეთს, ვეღარა ვიხილე ბარგთა ჩემთაგანი, რამეთუ აეკლოთ და წაეღოთ ყოველივე არა თუ მარტო ჩემი, (არამედ) მეფის-ძის იულონისა ყოველივე რაცა აქვნდა, ქათალიკოზისა ყოვლის შესამოსლით და სვეტიცხოვლის სამკაულით დუშეთს შინა მდგომთა ერთა უმეტეს სომეხთა და სხვათა გარემოს მყოფთა მახლობელთა დაბათაგანთა".

მეორეჯერ იოანე ქართველიშვილი დუშეთს იყო 29 სექტემბერს, როცა იქ იდგა მთელი სამეფო ოჯახი, მათ შორის ერეკლე. იოანე იხსენებს: „დაეჭერინებინა მეფეს რამდნიმე ბარგისა ამკლებნი ავაზაკნი და მოეტანათცა ნივთნი რომელიმე, უმეტეს სამკაულნი სვეტის ცხოვლისანი, და უკეთუ მოჰქონდათ ქურდთა და ავაზაკთა რაიმე თვინიერ ეკლესიისა ნივთისა, აწ იკლებდნენ იასაულნი, დაყენებულნი მეფისაგან და არა ანებებდნენ პატრონთა თვისთა უკანონობისა ძლით ქვეყანისა ჩვენის".

შინაური მტერი არც სპარსელთა მიერ აოხრებულ თბილისს ინდობდა. აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის დატოვების შემდეგ ქალაქს კახეთიდან ჩამოსული მარბიელებიც იკლებდნენ.

გაჭირვებაში მყოფ ქვეყანაში მთიელებმაც სცადეს ხელის მოთბობა და არც თუ უშედეგოდ. მაგალითად, ოსებმა ქრცხინვალის ხეობიდან და სხვა სოფლებიდან რამდენიმე ათასი კოდი პური მიიტაცეს.

წასვლის წინ სპარსელებმა დაწვეს და დაანგრიეს ქალაქის უმეტესი ნაწილი, კერძოდ, მეფის სასახლე და სხვა მოზრდილი ნაგებობები. აღა-მაჰმად-ხანი თითქოს გრძნობდა, რომ ქვეყნის ეკონომიკური დაწინაურების მასაზრდოებელი ეს საწარმოები თავისი შედეგებით ყველაზე მეტად უწყობდა ხელს ქართლ-კახეთის ჩამოშორებას სპარსეთისაგან.

ამასთანავე საშინლად გაძარცვეს ქალაქი და მოსახლეობა ტყვედ ქმნეს. თბილისიდან გასვლისას სპარსელებმა ტყვეები თან წაიყვანეს. მხოლოდ აღა-მაჰმადი-ხანმა გაათავისუფლა ტყვეების ერთი ნაწილი. თან წაიყვანა მხოლოდ ტყვედქმნილი არტილერისტები, რომლებიც სპარსეთში დაასახლეს და იქაურ სამხედრო სამსახურში ჩააყენეს. სხვებმა კი ტყვეობის საშინელება იგემეს. მანუჩარ ენიკოლოფაშვილი, მირზა გურგენის შვილი, ტყვედ იქნა წაყვანილი სპარსეთში, სადაც იგი დაასაჭურისეს, რათა უკან დაბრუნება თვითონაც არ მოესურვებინა. შემდეგში ის ირანის ერთერთი წარჩინებულთაგანი გახდა. 1795 წელს თბილისის დარბევა-გაძარცვისას დაიკარგა მირზა-გურგენის მდიდარი

წიგნთსაცავი, საიდანაც ერთ-ერთი საუკეთესო ხელნაწერი — სპარსული პოეზიის ანთოლოგია — შეხვდა სპარსელების ერთ-ერთ სარდალს, რომელმაც ხელნაწერს მიაწერა ცნობა თბილისის აოხრების შესახებ. რამდენიმე წლის შემდეგ მან ეს ხელნაწერი საჩუქრად მიართვა ფათ-ალი-შაჰს, რომელმაც იგი დაუბრუნა ხსენებულ მანუჩარ ენაკოლოფაშვილს, ამ უკანასკნელმა გადასცა სპარსეთში საქმიანი მიზნით ჩამოსულ თავის ძმას მიხაილს, რომელმაც ხელნაწერი თბილისში ჩამოიტანა.

თბილისის აოხრების მომსწრე და თვითმხილველი იოანე ქართველიშვილი იერემიულად მოთქვამს ამ ამბების შესახებ: „ვაჲ, ვაჲ ცოდვათა ჩვენთა სიმრავლესა! რაოდენნი ქალწულნი განიხრწნეს, რაოდენნი მღვდელნი და მოწესენი მოისრნეს, რაოდენნი ტყვე იქმნეს... რამეთუ ვგონებ მაშინდელსა დაკლებულსა სიკვდილით და ტყვეობით ვიდრე სამოცი ათას სულადმდე და უმეტესაცა“.

ეს რიცხვი, 60 000, რომელსაცა იოანე ქართველიშვილი ასახელებს, გადაჭარბებულია, თუმცა იგი მაინც მიგვანიშნებს იმ მასშტაბურობაზე, რომელმაც თანამედროვეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ტყვედ მიჰყავდათ უფრო მეტად ქალები და მოზარდი ქალ-ვაჟები, მამაკაცებს კი ხოცავდნენ, რამდენადაც თბილისში შემოსვლის შემდეგ ქუჩებსა და ჩიხებში ბრძოლებისას სპარსელებმა დიდი ზარალი ნახეს და ტყვეთა დიდი მასის წაყვანა უჭირდათ. „ხოლო ტფილისსა შინა მცხოვრებთაგანთა, — წერდა თეიმურაზი, — მრავალს ადგილსა განამაგრნეს სახლნი და ქუჩანი და მრავალნი სპარსნი მოსწყვიტნეს და მრავალნი განმაგრებულთა მათგანნი ღამე დაფარულის გზით იდუმალ განვიდეს ქალაქით და ივლტოდეს. ყოველნი ტყვენი ტფილისისანი, რომელნიც შეიპყრნენ, განიყვანეს გარე ქალაქისა ბანაკსა შინა მათსა, რომელიცა აქვნდათ სოღანლუხისა სოფელსა მახლობელსა ველსა ზედა, პირსა ზედა მდინარისა მტკვრისა“.

იაკუბ ბებუთაშვილის ცნობითაც, ამ ბანაკში იმდენი ქალები და ბავშვები მიიყვანეს, რომ იგი ქალების ბანაკს უფრო ჰგავდაო. იაკუბივე სპარსელთა ბანაკში მიყვანილ ტყვეთა რიცხვს 8 ათასს ასახელებს, რაც უფრო რეალისტური უნდა იყოს.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა გავითვალისწინოთ პ. ბუტკოვის ცნობა, რომელიღაც წყაროდან ამოღებული, რომ კრწანისის კატასტროფამდის თბილისში 4 ათასამდე სახლი (კომლი) იყო, 1803 წელს კი უკვე აღმოჩნდა 1700—300 ათასი კომლამდე, რაც შეადგენდა 30 ათას სულს (უნდა იყოს 20 ათას სულამდის ორ სქესად).

აქედან 7 ათასამდე ქვრივი იყოო. ჩანს, რომ შემოსევის დროს თბილისის მკვიდრთაგან მრავალი მამაკაცი დაღუპულა. არტემ არარატელმა, მაგალითად, სპარსელების წასვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ თბილისის ციხის მარტო ერთ კოშკში ათასამდე მოკლული მხედარი (ე. ი. მამაკაცი) ნახა.

იმ დროს, როდესაც სპარსელებმა თბილისი აიღეს, გაძარცვეს და ქვეყანაც არსებითად ანარქიამ მოიცვა, ერეკლე II მთიულეთს შეჩერდა.

თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვებით, ამ დროს „მეფემან ირაკლიმ, მისულმან მთიულეთს, წარავლინა ყოველსა საბრძანებელსსა კაცნი, რომელ განემზადნენ ბრძოლად და, სადაცა აღუნიშნავს მეფე, შეკრბენ მუნ. კახეთს ჰყავდა პირმშო და მემკვიდრე თვისი გიორგი სახლეულობითა თვისითა, რომელიც განამზადებდა მხედრობასა ბრძანებითა მეფისათა. ხოლო ქართლს ჰყავდა სხვა ძე თავისი იულონ და იგი განამზადებდა მხედრობასა ქართლისისი. ელოდეს ყოველივე და ყოველთა მხედრობანი ბრძანებასა მეფისასა, რომელ სადაცა უბრძანოს მეფემან შეიკრბენ მუნ“.

უნდა ითქვას, რომ თეიმურაზის ეს ცნობა არ შეესაბამება სიმართლეს. ჩვენამდე მოღწეულია ერეკლეს ერთი წერილი საკუთარი შვილის გიორგისადმი, საიდანაც ჩანს, რომ თბილისის დაცემიდან მეათე დღის შემდეგაც მეფეს არავითარი ცნობა არ ჰქონდა თავისი მემკვიდრის გიორგისაგან. ამ უკანასკნელის ინდიფერენტიზმი ქვეყნისადმი ეგზომ საბედისწერო ჟამს პირდაპირ დანაშაულებრივი იყო. ეტყობა, რომ ის არ გრძნობდა არავითარ პასუხისმგებლობას თავისი ხალხისადმი, რომლის მომავალი მეფე ის უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება ბატონიშვილს იულონს, ამ უკანსკნელის შესახებაც შემორჩენილია მისი მოძღვრის და შვილების მასწავლებლის იოანე ქართველიშვილის ცნობა, საიდანაც ჩანს, რომ ერეკლე თავისი ოჯახით და იულონით, მისი ცოლშვილით მთიულეთიდან დუშეთში ჩამოვიდნენ 1795 წლის 30 სექტემბერს, რის შემდეგაც (7 ოქტომბრის ახლოს) ერეკლე ოჯახით წავიდა კახეთს, ხოლო იულონი ქართლში გააგზავნა. თეიმურაზ ბატონიშვილს კი საქმის ვითარება ისე აქვს წარმოდგენილი, თითქოს მემკვიდრე გიორგის ბატონიშვილებს ჯარების შეკრება უკვე მაშინ დაევალათ, როდესაც აღა-მაჰმად-ხანი ჯერ კიდევ თბილისში იმყოფებოდა. სპარსელების ჯარი თბილისიდან 19—20 სექტემბერს გავიდა.

ჩვენს განკარგულებაშია 1795 წ. 18 სექტემბრით დათარიღებული ერეკლეს ერთი წერილი სარდალ ოთარ ამილახვრისადმი იმის თაობაზე, რომ მას უნდა შეეკრიბა ზემო ქართლის თავადები და აზნაურები კომლზე თითო კაცი. იულონი ამ წერილში სრულებით არ ჩანს. საფიქრებელია, რომ ამ ბრძანების თანახმად, ერეკლეს შეუგროვდა და მოუვიდა კიდევაც ათასზე მეტი კარგი ცხენოსანი მებრძოლი, მაგრამ ზემოხსენებულ წერილში სპარსელების წინააღმდეგ ლაშქრობის გაგრძელებაზე ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი. პირიქით, საუბარია სპარსეთთან შერიგების შესაძლებლობაზე.

17. აღა-მაჰმად-ხანის წინადადება ზავის დადების შესახებ

როგორც ერეკლეს წერილიდან გუდოვიჩის სახელზე (17 სექტემბერი 1795 წ.) ჩანს, 16 სექტემბერს მთიულეთში მას მისვლია წინადადება ერეკლესავე კაცის (იგულისხმება მირზა-იბრეიმი) ხელით*. ერეკლე, თბილისიდან 11 სექტემბერს საღამოს გამოსული, ჩავიდა მთიულეთში, სადაც მისი ოჯახი იყო (იოანე ქართველიშვილის მიხედვით), 13 სექტემბერს საღამოს — გზას მოუნდა ორი დღე. ამის მიხედვით, ერეკლესთან მისივე კაცის გაგზავნა მორიგების შესახებ აღა-მაჰმად-ხანმა გადაწყვიტა 13—14 სექტემბერს, ე. ი. თბილისის აღებიდან ორი, ან სამი დღის შემდეგ.

აღა-მაჰმად-ხანის მიერ ერეკლესთვის მიცემული საზავო წინადადების შესახებ ვტყობილობთ კიდევ სარდალ ოთარ ამილახვრის სახელზე 18 სექტემბერს გაგზავნილი წერილიდან, რომლის ტექსტი იკითხება ასე:

„ქ. ჩვენ მაგივრად მის ბრწყინვალებას ბატონს ამილახვარს ოთარს მრავალი მოკითხვა უამბეთ. მერე ომს უკან შენი და მაგ მხარის ამბავი აღარა ვიცით რა. ჩვენ აქ მთიულეთს ვართ და გუშინ აღა-მაჰმადხანს ჩუენთვის წიგნი მოეწერა, მირზა გურგინაშვილი, ყარამან და მერაბ აღას ძმა გამოუგზავნია, შერიგება ბეჯითად მოუნდობინა და ოთხი რამ ჩვენთვის თაქლიბი ექნა: შვილის მიცემა, აზად-ხანის ნაქონის თვალისა, ერთის საათისა და ყარაბაღის ელისა. ელი ხომ ჩვენ ჯელთა აღარ არის და სხვებზედ ნება მიეცით და თითონ აღუთქვა იმდენი სულის ქრისტიანეთ ტყვეთ უკლებად მოცემა და ქალაქის აშენება. მე

---

* Грамоты ... II$_1$, 107.

ხომ იქ სხვას თათარს ვერავის დავსვამო, მემკვიდრე ვალი შენა ხარო და შენვე უნდა იყოო. მრავალი ტყვე ჰყავთ და იმათთვის გამოსამეტებელი იყო, რაც ეთხოვნა. ჩვენ ახლა ანანურს და იმ ადგილებში თავკაცათ მოვედით და ხიზანი მთიულეთს დავაყენეთ. თქვენ უნდა რომ რომელნიც ზემო ქართვლის თავადნი და აზნაურნი იმყოფებით, ვინც სახლში ორნი და სამნი იყვნენ, ერთი ჩვენთან უნდა მოხვიდეთ. აქ სურსათზე ნაკლებობა არის და რამდენიმესამე დღის სურსათი თან უნდა მოიტანოთ. რომელიც ჩვენი ერთგულია, ახლა გამოჩნდება. სექტემბრის იჰ, ქკს უპგ. ბეჭედი".

მოტანილი საბუთიდან კარგად ჩანს, რომ მთიულეთში გახიზნულმა ერეკლემ, მართლაც, სცადა მოლაპარკების დაწყება აღა-მაჰმად-ხანთან, რომელიც ამგვარად მოითხოვდა ერთ-ერთი შვილის მისთვის მძევლად გაგზავნას, აზატ-ხანის ალმასს და ამასთანავე პოტიომკინის მიერ სულხან თუმანიშვილისათვის ნაჩუქარი ძვირფასი საათის მიცემას. ერეკლე თანახმა იყო ამ პირობაზე, მაგრამ მოლაპარაკება ჯერ დამთავრებული არ იყო, რომ აღა-მაჰმად-ხანი უცბად აიყარა და თბილისიდან წავიდა.

ერეკლე იმდენად მოწადინებული იყო აღა-მაჰმად-ხანთან მორიგებას, რომ მას გზაში სწრაფად დაადევნა თავისი წარმომადგენლები შერიგების პირობაზე თანხმობის მისაღებად, რაზეც, თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვით, შაჰს მოუთხოვნია: გამოგზავნოს ერეკლემ თავისი შვილი და წარჩინებულნი და მე მაშინ ყველაფერს გავაკეთებო. მაგრამ, სულ მალე ცნობილი გახდა, რომ რუსის ჯარს აგზავნიან საქართველოში და ერეკლემაც თავისი პოლიტიკის ვექტორი რუსეთისაკენ მიმართა.

აღა-მაჰმად-ხანის სასწრაფოდ წასვლის მიზეზი ის იყო, რომ ცნობა მოუვიდა ხორასანში დიდი აჯანყების დაწყების შესახებ, რის გამოც შაჰი განსაკუთრებული სისწრაფით მიდიოდა უკან. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ინფორმაცია ხორასანში დაწყებული აჯანყების შესახებ იმხანად ერთობ გაზვიადებული იყო. ამიტომ აღა-მაჰმად-ხანიც აღარ წავიდა თეირანისაკენ. იგი შეჩერდა მუღანის ველზე, სადაც ჩინებული საძოვრები იყო ცხენოსანი ჯარისათვის და მხოლოდ შემდგომი (1796) წლის თებერვალში აიყარა, თეირანში და შემდეგ ხორასანში წასასვლელად.

სპარსელებმა მთელს ამ ომში (10—11 სექტემბერს) დიდი ზარალი ნახეს.

ერთ-ერთი ცნობით, რომელიც თეიმურაზს ეკუთვნის, ვითომცდა სპარსელებისავე ოფიციალური ცნობით, ამ უკანასკნელებმა თბილისზე ლაშქრობისას დაკარგეს ათი ათასი კაცი. ეტყობა, 10 სექტემბერს სპარსელების ზარალი იყო 2 ათასი კაცი, 11 სექტემბერს კი 8 ათასი, რაც სიმართლეს წააგავს, ვინაიდან, თუ არა ესოდენი ზარალი, გაუგებარი იქნებოდა სპარსელების თბილისიდან ასე სწრაფად უკან წასვლა.

დიდი ზარალი ნახეს ქართველებმაც. ერთი ცნობით მარტო იმერეთის თავად-აზნაურთაგან მოკლული იყო ორასამდე, სულ კი დაახლოებით 500—600 კაცი. თეიმურაზ ბატონიშვილის მოწმობით, ამ ბრძოლაში დაიღუპა ქართლ-კახელების ჯარის უმეტესობა, მაშასადამე, დაახლოებით 1800 კაცი მაინც. ამათგან განსაკუთრებით დაზარალდნენ არაგველები. ტყვედ იქნა წასხმული 150-მდე არტილერისტი და ა. შ.

განსაკუთრებით დაზარალდა და მოსახლეობით შემცირდა თბილისი, რისი კონკრეტული წარმოდგენაც შემდეგნაირად შეიძლება:

1793 წლის აღწერით, თბილისში იყო მეფისა და სხვადასხვა შფლობელთა ყმები სულ 3498 კომლი*. ამათ უნდა მიემატოს 556 კომლი პირველი და მეორე მოქალაქენი, მათ შორის პირველი მოქალაქენი 93 კომლი**. ამას გარდა დედოფლის და მეფის ძეთა ხელქვეითი მოქალაქენი (I და II კატეგორიის) იყვნენ 196 და 759 კომლი. აზნაურნი დაახლ. 500 კომლი. სამღვდელონი ქართველთა და სომეხთა რიგის დაახლ. 200 კომლი და ეგრეთ წოდებულნი გარეშენი, ზუსტად 386 კომლი***. სულ, მაშასადამე, გამოდის 5336 კომლი, ანუ (1807 წლის მაგალითის ანალოგიით, როცა თბილისში კომლზე 6,5 სული იანგარიშებოდა) ორივე სქესის 34,2/3 ათასი მცხოვრები.

